

1939



მნათობი

6


თბილისი
1939



მნათობი

სრულიად საქართველოს საბჭოთა მწერლების
კავშირის ყოველთვიური სალიტერატურო,
სასკოლო და საზოგადოებრივ-საპოლიტიკო
ჟურნალი

წელიწადი მეთექვსმეტი



19

ი ვ ე ი ს ი

სახელგაშვი

39



რედაქცია:
ტფილისი, შაბაძის 13,
მწერალთა სასახლე
ტ. 3-71-84

კანტორა:
ტფილისი, კაპის ქ. № 49
სახელგამი
პერიოდსექტორი

პ.პ. რედაქტორი — ალიო მავაშვილი

პ.პ. მდივანი — ლევან ასათიანი

გადაცემა წარმ. 20/VII — 39 წ. ხელმ. დასაბ. 25/VIII — 39 წ.

შეკვ. № 1831. მთავლ. რწმ. № 2052. ტირ. 6000.

სახელგამის ზედღეობი სიტყვის კომპინატი, ჟორჯის ქ. № 5.

თეთრი გვირგვინი

რომანო¹

1.

სულთმოფენობა იყო, ჯერ ისევ დილა, წირვების ეამი. ანჩისხატის დიაკვან უფროს უგდებდა სამრეკლოდან სიონის ზარს, რომ მისთვის აეყოლებინა თითონაც რეკვა; არა მსურდა თვით დაესწრო ზართა ხმაური, უმთავრეს ტახარს ეკუთვნისო წინამძღოლობა.

— ნუ გიყვარს, კაცო, სხვის დასწრობა, წინასწარობა! შენც უნდა იცნო უფროს-უმცროსი, იმავე წესზე დააყენო შენი სამრეკლო.

— მაჩქარებს მღვდელი, რაღას ელიო.

— ალბათ, ვშივდება და ველარ ითმენს. მთელ ქალაქში ერთად უნდა ახმაურდეს სამრეკლოები, რომ ერთდროსვე გადისახოს მოსაყმა ჯვარი.

— მერე რა უშავს?

— ამ წესზე იციან ზარის რეკვა დიდ ქალაქებში: იერუსალიმს, ანტიოქიას, თითონ მოსკოვში; ბიზანტიაშიც ყველა სამრეკლო წმინდა სოფიოს უცდიდა თორმე უწ...

— ჯან! — წარსთქვა ალერსით ზარის გუგუნზე.

და გადიწერა წყნარად პირჯვარი. მოზიდა თოქსა. დიაკვნობაში დაბერებულყო ვანო, აწ იოანე. შავი კაბა გრძელ ახალუხზე. ღვედის სარტყელი განიერი. უკრეკი თმა ზედ შუაზე გადაყოფილი. ხატის სახე დასდებოდა ხატების მსახურს. მკაფიო კითხვა რიხიანი, ზეპირ იტყოდა. ლოცვათა წეს მტკიცედ იცოდა: თვით დეკანოზი მიჰმართავდა ძნელ შემთხვევებში. მოძღვარი იქნებოდა სახიერი, თუ მეუღლე არ გადასცვლოდა. მღვდლობა...

— აღრე ამდგარხარ! სად ეშურები, მიემზადები? — ჰკითხა მამამ იასეს, რომელიც კედლის სარკის წინ იდგა და უღვაშებს ისწორებდა, ბოლო შეხრილ შავშავ ქილეაშებს. უხდებოდა ხუჭუჭ თმიანს წვერის მოპარსვა. ერთს ალაგას ლოყაზე რამდენიმე ბეწვი, ხალზე აღმოცენებული პატარა ბუნჯგალი. დაჰნანებოდა პეტრე დალაქს იმისიც მოსთვლა. ერთი კიდევ შემოტრიალდა ვაბუჯი სარკის წინ, გადაავლო თავის აჩრდილს თვალი, გაისწორა წერწერ

¹ ვ. ბარნოვს დარჩა რამდენიმე დაუბეჭდავი რომანი. ეს რომანები არ არის მოკლედ-ბული ინტერესს საბჭოთა მკითხველისათვის, როგორც ლიტერატურული შემოქმედრობა. „მნათობის“ რედაქციამ საჭიროდ დაინახა ზოგიერთი მათგანის გამოქვეყნება. ებეჭდავთ რომანს, „თეთრ ვვირგვინს“. ჩედ.

წელზე ქამარ-ხანჯალი, მოიდო თავზე ბუხრის ქუდი, ოდნავ ტყუილი, ამოიღო მაშრაფიდან თაიგული, კობხად კონილი, და... მამამ თვალს გააღებენა მიმავალ კაბუტს.

— ვიცი, სად მიხვალ, რად ირთვები, ვის დასტრიალებ: უკუქაჩუნებია! ჯიშად მოგვიდის ტრფობით განმსკვალევა, ღმერთო ძლიერო, გაუძარავვე ძუთა-ნით სახეს!

2.

ანჩატის უბნელი იყო იასე, იქაური მკვიდრი მოსახლე. ტაძრის არედან გზა მისდევს სამებისაკენ. იმ ვიწრო ქუჩაში ჰქონდა სახლი იასეს მამას. ორსართულიანი შენობა; ქუჩაში გადმოკიდებული აივანი ჩუქურთმიანი სვეტებით, სურათებით; მიწური ბანი, ლაბიერთ ვარშემორტყმული. ხნიერობა დასტყობოდა შენობას: შეხუნებული საღებავი, დაკაქული ბათქაში, შიგადაშიგ ჩამონგრეული. არც საწვიმე ღარები ახალ-ახლოდნენ. მაინც მაგარი სახლი იყო, მკვიდრად ნაშენი. მარტო იასესი არ იყო სამკვიდრო: დები ჰყვანდა და ძმები გამთავნებულ ოჯახის შვილსა. მის დედმამას თავი მოსწონდა კერის სიმრავლით. მეტ ვადურჩქენასაც ნატრობდა დედა: ძალას ატანდა თავის უფროს შვილს, ცოლი შავრთო.

— ამდენი ქალი გეძლევა, შვილო, რაღას უყურებ? ხანი მიდის; გარდასული დღე დაკარგული მივიღა სიცოცხლის კრიალოსნიდან. მინდა მეც ენახო შენი შეუღლე და გავიხარო.

უარს არ ამბობდა ჯანსაღი ვაჟი, პასაკს მოსული. თვითაც ნატრობდა ბედნიერებას. კიდევაც მიეგნო თავისის ცალისთვის. აღმოჩინა ის ღამაზ მნათობებად აშუქებულ ქალწულთა შორის. თვალს ადევნებდა, მანძილიდან უაღერსებდა. ვარს ევლებოდა. თავსაც ფაქიზად ინახავდა, შეუბღალავად: მსურდა პირნათლად წარსდგომოდა მომავალ იღბალს, მაგრამ...

— წირვაზე, შვილო? ჯერ ხომ ადრეა, — შეეკითხა დედა მიმავალს.

— წავალ! ჯერ კოტესთან მინდა შევიდე, ცოტა საქმე მაქვს.

— ვიცი! ძალიან კი ნუ უხშირებ ლელვარიანთ წინ ავლა-ჩავლასა: გაამაყდებიან, მზეთუნახავი ეგონებათ თავიანთი ქალი. იქნება ისიცა სთქვან, უსაქმოდ არის, ქუჩაში დადისო. — წარსთქვა ოთახში შემავალმა დედამ.

ახალგაზრდა ველარ უსმენდა მას: კიბეზე ჩარბოდა იგი.

— ახლა ეგა თქვი! გაანებე მაგ კაცს თავი! როგორც გულმა უთხრას და გონებამ გაუჭრას, ისე მოიქცეს. ან ვის შეუძლიან უსაქმურად დასთქვას იასე: კაცი მიჩნეული მოხელეა, კარგი მშრომელი, — გამოეხმაურა ქმარი.

დედაცაცმა პასუხი არ ვასცა მეუღლეს. მივიდა, მუთაქა მისდო ზემო ტახტზე; ფანჯრისაკენ; გააღო კედლის განჯინა, გამოიღო ყალამქრის ბოხჩა, ხელის ყუთი; დადგა ფანჯარაზე საკეცი სარკე, დაჯდა და დაიწყო თავის დახურვა. დინჯად ირთებოდა და მოაზრებით. არა სტოვებდა არც რამ წერომანსა. მოვარაყებული სადაფი მოლესილი უმარულით; აღმასის ქინძის-თავი შებღისა თუ გულისპირისა; წარის საყურე; ბევრი ბეჭედი ნაირ-ნაირი. მოიხვია ბაღდადი. აუჩქარებლივ ჩაალავა ყოველივე, დაკეც-დაკეცა.

— შენ რაღას უცდი ჩაფიქრებული, არ ეშაადები წამოსასვლელად?

— მოვასწრობ! რა დიდი შაადება მე მინდა: გადავიცემა კაბასა და...

— ახლები ჩაიცვი, სუფთად გამოეწყე: დიდი დღესასწაულია. სპიროც არის მეტი ყურადღება მივაქციოთ ჩვენს თავს: დღეს თუ ზვანდამთილ-მამამთილი შევიქნებით, დარბაისლობა გემართებს, მეტი სიფრთხილე თუ სიფაქიზე.

— შენ დარწმუნებული ამბობ, მე კი ვგონებ, ეგრე მალე ვერ ასრულდება ჩვენი ფიქრები: ქალი თითქო გულგრილად ეკიდება ჩვენს ვაჟს, ჩვენს სურვილს.

— რითი სწუნობს ჩვენს შეილს, ჩვენს ოჯახს? ყელგადაგდებული თუ ვგონივართ, რადგანაც ჩვენ შევენუჯვენით; შეძლეული პური ძალღმა არ შეკამაო,

— შენსას არ იშლი! რა გაჯავრებს და ავად იხსენიებ ქალს?! მთხოვნელები ვართ, არც ხვეწნა მიმაჩნია სათაკილოდ: სამძივარისთანა ქალი ორი არ მოიძებნება მთელ ქალაქში. ჯერ იმისი თმა რაღა ღირს, კოჭებამდის რომ სწვდება ნაწნავები!

— ლამაზი დალალი აყრია, უხშირესი, თითონაც კარგია, მაგრამ არც ჩვენი ბიჭია მასზე ნაკლები. ჩვენი მზეკებაზე რითი ვერ უღრის ლელვარაიანთ მზექალს?

— ვინ ამბობს?! არაფრით! მაინც...

— კარგი! ჩაიცვ-დაიხურე, წაეიდეთ! აგერ ზარიც. — სთქვა დედაკაცმა. და პირჯვარი გაღისაბა ანჩხატის ზარის ძახილზე, რომელმაც სახლი ავესო მბღღვინავი ხმებით, ფანჯრებიც შეიხმაურა. მსწრაფლ შეემზადა. გაემართნენ. ქმარი ცოტა წინ უძლოდა მანდილოსანს, ნახევარი ნაბიჯით.

— რა იქნებოდა, დედაკაცო, ერთი კონჩხა არაყი დამელივინა, ორიოდე ლელვის ჩირი შეგემნა: ვინ უნდა ვასძლოს ესე უზმოდ დიდი წირვის გამოსვლამდის?!

— მოითმინე! რაღა მადლი ექმნება შენთვის წირვას ან სეფისკვერსა, თუ დაიმჩნევ უთმინობას და შეღონდება. ცოდვა არის მუცელ-ღმერთობა!

3

იასემ მისთვის შეიარა მეგობართან, რომ აეჩქარებინა წირვაზე წასასვლელად. არა, წირვის დარდი იმდენად არ ჰქონდა, რამდენადაც აღონებდა თავისი საფიქრო: სატრფოს შეხვედრას მოელოდა და უნდოდა ამ საშიშ წუთში თანა ჰყოლოდა თავისი ერთგული; ვერა ჰბედავდა ძნელ სავალზე მართო გამოსვლას.

მშიშარი იყო, გაუბედავი?!

არა, რა არის შიში, არ იცოდა მარჯვე ვაეკაცმა. თუნდ სიბნელეში ბიამან ადგილს მანე შეეცეპში, ბოროტ სულთ შორის! წელს ერტყა ბასრი.

რაღას უკრთოდა დღისით-შისით შუაქალაქში?

— მუხლი უთრთოდა ვაეკაცს უშიშარს. ვერა ჰბედავდა მართო გამოსვლას; მხარს დამჭერი უნდოდა გვერდით, სანდო მრჩეველი: სატრფოს ელოდდა, თავის სამძივარს!

და სატრფოს ლოდნა...

საფრთხილო ვანცდა მშვენიერი, მეტად საშიში! იგი...

— რასა ტრიალებთ შუა ქუჩაში ან ვისღა ელით? დროა, წავიდეთ!

— წინ წადი, სოსო! ჩვენც მოგეწევით, ეხლაც წამოვართხმავთ მშვენიერად!

კაბუტთა ხელთ არ იყო წასვლა თუ დაყოვნება: მზის ჩამოვლას მოელოდნენ ივინი, მას უნდა აპყლოდნენ აჩრდილებივით, თანა ჰხლებოდნენ ეკლესიამდის, თითონ ტაძარშიც: სამძივარი ჩამოივლიდა იმ გზით; არ მოსცდებოდა იგი წირვას, ოღონდ ავადობას არ დაეშალნა. მაინც უხერხული იყო ქუჩაში ერთსა და იმავე ადგილას ბრუნვა-ტრიალი: ხალხი მიაქცევდა მათ ყურადღებას და დასძრახავდა. შორს წასვლა და მიფარებაც საფიქრად სჩანდა: შესაძლო იყო, სწორედ მაშინ გამოეელო ქალს და ჩასცდენოდა. დაკარგული იქნებოდა კარგი ვამი ქალის ნახვისა, მთელ კვირაში ერთი დილა მოხერხებული.

— მშვენიერი დღე გათენდა დღეს, უსათუოდ ჩამოივლის მზეთუნახავი.

— არ მოსცდება დღეს იგი წირვას.

— შეიძლება შეუძლებლობს, ტყუილად ველით.

— ღმერთმა დაიხსნას! გუშინ სამსახურიდან რომ ვბრუნდებოდი, თვალი შევასწარ: ფანჯარასთან ჰქსოვდა რალაცას.

— იცის მაცდურმა, როდის მოსდინარ, გიღარიელებს, შორით გიელებს.

— სად არის?! თუ ეგეთი გრძნობა ჰქონდეს გულს, ბედნიერად ჩავითვლებოდი. იცის კარგად. მის ხელთ არის ჩემი სიცოცხლე.

„მე მონად შეეშინილვარ ერთისა მხსისა;

„მე მისთვის გყვდები, იგი“...

ჩაიმღერეს კაბუტებმა დროს დასალევად. ლოდინით შემდგარ გრძელი წუთების ვასაქარებლად.

— ვერ მომწონს, კაცო: თოკი მოვიბავს ყელზე მარყუშად, საბელის წვერი მივიტია ქალისთვის ხელში. ეინიანია მათი ბუნება და ცვალებადი. ვინ იცის, როდის მოჰსურდება უფონოს საკვრელს, თუ გაუქპიროს! ძლიერია ლამაზის ხელი: ლომს სწვდება ყელში, აღარ ასუნთქებს.

— ჭეშმარიტს ამბობ! მესმის ეგ ყველა. გონება ცივი ბევრს მამხილებს, სიმართლეს მამცნობს.

— მერე?

— ძალა აღარ მაქვს შევასრულო ფიქრის ბრძანება, გარკვეულ კვალში ჩავაყენო მე ჩემი თავი.

— შეჰკრიბე ძალა, იპოვე ღონე, მხნედ შეებრძოლე შენსავე თავსა!

— ბრძენიაო სხვა სხვის ბრძოლაში. შეემართო ჩემს თავს და გაეამხნეო ტრფობასთან ომში?! ჩემსაც სიცოცხლეს ვით შეეკადრო ბრძოლა, ურჩობა?!

— არ მესმის ეგ თქმა.

— არ განგიცდია ჯერ სიყვარული, მით ვერ შეიგნებ ჩემსა გულის-თქმას... თუ მოგწეინდა ცდა?

— არ განგიცდია ჯერ მეგობრობა, მისთვის თუ მეტყვი მაგ მძიმე სიტყვას. უწყვეტ ჯაჭვით შეუტყვიხარ იმ მშვენიერსა, მთბრებლს ჩაუგდინარ ამოუსვლელს და მე რომ რამდენიმე წუთი დავკარგო იმ ხნარცვის თავსა, ვანა სამ-

ძიმოდ ჩაითვლება იგი ჩემთვისა?! ვაჰ რომ სხვა გვარ ვერ ძალმძის შეველა შენ-
გნით შებორაკილს!

— როგორ სხვა გვარად?

— მითქვამს, კვლავაც გეტყვი: მოვიტაცოთ ის ჯიუტე! მაშინვე ნახე შე-
ნი კოტე, შენი ძმობილი!



4.

— გამოვიტაცოთ! ადვილად იტყვი სამძიმო სიტყვას...

იყოდა იასემ, მეგობრები მოხერხებით შეასრულებდნენ საქმეს იშვიათს.
სავანეც ჰქონდა გულბული, ფარული ბინა ვერ მისაგნობი: ბოკორმაში
ჰყვანდა დედული და ბევრი დრო არ დასკირდებოდა, უჩინარ ექნა მოტაცე-
ბული, მაგრამ....

— გავიტაცო... არ ეგების ეს! უნდა დავლიო მე იმ ქალთან მთელი სი-
ცოცხლე და დიად საქმეს, ცხოვრებისათვის გათვლილ ქმედობას დაუდვა ბურ-
ჯად ძალმომრეობა?! არ ეგების ეს! და თუ გული არ ექნება ჩემსკენ სამძივარს,
როგორ შეიძლებს სულიწაფობას?! ძალდატანებით ვერ იფურჩქნება ლამაზი
გრძნობა, საესავო მისწრაფება ყვაეილოვანი. ცუდი სათავე მომიწამლავს წმინ-
და ნაკადს სიხარულისა. არა! დავიცდი: იქნებ ღიმილით გარდმოშვებდოს ჩემმა
ყისმათმა, ჩვილად იბრუნოს ჩემსკენ გული ჩემმა ცისკარმა.

— რომ არ გამართლდეს ლოდინი შენი?

— ნუ მეტყვი ბოროტს ეამს სიხარულის! მთლად დავინთქები სულით
ხორცამდის. მწამს, გადმოჰხედავს ჩემს სულს დატანჯულს ქალწულის გული
წყალობის თვლით.

მეგობრის რჩევას რომ არ იღებდა, იმას რომ უარს ეუბნებოდა და გადა-
უშლიდა ამის მიზეზებს, როდი იტყოდა იგი გულახდით: დიდის შიშით ეში-
ნოდა იმას ქალისა, მისთვის ვერ ჰბედდა მის უნებოდ საქმის დაქერას; საიდუმ-
ლო იგი შიში ლესულ ბასრზე მეტად აკრთობდა. იყოდა მკაცრი თვითყვარე-
ბა სატურფალისა: არ დაუთმობდა ძალადობას, თავს მოიკლავდა! ძმადფიცუ-
ლი მაინც გრძნობდა მეგობრის შიშსა, შეძრწუნებას კითხულობდა მის თვა-
ლებშივე; განცვიფრდებოდა თავის გულში ჯერ უწრთობელი:

— ვის გაუგია ვაგაკისაგან ასე კრძალვა ქალის წინაშე?! შეჰყურებს
შორით, სულ იმას ფიქრობს, რა ვაამო, არ ვაწყენინო. მეტის მეტად ჰმონე-
ბია ქალს, ძონძალ ქცეულა იგი მის ზელში. მგვრად ქმნილა კაცი, ქალის პეშე-
ში მოთავსებული!

— სამრახისი როდი არის მიჯნურთან კრთომა, დიდ პატივის მშელაენე-
ბელი ნათელი შიში. დასთმოს შიში მეფეთაგან, მისი ჰქონდეს შიში, კრძალ-
ვა. ხათრი თუ კრძალვა საზომია სიყვარულისა. მოკრძალება საცნაურ ჰყოფს
აღერსის სიღრმეს.

— ჰსჯობს ქალსა ჰქონდეს შიში თავის ქმრისა: თვით შიში შეიქმს სი-
ყვარულსა.

— გარეგნულს, მონურს, არა გულწრფელსა. თვით სიყვარული შეჰქმნის
შიშს ნათელს, ხათრს სათნოიანს, პატივეცმანე დამყარებულსა.

შეგვიანდა. ნელნელა ირუჯება მზექალა. კარგად იცოდა: მის ვაშუქებას მოთმინებით მოუტყდიდა მის მოთაყვანე. მაშ რას იზამდა? სად წუთილოდა მთხრებლს ჩავარდნილი, მის არსებასთან უწყვეტ ჯაჭვით კავშირებული?!

— ეაცო, იასე, აგერ მოდიან!

მსწრაფლ მოტრიალდა მოტრფიალე ქალის გზისაკენ: იმ წუთს აეტდინა თავისი ხედვა სამძივარის სავალისათვის, სხვა სავანზე გადაეტანა დაღლილი თვალი.

სხვა სავანზედა?! თუ არსებობდა მის გზის ვარეშე კიდევ რაიმე ნივთიერი თუ სულიერი?! ხომ იგი იყო იასესათვის მსოფლიოს გული, გვირგვინება მთელის არსისა. მის ვარემო ტრიალებდა ზეცა, ქვე მიწა...

წყვილად იძროდნენ ორნი, ტოლნი, ქვექვე-გოგმანით — სამძივარი, მისი დობილი. წირვის წინ თუ შეუარა მას მეგობარმა. ყვრიმალამდის-ლა წვედებოდა ქალს ამხანაგი, ფარგლით მოხაზულ ბოლ ნიკაპამდის, შუაზე რომ ძლიეს სამჩნევი ღარი ასდევდა, ბოლ-ლალის კვალი.

— დაიხანე ჩანასახი ტურფა ლაბაბის? ეკონე ბაგით, ვაპ ბედნიერო. ჩვილ ნეტარებას! ვადასწი თავი თმათა ტევერით... ფრთხილად, გიყმაყო!

თავი ეხურა, ნაკერ ჩიქილას აფრიალებდა, თმათა სიმრავლე ნაწნავებად ვადაშოლტილი. გამოჰქცეოდა ჩაქსელილ ხლართებს ურჩი ხუჭუქი ბუნჯგალ-ბუნჯგალი, შარაევანდუდად შემოარტყმოდა მკრთალ ვარდისფერ ყელს. ოქრო-ტურვილი გულისპირი ოქროსვე სიმით ჩაბმულ-ხლართული. ბეჭად მდგარ ნეერდსა, ქანდაკებულს, სულდგმულნი ბორცვი ალელგებულნი.

— გვიფონე, ქალო, პირს გადაგებადე: გესურს ვავიხედოთ, ენახოთ სამ-ჯარო, შხის ელვარება; გვინდა ვიხაროთ, სხეც ვავახაროთ ჩვენის სიტურფით.

— რას მეტყვით მაგას, ვაცელქებულნო? თვალი გეცემათ; ბოროტსაც დასთესთ: გულს დაუსერავთ თქვენთა მკერეტელთა; სირცხვი...

— ხომ კარგები ვართ? მშვენიერთ ხილვა სირცხვილი არის?!

— ცხოვრების წყაროთ ხილვა სირცხვილი?!

გულზე ფარლული: ოქროს კაკლები სხვილსხვილ მარჯნებით ვადალი-ლული. დედა მოსდევდა, ჯერ ქარმაგი მანდილოსანი; როდი მოჰშლოდა ძველი მშვენება. კოხტად ეხურა თეთრი ჩადრი, ილიაში ღრმად აეკენა: ძალარა სჩანდა სინჯადისა ქათიბს ვლებული. დედასაც, ამხანაგ ქალსაც თაიგულები ეკირათ ხელში.

— აიღე, ქალო, ეგ თაიგული: ყვავილთა დღესასწაულია დღეს.

სამძივარმა ილო კონა, უსუნა, დადო; არ წამოიღო.

„უნდა მომართვან თაიგული!“ — გაურბინა ფიქრმა ამაყმა.

თავმოყვარეობა შეელახებოდა მშვენიერს, რომ იმ ბედნიერ დღეს ყვაე-ლები არ შეეზღვნათ მისთვის რაინდებს. იწყენდა ამას, ვაიფიქრებდა:

— დაპვიწყებიათ უეშხოებს ეშხიანი ქცევა ლამაზი!

5.

აპყენენ ქაბუჯნი. დაუახლოვდნენ. მოსწედნენ. კისკას მიმოხვრით წარს-დგა მათ წინ ღელვილი ვაჟი და...

— მიბოძეთ ნება, ქალბატონო, შეგძლენათ ყვავილი!

— გმადლობთ, კმაწვილო! რად სწუხდებოდით!

ჭალი ერთ წამს შეყოყმანდა. ჩამოართვა ყვავილთა კონა. ტურფად ყვავილნი, შერჩეულნი, მურახათ მხატველნი. დიდი არ იყო თაიგული: ხელს დაუღლიდა პაწაწინას, შეუმძიმებდა ფუნთუშა მაჯას. დაუმატდა კმაწვილში ლმობიერება, მდაბლად დაუკრა თავი; ჩამოდგა; მიუტოლდა თავის ამხანაგს. სიამაყით გადაავლო თვალი მიდამოს. ანათებდა ცეცხლებრ თვალებს, როგორც მწყაზარი მზერობი კაკაბის. ხუმრობაა თუ! მისგან მიძღვნილი ყვავილთ კონა ებყრობა ხელში წირვებზე, შემდეგ ხანშიაც.

— და შერე შენთვის რა მალამოა?!

— ვერ გაგიგია! ის თაიგული ეტყვის ჩემს სატრფოს საწყალი გულის ხეწნა-მუდარას, ალერსს ჩააწვეთს, ჩემს ოცნებასა; კეთილი არის იგი ყური, ტურფად რკალული.

— ყურია რაღა, ჰაერის ძაბრად შეკმეპუნენილი თხელი კაკნატი. შენ დაპყრ თვალი, რა საყურებით ჰქონან მას ყურნი დამშვენებულნი. ერთ ჭალადა ღირს ის სამკაული.

— მზეჭალის დარად რაღაცა ნივთი?!

— სხვა ჭალის ფასად, თუნდ სამძივარის ამხანაგისა.

— ეგ საყურე გვარში ვადმოდის: ოჯახის უფროსი ჭალი ატარებს გათხივებამდის, მერმე შემდეგი. საბოლოოდ მემკვიდრის ხელში რჩება ეგ ნივთი.

— რაღა?

— ანდერძი დაუტოვებია პირველ პატრონს, ლელვარიანთ ოჯახს ნუ ასცილდებაო. საკვირველი თვისება აქვსო: ქვათა ჯავარი და ელვარება თურმე იცვლება მის პატრონის ნორჩობასთან, სულდგმულივით მიმჭრალდება ხანში შესული, ელვარება გაუხუნდება.

— ეგ ზღაპარია!

— ეს მართალია! რა ეშხიანად ციმციმებს, დახე! აფრქვევს სხივებსა თეთრ-ყირმიზ ყელ-ყურს; შეპფერობს, შესტრფის თავის პატრონს სიცოცხლით სავსეს.

— შენც დაუნთე სანთელი ხატებს, იმავ წმიდანებს; სად იგი ჰკოცნის, იქვე აკოცე.

— მე ვნატობ მავას, ევა მწყურთან!

— და რაღა გიშლის?!

— ნუ თუ ვერა გრძნობ, რომ თვალს მადეენებს. მსწრაფლ მიმიხვდება ძალიან იწყენს: ჩილი გული აქვს. ამაყად მგრძნობი.

— გაეხარდება, რომ დაინახავს მონობის ნიშანს.

— ისეც კარვად გრძნობს, სამარემდის მონა ვარ მისი; სავალი არ მაქვს მე მავის იქით.

— ვერე გგონია ვნებით აღძრულსა!

მოლიძარედ მიდიოდა სახეიმო წირვა-ლოცვა მლოცავით სავსე ეკლესიაში. სმენას ატკობდა იოანეს რკვეული კითხვა, ტბილი ქართული. ლოცულობდა სამძივარი დიდ სასოებით.

— რად გინდა ლოცვა, გენაცვალე, რაში ვკირდება?! ისეც მოგისმენს სახიერი და ადგისრულებს. რა ლმობიერად შემოგმზერენ წმინდანნიც კი ლამაზ

სანახავს. ანგელოზთ უკვირით, რომ მათში არ ხარ ერთი მათგანი. რად გინდა ლოცვა, თვით სალოცავო?!”

— როგორა ჩქარობს დღეს დეკანოზი: წირვა მიწურავს! ქრისტეა! წუთში.

— რას ამბობ, კაცო, წყალი ჩამიდგა დგომით მუხლქმში! შეკრულა წავალ!

— ვერ დაეძვრები მე ადგილიდან! მსურს სულ ვუყურო, არ მოვცილდე მე მისსა მზერას.

და იდგა ქაბუჯი ეკლესიაში ქალის კალთაზე უხილავი ძეწკვით მიბმული. მხოლოდ მაშინ-ღა დაიძროდა ადგილიდან, როცა ქალი ისურვებდა იქიდან წასვლას.

6.

იდგა. უმზერდა. ყველა წამი ცხოვრებიდან ამომლილი ეჩვენებოდა, თუ ვერ ხედავდა თავის სამძივარს, ვანა ეხლა მიილტოდა მის მეზობლად აღმოჩენილ მანათობლისკენ? სიმცროდანვე აღაღებდა მისთან სიახლე: მღერა ბავშური, იმის გვერდზე დროს ვატარებდა. იმთავითვე ქალის ჩაინდი, უფრო შინაყმა იმ აზიზისა.

— ისე შეთვისდნენ ჩვენი ქალ-ვაჟი, რომ შესაძლოა არ ვანცალკევედნენ, ერთადვე წარვლონ გზა ცხოვრებისა.

— ძნელი სათქმელია: გაიზრდებიან, თავთავადი ხასიათი დაერკვევათ. შეხედულობა; ვინ იცის, საით გასწიოს თვითთული ამათგანი მისმა გონებამ თუ გულისთქმამ.

— ეგ მართალია! უწინდელი დრო აღარ არის, როცა აკვანშივე დაპნიშნავდნენ ბაღლებს და ისინი სრულწლოვანნი ასრულებდნენ დედმამის ნებას. თვითნებობამ იჩინა თავი, საკუთარის პიროვნობის თავყვანისცემამ, მისმა აღერსმა და ბატონობამ.

— ხეირს გვიქადის ეგ სავალი ახალ თაობის? ყოფა-ცხოვრების ყველა ნაბიჯი გამოცდილებაზე არის დამყარებული, მსხვერპლით და ტანჯვით მიღწეული, დიდ დაკვირვებით ნააოვენ-დასკენილი. ახლები კი გამოუცდელნი...

— იგი ცხოვრების მონაპოვარნი როდი არიან უძრავ-ყინულნი, აუცილებელ სიმართლის დარნი; შესაძლო არის მათი გარდაქმნა, განვითარება, თუნდ უარყოფა. გეტყვი მაგალითს.

— მითხარ, მაუწყე! განთავისუფლების ხანი დადგა ეხლა, ბატონყმობის ჩაშლის ეამები, გლეხთ აზატობის.

— აქ ეგ სიტყვა რა სათქმელია?!

— შეილთ მორჩილებაც იქნებ იყოს მონობის სახე, ჩვენი სურვილი, რომ გემორჩილებდნენ ბოლომდისინა.

— გაუშვათ ბაღნი თავის სურვილზე და ვნახავთ, რა ავს შეეყრებიან იგი უვიცნი, გამოუწვრთნენი.

— მანამ არიან სულ პატარები და თავისით ყოფნა არ შეუძლიანთ. მერმე...

დასრულდა წირვა. ჯვარისაკენ დაიძრა ხალხი. წარსდგა, ემთხვრა სამძივრის მამაც.

— დღეს ჩვენთანა ბრძანდებით სადილად, მამაო დეკანოზო! იოანე დიაკვანი წიგნებს ჰკეცავდა; თვალი მაინც მღვდლისაკენ ეჭირა: იცოდა, რომ ლელეარიათ შეჰფეროდა დღევანდელ დღეს მოძღვრის მიწვევა; ეჭვი ჰქონდა, იქნება მე არ დამპატიონო: ზოგ განდიდებულ ოჯახებში არ ნებულობდნენ დიაკვნის წვევას.

— შენც გვეწვიე, დიაკვანო! შენი კითხვა, ქართული სიტყვის ტყბილად გამოთქმა ნელსაცხებლად ეცხობა ჩემს ყურთასმენას.

გაიარა იასესაკენ, მოიკითხა, შესდგა ერთს წამს: ქაბუკისაც ჰსურდა მიწვევა. ვედარ გაბედა: არ ანიშნა ქალმა თანხმობა. ვერვინ შენიშნა კაცის ყოყმანი, იასემ კი მკაფიოდ იგრძნო, ცხადად გაიგო. დალონდა ძლიერ, ჩაუბნელდა მას დღე კაშკაში, ლამაზ მზიანი. ქალმა შენიშნა განწონილი მის გულს ისარი და ანუგეშა: გაუღიმა შორით შორეულს, ყვავილთ აფარა ელვა ღიმილი, მიზღვნილ თაიგულს.

წავიდა ქალი. მოსწყდა ჩვენებას იასეს თვალი. არ მოპშორდა მას თვალთაგან სატრფოს ხატება. მოსცილდა სახე ნივთიერი მის მხედველობას ხორციელსავე; გონების თვალ წინ ისევ ედგა მას მისი სატრფო. უმზერს ვაჟი მისთვის ხატად გარდაქმნილ არსსა, სხვისთვის მჭევრმეტყველს, მისთვის უტყვესა, უმთლანებელს, საიდუმლოსა; არც პირმოლუშულს და არც უკმეხსა, თითქო უძრავად ვარინდებულს, ამოუხსნელ ამოცანად მოვლინებულსა; მაინც კი სანდომს, სანეტაროს, მზიბლაგ-მიმზიდველს. უცდიდა ვაჟი ერთს წელს, მეორეს, ელოდა მარად.

— გამოგიცდია საყვარლის ცდა, სატრფოს ლოდინი? არა?! ბედნიერო... იზრდება წუთი საათებად, ეამი დღე-ღამედ, მთლიან კვირად, მრავალ წელიწადად...

არ იცის ეამმა სვლა თანაბარი: ზოგჯერ რომ მიჰჭრის გრივალევით, მიესწრაფება, ზოგჯერ ძლივს იძვრის ლოფორთქინა ლორწიანი. დიდხანს ელოდდა თვის ბედისწერას, საღ წავიდოდა უფსკრულ მთხრებში მისგან დაბნეილი?!

— ვერც სად, ვერც როდის, თუ რამ სხვა ხსნას არ მოუვლენს ბედი უბედო!

— განა სხვა შესძლებს იმ უფსკრულში დაბმულის ახსნას. რკინის რამ სვეტზე ჯინჯილებით მიჭედილისას?!

— იქნება შესძლოს. ვაჰ თუ ვერ შესძლოს!

7.

— ლამის მეოთხე წელიწადი ვაჰყვეს წარსულსა, ვაჟი კი უცდის... ნეტავ რას ელის? თავმოყვარეობა არ მეტყველობს მძლავრად, უტეხად. მიკვირს ძალიან. არ შეიძლება ქალს ემონოს ნაჭარბევად, ესე უზომოდ!

— შესაძლო არის, თუ შეჰხვდები შენს ოცნებას ნივითა არეში: მხოლოდ ფიქრთა სამფლობელოს არ ეკუთვნის ნატვრა, ოცნება. შეჰხვდები შენ

ცხოვრებაში წარმოდგენილ ქმნილებას ლამაზს და ველარ არჩევ აზრთა სამეფოში ქანდაკებულ ალაღმას ტურფას და არსს ხორციელს, ლამაზ არსებას. იგია, იგი ხორცშესხმული ჩემი ოცნება!

— რას ამბობ, როგორ?!

— როგორც ვერ არჩევ სიზმარს მკაფიოს მოვლენისგან ნიუთონისა. სიცხე ნაჭარბი ვერ ასხვავებს აზრთა სარკეში აჩენილ სახეს ხორცშემოსილის ნამდვილისაგან. აქაც აგრეთა.

— მაშ სიყვარული თავს ევლებს თვით ოცნებას ვანსახებულსა?

— უცვლელ-უნივეთო არსთა ბქემდის მისულ სახესაც სინამდვილისა. ოცნებას ეძებ სინამდვილეში. სინამდვილე შეიქმს ოცნებას. მაშინ...

— მაშინ მოხიბლული ველარ მოსწყვეტს თვალს ხორცშესხმულს ოცნებას, თვისსა ნანატრს.

აკი რომ ველარ მოსწყვეტა იასემ თვალი თვის საოცნებოს, თვის სანატრელს. ნელნელა აღმოჩნდა მის ცის ტატნობზე ეს მისი ნატვრა. ბალობიდან მოსდევდა ეს ახლო შეზობელს. იასე რომ იმთავითვე ესწრაფოდა სამიძივართან მჭიდრო ერთობას, უფროსებს არა ჰქონდათ დიდი ერთობა ან მისვლამოსვლა. იშვიათად შეივლიდნენ ერთმანეთთან, ჭირში თუ ღზინში. ლელვარანი უფრო მდიდრები იყვნენ და საჩინარი. დიდებული სახლი-სასახლე ბაღაბალით დამშვენებული. დიდი ზინეთი მამაპაპური. სოფლად მამული, საზაფხულოდ კარგი სავანე, ზამთრისათვის ნუზლა-სარჩოს უხვად მომკემი. ამაყობა მოსდგამდათ იმათ, უკადრისობა. თითქოს მალლიდან დაჰყურებდნენ ჭრას, უბანსა.

— გაიხედე, დედი! ურემი მოუვიდათ ლელვარიანთ დაჩარდახელი.

— მეც უხედავ, შვილო! სოფლად წავლენ საგრილობლად ევ ბედნიერნი.

— დიდხანს დარჩებიან იქ, შემოდგომამდის, — დასძინდა ბაღლი დალონებული.

— სუფთა ჰაერზე დაპლევენ ზაფხულს ლამაზ ბუნების უბე-კალთაში, — იტყოდა დედა.

და შური გაურბენდა თვალებში.

— რა გული გავიტეხია, დედაკაცო! ცხელა ქალაქში ზაფხულობით, მაგრამ ჩვენ შეჩვეულნი ვართ და არ დავდენებით არც წლეულს. თუ ეგენი ეხლა არიან მდიდრები და ამაყობენ, მომავალი უფრო ჩვენია, უკეთესი დარი დაგვიდგება, საბედნიერო.

— მომავალი? კოდელს ნინოს აკითხვინე, თუ...

— რა ნკითხავი გინდა და მარჩიელი: იმათ ერთად-ერთი. ბიჭი ჰყავთ, სხვა სულ ჭალები; ჩვენი სახლი ვაყებით არის სავსე: მათგან გავლენ და გიტანენ, ჩვენთან შემოვლენ, შემოიტანენ.

— მხოლოდ შემდეგში! ესლა გვეჯობიან, სავსე სუფრაზე უფრო თავს სხედან.

— რითი გვეჯობიან? მავათ თუ თავიანთ პური აქვსთ, არც ჩვენ გვაქლია ღვთის მოწყალება: მანათნახევრად კოდი თავეთუხი, მზამზარეულად კარს მოტანილი. საკუთარი მარანი აქვთო. არც ჩვენ ვნატრობთ ღვინოს თუ ხილსა: თუნგი აბაზად ღვინო რჩეული ქაშნიკის ნახვით, ხილი სხვადასხვა სულ ბეჯაფულად. არც შრომა, დარდი თუ რამე ზრუნვა. სამი კობიტის რძე თუ მა-

წონი მთელ რჯახს ჰყოფნის. რომელი გინდა სოფლის ნაშრომი, რომ ჩვენ ქალაქ...


— ვიცი და ვხედავ: მაინც ხომ უნდა ნაღდი ყოველდღე.

— ფულშიც ვაჯობებთ: ჩვენი იასე სამსახურშია, წარჩინებულ მოხელის. რატომო?! კეთილშობილი სასწავლებელი მთლად ვაათბავს, აკვებს. ახლა სხვა ბიჭები წამოგვეს...

— ეჰ, ქალაქელი ხარ და ვერ ვაიგებ, რა სიამოვნებასა გრძნობს კაცი სოფლად ბაღჩა-ბაღებში, ჰირნახულით საესე მინდვრებში, ველსა თუ ტყეში.

— აქ კი ცოტა არის სასეირნო ბაღები და გასართობი ადგილები! შნო ჰქონდეს ადამიანს, თორემ ქალაქში უკეთესად შეიძლება დროს გატარება. ტყუილად კი არ ეტანება მიღეთის ხალხი ამ ჩვენ ტფილისსა.

— ენაზე ქალი არ მოგედება: სიტყვის გულა ხარ ცალიერი...

კოლს კიდევ უნდოდა განეგრძო ლაპარაკი, პირზე მოადგა მწარე სიტყვები, ვაეკაცის გულის დასაბუგი გესლიანი თქმა, მაგრამ აღარ სთქვა. სურდა მიემცნო კაცისათვის, რომ ფონს ვერ ვავეილოდა სხვის იმედებით, თუნდაც შეილისა, მეტი მხნეობა უნდა გამოეჩინა და ადვილად წაუტწრობდა ლელვარიანთ ქალაქში, სოფელშიც, მაგრამ დადუმდა.

ვერ იყო ამ მხრივ კმაყოფილი ქალი თავის ქმრის: ბრგე ვაეკაცი, მოხდენილი თუ ყავლიანი, არ იყო საქმის მოყვარული, მშრომელ-გამრჯელი. აღარ-რა უთხრა: იმთავითვე გულსავე იყო თვის ვაეკაცისაგან და დაენანა; ტყუილად კი არ გამოჰყვა ქმარს თავის ნებით, ოჯახის უფროსთ დაუკითხავად.

8.

მიიხრება მზე სამხრეთისაკენ, იწყებს ქვეყანა შეღონებას; ნისლი ეხვევა მკერდზე ბურუსად; ეფინება სევდის რიდე ჩამუჭებული. შორდება მნათი და მატულობს ჯანლი მისი მწუხარებისა, გულს ეფინება ცივ ცვარებად გარდაქმნილი, გაყინულ ნამად. ბორკვენ მიწას ყინვის საცვრელნი, არინდებენ, გააქვავებენ, მკვდარს ამსგავსებენ სითბო ჩაშრეტილს. ქარბუქად ისმის შემზარავი გმინვა მიწისა; სადღა არის ეშხიანი მისი ნანა ტკბილი, ნაზი, მისი მღერა მოცეკვავე ფოთოლთ შრიალში?! თეთრი ცრემლები!

გადახრილიყო ჰაბუქისაგან იგი მზექალა, შორდებოდა გრძნობა ნაქარბს, მისწრაფოდა; ჩამქრალიყო ვაეის გულში ნათელის ბრწყინვა მხიარულისა. ეშხადებოდნენ ლელვარიანნი, დასდგომოდნენ სოფლად წასვლის გზას. ხშირდებოდა კაეშნის ჯანლი ტრფობით გამსჭვალულ ვაეკაცის სულში. ჩაბარგეს, აავსეს ეტლი; შენივთდა ნისლი, გარდაიქმნა უჩინ ნამებად. ჩასხდნენ სხვა ეტლში, გაჰქროლეს, იქნენ უჩინარ; ცვარად შანივთდნენ იგი ნამნი, თვალთა ცვარებად. გაცივდა მისთვის სახლი მეზობლის, მთლად დაიკალა. შეიყინნენ ცრემლის ცვარნი, თრთვილად გარდიქმნენ, გულის ყვავილთ მომაშობელ თვალის ფიფქად. თეთრი ცრემლები!

გრძნობდა ამ ცრემლებს სევდით პყრობილი. ხედავდა და... თავს არიდებდა თავისიანებს: აუვი იყო ვაეკაცისათვის თვალთა ნამვა, ბოლმის დაჩენა.

— რა დაემართა იმ კაცს? სახლში აღარ შეშოდის, ოჯახში გული აღარ უღდება; მხოლოდ ლამაზე გვერევენება დაღონებული.

— არც სადილად მოვიდა ვუშინ. ლამე გატეხილი იყო, რომ მოაღწია. ნასყამსა ჰკვანდა.

— არ მომწონს მე მისი ქცევა! ვეტყვი, შევრისხავ. ვერ მოუყვარს თავის ოჯახს გაქსუებული.

— მისი დაღონება და განზე გასვლა გადაბმულია სამძივარის შინ არ უოფნაზე... ჯინჯილით არის გადაქდობილი.

— მეც შემინიშნავს. თუ ქალი შინ არის, ვაეცი შინა ზის, ვით პატარ-ძალი; დიდ ერთგულებასაც იჩენს საოჯახო საქმეებისას; მაგის სავალი მაშინ მხოლოდ სამსახურია.

— ისეც გული მას უბყრია ხელთ: ის რომ შორს არის, ესეც შორს არის ჩვენის კერიდან.

— ძნელი არის სიყვარული, ჩემო ლამაზო! მე თუ ესე ძალიან არ მიყვარდე, შინ რა შემომიყვანდა?! მზად არის სადილი? ავერ დაცალეს ზარბაზანი საშუაღლეო.

— ჩემი მომზადებული სადილ-ვახშამი უფრო გიზიდავს, როგორც მე ვსედავ.

— ნუ გამაგონებ! გინდა ეხლავ დაგიმტკიცო, როგორ მომწონხარ ახალ-გაზღურად.

შინ არა დგებოდა ისე. სად წავიდოდა, საით გაექცეოდა საკუთარს თავსა? სად იპოვიდა ის ზამთარში სითბო-სინათლეს ზაფხულისებურს? ზამთარი იგი მის სულში იყო, მის საწყალს გულში, თორემ ვინა სთქვა ყინეა გინდ სიბნელე ახალ ზაფხულში?!

ბალღობაშიც ესე იცოდა: რახან შინ არ დაიგულებდა მეზობლის ქალსა, გულს აპყრიდა სახლსაც, საქმესაც. აპყვებოდა ქუჩის ბიჭებს და ერიპა! ფეხ-ქვეშ ედვა სალაყბო, ანჩატის ქუჩა, ვანჭის უბანი. ყოჩალი იყო ბალღურ თამაშში. ბინდისას-ლა შემოიქცეოდა სახლში დაქანცულ-გალექებული. აუჩივლდებოდნენ მაშინ მწრთენელნი თუ მეზობელნი დაუღეგარსა. უეცრად გამოიცვლებოდა, რაკი სახლში იგულებდა ამხანავ ქალს. იქვე უჩნდებოდა მას მაშინ საქმე: თვალ-წარბში შეპყურებდა თავის მბრძანებელს, რომ სიხარულით აესრულებინა მისი სურვილი. ეხლა ის დამჯერო იყო სამძივარისა, მის ტოლსწორისაც, რომლებიც თავს იყრიდნენ ლელვარინათ ფართო ეზოში. ზურგს შეაქცევდა ამ დროს იგი თავის სწორ ბიჭებს. ქალაქუნას უწოდებდნენ ეხლა ისეც, თუ გამოცდილი არ ჰქონდათ მისი მუშტის ძალა, ყველა ვაჟურ გასართობში მისი უნარი.

თვისნება ბიჭი, თვის ქეიფზე თუ სურვილზე მოსიარულე უძღლური იყო იმ მეზობლის ქალის წინაშე. ვერ იტყოდი ვაჟური მიღტოლვა ბზარავსო მის ნებისყოფას: ხორციელი მისწრაფება არ იყო ჯერ მკვეთრად სახელი, თვის ძლიერებით ქურვილ-მოსილი, თვის ბუნებრივი ძალით ძლიერით. აღლო თუ რამ ამოქმედებდა ვაჟს ამგვარად, მისწრაფება მშვენებისადმი, რის მსახველიც იყო პატარა.

— რიდი აქვს ჩვენი და დიდი ხატრი, ძლიერ ვუყვარვართ, მაგრამ საკვირველად ემონება ბაჭი სამძივარს.

- ერთი ვინმე სხვისა შვილი მთელ ქვეყანას მირჩევნია...
- ჯერ ადრე არის შავისი თქმა.
- არა უშავს რა! წინწაგდებული საკეთები ადრეულისგან.



9.

ქართული
ენათმეცნიერება

ადრე იყო იასესთვის ლექსის სიტყვები თუ მისი აზრი: პატარა იყო იმ განცდისათვის; ქალიც პაწაწა. იმ ხნისა იყვნენ, როდესაც ქალ-ვაფი არც თუ ისე ირჩევა ერთმანეთისაგან. როდესაც ისინი ეთვისებიან ერთმანეთს, როგორც ტოლ-სწორი. ორივეს უხაროდა ერთმანეთის ნახვა, უღიმოდათ ხილვა, შებგედოდა. მაინც ქალის გრძნობა არ იყო ისეთივე უანგარო, როგორც ვაჟისა: ამას უხაროდა ყვეფილი სულდგმული, მშვენება იგი მოლიმარე; გულს უსხნიდა მას და შეტუნებულ სურვილს ჰბადებდა, დაჰხმარებოდა კეთილ ბუნებას ლამაზ ყდავილის გასახარებლად, თავისი ძალაც შეეწირნა თუნდაც მცირედი. ამას ესწოდ; პაწაწა ქალს, ვაჟის ესეთი განწყობილება, ალღოთი მიმხედარიყო ის. ისიც იცოდა, რომ თანაგრძნობა იყო წრფელი, ხანირი, ამტან-გამტანი, და სარგებლობდა თავის ვაულენით: ამყობდა, მბრძანებლობდა, ენის ბჭემდის მიიტანდა თავის სურვილებს. შეეთვისა ბრძანებას თუ განკარგულებას; გაუკვირდებოდა, თუ ოდესმე ხელთ არ ჰყოლოდა შინაყმა თავისი სურვილების ასასრულებლად. მაინც ბიჭი ჯერ არ იყო მთლად მოღვედილი თუ მოქნილი პაწაწას ხელში: იწყებდა მისგან, ყოყმანობდა მის ბრძანებაზე. უებარი წამალი ჰქონდა ქალს გაჯიქებულის მოსარბილებლად: ვაულიმებდა ნუშის გულთვით მოვრბოთ თვალებით, მარწყვის ბავითა, ნაკალმი სახით, მთელის თვისის ლამაზი არსებით და გადუმტვრევდა მას ნებისყოფას.

სიმტროდგანვე ეტყობოდა ქალს მბრძანებლობის კილო. ქალბატონად თუ ვაჟიანა განგებას იგი. რაც იზრდებოდა, უფრო და უფრო სატრფიალო ხდებოდა ბალლი, კარგის თვალთ დასანახი, მოსაალერსი. არავინ არ გაივლიდა ლელეარიანთა, მისი დაყვავება სასიამოდ არ დარჩებოდა, მისი ამება თავის საამებლად: სიმშვენიერე მომზიბვლეღია თვით გულღრმოსათვის.

- ვისია, ქა, ეს კარგი ბალლი?! — იტყოდა ხშირად უცხო გამვლელიც და ხელს მოუსვამდა ფუნთუშა ლოყას, ჩახუჭუჭებულ უბშირეს თმაზე.
- რა მშვენიერი ყმაწვილი ჰყავთ ამ ლელეარიანთ! ნაჩუბები ვართ, უმძრახათ ესდგევართ, მაინც ვერ გავსძელ: ერთი ჩაგკოცნე, ეინი მოვიკალ.
- კეთილი ზრახვა კარგის გულისა! ბალლი ანგელოსია და უფროსების ზაგთი, ბოროტი არ უნდა ეხებოდეს პატარას, იმაზე არ უნდა გადადიოდეს დედრონთა მტრობა.

თვალი იცოდა პატარამ. საღსალამათს გაიყვანდნენ სასეირნოდ, დაავადებულს შემოიყვანდნენ, ბევრჯერ სიციხიანს.

- ბალლი ავად არის, დედი, ალბათ გაცივდა.
- ესე ანაზღად რამ გაბადა ბავში შეუძლოდ?! მომგვარეთ აქ უფლისწული, ეგ ნაზმაზუნა!
- ჩამოართმევდა, აკოცებდა, ლოყას დაადებდა: სიციხეს უზომავდა.
- არა, შეილო, ავად კი არა, თვალი სცემია.
- სულ იმას ჩაგჩიინებ, გოგო, ყველას ნუ მიუყვან ბალღს, უცხოს, ვაჭრიღღს! ვინცა არა მგონია ჰკოცნის ჩვილსა, ვალერსება.

— მოსვენებას არ მიძლევენ, ქალბატონო; ყველა თავს ევლტარა სწყინთ მოვარო, არ დაეანებო.

— მომიტანეთ აქ ნახშირი, დანა შევტარა! მთავრად შეულოცავდა. თვალნაკრავი აღმოჩნდებოდა მისი სწიქისაგან ავად ხიბლული: მთქნარებით ჰლლიდა შემლოცველ მოხუცს.

ის შეიქნა საფიქრებელი, რომ პირში ქებამ, მის სილამაზით ყველა კაცის ალტაცებამ ძალიან ადრე მიახედა ბაღლი თავის თავზე. ჯერ არც კი უნდა სკოდნოდა, რა იყო სილამაზე, ან რის მაქნისი, როდესაც იმას რჩეულად მიანდა თავის თავი, ასულდგმულეზული სხივის ნატეხად. ადრე დაიწყო კვლულობა, შეეთვისა სარკესავარცხელს. როდესაც მიაბარეს იგი აღსაზრდელად განთქმულ მწიგნობარს და მასწავლებელს, იქაც დაჰხედა აღერსი და ალტაცება. თითონ დაბრძნობილი ოსტატი ელისაბედ მეტს ყურადღებას აქცევდა ლამაზ მოწაფეს: ბევრს უთმენდა მას, ეშველებოდა.

— რა ვქმნა, გენაცვათ, თვალი სკვამს საქმელს: ბაღლის სახეზე ვასვენებ თვალებს, წიგნებში თუ რვეულებში ჩაწყობებულ თვალს.

შესამჩნევი იყო, რომ ამხანაგებს არა სწყინდათ ოსტატის მიკროძელობა, ბუნებრივადაც მიანდათ იგი: თითონაც ძალიან უაღერსებდნენ ტოლს, განახებული ჰყავდათ იგი. იყო ერთი-ორი მოლამაზო მისი მოქიშვე, მაგრამ იმათ ყურადღებას არავენ აქცევდა.

ჯერ ისევ პატარა ეთქმოდა ქალს, როცა მასთან ურიდებლად ლაპარაკობდნენ, როგორ მრავალი მთხოვნელი ეყოლებოდათ ლელვარიანთ, როცა სამძივარი ქალბაში ჩავარდებოდა.

— ჯერ რა არის! წამოიზრდება, ორივე ხელით დაიბანს პირსა და მაშინ ნახეთ, დაგეხვევიან მაგის მთხოვნელი; საუკეთესო რაინდები ავიტლახებენ კარმიდამოს, აირჩიეთ, რომელიც გენბავთ!

— ქალის ყოლა ხომ სამძიმოა ოჯახისთვის: ცოდვის შეიღია იგი და დედამა ცდილობს თავის სიცოცხლეშივე დააბინაოს, საფლავში არ ჩაიტანოს იმისი დარდი. თქვენი სახლისთვის კი ეს ქალი ვეის დარია: საუკეთესო ჭაბუკს მოგვეკრით ახალ შეიღად.

მართალს ამბობდა: ძნელი იყო ოჯახისთვის ქალთა სიმრავლე. შეუძლებელი იყო მაშინ ქალს თავისით ეცხოვრნა; ძნელი იყო სათქმელი რომ განათლება მიეცათ მისთვის: ცოტა იყო ქალთათვის მოწყობილ სასწავლებელი; ერთობ ძნელდებოდა იქ ქალის აღზრდა: მეტად მდიდრებს, დიდკაცებს უწევდებოდათ იქამდის ხელი. განათლებითაც საქმე წალმა არ ბრუნდებოდა: ქართულ კერისთვის აღარ ვარგოდა სხვა ნიადაგზე აღზრდილ-გაწერათნილი, მოძულეთაგან გარდაქმნილი, გარდაბირული. ცხოვრებისთვისაც ვერ იყენებდნენ აღზრდილნი სწავლას. არა ჰქონდათ მათ უფლება მინიჭებული. უკარნახებდა მათთანაც შკაცრი ცხოვრება:

— ეძიე, ჰპოვე ვაჟკაცი შენი, ფათალოსავით აეხვიე მას: მისი ძლიერებით იარსებებ წუთისოფელში.

ამისთვის მიანდათ ძნელ ტვირთად ოჯახში ქალი და რაკი წამოიზრდებოდა, მაშინვე იწყებდნენ მის იღბალზე სჯას, საუბარსა.

ასკდენოდით ლელვარიანთ ასეთი დარდი, არ ნაღვლობდნენ სამძივარის ვახოვებაზე, არ ეშინოდით, რომ მათი ქალი მსწრაფლ ფრუფრუდდებოდა რასავეთ; მოხედვას ვერ მოასწრობდნენ, რომ სასძლოდ წყნარდებოდათ თავს წაადგებოდათ იგი.

— ამას მალე დაეაბინავეთ; გაადვილდება სხვა ქალების დაბინავებაც; ახალი სიძე, ახალი კერა, ჩვენი სისხლ-ხორცი, დაგვეზარება ამ საზარუნველში: მეტბოძონი რომ მეტნი ვიქნებით, უფრო ადვილად გავიმარჯვებთ სიძნელეზე, — იტყოდნენ ლალად.

წრფელად უბნობდნენ ამას, ამგვარებს: მინიჭებოდა მათ ქალს მშვენიება, თილისმა ყველას მიმზიდველი, დამმონებელი. თითონ ქალიც ესე ფიქრობდა: იმდენი უცხრეს, ლამაზი ხარო, რომ დაარწმუნეს ამაში იგიც; მზიარულად მოვლოდდა ყისმათს სანატრელს.

— მოვა, მოდის! მოილტვის მისთვის საოცნებო იგი იღბალი, თეთრს რაშზე მჯდომი რაინდი მშვენი. თან მოჰყვებიან იმ თვალთ წარმტაცს მზღებლად ჰაბუკნი, მშვენიერი ტალღარნი პირდაპირადი! საჭურველი ოქრო-ვერცხლში მბჭყყინავე-ბზინავე! ფარჩის შრიალი... მოვა მძლავრი მოკრთალებით პირმანგის წინა; შეევედრება, ბედნიერჰყოს იგი ტრფიალი, მოინებოს მისი მეუღლობა, ცხოვრებაში თანამგზავრობა, მასთან ცხოვრება საოცნებო, საზღაპრო ყოფა. მდიდართ შვილია დიდებულნი. უამრავი მამული სოფლად, ქალაქში; უნათა სიმრავლე. ოქრო თუ მოსწვიმს მის უბე ხელიდან.

— სასახლეშიც კარგად არის მიღებული იგი ჰაბუკნი: დიდი მმართველი პირადად იცნობს მას, დიდის იმედით შეჰყურებს მის სამხედრო ნიჭს. ჯერ ისევ მთლად ახალგაზრდას უბოძა ჯვარი; სხვა წყალობაც ბევრი აღუთქვა. დიდი ჯამეირი... სულ არ უნდა სასყიდელი სიმდიდრით სახესეს.

და გრძობდა ქალწული რაინდს მომავალს, მოახლოებულს. კიდევ ზედავდა გონების თვალთ მურაზით სახესეს; ხმაც კი ესმოდა რიხიანი, მზვის მზრძანებელი, ქალბაშისათვის რბილებული, ალერსიანი.

— ფრთხილად კი, კარგო! შურით გიმზერენ ნამსახურნი, გამოცდილნი; არ შეგამთხვიონ რამ ბოროტი ბნელის შვილებმა.

— ნუ გეფიქრება! მძლავრი სული განაქარებებს ვერაგობას, შურით ნაქსოვს; ჩემმა ხმალმა მსწრაფლ განკვეთოს ბნელის ზღარბები.

სწამდა ტურფას თვის ოცნება, ხორცშესხმულად თუ ჰხედავდა თავის ნატვრებსა. და მითომ რატომ? თუ იგი ჰაბუკნი განთქმული იყო საქართველოში სიალუქით, თავისის ქველობით; არც სამძივარის სახე იყო ან სახელი მიჩრდილებული. ყველა იცნობდა, ყველას სენოდა მოსალანდი მისი ხატება.

— სასახლეშიაც ხშირად ვიქნები. დამჭირდება ჩაცმა-დაბურვა ახალნაირი, მიხვრა-მოხვრა, ქცევა-ყოფა, მათებური ცეკვა-თამაში, მათი ქვეყნის სიტყვაც უბრკოლველი. მე კი...

და უბრძანებდა ენიანი თავის მოჩილ ოჯახს, ემოვნათ მწრთენელი, რომ ესწავლა უნაკლულად ყველა ახალი. უსრულებდნენ ენიან სურვილს: ღონე შესწევდათ, თითონაც გულში იმას ფიქრობდნენ, რომ მათ შვილს ყოველივე დასჭირდებოდა. შეამზადეს, ასწავლეს, გაწვრთნეს; ბედს მოღიპარეს რომ ელოდ-

დენ, სწრაფად მომავალს ლამაზ შერმისსა, საოჯახო საქმისათვის აღარ გასარჯეს. ვასართობი საქმე მსუბუქი, სალამაზო კერვა-ქსოვა საჩვენებელი. ასე იზრდებოდა ის ქალთაშუა მამის ოჯახში, მდიდარ კერაზე, მაინც არც ისე დოვლათიანზე, რომ დაეფარა შემთხვევითი რყევა შემდეგში, ~~საქმისა~~ აწმყოში, სახიფათო ზრდა სათუთი და დამყოფება. უქმად ტარდება დღით თვეთა. სხვის იმედზე დაყრდნობილი ცხოვრების დენა, სწრაფლ მომავალ ხეალის იმედზე.

არც თუ ისე ისწრაფიდა იგი რაინდი. განავლეს წელთა, ორაზროვნად მოლიმარეთა. ცის ტატნობზე არ მოსჩანდა მოვლვარე იგი ჭაბუკი; მისი სწრაფის ხმაც არ ისმოდა, მისი რაშის ჩქამი. უკვირდა ეს ამაყ ქალწულს, კიდევ სწყრებოდა. ქალის დედამამასაც შივადამივ აფიჭრებდა ეს საოცრება. მაინც ჯერ არ იყო დაჟინებით თუ დაღონებით ამაზე ფიჭრის დრო: ახალნორჩი მათი ქალი ჯერეთ ისევ იფურჩქნებოდა, არ ვსებულიყო სრული მშვენებით იგი პირმანგი, მჯადოებელი ბრწყინვალეებით საესე მთვარისა.

11.

მიქროდა ეამი უყოვნები, მიისწრაფოდა; არ ბრუნდებოდა; არც გარს უხვევდა. იღვა იასე ერთსავე ადგილს ფეხმოუცვლელი და თუ იძროდა, გარს უვლიდა თვის ძველ ნაცნობ ახალ მნათობსა. წრეს თუ ავლებდა ახლო მანძილზე. შუკის სივრცეზე, ქუჩის სივრცეზე და ლოცულობდა წრფელის გულით, აღტაცებით ლოცულობდა იგი მოსავი, თაყვანსა სცემდა ახალ ქალწულსა, თავის სამძივარს ევედრებოდა.

— რა კარგი რამ ხარ, დალოცვილო, რა ეშხიანი! თვით მშვენება ხარ მოლიმარე, თითონ ღიმილი დამშვენებული!

და დაჟინებით თავს უვლიდა იგი ტრფიალით იმ არემარეს, არ შორდებოდა. არც ვაპრიდებდა! საით უნდა მიზრილიყო. სად წასულიყო? მისი საძებარი იქ სუფევდა, მარად სანატრი, იქა ბრწყინავდა მანათობლად მის სანუგეშო.

— ეს მანძილიც შემოკლდება, ჩენი გამყოფი; შემციორდება, ვანილევა. მთლად ვანქრება; დამიდგება დრო სანატრი, წუთი ლაყვარდი და მაშინ...

ეპა იასე ეკლესიაში ყელმოღერებით ქალწულის გვერდზე: ასტოლებია თავისსა სატრფოს პირმზიარული. ანთებული კელაპტრები, ბაბთით კაზმული. აგერ შეეხო ფარჩის ყოში კაბის სახელოს; ხელიც კი მოჰხვდა ქალწულის ნაზ ხელს. როგორ ციავობს სანთლის შუქი ნათელ სახეზე! რა ძლიერა ჰსურს ახლოს სახე დაბასმულ ლეჩაქს, მისსა არშიას! მიხარა თავი ქალისაკენ; ვერ მისწვდა, ვერა; ეპ. ვერ შეეხო. ფიანდაზად არ შესდგა ფეხი განზრახ პირველმა, თუმცა ეს იყო უფლება მისი, მომავალი კერის უფროსის.

— შენ იღვდოფლე ჩენს ოჯახში, შენ იმბრძანებლე სულ ბოლომდის, ჩემის სიცოცხლის აღსასრულამდის. მე შენ გემონო ტკბილ მორჩილებით!

რამდენი ხალხი! მთლად აესებულა დიდი ტაძარი. შეკუყრებენ ჩემს ახალ სულსა, ვერ გამამძარან იმის მზერითა. შემომნატრიან ბედისაგან რჩეულსა და...

— კაცო იასე! რამ გავაქვევა ამ ერთს ადგილს და აღარ იძვრი? ნუ თუ მოგზიბლა ჯადოსანმა, აგართვა ძალა?!

გამორეკვა ვატი ოცნებას. ქუჩაში მღვარყო, სატრფოს საეანის მახლობ-
ლად, ბრძოლის კოშკის წინ. მოტყუვდა იგი მეოცნებე. ამოიოხრა, გაქცევა ამა-
ნაგს. შეუგებლად, უფიქრებლად მისდევდა სხვასა. რად მივიდოდა, ვის სანა-
ხავად, რის საპოვნელად?! ერთად-ერთი თვის საქებარი იქვე მყვანდა! მმ მშვე-
ნიერ არეშარეში...

სამძივარიც როდი იყო მთლად უგრძნობელი, არც რომ მანვე მისწრაფე-
ბით, ბორბტ სურვილით შეპყრობილი თვის სიყმაწვილის მეგობრისადმი. კარ-
ვად ჰხედავდა მისსა ვედრებას, უსიტყვო ლოცვას მისდა აღმართულს. ვაული-
მებდა შიგადაშიგ ფანჯრიდან, ან კარიდან, აივნიდან. ეშხიანად გაჰხედავდა
თვისგან მოხიბლულს. გონების თვალითაც ხშირად უმზერდა ქალი იასეს, ფიქ-
რობდა მასზე. მაინც ცდილობდა არ შეემჩნია მოტრფიალეს ეს მისი გრძნობა.
ცდილობდა დაეფარნა ის მცირედი თანაგრძნობაც, რომელიც აღვიებულიყო
მის გულში. ნასახიც კი იმ ლბილი გრძნობის.

გულქვაობით არ მოსდიოდა ეს სამძივარსა, არც თუ იმისთვის, რომ ბო-
როტად ეტანჯნა ვატი. ქალს თავისი თავი მეტად უყვარდა, უფრო მეტად, სი-
ნამ ქაბუკი; მისი გული თბილი იყო იასესათვის, არ ცხელდებოდა, არ დუღდა.
არ ქაფქაფებდა იმ ზომამდის, როცა მოტრფიალეს ავიწყდებდა თავისი თავი
და ლანგარზედ მიართმევს თვის გულს შესაწირად, დასაწველად, სულსაც შეს-
წირავს თვის ბედის ვარსკვლავს, თვის ახალს სულს. კარგი იყო იასე, მაინც
არ იყო იგი ქაბუკი, რომელიც სათავისოდ დაესახნა ქალის ოცნებას აღფრთო-
ვანებულს.

— უძრავადა სდგას და შემომეტრფის უსიტყვოდ, უხმოდ. კარგია, კარგი!
ძლიერი გრძნობა მომწონს მე მისი. თვალიც მარჯვე აქვს: მაშინვე შესძლო
დაენახა ჩემი მშვენება, ღირსეულად ეფასებინა. ბევრი ჩამივლის ბრმასავით
ახლო! არ უსხნენ თვალნი მზერად შექისა, არც აბაღია სარკე გონების მისის
სიკეთის შესათვასებლად. მომწონს იასეს ქცევა კრძალული. შორით დაღადი,
თაყვანისცემა. მაგრამ...

— რაღა გაბრკოლებს, ლამაზო ჩვენო, არ ანუგეშებ, არ ინუგეშებ?

— უფრო მდარეა ჩემთან დარებით! ვერ შემომწვდების თვისის სიკეთით.
მე უნდა დაედრკე და... დაუმდაბლდე; მევე ვეურჩო ჩემს მაღალ იღბალს.

— რა ბედს ეურჩო, ქალბატონო?! — განციფრდა ბორცვი შემარცხენე.

— იმ ბედს, ლამაზო, რომელსაც ვხედავ, რომელს განვიციდი გონების
თვალთ. ვგრძნობ, რომ მოილტვის, მოესწრაფება. შენ ვერ განციდი, დახშულ-
ში ზრდილო; შენ ვერცა ჰხედავ, კარჩაკეტილო!

— სხვას ვისმე ჰხედავ და გრძნობ სიახლეს?

— აგერ ქაბუკი, ნაძვი მავალი. როგორ უხდება ჩაცმა სამხედრო! მხრებზე
ჯინჯილი, მკერდს სისხლის ჯვარი, წკრიალით მოსდევს გვერდს ბასრი ხმა-
ლი; მოაფლარუნებს ბჰყვრილა დეზებს!

— ვერა ვხედავთ, გენაცვალეთ, ჩვენ იმ რაინდსა! არსაით მოჩანს...

— რას დაინახავთ, თქვე საწყლებო, ფარჩის უბიდან, გულისპირიდან?!
სასახლეში მიღებულა, დიდ მმართველის მარჯვენაა ჯერ ახალგაზრდა. თვა-
ლი რჩება ყველას მასზე. ბევრსაც უბნობენ იმ ბედთანზე.

— არა გვსმენია მასზე ჩვენ სიტყვა!

— უკრთ თუ გაცლიათ, თქვე ბერავენო, აღარ თუ გესმით! ის არის ბედი, ჩემი დარი, მე მის სადარი. იასე კი...

— მოგეწონს იასე!

— რა ჩვილები ხართ, გამოუცდელნი! იასე მხოლოდ ცარკან შარსს, სხვა არაფერი. არ შესწევს ძალა თუ ღირსება მხარდაშხარ მიჰყვები ბედის მარტულთა. სარბიელ შემოფარგლული უბრალო კაცი. როდის და რას ეღირსება მთლად უმანძილო, შეზღუდვილი სავალით მსვლელი?!

— ახალგაზრდაა. ეხლა-ღა იწყო კაცმა ცხოვრება.

— მაინც ცხადად სჩანს მისი ძალა, მისი უნარი. ვერ ეწიოს აღმატებულს ცხოვრებას იგი. მიკვირს, მოილტვის ჩემსკენ უტეხად; რად არ გაზომავს სიფრცხვანაა ჩვენს შორის?!

— მაშ ვაუმტლავნე მოტრფიალეს ბედი უბედო; ვადაჭრით უთხარ უარყოფა, მოსპოს იმედი.

— ცოდვაა, ბერავ! უიმედო ის იმედი ასულდგმულებს მას. დეე იცოცხლოს ბედის მლოდნემ, იაროს ქვეყნად.

12.

გულაბდილი როდი იყო ქალწულის სიტყვა; თვის საიდუმლო ზრახვაშიაც არ იყო წრფელი: სიბრალულთ არ აყოენებდა, არც იმ სურვილთ, არ დაესგრნა ვაეკაცისათვის გულე მგრძნობარე. თვისი აღერსი ამოქმედებდა ესეთ ძნელ სახით. საუკეთესოს მოელოდდა, იასეზე კარგს. დარწმუნებული, დაჯერებული, რომ შექნებდებოდა საიშვიათო. უსათუოდ! ეშხი არ აკლდა, არც ქვეყნყოფა, განათლება, თუნდაც შეძლება. ყოვლად კარგ სასძლოს ყოველ კითხილთ საესე საქმროც უნდა ჰხდომოდა. უსათუოდ აუჩნდებოდა!

— მაშინ იასე?

თვისით ისწრაფოდა იგი ქალისკენ. სრულებითაც არა ცდილობდა სამიჯარი იმის მიზიდვას. რა უნდა ექნა ქალს?! ალბათ ამ უნიეთო თუ უმიზნო ცრფობა-ლაღადში ვაეი ჰპოვებდა თავის სიხარულს. სისასტიკე იქნებოდა ქალის შარფი, მოესპო მისთვის იგი სიამე. ინუგეშოს შორით კდომით. ვის რას დაეჭვლის?!

— საბოლოოდ, ჩემო ქალთამაშვე?

— საბოლოოდ... მომავალმა უწყოდეს ბოლო, იმან განსაჯოს. მაინც ბრალი არ მიმიძღვის, არც თუ რამ ცოდვა, თუ ჩემს გზაზე იტანჯება, მარცხი მოგვს: მიზნად დაიდვა შესწვდეს უმაღლესს.

გრძნობდა ამას თითონ იასეც, კიდეც იცოდა, თუმცა ისე ცხადად კი არა; რთვარც იტყოდა თვითმოყვარე იგი მზექალა: ვადაჭრილი უარი არ მიელო ვაეს თვის სატრფოსავან; არც მის ქვეყაში ახატულიყო რამე ისეთი, რომ ჰაბუკი დარწმუნებულიყო თვის მარცხში და იმედი დასწყვეტოდა თვის საქმბარში. დაბმული ჰყავდა მტკიცე ლარით ლამაზს ვაეკაცი. გულის სიღრმეში უსარგებლოდ როდი მაჩნდა, მოათყვანე გამობმული მანდილის ყურზე.

— რისთვის უნდოდა?!

— რაიმე უბედო შემთხვევისათვის. ესეც არ იყოს, უაღერსებდა თვითყვარებას კაცის მონობა: იგი მზე იყო, ქვეყნად მავალი, უნდა ჰყოლოდა გარს მბრუნავი მასაც მნათობი, სიფრცხეში მასთან თანამავალი, თუნდაც ცთომილი.

აზრიანიც მოსჩანდა უკვე ამგვარი ფიქრი წინდახედული: ისწრაფოდნენ სამ-
 ძიერისკენ მისნი მთხოვენელნი, მაგრამ მდარენი; კაცს უგზავნიდნენ მისთვის ნას-
 ნი, შეუფერებნი. იღებდნენ პასუხს თავის საკადრისს: მტკნარი უარი! ბევრს
 ჩაუხერგა თვისკენ სავალი, სამუდამოდ გადაუჭრა სურვილით მუხებზე...

— რა სათქმელია! იასე განა ორჯერ არ სჯობს მაგისთანებნა?!

— მიკვირს, ზოგი რად ვერ იცნობს თვისსა ტოლსა!

— თვალთ მომჭრელია ჩვენი ქალი, ბევრს უბავს ხედვას.

— ბედსაცა სცდიან: გაუმარჯვლებათ, ხომ რა კარგი, არა და ისიც გყო-
 ფათ სახელად, შემოგვეღირნენ.

— მაინც მიკვირს, რად გვხადიან დაბალნიც კი თვის მისაწვდომად; ძლიერ
 მაფიქრებს. ნუ თუ ვერ სცნობენ ჩვენს ოჯახს ან იქნება ქალის მცირეოდენმა
 დახანებამ გაათამამა?!

— დახანება რა სათქმელია? ჯერ მაგის ტოლებს ბევრს არ ვახსნია თვისი
 იღბალი.

— მაინც საფიქროა: განვლეს წლებმა...

— ქალი იჯდეს, ბედს ელოდდესო. რა ვალონებს? ისეთი ძვირფასია სამ-
 ძივარი, რომ მის იღბალზე დიდი ზრუნვა არ არის საჭირო: მისი ყისმათი თი-
 თონ მოვა კარს.

— მეც იმედი მაქვს! სწორე ვითბრა, მომწონს იასე: წყნარი, საქმიანი,
 კარგი კერისა, თვალად-ტანადი...

— ჩამოთვალე კიდევ სიკეთე! ვიცით შენი აზრი, გაგვიგია და შეგვიტ-
 ყვია. საქმე გგონია ვათაგებული, იმისთვის თუ ხარ ყურწადგებულის.

— დაუდევარი, ოჯახისთვის მე უზრუნველი?!

— არსად მისდგებ-მოსდგები, არ გაიცნობ მდიდარ სახლებს თუ დიდკა-
 ცობას; წინანდელი მეგობრებიც ღამის დაჰკარგო. რით არიან შენზე მეტნი
 ის ბედნიერნი, სასახლეში რომ მისულან, გზა უკვლევიათ?

— ისევ დაიწყე! ჯერაც არ ვითქვამს!

— კიდევაც ვიტყვი! რად არ მოგვაწყობ ახალ გემოზე, რომ ხანდისხან
 დიდკაცობას კარი გაუღოთ, რომ შევსძლებდეთ მეგლიშს, საღამოს. მაღალ
 წრეში წესად მოიღეს: იბაასებენ, იცეკვავენ, შეექცევიან ჰადრაკს თუ ბან-
 ქოს; უახლოვდებიან ერთმანეთს. ერთხელ ერთგანს, ბევრჯერ სხვასთან და...

— და კეუაში არ მომდის შენი რჩევა. თუ ღირსეულნი აღარ გვენუკე-
 ბიან, ალბათ ეზლა სხვა ქალთ მისდევენ. უცხო ქევის თუ განათლების; ვე-
 ლარ თუ ფასობს ქართველთ კერა, ჩვენი აღზრდის და ჩვენი ქცევა. თორემ არც
 ისე მიჩუღულნი ვართ, ვერ გვეცნობდნენ ან ჩვენ, ან ჩვენ შეილებსა.

არ დაიშალა დედაკაცმა, დაიყოლა ქმარი ჯიუტი: სიძს ქვას ვახერხებს
 ერთს ადგილზე ნადენი წვეთი. სახლის კარი გააღეს ფართოდ; მიიწვიეს და
 ეწვივნენ, შეიძინეს ახალნი მცნობნი. ვერ გამოდგა ცდა სახიერო: ვერ შეი-
 თვისა ქართულმა კერამ უცხოური ქცევა თამამი, სიხასე თუ აღკატობა წრეს-
 გადასული. მხოლოდ ხარჯს, სწევდნენ უსაბაბოს, თითქმის უმიზნოს. რა კეთი-
 ლი მოვიდოდა ნაყიში ცდითა: ახალ გზაზე ვერ დგებოდნენ მსწრაფლ, ვერ
 შეექვსნენ შემოტანილ ზნეს. მხოლოდ არყევდნენ და ბზარავდნენ ძველ ნაშენ
 კერას, ამღვრევდნენ სახეს თანისთანად ნაქანდაკეცსა, ზნეობრივ სახეს ძველე-

ბური ქართულის სახლის. ბევრმა უსაქმოდ გარდაღება ღია კარები! მთ, რჩე-
ულნიც დადიონენ დროს სატარებლად. ამაო ხარჯი! არც ესლა ახნა ქალის
ბედი მზინაე-მბრწყინაეი. დაედვას მზღვარი კარის განხმას ფუტ მავალთათვის:
შეილაბება კარის სიწმინდე!

ქართული
განმანათლებელი

13.

ქალი მაინც ამაყად უსწორებდა თვალს მარცხის ლანდებსა, თუმცა კეშა-
ნი შეპარვოდა მალეღებელი, უგულსავსობა ჯერ ურკვევი, ისეც ბინდ-ბანდი.
აღრე კი იყო მარცხზე სიტყვა, თუნდაც ფიქრები: სრულ ქალობაში აწ შევი-
და აფუებული. აღსავსე მკერდი დასრულებული. მთლად მოიწიფა შესატკბობ-
ლად, საფუფუნებლად.

— აი ესლა დაშვენდება ლამაზს დედობა!

— მართალი თქმაა! შნო როდი აქვს ადრეულად გათხოვებასა, როცა ქალი
ბოლო ტიკინს სცვლის პირველ შეილზე: ყადრი არ იცის ქმარ-შვილისა, არც
თუ კერისა.

ვერ აწყნარებდა სამძივარ ქალს იგი ნუგეში; სწყინდა მას ბედის შემძი-
ვება, ვერ გათხოვება. მიდის, მიღელავს დრო უხანო, მიეშურება. არ სჩანს
რაინდი ქალის ბედზე, მისი სადარი. იყენენ, იყენენ მისი მთხოვნელი! მიდიო-
დნენ მათ ოჯახში, კილებს ჰგზავნიდნენ, მაგრამ ახალნი ვერ სქარბობდნენ
უწინდელემ. რად ვაძრებოდა ესლა ამაო, გაბარებდა? განა იმისთვის ჰყო-
ნიდა ქალი, რომ უარესებს გადაჰყოლიყო?! მისთვის იცდიდა, უკეთესი დაე-
ვივნა ლამაზ მთავრზე, ვით ოქროს სალტე ან თუ ქარვის კრიალოსანი. მათაც
უარჰყოფდა. ხანს კიდობდა.

— ნუ იტყვი, ქალისთვის ხანდაზმა საშიში არ იყოს! ახლად გაფურჩქნი-
ლი ყვავილის მშვენება მაინც სხვა არის და სუნნელება. ახალ სიცოცხლეს,
ნორჩ არსებას თვისი ეშვი აქვს, უდარები მიმზიდველობა. აღლოთი გრძნობს
ყველა სულდგმული, როცა ბუნება უალერსებს თვის ნორჩ ქმნილებას, შეს-
ძღვნის სიკეთეს, დღითი-დღე მატებს სამკაულს ახალს.

— ეგ უკეთესი! კვლავც მომიმატოს სილამაზე ისეც მშვენიერს, შემამკოს
ბადრი.

— განსაზღვრულ დრომდის! დასცხრება მანვი, იკლებს თანდისთან. ე-
წინაია ბუნება, დაუდგრომელი. მოვა ეამი, გულს აიცრუებს შემოქმედი თვის
ქმნილებაზე, განდრკება მისგან, აპყრის სიყვარულს; დაუწყობს ძარკვას, რომ
სხვას უძღვნას ის სამკაულნი, ახლად მოვლენილ ლამაზ სიცოცხლეს. თმას
დაუთრთ...

— რას ამბობ მაგას?! რა დროს თრთილია! ზაფხული უდგა სატრფია-
ლოს სინათლით სავსე, სითბო ნაჭარბი არდადეგები.

— მაინც ვასულა მის გაზაფხული! იკლებს დღე მალე, შემცირდება, შე-
იქმუნება და მოაკლდება ელვარება, სითბო მალბენი. მანგისაგან ისწავე მცნე-
ბა: მკაცრად საზღვრილი დრო ავსებისა, ეამიც ლევისა, დაკინიებისა.

— დროც განახლების, ახლად შობისა!

— დიდ განსხვავებით! მთვარე ახლდების, ივივე მთვარე. აქ კი სხვა არის.
ულორტზე სხმულ ფოთოლს მივამსვავსე სიცოცხლის მკონი: დრო ამწყნანების...

ჟამიც სიხუნის და დაცვივისა. ამოვა ყლორტზე გაზაფხულზე მწვანე ფოთოლი, გარნა სულ სხვაა ის ხასხასი, არ შარშანდელი. კაცნიც...

სამძივრის გული კი სდუმდა, უგრძნობი გული! ვერ აიმაღლა თავისი ხმა, ვერ სთქვა ვერც ერთხელ თვის მკვეთრი სიტყვა.

არ ათამაშდა კისკასი ტანით, რომ მოეხიზლა თვისი ცეცხლ-ცეცხლ გრძნობა, დაეთრგუნა თვითმოყვარება, წაელეჭნა გოროზი შეხედულობა. მაშინ გონება მედიდური ლანგრით შესძღვნიდა იმ ელვარ გრძნობას თვის საგანძურსაც საუკეთესოს. უგრძნობელი როდი იყო ქალის გული მშვენიერისა, მაგრამ რა ექნა?! მძლავრად ეჭირა უხსნელ ჰევანგებში გონებისგან ნაკარნახებ თვითმოყვარებას, ბალღობიდან შეთვისებულ მედიდურობას და იმ ღრმა რწმენას: ის არ ჰგავს სხვა მშვენიერებს, ბევრ ღამაზსა, და მისი იღბალიც უნდა იყოს განსხვავებული, სხვათა ბედზე აღმატებული. მაინც ეგრეა: ადამიანს თავისი თავი ზეამაღლებულ არსებად უჩანს, სასიკეთოდ არჩეულად, საჩვენებელ ბედის საფერად.

ძლიერი იყო ქალის ეს აზრი, ჰბოჰავდა გრძნობას, ფონს არ აძლევდა, უზღუდავდა საფრენ სივრცესა. საწყალი გული გონების კარნახს ემონებოდა, განაკეთილ თქმას, — ავ შთაგონებას, სიყვარულის უარყოფელსა. გული ქალისა შიგადაშიგ კიდევ იბრძოდა ამ მონობის წინააღმდეგ, ცდილობდა საკუთარს კვალს აპყლოდა, თავისივ სახით ეკმაყოფილნა, მაგრამ ვერ შესძლო და დაეზონა თავის მბრძანებელ გოროზ გონებას, რომელსაც ეხლოვებინა თვითმოყვარება, ის გაეხანდა თავის ვეზირად ცხოვრების გზაზე და დაეჩრდილა სხვის-მოყვარეობა, ღამაში გრძნობა, როდესაც სული გადასცდება საკუთარ ფარგალს და კეთილით დატვირთული გადავა სხვის მზღვარს იმ სიკეთის მისად საძღვინელად.

— იქნებ არ იცი, რამ დაჩაგრა ქალის გულის თქმა?! ვერ შეხვდა ტურფას საფერი ძალა, რომ შესძლებოდა აევზნო ცეცხლად ჯერეთ მთელემარე მისი გრძნობები. კი გაადნობდა გონის ნაგებ ყინულის ზღუდეს, თუნდ ლითონისას, ჩაჰნავლავდა იმის კარნახს მოანგარიშეს და ფრთას გაშლიდა, ვით არწივი ლაქვარდ ცაში.

— იგი იასე მისი მოტრფიალე?

— ბევრს თუ ვერ ეტყვის ქალწულის გულს მისი გრძნობა მკრთალი, მოშიში. ვერ თუ აღტყინდა იგი გრძნობა ალად ცეცხლისა, რომ აეტაცნა დამწველი სუნთქვით ქალი უკადრი, ეცეკვებინა თვის გუგუნზე, ვით ჩანგის ხმაზე. უყვარდა ჰაბუქს მთელის ძალით თვისის ბუნების, მაგრამ მაინც მის არსება ვერ ზვირთდებოდა, რომ გიჟ ტალღებში ცისარტყელის ნატეხებად აღჩენილიყო სიყვარულის სხივთა ნალექი. ყველას თუ არ შეუძლიან ელვის სახით იწვეზოდეს გულისთქმის ძალით.

ეპე, დაჰკრა სამძივრისთვისაც აღტაცების წამმა ღამაზმა, სულდგმულისთვის უცილებელ შმაგობის ეამმა. სტუმრად იყო ახლად გაცნობილ მდიდარ ოჯახში. ზეიმი ჰქონდა წარჩინებულ დიასახლისს: ჩინებულნი, საჩინარნი, სასახლისკენ გზაკვლეული დიდებულნი. ფართოდ შლილი ტაბლა უხვი, გულღამაზი, მკერდგადახსნილი. წვეულთ შორის რაინდები, კარგი ვაეკაცნი. დაკ-

ვირვებით ათვალეერებდა შეკრებილ ხალხსა. არც იქ აღმოჩნდა მისი საფერი. ცოლშვილიანნი, დაქამებულნი. ახალგაზრდანიც. რა უშნონი! მერაზიმქ-რალნი. არც ერთი მათგანი არ იყო ისეთი, თვალი შეკვარდნიყო ქალწულს მათზე, გული კრული ასტეგრქობდა. სუფრაზე ყველამ მიამჩქვან მუტანდლებამშვენეირს. ნასროლი სიტყვა საალერსო უთბარეს საამო. ლხინო-ლქქსი სიტყ-ბოიანი. გულს ვერ უესებდა ზოტბა თუ თქმა ლამაზ-ლამაზი: ქება თავისი არა ერთხელ ისეც სმენოდა, ყური ჰქონდა შეჩვეული. ბუნებრივად მიჩნდა იგი. ამოსულ მზეს ბრმაც იხილავს, მიესალმება.

ვალდებული იყო ეთქვა სამძიჯრისთვის ზოტბა მნახველსა: სიმშვენეირით დატკობის მიმღებს თითონაც ჰხამს შესძღვნას კეთილი. უმადური არ უმად-ლის კეთილთა მყოფელს, არ უმღერებს სამადლობელსა. ეხლა ქალისთვის ეს ცოტა იყო: ის ეძიებდა არა მხოლოდ თვისსა მებოტბეს, ლიტონის სიტყვით თვის შემქმბელ-მადიდებელსა. არა! ეძიებდა იმ თვის რაინდს, ვინ განიცდიდა მის სილამაზეს, აღარ დასთმობდა ზორცშესხმულ მშვენებას და წარსდგებოდა მოწონებით მის სათაყვანოდ, ფაშთ დაღვეამდის პირისპირ მშერად. ცისკარსა ჰგვანდა განსახებულსა და შესაძლო იყო, აღარ ჩასვენებულყო რჩეულისა-თვის, სამარადოდ გვერდს ჰყოლოდა გზის მანათობლად. ამგვარ მაქებარს ელოდდა ქალი, ესეთი მთქმელი ენატრებოდა იმის ნატკენ გულს, მოტრფიალის დახანებით სერილ-დამზარულს.

— ნუ გეფიქრება, მშვენეირო, ნუ შეპლონდები! ეძებ და ჰპოვებ; ჰრეკვებ. გაველოს იგი ბქენი სიხარულისა. ჰპოვებ საქებარს!

შეძლიერებული უკვე სადილი. ცა მესამე გარდახსნილი ბედნიერთათვის საზრდოთაგან კეთილქმნილთა. ნექტართაგან ნაპერწყლების შეხვად მსრო-ლელთა. მწყობრხმიანობა. მიხვრა-მოხვრა ზრდილობიანი. სიმღერა ტკბილი. მქვერი სიტყვა ჰაეროვანი. ვაილო კარი, შემოვიდა როდამ რაინდი. სამხედრო ჩაცმა მზინავ-მბრქვეინავი. ბოდიში მოიხადა მასპინძლებთან გვიანობისთვის. შეესალმა საერთოდ ყველას და ერთს წამს თვალი შეაყენა სამძივარზედა, ელ-დასებურ განცვიფრებით აღსავსე მშერა. ამტერედა ქართულს. შორს ჩრდი-ლოეთში განსწავლული, მყინვარელთ თქმაში ხელოვნებური ველარ იგნობდა მშობლიურ სიტყვას ქართულ სუფრაზე. მაღალ წრის კაცი, საღ ბატონობდა სხვათა სიტყვა, უცხოოდ გულისთქმა დიდ განათლების მანიშნებელი. მდაბიო-თათვის ქართული თქმა ჩამორჩენილი! ფარულად მიხვდა წამწამთ ტერთა ჰაბუკისაკენ ინდონთ რაზმნი კელავ იმისკენ, თვალთ ეღვარება. შორით მქვერეტ თვალთ ისარნი შეხვდნენ ერთმანეთს, შეელეწნენ მახვილნი ერთ-ურთს და აციავდნენ: ჩამოკვესდა ნაპერწყლობა ბუნჯგალ-ბუნჯგალი.

— ეს თუ არის ბედი ჩემი ძნელად საქმენი... სწორედ ეს არის! რა ლამა-ზია, რა ძლიერი, როგორ მოქნილი! ღმერთო კეთილო, წარმიმართე გზა სიხა-რულის.

— იცი, ქალოჯან, ეს ყმაწვილი დიდად მიღებულთა სასახლეში. ჯერ ისეც ახალგაზრდა ირიცხება წინამძღვართ ჯგუფში; მაგის ხელთც არის ბედი ჩვე-ნი, ქართველთ იმედი. საარაკო ჯამაგარი; დიდი სიმდიდრე, ყელამდის ოქრო.

— მთლად ახალგაზრდა მოჩანს...

— არც ისე ნორჩი: ნაჭარბია ოცდაათ წელსა. საკვირველია, აქამდისინ უცოლშვილოა!

ალარ ინება სამძივარმა ამაზე სიტყვა, უსხვაფერა მოსაუბრეს საგანი თქმისა: ალარ სჭირდა ამ საკითხზე სიტყვის განგრძობა...

— ოცდაათ წელზე უფრო მეტი... არც თუ ისე ნორჩი არისო...

ვერ დაეთანხმა ქალი გვერდით მჯდომს: ნორჩად ეჩვენებოდა, უკუაღრუბო მისსა სიკეთეს წელთა რიცხვი კი არ ზომავდა, არც თუ ისე მრავნად წიფუნისა სანდომობა ჰქონდა მის ხანს, იგი სიკეთე, რომლით იყო სავსებით სავსე. მთლადაც ახალი თუ მოსჩანდა ყველას თვალებში.

— ამას ჰხედავდა თვალი ჩემი, შორს გამჭვრეტელი, ესეთ ვაჟაკს მოინატრდა გული დახშული. კეთილით სრული ყოველგვართა! ჰე, ღმერთო, ერთი გულმა უთხრას, ჩემსკენ მოზიდოს და მოვეწონო; შევუყვარდე! გარს შემოშველოს, თავს შემოვევლე!

ესეთი აზრი, თუნდ უეცარი, იყო მისთვის რამ ოცნება უსრულებელი. შესაძლებლობის ფარგალთაგან გაბიჯებული: მოსწონდათ ქალი, შორით შესტრფოდნენ, ძლიერ უყვარდათ მოჯადოებულთ; მისი ღიმილი თანამგრძობი ბედნიერ ჰყოფდა თვითუღს მათგანს.

— მაშ ეს რაღაა, ა ეს რაინდი, რომ მათი წყალი არ დაეპყროს? გამოვბემა ჩემს ლეჩაქის ყურს!

— მაგრამ ეს მათზე ტუტოა არის, უფრო ძლიერი.

— მაინც მოხდება! განეწონება ამასაც გულში ტრფობის ისარი, ჩემგან ნატყორცნი.

ანაზღა გრძნობა ელდასებური იშვიათია და შემთხვევითი. სიფრთხილითა ჰხამს განვითარდეს ეს მიჯნურობა.

ლელეარიანთ ეზო-ყურეს არ უწევდა რაინდის შარა, არც რამ ბილიკი. ცდილობს ღამაში მოახერხოს ვაჟის კვლავ ნახვა, ვაკვალოს მისთვის საცალფეხო თავის კარამდის. მაინც ერთს ხანს ჰქონდა იმედი ვაჟი იქამდის მოიხიზლებოდა მისის სიტურფით, რომ თვით გაპყავდა გზას ღამაზის სავანემდის: ნახვევი იყო ქაბუთაგან ამგვარ ქცევისა და არ ეგონა, სხვა კაბუტი გაუმკლავდებოდა მძლელ მიმზიდველ იმის ძალასა. ვერ გაუმართლა მოლოდინი: გავიდა კვირა, სხვაც ბევრი კვირა, ვაჟს კი პირი არ უქნია ქალიანათენ. ჰგავდა, მთლადაც მიივიწყა იმან ღამაზი. უჩქოლავდა სატურფალს გული. საგულეში ალარ სდგებოდა, შეპყრობილ გვერტით ფრთხილდებდა აღელვებულს. მთლად ელეოდა მოთმინება: აძლებდა თვალებს ცრემლი, უთმინობის ნამი ნაფური. იგი ცრემლი აფიცებდა მის გულს ცეცხლებულს, ნდომის აღზე ასატრეცად ატრიალებდა.

— ვერა მყოფს უარს, ვერ დამივიწყებს. წამოვა ჩემკერძ, ქედმობრილი შემევედრება! და... მივანიჭებ გულკეთილი მას ნეტარებას. მივლებ მისგანაც სიტკბობას, ნეტარებას დაუშრეტელსა.

კვლავ მიდის ხანი. არ ეახლა რაინდი ქალსა. იქნება კიდევ დაივიწყა მან მისი სახე, მისი სახელი. ქალს გული ალარ უდგებოდა სახლში: ნახვის სურვილმა მყუდრო კუთხე მოუფურტკნა მშობელ კერაზე. უთმინობის ბუქმდის მივიდა იგი სურვილი. დანახვისა, თვალის მოკერისა. და რადგან კაცი არ მივიდა, თვით ქალს ჰხვდა ზრუნვა მიახლებოდა იმ უჯიათსა. ამ სურვილის ასრულებაც მწელი იყო სამძივარისთვის. მაინც უნდა მიეღწია სანდომისათვის: უნდა შეჰხვედროდა თავის რჩეულ ვაჟაკს, გაეხსენებინა იმისათვის თავისი

თავი, კვლავ დაეკვესნა ნაპერწკლები ვარსკვლავ თვალთაგან, ეშხის იგი ნაპერწკალნი, შორიდან მწველნი, და მაშინ...

— და მაშინ ენახავ ლალად მავალს დამონებულად. მოიხრის ჯრქ თავს იგი ჩემს წინა! შემევედრება იმავ მულარით, როგორის ხვეწნითაც... შემომეტრფის თუნდაც იასუ, უბმო ლალადით, დიდად მეტყველით!

15.

უნდა ენახა, უსათუოდ უნდა შეჰხვედროდა. სად, ღმერთო ჩემო, ნეტა თუ როდის? ეძებდა ქალი გონების თვალთ იმ ადგილს, თუ შემთხვევას, სადაც, როდისაც შესაძლო იქნებოდა მისი შეხვედრა, თითქო შემთხვევით მის ახლო ყოფნა. ადვილი არ იყო: სხვადასხვა წრისები იყვნენ ქალ-ვაჟი; ჩამომავლობით ისე ძლიერ არ ირჩეოდნენ, წოდებრივი როდი იყო მათი განსხვავება, ცხოვრებისაგან იყო იგი შექმნილ-შეთხილი, ახალ წყობისაგან ჩამოსხმული, გამოკვერილი. ძნელი იყო მათ შუა გატანილი მთხრებლის ავსება და ეს მით უფრო, რომ ხნარცზე სავალ ხიდის შენებას, გადასავლელ ბილიკის შექმნას ერთის ნდომა მხოლოდ უძღვოდა, ქალის ფიქრი, მისი სურვილი. ქალმა ჯერ თითონ სცადა სამძიმო სავალის პოვნა, დედასაც კი არ გაანდო თვისი განზრახვა.

— ზეგ მთაწმინდობაა, დედიჯან, მინდა წავიდე, შევევედრო წმინდა დავითსა.

— წავიდე, შვილო! მაინც ყოველ წელიწადს დავედივართ. კარგი დარი როცა ხელს გვიწყობს.

— დარი კარგი დგას. არ მგონია შეიცვალოს, წვიმა მოვიდეს.

— კენჭიც მიაკარ საყდრის კედელსა. უსათუოდ მიეკრება, თუ ჩავიფიქრებ: სიზმარი ენახე, რომ ეხლა შენს ბედს განიშნებს წმინდა.

— ქალაქი სულ იქ იქნება. ყვევლივით მოკაზმული ქალი თუ რძალი. მე კი...

— შენ ვიზე-და ნაკლებად იქნები ჩაცმულ-დახურული?! დასტადასტა კი-ლაგია საბურ-საცმელი.

— ვიცი ეგ კარგა, მაგრამ ახალ კაბაზე ვერ მიხდება თავის დახურვა.

— როგორ თუ ვერ ვიხდება?!

— ქართულად არ არის შეკერილი, უცხო ნაირია და ლეჩაქ-თავსაკრავთან როდი არის შებამებული.

— მაშა ქა!

— შაპო დამშვეენდა. ანიკოსთან რომ ვიყავი, გავსინჯე მაშინ და...

— და გინდა ახლა თავზე შაპო წამოიხურო?!

— ძალიან მინდა! ანო აგვირჩევს: იცის იმან, როგორს ხმარობენ; გემოვნება ხომ აქვს და აქვს ძალიან კარგი.

— ვეტყვი მამა შენს და თუ დაგეთანხმდა...

— რა კარგი ხარ, დედილოჯან! მოდი გაცოცო.

— ეხლანდელი ჩაცმა-ხურვა, სხვა ქვეყნიდან შემოტანილი. ათასგვარი შეცვლა ტანთსაცმლის, თავსაფარისა. გინდა თუ არა, განსაზღვრილი ნაირ-ქსოვილი. მალე ისევ სხვა; ახლა კიდევ სულ სხვანაირი. რა ფულმა გასძლოს ან

ოჯახმა აიტანოს ცვალებადობა?! აფსუს ქართულო! ერთი ქათიბი მთელ სი-
ცოცხლეში! კაბა ფარჩისა მთელ ათ წელიწადს. ლენაქ-თასაკრავი, სარტყელი-
თუ გულისპირი... დამშვენებულს რად უნდა შეცვლა დამშვენებლის?! —
ფიქრობდა დედაკაცი.

და არ მოსწონდა ქალის აზრი, მისი სურვილი. რას-ღა ^{ნაკრძნული} [ნამდვიერი] ფაფი-
სას არ დაიშლიდა; შერჩებოდა მთლად უბრალოდ სიტყვა უკმები, უარის ყოფა..
ხუთნაბათ დილით ისე იყო ქალი შორთული, ჰგვანდა პატარძლად გამოწყო-
ბილს ახალახლებში.

— შემომხედე, დედილოჯან, როგორ მიხდება!

— გიხდება, კარგო, ყველაფერი. ტანთ საცმელი რომ მოგერგო, თითონ
შენ უფრო დაამშვენე ეგ ტალავარი. თვალი არა გკრან. ხომ შეიბი სათვალ-
ღვრინჭილა?

თათმანს იცვადნენ, რომ გამოვიდა მათი კაცი, სამძივრის მამა. ყურთმაჯ
გადადებული. კალმუხის ქუდი. უხდებოდა მოსულ ვაკეკაცს შევერცხლილი
ქამარ-ხანჯალი. პირი ახლად მოეპარსნა. დინჯი უღვაში, ბარაქიანი.

— ია, წავიდეთ!

— აგერ მოვდივართ! მოდი, ეტლი დაგვიჭირე; გავემგზავროთ ბატონ-
კაცურად.

— მე მეგონა ხატის ლოცვად ფეხშიშველი წამოხვიდოდით, თქვენ კი...

— რა უშავს, მამი! ჩვენდარს ხალხი ფეხით არ დადის ამ სიშორეზე.

— ცხელა კიდეცა.

— კარგით, გეყოფათ! დედაკაცი მონღომებს, ვინ-ღა რას შესძლებს მის
წინააღმდეგ?! და მერმე ორი.

აპხვეოდა ხალხი აღმართს, ფერად ხალიჩად აყვავებული. შიგადაშიგ ეტ-
ლებითაც. ხვეულ შარამდის. აგური ეწყო ამ ადგილას გროვა-გროვად. ეკლე-
სიის აშენება ეპირებინათ. ურმებს მხოლოდ აქამდისინ ეზიდნათ ბარგი. ზევით-
ზევით მლოცავს მიჰქონდა. სამძივარმა არ წაიღო, მისი ტვირთი მის მამამ
ზიდა.

— ბიჭო, კაცული! თაბახი რომ ავივსია აგურით, როგორ უნდა აიტანო
ამ აღმართზედა?

— მამა დავითში და ვერ აეიტანო?! იმის წვერების ქირიმე, დალოცვი-
ლისა! ისე გავყიდე მთელი ბალი, ერთ შაურზე ათი ავიღე. კენჭსაც მივაკრავ-
ალბათ მიიკრავს, დამილოცავს ჩემს საბედოსა.

— ჩაიფიქრე?

— და რა ქალი! ბალის კუნწულაა რალა, მშობელ ლოცული!

თეთრო ბალის კუნწულაე.

შეშავ თვალბიანო...

მამა დავითი! სიცოცხლეში მცოდნე ეშხისა; ციდან მეშველი სურვილ-
აშლილ მოტრფიალეთა. შად-გადიოდა ხალხი საყდარში; ტევა არ იყო. ჩირალ-
დნებად ანთებული შანდალ-კანდელი, კედლებიც კი შიგნით თუ გარეთ. მოი-
ლოცეს, ააშუქქეს წმინდა სანთელი. სცადა ქალმა კედელს კენჭი, ის ჩაიფიქრა,
საოცნებო თვისი ნაცნობი. მიეკრა სიბი! ვახდა, ვახდა მისი ბედი იგი რაინდი!
ათვლიერებს სანატრელ ეაეს მიმსვლელ-მომსვლელში. დახე, ამოად!

— რა საჭიროა დიდი ძებნა?! ისეც ვიგონობდი, თუ მოსულხარო.
დალონდა ქალი. ჩამუქდა დღე ბედნიერი. დაირ-ნალარა აქით-იქით, ცეკვა-
შუშპარი. შესთამაშებდნენ სხივებს მზისა ეშხით სავსენი. ვერც ერთ ჯგუფ-
თან ვერ გაჩერდა: ჩქოლაგდა გული. იქ არ იყო მისი სამშენებლო შორს თუ
იყო ხალხის ბრბოდან იგი რჩეული.

— რად არ ვიფიქრე, მოწინავე ჯგუფებშია განათლებული; რად იკად-
რებდა აქ ამოსვლას, მდაბიოთა დღესასწაულში?

— რა კრივი არის! მოდით, ქალო, გადააშედეთ. რა ყიყინა დგას!

დიდი ხმაური მოისმოდა ქვევიდან. გზის მარჯვენე რომ გაშლილი ადგი-
ლი იყო, იქ ვაემართათ ძალთ შეჯიბრება. მთაწმინდელნი სჯობდნენ, ერეკე-
ზოდნენ. თავისისლიანი კობრუა უძლოდა იმათ. ტკივილს არ გრძნობდა ვალო-
მებული. ზურვს უმაგრებდნენ მარჯვე ბიჭები.

— გაირეკეს! გაირეკეს!

— შედგნენ, გამაგრდნენ!

— წინ მოიწევენ!

— გიემიხაკა ჩაეშველა სოლოლაკელებს, აღარ რა უშვით.

— წავიდეთ, დედი! რა სამშერია ეს ცემა-ტყემა?!

— იარე, შეილო! თუ დაილაღე, უგემობა მისთვის დაგეტყო.

— წადით! მეც მოვალ, უთხრა მათ მამამ.

და წინ წავიდა, კრივს უახლოვდა. რას წავიდოდა კრივის მუსუსი! იქ იქნე-
ბოდა ქვით კრივამდის საშინელია.

16.

არ დაიღალა ქალი ჯანსაღი; გული ეტკინა, მისთვის შეიქნა უგუნებოდა:
ემზადებოდა დარწმუნებული, რომ შეზღვებოდა იმ ვაქს ობაში, მოახერხებდა
განმარტოებით იმასთან ვაგლას, კარგ საუბარსა, საარშიყო სიტყვით თამაშსა.
ვერ აუსრულდა იგი სურვილი და გაუცუღდა მოსაზრებანი, ეს სწყინდა ლა-
მას. თავსა ჰყვედრიდა. — მოწყობილად ვერ იფიქრეო. ეტლიც მისთვის აჭირა-
ვებინა თავის მამას, სჯეროდა ეტლით წავიდოდა რაინდი როდამ, იქნება ცბე-
ნით. არ უნდოდა ფეხით მავალი სჩვენებოდა მლოცავთა ბრბოში. ეხლა წყრე-
ბოდა.

— იქ რად ეძებდი ჩემს საქმეებს, სად ვერ გპოვებდი? რად ვფიქრობდი
მთაწმიდაზე იმის ამოსვლას? ან საყდარში, ან სახალხო სატობაში მისი ად-
გილი!? მისი ადგილი მხოლოდ იქ ზრის, სადაც დიდკაცი სწევენ ზემსა: დიდი
სასახლე; წარჩინებულ ოჯახებში დროს სატარი საღამოები; ტურფად რახტულ
რამთა ქროლა განათლებულ ქალებთან ერთად; იმ საოცნებო ადგილებში, სა-
დამდის ხელი ჩვენ არ გვიწვდება. სად შევებდე, სადა, გზა აქცეული, მის საეა-
ლიდან დაშორებული?! — ღონობდა ქალი.

შემდეგც დარდობდა. აღარ მოსწონდა მამის კერა, იგი ოჯახი, თვისი
ცხოვრება. შეძლებულნი იყვნენ, მაინც ჯაერობდა, რომ საუნჯით ვერ ედრე-
ზოდნენ განთქმულ მდიდრებსა, რომელთათვის გზა გაესხნა ოქროს თუ
ვერცხლს უმაღლეს წრეში: კეთილშობილთა გვარიდან იყო, ყმა-მამულების
ძეპატრონისი, სახლები ჰქონდა ქალაქს სამკვიდრო, მაინც სწყრებოდა, რომ

მათი ბინა ვერ ედრებოდა მშართველთ სასახლეს; უვიც ოჯახის ქალი არ იყო, წიგნი თუ სწავლა როდი იყო განდევნილი იმათ სახლიდან, მაინც სწუყინდა, რომ ახალ სწავლით ვერა ბრწყინავდნენ.

— გამოდგებოდა ეხლა ჩემთვის პანსიონის ზრდა! ვიცე, ~~ჭარხუღული~~ ნაკითხი ვარ, მაგრამ მაინც რა? რუსულს ვერ ვიტყვი უნაკლულად, ~~მთლად~~ თავისუფლად. ეს რა სწავლაა, რა განათლება?! ყველიანი იქნებოდა მშვენება ჩემი, ეთ იაგუნდი ჯაეაგრული ოქროს ბუდეში, თუ...

უქმყოფილო იყო ქალი და გულის ხინჯი გამოსჴვივდა მის არსებაში: იტკრიცებოდა ლამაზი სახე, თვალნი ჰკარგავდნენ ლმობიერებას; ყოველივე მას აზრზენდა; სწუხდა მარადა.

— დროც აღარ გადის! როდემდის შეესძლო ესე ყოფა, ესე ცხოვრება?! — დრტყინავდა ქალი და მოსვენებას ვერ ჰპოებდა მძაფრად დღევილი, ვერცხლის წყალივით აცხროებულ-ათრთოლებული.

— რა დაემართა ჩვენს სამძივარს ამ ბოლოს დროსა? მოსვენებას ველარსად ჰპოვებს, სახე ეშლება მეტი მღელვარებით; ნალარი აჴყვა იმის მტკიცე შუბლს; ხმა გაუმკეხა, მთლად გაუქრა ლბილი ბგერები.

— რა კითხვა გინდა?! ჰასაკს გარდასცდა, საფერი კი ვერავენ შეხჴვდა; დღეაღეს, იტანჯვის; სწუყინ ჩამორჩენა თუ დაეაშება ლამაზ ქალს, შემკულს.

— მაგას მე ვხედავ, მეც მაფიქრებს ეგ ჩვენი მარცხი, მალონებს ძლიერ; მეტადრე ეხლა, რაკი სძლია მუქმა გრძნობამა და ბოროტად აღელვებს ქალსა.

— უფრო დაეტყო ეს ცვლილება, რაც როდამს შეჴხვდა.

— რაინდ როდამსა?! მალალსა ფიქრობს, უწითომელი განუზრახბია, ძლიერ მდიდარი და შინეული. ჩვენ ვერ შეესწვდებით და თითონ ის რად დაიხრება?! — ვხედავ მეც მაგას! მაგრამ რა ვუყო, რით ვასმინო გამოუტდელს ქალს?

— თვით უნდა მიჴხედეს, უნდა განსაჯოს! არც საფერი: ჩვენი ქალი ვერ შეიშვენევს ახალს ყოფას ვაღნიოშებულს, უნაგარიშოდ დროს ტარებას, სიცოცხლის დაწვას. აი იასე, ის სულ სხეა არის.

— ვიცით და ვიცნობთ!

— ჩაუკვირდით და შეიფასეთ! მარტო ის რად ღირს, რომ ჩვენი შვილი გულწრფელად უყვარს. ბაღლობიდან ამას შემოსტრფის.

— და რა საკვირველია, მშვენიერი მოსწონდეს ჴაბუქს?

— მოსწონს და უყვარს! რად დავიწუნებ?! ოჯახი შვილი, ნასწავლი, ზრდილი. უნარიცა აქვს კარგი ცხოვრების, ხომ გული აქვს ვაბზარული უიმედო სიყვარულისგან, მაინც ახერხებს დინჯ მუშაობას.

— რომ გულს არ ჰხედება მისი ტრფობა ქალის გრძნობასა.

— ეგრე რომ იყოს, დაეწმდებოდი. მოსწონს ამასაც! არ აჴსენბია ჴაბუქით გული, არ აღუზნობია ცეცხლად გრძნობები, მაგრამ რა ვუყოთ; დადგება ის დროც; თავს შეაყვარებს კარგი ვაჴაკი.

— მეც მენანება, გეტყვი გულწრფელად. საფასურია. ამდენს ხანს ელის, გულს არ უტეხავს ქალისაგან სიტყვის ყოვნება.

— მაშ მოდი ვცადოთ; ვაეუზიაროთ ქალს ჩვენი აზრი. ნუ ჰკარგავს ბედსა, დაჴყვეს მუდარას.

ამაოდ სცადეს. ვერ შეტრჩიეს თავის სათქმელს დრო მოწყობილი. არ მიხედა კეთილის გულით. სხვისკენ ევირა ლამაზს თვალები.

— შგლის ქონი თუ მოსცხეს საწყალ ვაჟკაცს, რომ ცუდი თვალით ეჩვენება იგი სამძივარს.

— იქნება ჯადო გაუყეთეს გრძნობის შემცვრელი.

მართალს ამბობდნენ ქალის მშობლები: თილისმა ჰქონდა მისი მშობლები. ვანა სხვისაგან, დუშმანისაგან; თავის თავისგან, უფერად გამსჯელ თვის ფიქრებისგან; დაეჩრდილა ცივ ანგარიშს მისი გულისთქმა; ვერ მოქმედებდა გული არული. ვერრას იტყოდა.

17.

— იქნებ იასე კიდევ იყო მისი იღბალი, მის სასიკეთოდ ყისმათისგან მოვლინებული; იქნებ მიეღო ქალწულის გულს იგი ქაბუკი; მაგრამ ქალი არ ჰკითხავდა თვის გრძნობათ კრებულს და... სდუმდა გული დაჩარგული, მონებული თითოყვარებისგან.

— არა! თუ იასე ყოფილიყო მისთვის რჩეული, მძლავრად შეირხეოდა მისი გული, გადალაზავდა ყველა საბრკმელს, გონებისაგან მისთვის დაგებულს; თვით გონებასაც წააპლეკავდა, გადაუვლიდა. ძლიერია გულისთქმა წრფელი; გაჰყვით, გააპობს აღმასის ეშვით.

— გონებაც რომ სასტიკია, ცივად მიმთვლელი. დასძლევს გულისთქმას და მოაშთობს გრძნობათა ყვავილს, რომელს შეჰფერის ნელნელი ზრდა, სათუთად პყრობა.

მინც მთლად ჩუმად არ იყო გული ქალისა; მოკრძალებით ეტყოდა მას კეთილ განზრახვას. ძუძუც ჰბედავდა ხმის ამოღებას, მარცხენა ბუშტი მარგალიტისა. უფრო მაშინ სთქვა მკაფიოდ გულის გუშავება, როცა მივიდა შუამავლად მამიდა მართა და გადუშალა ქალიაანთ იასეს ხეწუნა. უხერხულად იგრძნო თავი ქალის დედ-მამამ. არ შეიძლებოდა გრილად მიეღოთ პატივცემული და ცივი უარით გაესტუმრებინათ, თუნდაც თითონაც წინააღმდეგნი ყოფილიყვნენ ამ კავშირისა.

— ჩვენ, მე და ჩემს მაკრინეს, არაფერი საწინააღმდეგო არა გვაქვს იასეს შესახებ. ბალობიდან ვიცნობთ აზრიან ახალგაზრდას და ვერ დავიწყებთ.

— მართალს ამბობს იოთამე. ჩვენ თითონ იმის დამწუნებელი არა ვართ და ეს მით უფრო, რომ ძლიერ უყვარს მას ჩვენი ქალი, მაგრამ...

— რასაკვირველია, გეცოდინებათ, რომ უყვარს: იგი ამას სრულებითაც არა ჰმალავს არც სად, არც როდის.

— აქ გადამწყვეტი სიტყვა ეკუთვნის თვითონ ქალსავე.

— დიახ! შეილია ჩვენი და კეთილს ვურჩევთ; ძალის დატანება კი, თუნდაც მეტი გავლენის ხდენა, არ შეიძლება. არც საჭიროა: კარგად იცნობს იგი იასეს, თითონ გადასწყვეტს თავისსა ბედსა.

— მეც აგრე ვფიქრობ! ვაცნობოთ, უთხრათ; თითონ იცოდეს, თავისმა გულმა. სასიხარულო იქნება ჰოს თქმა ვაჟისთვის, ჩვენთვის. პირში თქმა მიჯობს: ბევრი ვერ დაიკვებებს მაგისტანა რძალს. უარს იტყვის და აბედნიეროს დმერთმა თვის გზაზე.

— კითილი! ვეტყვიო.

— მხოლოდ გახსოვდეთ: ამ ორი ოჯახის საკუთარი საქმეა ესა, არ ვასკილდება ჩვენს კარის ბუქს სხვის ახალ ამბად თუ საციცხველად ამისათვის ვიტყვირთ თვით მე შეუამდგომლობა. იასესაგან, მის დედამამისაგან, ვარ მე დღეს თქვენს კარს გამოგზავნილი. თორემ ვინ მე, მოიფიქრეთ, ვინ შექანკლობა!

— ძალიან კარგად გინებებით, მობრძანებულხართ. ამგვარი საქმის შარაზე ფენა ზიანს მოუტანს ორივე მხარეს.

ქალი მორიდებით იჯდა მეორე ოთახში, კარი ღია იყო და ესმოდა ყველაფერი. ღელავდა ქალი. კიდევ ჯავრობდა, ურისხდებოდა თავის ყმას იასეს:

— ველარ თუ ითმენს! რაკი ფუყვარვარ, მოიცადოს სულ ბოლომდისინ. სინამ ვანიშნებ. თუ მომესურვა. ღირს დიდი ჯილდო იმ მოთმინებად. დადგება ჟამი, მივითვისებ ან მთლად აღმოვფხვრი ჩემის გულიდან.

— ვიცადოს. ქალო, და როდემდისინ? გელის ვაყვაცი, მოწიფული, თავის ბედს ელის, ხელთ რომ ვიპყრია, იმ თავის იღბალს. ვაფი იჯდეს, ბერდებოდეს! — ჰყვედრიდა ქალწულს ძუძუ მარცხენა.

— თუ კი მე ვიცდი!

— შენ იცდი, ელი მოთმინებითა. მაინც უთმინოდ! დარწმუნებულხარ, უფლისწული მოგველინება, მის სწორი მაინც. შენ უცდი უცნობს, შორით მოშავალს. იასე კი... იმან იცის უკვე თვის ბედი, — ეტყოდა ურჩისა დაბრძნო-ზილი ძუძუ მარჯვენა.

— უცნობს კი არა. უსუსურო, ძვირფას ნაცნობსა, ჩემთვის მოვლენილს, ვანგებისგან ჩემთვის შობილ რაინდ როდამსა!

— როდამს მოელი?! ხელთ რაღად იხვევ საწყალ კაბუქს, შენს მოტრფიალეს?..

— კმარა!.. მიბრძანდეს! ვინ უტერს ხელსა?!

ჩაიხუმდნენ ჩვილნი, ტურფა წყვილნი, მთლად ჩაიმაღნენ, თეთრი ცრემლი დააფრქვიეს ფარჩის საბუდეს.

სტუმარ-მასპინძელთ სხვა საგანზე დაიწყეს სიტყვა. სთქვეს ამ შთისა, იმ ველისა თუ წალკოტისა. შეპატიეც ხილი რჩეული. ტკბილეული ვერცხლის ლანჯრით ქალმა მოართვა. ისე მოეწყო, სამძივარი მარტო შერჩა ვაფის მამიდას. დრო იხელთა მართა მამიდამ, მარჯვედ ვადასცა დაბარებული. ისიც შესთხოვა, დაედასტურნა მეტად ხანდაზმით ნაგრძელები ლამაზი საქმე.

დაფიქრდა ქალი. წელან ჯავრობით რომ ეტყოდა იგი თავის გულს. მოფიქრებულ-მოზომილი ეგონა კითხვა: დასკენილ უარს აპირებდა ვაფზე გამწყრალი. აწ ველარ შესძლო თვის განზრახვის მსწრაფლ ასრულება და მოახსენა:

— ვიცი, ბატონო, მისი სურვილი, მისი ვრძნობა, მაგრამ...

— რაღა მაგრამ. შეილო ტკბილო, ჩვენო ლამაზო? შეზრდილხართ ერთად ერთურთისთვის გაჩენილები.

— მაინც ვერ შევსძლებ მოგახსენოთ სიტყვა დასტური, საბოლოოდ ვადაწყვეტილი. დროთა მსვლელობას სჯობს მიენდოს საქმის წარმართა.

— შენი კეთილი სურვილია, ძვირფასო ჩვენო! მხოლოდ ერთს გიჩრჩევთ: ნუღარ ენდობით უფამო ჟამს ნურც შენ, ნურც ვაფი: მიჰქრის დროება და თან

მიაქვს ჩვენი სიცოცხლე; დაკარგულია ყოველი წამი, თუ შენს ხელთ არის რამ სიკეთე და კიდევ ჰყოვნე.

სდუმდა ქალწული. ზრდილად უხვია ამ საგანს გზა მანდილოსანსა, სხვა კვალს დაადგა. ნაწყენი იყო ქალის პასუხით: მისი სიტყვები უმარტოველი იყო დახრილი, თვით უარს ჰგებანდა. არ შეიმჩნია იგი წყენა. უფროც უმარტო ლბილ საუბარს აღერსიანსა. ქალს არ ეგონა, ესე სწრაფად გათავადებოდა საუბარი მამიე საკითხზე.

— შემთხვევს მუდარით, შემევედრება! — ფიქრობდა იგი.

ვერ აუსრულდა მოლოდინი და გულნაკლული შეიქნა იგი, თითქმის ნაწყენი. სტუმრისაკენ არ მიმართა მან თავისი წყენა. ქაბუჭებდევ გადაიტანა თავისი რისხვა.

— ვერა გქონია, ჩემო კარგო, თბილი გული, ნაზად მგრძნობარე, თორემ ჩემ პასუხს უმეშველოდ დაინახავდი. ვერ თუ მატყობდი, არ ვარ ეხლა შენი მომყოლი... მოიციდი, ვაჟო! სად წამიხველ ხრამს ჩავარდნილი, უძირო ხაროს სიყვარულისა?! — იტყოდა ქალი განრისხებული.

რით ვერ შეიგნო, რომ ძნელია მოცდა, ყოვნება?! ძნელ განცდაზე უფრო მწვავე ლოდნა, მოცდა სიყვარულისა. სიკვდილს ვადარო სისასტიკითა! იღვევა გული, იტანჯვის სული. დრო იყინება. რომ აღარ იძვრის?! ველარსად ვჰპოვებ საეანე ადგილს. შავ ფიქრების წარმომშობი სასტიკი მოცდა. ნუ დასტანჯავ, საყვარელო, მეტ ხანდაზმით შენსა მიჯნურსა!

— ვერ აპყვება თვის ბნელ გრძნობებს, ცდისვან ნაკარნახს: გაუშუქებ, მყის ვაცურნავ მისსა იარას, მოვფენ სხივებსა, ნათელს მზიარულს!

— სიმართლეს იტყვი, სათქმელს ღმობიერს! მაინც ვახსოვდეს: ყველა საგანი ან ქმედობა თვის სახეს ამჩნევს ვარემო არსსა, თუნდაც ძლიერ მკრთალს, ბრგვილის თვლით უჩინარს ხატსა. ყოველი გრძნობაც თვის კვალს სტოვებს კაცის სულშია, ბოროტი უფერს, კარგი სასურველს. ნუ გაამრავლებ მოყვრის სულში და ნურც შენს ვულში მახინჯ ლანდებსა! შეერიოდენიან მუქი აჩრდილი, შენივთდებიან; განათებულ სულშიაც კი მწუხრს წარმოშობენ.

ვის ეტყვი, ვისა? სამძივარის კობტა ყური, სპეტაკ ნიქარის სასმენელი. შევარდისფრული, დაბშული იყო ამგვარ წრთვნისათვის თვისის მფარველი ანგელოსისა. ბოროტის მთესველს უცინოდა იგი ქალწული, მისდა მიჩენილს სულს ეშმაკეულს. მასთან ერთად ეხლა მასზე ილიმებოდა, ბოროტი რომ გაამრავლა თუნდ ერთის ქრთილით: გული დაუჭირა მოყვარულ კაცს, გული კრული, ტრფობით მსჭვალული.

ღელვანი კაცი მოსვენებას ველარ ჰპოვებდა. ველარსად ვერ შემდგარიყო ვერც ერთის წამით. უთმინობა აპყლოდა ისე ძლიერი, რომ ეგონა ვერ შესძლებდა ყოფას, სიცოცხლეს. ჩქროლავდა გული. ვაჰ. თუ ველარ დაიტოვს იგი ზვირთები, გაიპოს, გასკდეს! ხომ გასწყდება სიცოცხლის სირა ჯერეთისევე ახალ არსების. ღელავდა კაცი და მთლად ფხიზელს მთვრალსავით გონი

ებინდებოდა. თვითონ 'გაგზავნა' შუამავლად თავისი მამიდა: დასტური დასცა, უხმოდ დათანხმდა. სახლმა დაასვენა, რომ მეტი ცდა აღარ ვარჯობა და ისიც დაპყვა. როდი ეურჩა!

— ამოდ-ლა აყოვნებ, კარგო: პირდაპირ უთხრათ შენი საქმედე.

— ვეღარ გაეუძლებ, მამიდავ, უარს; ძნელ გასაქირად შემეძრებოც გმელის მოშლა. მეშინის მისვან!

— გეშინის ვაეკაცს?! შიში ვერ იხსნის სიკვდილსა, ცუდია დაღრეჯი-ლობა. უფერია დიდ ბრძოლაში შიში და ძრწოლა. შენ ომში ხარ, ქალვავთ ბრძოლაში, უსრულებელ შეჯიბრებაში. უნდა შემართო მამაცურად, ბუმბერაზულად! ანუ მოგცეს განკურნება, ანუ...

— მიწისაგან ღმერთი იხსნის ჩვენს კარუმდათს! შემართვა კი უსათუ-ოდ ჰმართებს მზექაბუჯს.

— თუ ვერ მიალწევ, შენის იბლსიგან იქნება იგი გაჭირვება შენდა მიზღენილი. ბედს სად წაუხვალ?! ჭირსა შიგან გამაგრება ისე უნდა, ვით ქვიტკირსა. წავალ, ვავიგებ. წესი ესეა: ქალიანი მიილტვიან ვაჟიანთვენ, ჩვენ კი...

— წავიდეს, შვილო, მამიდა შენი. მეტის მოცდა არ შეიძლება: დამცი-რება შეიქნება შენიც, ჩვენიცა. რძალი დროზე შემოვიდეს, რომ გაიწერთანს, შეეჩვიოს სახლის წეს-რიგსა. მხოლოდ მაშინ გაახარებს კერის ანგელოსს. უნ-და ვიკოდეთ, ვინ შეგეცვლის ჩვენ ცხოვრების გზაზე. გვინდა ვხედავდეთ, რომ ჩვენს შემდეგ ჩვენი სახლი არ დაინგრევა. მაშინ სიკვდილიც საზარელი აღარ იქნება. დროა, გენაცვალე!

— დიდაც დროა! ის არ იქნება, იმფერი სხვა მოგვევლინება. რამდენი გიმშერს, ბედნიერო, მუშტრის თვალითა, ნორჩი ქალები ლამაზ-ლამაზი!

— ვერვის ჰხედვენ, ჩემო მართავ, ამის თვალები. ხედვა თუ მოსჭრა სიყვარულმა, სხვის დანახვის უნარ-მურაზი.

— სიყვარულმა... სხვებს შენ უყვარხარ! ეტრფილები, თუ შეგხვდება ქა-ლი რჩეული. ქვეიანის რჩევით?! არაფერი! სულ არაფერი!

რა ეთქმოდა საუარო და გაბედა. როდი უთხრა ქალებს უარი. უთრთოდა მუხლი, მაინც გადადგა საშიში ბიჯი საბედისწერო.

— ერთხელ გამოსაშვები სისხლი გამოშვებულ უნდა იქნას, თუნდაც სის-ხლი საწყალი გულის, მაგრამ...

რა ძნელი იყო ეს დასვენა მისთვის!

— შემოვითვლის უარს მზექალა... რა გეშველება, ან როგორ ივლი ქვე-ყანაზედა?... არ დაგთანხმდება... მითხარ, რას იზამ? სხვა გზით თუ შესძლებ წასვლას, წარმართვას, სხვა რამ ბილიკის დაკვლევას, დაქვნას?

— მაშოროს ღმერთმა ეგ განსაცდელი! მაგრამ... თავს ვერ მოვიკლავ... არც ბერად წავალ... ღმერთო და ჩემო სალოცავებო, მიჰმადლეთ სატრფოს ღმობიერება! — შეევედრა შეღონებული.

და თვალთ წინ წარმოუდგა სიონთა ღვთისმშობელი. ისე არ ჩაივლიდა, სანთელი არ დაენთო იმ ზატისათვის. შესწირავდა კოპიტიანსა. იქით დაეშვა. მიდიოდა. დედა ღვთისა ესახებოდა ცნობიერების ნათელ არეზე; ხან სამძივა-რი. ერთმანეთს სცვლიდა ეს ორი ზატი. ცდილობდა ორივე ერთად შეეჩერებინა საცნაურის წინ: ეგონა მძლელ შეხედავდა ღმობიერი ახალ სალოცავს, კე-

თილ გრძნობას აანთებდა გიუტის გულში. ვერ ახერხებდა: ვერ ეტყოდა ერთად ორი მშუქარ ფარგალში. მიართვა ფარა. გაელიმა: შას ღრეკილო მოაგონდა უტაბედად. ის კაცი ისე არ ჩაივლიდა ხატის წინ, არა ჰმობეგოდა. ამბორის შემდეგ უსათუოდ შემეცირდებოდა ხატის წინ შანაღვი დღე დღისა მოწყალებას თუ აძლედა თავყვანისმცემელს. მოდის მოსავი. კოპიტინი დადეს ხატის წინ გახურებულნი. დასწვდა მთხვევის დროს გავარგარებულს და...

გაახსენდა ეს იასეს და გაცენა. თავს შეუტია, რას იცინიო. მარცხნივ, მარჯვნივ დახურული დიდი ბაზარი. ვერ შესძლო გზის გაგრძელება, სახლისკენ შემოტრიალდა. ეგონა, რომ დღე დაღამდა. შამიდა მართა არ დაჰხვდა შინა. არ დაბრუნებულყო: ცოტა დროს გაველო. ლელვარიანთ მაშინვე არ გამოუშვეს მანდილოსანი. შეაქციეს საუბარით, ხილით. თითონაც არ წამოვიდოდა შუამავალი ისე მალე: წყენას არ დაიმჩნედა. აკი გრილად მოუსმინა ქალს, თითქო უბრალო საქმე იყო იასესათვის, ადვილსასმენი, გადასატანი. ისევ გავიდა კაცი სახლიდან. შორს ვერ წავიდა: მანძილისა თუ ეშინოდა. იქვე ახლო დატრიალებდა.

მოუტანეს ქალის ფეჭრი, შემოთვლილი მისი პასუხი. გული ეტკინა, ძლიერ ეწყინა: გადაკვეთილ თქმას მოელოდა, ბნელ შემოთვლას ან ნათელ სიტყვას, სიცოცხლეს მზიურს ან სიკვდილს ძნელსა. უკვე მზად იყო დაჰხვედროდა მასაც, ამასაც. მან შემოთვალა ძველივე თქმა, სიტყვა უსიტყვო, არარის მთქმელი. მოიცვა იგი უზომო სევდამ, გამოუსვლელმა. შემძიმდა გონი, დაეხშო გრძნობა, ჩაუტყდა მბრძოლი ნებისყოფა და...

ნამად გარდიქმნა მის თვალებში ღარდის ბურუსი: გადმოდგა ცვარად. მორთოლავ ცვარად მისსა წამწამზე, მოსწყდა, აგორდა იგი წვეთი; ჰე, ჩიმილა წვერის ხუჭუჭში. როდი შერცხვა ობოლი ცრემლის. არც მის მახლობელთ გაუოცდათ თვალთა ნაეური: ქეშმარიტ გრძნობას ადასტურებს ის მოციმციმე, ფაქიზ გულიდან წარმოშობილს ლამაზ სიყვარულს. ახ, პარტახებულს, მიზან ართმეულს, მთლადც ვაცრუებულს. რა ბედნიერი იქნებოდა იგი იასე, თვით სამძივარიც, თუ იმ გრძნობათა ამსახველ-ცრემლს მიელწია ქალის გულამდის. შეეღბო ოდნავ იგი განხველი ნაზ გრძნობათაგან მთლად გაძრცილი და ვახვეწილი: ქვიშრობ უდაბნოდ გადამწვარი, ვერანებული. იქ ეკალი წვერგანხმელი მხოლოდ-ღა ხარობს: საკუთარი არსებობის მარტო ტრფიალი.

— შენა გგონია, ვაეკაცის ცრემლი, ლამაზ გრძნობათა იგი ნაეური, არ იკარგება გაფიცებულ ქვიშრობში გრძნობის?

— არ იკარგება! თუ დაიკარგა, უკაცური გული იქნება, არც გამოდგება ცხოვრებისთვის, კაცურ ყოფისთვის: ვერ შექქმნის კერას, სანდომიანს, ვერც დარგავს მრავალრტოან ხეს სიყვარულის.

არა! ქალი როდი იყო მთლად გულცივი და უგრძნობელი: თითონაც დაღონდა, რომ ვერ შესძლო გადაჭრილი სიტყვის ვაგზავნა, თუმც კაეშანმა ვერ დააყენა ყვავილებით გარემოცულ დაქნილ ბილიკზე. ვასწირა კაცი.

— გული როდი აქვს, ჩემო კარგო, შენით აღსავსე და შისთვის ფიჭრობს ესე ცივად, ესე ხანდაზმით. თავს თუ შეიქცევს. ისევ ლოდინი ძველებური... არ მოგეწყინა?! — კითხავდა მართა.

— ნუთუ, შვილო, მაგდენი ცდა არ მოგებზრდა?! ეგ ლოდინე ლოდინით მძიმე უწინ კიდევ ასატანი იყო, რადგან არ იყო იმედ საზიზილი; აწ, მთლად დამძიმდა: გატრიატდა ის იმედი, მთლადაც გახუნდა.

— ჩემის აზრით, მოშლილია იგი იმედი. იმისთვის არ უნდა მტკნარი უარი, რომ უხერხულად მიიჩნია პირში ეთქვა მკაცრი სათქმელი.

— მოვძებნოთ კვალი, ამ უმიზნო ყოფისაგან გამოსასვლელი. ამით ცდა მამცირებელი!

— უეცარი მოქმედება, გასარღვევად ამ ჯადო წრისა. გაბედული რამ ნაბიჯი გადაამკვეთელი!

ისმენს იასე საუბარს, რჩევას. სიმართლესა ჰგავს თავისების სიტყვა, მსჯელობა. მის იმედის კოშკს ჩაჭმლია ბურჯი, თავს ვერ დაიჭერს, ვერ შემაგრდება. სხვა გზა უნდა აერჩია, სულ სხვა სავალი.

— მტკიცე ქმედობა უეცარი! მბრძანებლობა თავისი თავის! შე შინ მივდივარ — დაასვენა მართამ.

19.

ვაჟის მახლობელთ ეგონათ, ამ ზრდილობიანი უარის შემდეგ მიჰხედებოდა იასე, რომ ცდა, ლოდინი შეუძლებელი-და იყო და მაშინვე დაუბრუნდებოდა ჭკვითამყოფელთ შარას, ვაკებულს: თავს მიანებებდა ამ თვისგან მიუწდომელ სურვილს, სხვას მონახავდა თავის ბედისწერას, თავის ცხოვრების თანამგზავრს თუ ამხანაგს. ის ვერ შეეგნოთ სხვის ომში მბრძანებთ, რომ იასესთვის ძნელი-და იყო კვალულ გზაზე სელა. ჯერ ვერ იყო ამისათვის მაინც მარჯვე დრო.

იგი ვაჟაკი ლამაზი გრძნობის მწვერვალამდის იყო ასული, იქ მოთმინებით მოელოდა სიმშვენიერის ღმერთს, და განიცადა მხოლოდ ყინვა მძაფრი, სასტიკი. დიდი ღვაწლის ბოლოს არსიბარული, განპატიება... ეს ხომ გზა არის სასტიკი ტანჯვის, თვით არყოფაზე უფრო ძლიერის. წუთი იგი საბედისწერო! შესაძლებლად სცნობს პიროვნება მოუსპოს თვის თავს ცნობიერება, ბუნების ნიჭი უძვირფასესი. დარია ხელი იასესაც თვის უარყოფის მძაფრმა სურვილმა, მაგრამ უნარი ველარ დაჰყვა შესაფერი ამ მღელვარებას: შემოთვლილმა რყეულმა უარმა, მზისგან ნატყორცნმა უმზეო სხივმა აართვა მის ნებისყოფას ქმედობის ძალა. და გარინდდა თვისი გრძნობის ველარ დამკველევი, თვისის აზრისა. ვერ აესბა მკაფიო ნდობა. უსიტყვოდ-ლა მიმოვიდოდა, თითქო უაზროდ.

— ქალო, ამ კაცმა არაფერი კი არ აუტეხოს თავის თავს, ან უგვანი რამ საქმე არ ჩაიდინოს, აზრუქონელი. ჩაუვარდა ენა მეტყველი, გული ჩაეთხრო, მთავარცნობა თითქო ჩაუჭრა.

— მეც ეგ მაფიქრებს. ვუალერსებ, ვანუგეშებ, მაგრამ ამოდ. ისე მიმზერს, თითქო ესმის, მაინც კი ვერ შეუგნია ჩემი ნათქვამი.

რამდენიმე დღეს ვასტანა ურკვეველმა ყოფამ, ბინდბანდმა. ერთი რამ ცვალემა კი დაეტყო ვაჟაკის ქცევას: აერიდა ქალის სახლს თუ კვალს. აქამდის რომ ყოველ ღონესა ხმარობდა ენაბა ქალი, შორიდან მაინც გაეგზავნა

უსაღმოსთვის თვისი სალამი, ეხლა ცდილობდა არ შეხვედროდა თუნდაც შემთხვევით, არ დაეკრა ქალისათვის თვალი მსურველი. მათ კარგნულ ალარ დადიოდა მიმომავალი, თუმცა ის იყო მისთვის გზა მარჯვე; ქვეით-ქვეით ეშვებოდა უხერხული ქუჩით. შენიშნეს ეს თავისიანებმა, ნუგეშს იქნეს უგონათ, იმისა თაემოყვარებამ აიმაღლაო ხმა, შეიკრიბა ძალა სამოქმედო და შესძლო ნებით დაშორებოდა თვის მისწრაფებას, უკვე უწლომელს.

— ღმერთო, შენით, ჩვენი იასე იკურნება შეუძლებელ თვის სურვილისგან. კარგი სიკეთე გვიყო მამილამ: საშალი დაჰკრა მის გულის მუწუქს, პირი უჩვენა; დაიკლება მშხამელი ლორწოდან, განიკურნება.

— შენა გგონია?

— ცხადდა ვხედავ! უკვე შესძლო უმის სახოდ ყოფა, გაძლება; არ იხედება ლელვარიანთკენ.

— ვაი თუ სასომოხდილის მოძრაობა იყოს ეს და დათავდეს რამ უგვიანობით. მე ეს მაწუხებს.

— მაშ ისა სჯობდა, რომ უაზროდ, უშედეგოდ თავს ევლებოდა?

— თითქმის მერჩივნა! ძლიერა ვშიშობ, არ დაენაცვლოს გარინდებას, უსიტყვოდ ყოფას ბოროტი საქმე, შავი ქმედობა.

— ვადაკერით ამბობ! რა ბნელი ფიქრი?

— აბა რა ვიცი! უნდა კი მოჰყვეს ესეთს ყოფას რამ ქმედობა ცხადაზრიანი: ან საქციელი უგვიან-უფერი, ან მოქმედება საღფიქრიანი. ვერ შესძლებს დიდსხანს ამგვარ ცხოვრებას, გრძნობა, აზრებ და სურვილებ ჩადუნებულ არსებობასა. დადგება ჟამი ქმედობისა ავის თუ კარგის. სიფრთხილე გემართებს, ყურმახვილობა!

— დაარიგე, უთხარი რამე.

— თქმა, დარიგება არავითარი! მითომ ვერც ვამჩნევთ სახიფათო მდგომარეობას. მხოლოდ შორიდან ყურისგდება, ხელის შეწყობა.

მინც არავითარი დარიგება თუ გზის ჩვენება არ გასჭრიდა ეხლა, ვერაფერ ვავლენას ვერ იქონიებდა მასზე, ვერც სამოქმედოდ დაჰკვართავდა მას ჩვეულებრივ ცხოვრების გზაზე: ეხლა, ჯერხნობით, მერმე კი... რახან ვადიარა მძაფრი გულისთქმის პირველმა წუთმა და ელდისებურ მოქმედებაში არ აისახა, სხვა რამ სადენი აუჩნდებოდა თვის ცის ტატნობზედ, სხვა სავალი საარსებო მთელ ცხოვრებაში. კიდევ მოსჩანდა შორს მჭრქალ ხაზად ახალი შარა. ვავიდა დრო, დაახლოვდა ეს მომავალი. ყური მიუჰყრო უსასოქმენილმა იმ მოძრაობას თავის სულისა, რომელიც დარჩეულიყო მის არსებაში და ნელ-ნელა მიიწევდა ცნობიერებით განათებულ მიდამოსაკენ. მოდიოდა და მოჰქონდა ახალ ცნებას თვისი სახე განსხვავებული. არ უდრიდა მომავალი განცდილ გულისთქმას. ეს ცხადი იყო. ის კი არ სჩანდა, რა სახე ჰქონდა ან რა ნაკეთი: არ იყო ჯერ მის ალაღმა ქანდაკებული.

იტოს: ბინდბანდით მოცულ საღაროში კაცის სულისა დიდ ზინთად ახვავია ცნება, გრძნობა შეუცნობელ-შეუგრძნობელი, ბუნდად სახული, ჯერ მკაფიოდ არ ახატული და მის გამო ქმედობის ეშს აცილებული.

შეჩვეულ გზას ვადამცდარი, ახალ საგანის ჯერ უქონელი იასე რინდებულ ყოფის შემდეგ დიდმა მოუსვენრობამ შეიპყრო: ალარ იცოდა როგორ ეცოცხლა, სად ეცხოვრა, რით აეცხო მიზანშლილი თვის არსებობა. და აგორ-

და ბურჯგამოცლილი: ასკდა ოჯახს, შუკას, უბანს. ასკდა ადგილებს, სად მეფობდა ზრუნვა თუ შრომა და ეახლა უქმთ სავანეებს, საღებურ ეტემებს. აქა სწვავდნენ თვის ცხოვრებას უზრუნველები; ანიაებდნენ უსაქმონი ხევებულ ზინეთს. აქ სიამეთა ყვითელს ტახტზედ კპოვა ტოლსწორი შესაბამი თვის ყოფაში და შესაფერი. ასცდნოდნენ მყუდრო კერას მოქეიფენი, ოჯახას ტვირთს, მოქალაქის მოვალეობას.

ვერის ბაღნარი, ორთაქალა, კრწანისის, ვაკის საღბინოები, მტკერის პირას წალკოტნი საგრილობელნი. ძმური შექცევა, ცივი ღვინო — ლალი გამდნარი, მწვადი ცვრიანი, ქალი თმინი, ტბილი ღუღუკი, აშუღების აღმტაცი მღერა. აუშვა წყნარმა იალქნები, ააფრიალა. აუშვა სადავე თავის რაშსა ფრთოსანს. სურვილით მსურდა მიეცა თავი დავიწყებისთვის, ჩაეღრჩო დარდი სიმთ ყლრიალში, წითელ ღვინოში, შიქასტის ხმაში.

ივლტოდა კაცი თავის თავისგან; მსურდა დაეთრო, მოეშხამა ცნობიერება, შავ სურათთა მშენებელი თვისი გონება, ავ. ტალღებად აქოჩრილი გრძნობათა თვისი შესაკრებელი. ცდილობდა ძლიერ, ძალა მიჰქონდა. ერთს ეამს კიდევ მოახერხა ტლანქთა სიამეთ მორევში ცურვა, მხოლოდ ერთს წამს! ვერ განეშორა საკუთარს თავს, თვის ბუნებრივ მისწრაფებათა. დარდი ვერ ჩაჰკლა ვერც ერთის წამით. უსახო სახე ბნელის სევდისა. გამდნარი ტყვი იძვრის, ქანაობს გულის ფსკერზედა. უქარებელი კაეშანი უღეწდა ფრთებსა ყოველ სიამეს, თავდავიწყების ძალას უსაზობდა.

— მაშ აგრე, ჩემო სიცოცხლე?! შემთხვევისთვის ჰყევხარო შენ ჯადოქარს ბმული, უილაჯობის წამისთვის, იმ მძიმე დროისთვის, თუ სხვა ყველა მისწრაფება მოუტდებო. მაშ არ გიყვარვარ? რომ არცა ვძულვარ! — იტყოდა ვაეი.

და ფიქრობდა, ნუ თუ მართლა მთლად არ უყვარდა იგი სამძივარს. ვერაფერი ვერ დაესკვნა დადასტურებით: ირყეოდნენ სურათები მოგონებაში; პაზრის მაძიებელს ვერ ეპოვნა მკვიდრი ბურჯები.

— ალბათ, ეხლა გონის სარკეშიც კი ვერა მხედავს; თუნდ დამინახოს, ჩემი მზერა გულს შეუბინდებს: ალარა აქვს მის მახლობლად ჩემს ყოფას პაზრი. ეხლა ჩემთვის ის სიახლე უფერულია; სამძიმოა თვით სამძივრისთვის. მოპშორდი ქალსა ლამაზ თვალთაგან, სასტიკ თვალთაგან, ჩემთვის მშრალთაგან!

რა მშენიერად გიხდება ეგ ეფელა თვალები,
დახუჭულნიც შენახოს, თუ არ შეგებრალენის.

- არა, გენაცვა, შენ იხარე, იბედნიერე! დე, დაიხუჭოს ჩემი თვალები!
- მაგრამ, ბიჭო, დღეს საით გინდა? კრწანისისაკენ? წოწოქას ბაღში?

წინანაური. მცირე შეღმართი შეფენილი. რა ბოსტანია, რა ხილველი! ვანის თალრები. ყვავილნარი, ტურფა წალკოტი. ადგილის ეშხი უხვი წყარო, მის სილამაზე. ზედ წყაროს თავზედ ვაზთ გუმბათი, ტურფა თალარი. ვად-მოპყურებდა აღმა-დაღმა დაქსელილ გზასა. ცივცივი ღვინო. ახალი თევზი

ვაზის ფოთლებზედ. ეს მოთაღია, ღმერთო ჩემო, თუ კარაქია?! რა მწვადე-ბია! იხარე, სულა!

- არ მოდიოდი, შორიო, მეუბნებოდი.
 - შორეული და რა ლამაზი! ქალაქის პაერს, მის ტრიამფალს შორიდებუ-ლი. სოფლის ნატები ისევე ქალაქში.
 - მაინც შორს არის იასესათვის.
 - რა წაავო, რომ ვაბედა ფეხის გადმოდგმა?
 - კაცო, იასე, ველარ მიცვნიხარ: აქამდის მანძილი შენი სიონიდან გა-რეთუბნამდის, ქაშვეთის ბალიდან მტკერამდის, ეხლა კი...
 - ეხლა კი, ძმაო, იცვალენ დრონი.
 - თუ გაიძაბა ის საბელი, მოკლედ რომ ჰყვანდი ადგილს მიბმული.
 - მაშ ჰფონებია.
 - მომილოცავს ყალთაღად ყოფნა!
 - აწ კი იგემებ ტყბილსა ნექტარს თავისუფლების. რა სჯობია იმ და-ლოცვილს წუთისოფელში?!
 - ტყვეობაც რომ მშვენიერია...
 - სასურველი პატიმრობა, კარგი ტყვეობა?!
 - სიყვარულის ჯინჯილებით შექედ-შებორკვა...
 - კარგია ერთი!
- შეუბერეს. ააჩქამეს დუღუქ-დაფდაფი. ბერათ დასების ეშხიანი იწყო შეშპარი.

ამოდული, მარგალიტო, ნაგუბარში ჩადგა, წყალო,
არც ისეთი ლამაზი ხარ, რა თავს იმაღლები, ქალო!

ააყოლეს ძმაბიჭებმა ხმა მომღერალთა, შესაქცევად გამოსულმა მურაზ-სრულებმა. შესვეს, ჩაღლიეს წითელ-წითელი. შეზარხოშდნენ, აელვარდნენ, ააღისფერდნენ. მოქეიფენი როდი იყვნენ თავაშვებულნი სულ ყველანი, ლოთი-ფოთები. ერიენენ მათში ოჯახისშვილნი, უნარის მქონენი ვარგი შრომისა, მომლოდნელი საკუთარის ლამაზ კერისა, უცილებელ მომავლამდის ლად ცხოვრების მატარებელნი. ჩაებმებიან უზრუნველნიც მძიმე უღელში, ჩადგე-ბიან წინათაგან ნაანდერძებ ცხოვრების კვალში და აამებენ საგვარეულო კე-რის ანგელოსს. ეს იცოდნენ მათ, ხედავდნენ ამას. იასეც ხომ ერთი მათგანი.

— დღესაც რომ არ შემოვიდა სახლში ის კაცი! ვადაჰყვა ლოთებს, მათ-თან ერთად დროს გატარებას...

— რა უშავს, ქალო?! დე, მიდგეს-მოდგეს, გაინფარდოს, დრო ვაატა-როს თავის ტოლ-სწორში. ვადეწმინდება მღვრიე გრძობები და შეჭხედავს საღის თვალთ თავის ყოფასა, აზრიანად შეაფასებს თავის ქცევასა და...

— შეიძლება მართალსაც ამბობ! სულ ამ ქალის შურაში იყო, ეგონა მთელ დუნიაზედ სამძივარი მხოლოდ არსებობს.

— მე, დედაკაცო, ყოველთვისინ სიმართლეს ვამბობ, იმიტომ ვირჩევ, რომ დამიჯერო...

- ჰა, იასე, არ წაიქცე! როგორ ტორტმინობ?!
- არა, ჭვინტი მომელო, დავაბოჯე და...
- კიდევ კარგი, ხშირბინდია და შენი სატრფო ვერ დაგინახავს, თორემ...

— ეჰ, დამინახოს! სულ ის არის მის მიზეზი, საბლზედ ვული რომ ავიც-
რუე, მუშაობაზედ. ჩემი საქმეა ორთაქალა, ყანწებით ღვინო, დუღუკი, ცეკვა?
არც ისეთი ლამაზი ხარ, რა თავს იმადლები, ქალო!

— მართლა და თავი შენ მზექალად დავისახია!.. ჩემთვის მზექალა
ლამაზი ხარ, სხვის ნატეხი: ვისაც ვინ უყვ... მაგრამ რომ ესინჯოთ განა აღარ
იპოვება ტურფა ქალი შენი სადარი? მოიპოვება!.. აგებულობა ცოტა მძიმე,
ნორჩობაშიე ფუტებული, დამსხვილ..

— ხანსაც გასცილდა, შენ იძახი ნორჩობაშიო?!

— შენი ჭირიმე, ჩემთვის ჩველო, ნორჩო, ახალო!..

— რომ დადიხარ, ცოტად სტკეპნი, ფეხს ვერ აშუშპრ... ვაჰ, საყვარე-
ლო! მკერდს მიტკეპნიდეს ფეხი ფუნთუშა...

— არც რომ ცეკვა გებერებდა, რხევა კისკასი... ნუ, გეთაყვანე! შენი
რხევა მზის სხივების ჩემთვის დაველური...

— მაგრამ როცა ზის ყელღერებით... უჰ, ნეტა ერთი მაკონინა შიგ
ყელში შენთვის!..

— ცოტა მოხრილ... ერთი მითხარ, რაში მწუნობ? უწნო ვინმე ვარ,
უგერგილო ან უმურაზო? განა შენ კი...

არც ისეთი ლამაზი ხარ, რა თავს იმადლები, ქალო!

— ჩუმიად, იასე! ცხრა-ცხრა ადლია? დაჰკარგე ლალი, უცხო თვალი და
აწ წუნსა სდებ ტურფას უხინჯოს?!

ვაი, რა დავკარგე: ძვირფასი ლალი!

ცხარი ცრემლი მდის, არ შრება თვალი..

— ეჰ! ეხლა მივხვდი, განზრახ ჩამიმღერა დავრი-შვიგუამ. ალბათ, იცის
ჩემი ამბავი, გაუგია, ქალმა დაიწუნაო და ის მასმინა. აი, თუ მაშინვე მი-
ხვდარ...

— ბიჰო იასე! რატომ ეგრე დასწყვიტე თოკი და მთლად დაზეზდი? განა
გშვენის ეგ გაქსუება, ჩვენს კარგს ოჯახს შეეფერება?

— მერმე რა მოხდა, მამა ჩემო, რომ ეგრე სჯავრობ? ამხანაგებთან გა-
ვიარე, კარგ შეგობრებთან...

— იცი, შევლო, მართა მოვიდა, მამიდა მართა. შენ გკითხულობდა, სად
არისო ჩემი იასე.

— ასდღელებია ქოთან-კოჭები სიყვარულისა. შენ ხომ შინ იყავ, რალად
ვუნდოდი?

— ძლიერ მინდაო მისი ნახვა. იცი, უყვარხარ. საქმეცა ჰქონდა რალაცა
შენთან: დედულ-მამულის ქალადღები ამოეტანა.

— ეგ სხვა სიტყვაა! ხვალ მობრძანდეს ჩემს სამდივნოში და...

— რა გელაპარაკო ნასევამ ვაჟკაცს, რა გაგავრონო? მამიდა მართა სამ-
დივნოში? შენთან აქვს საქმე, პირად შენთანა!

— ნასევამ კაცს! განა შთვრალი ვარ? არა! ისე დროს ვატარებდით: ცო-
ლა ღვინო, სამხარი მცირე, ტკბილი დუღუკი... საქმე მამიდას? რა საქმე
ჰქონდა?..

არც ისეთი ლამაზი...

— ჩუმი! ნუ ჰკივი! ბარემ მეზობლებს გააგებინე გაქსუება, სახლის გარედ შენი ქეიფი.

— აჰა, დაეჩუმდი...

დაუფხდა ვაჟი, არას იტყოდა, აღარც მღეროდა. არა! ამზობდა, გასძახოდა მხოლოდ უხმოდა: არ ჰშორდებოდა უბგერო ფრასა აღევნებული. ვერც იმ ფიქრს გადუხვია, ერთხელ აღებულ ხაზს აზრისასა: სამძივარის ხინჯს ეძებდა, მის ნაკლულებას. ეინი ააჩნდა აწ მის მსჯელობას, თორემ გული არ სჩრდილაედა სატრფოს აღაღმას. უკვირდა ძლიერ, რომ ჰბედაედა თუნდ უთქმელ სიტყვით სამძივარზე მუქ მსჯელობასა.

— ჩუმიდა ხარ, იასე ჩემო, მაინც დადუმდი! აუსახელ სიტყვის სახეც უნდა ჩაიკლა. იგი ქალი არ შეგინდობს უფერ ჰაზრებსა. ნაზი არის მისი გული და მგრძნობიარე; მეცანია იგი ქალი, მანძილზედაც დაინახავს უფერ შენ ფიქრებს...

— რად იქნებოდა ჩემთან მამიდა? რა საქმეები პირად ჩემთანა? ეჰე, იასე! იქნებ სხვა ბედი აგჩინა, მნათი ახალი მიბნედილ ცაზედ. როს ჩავისვენდა მთვარე შენი, იგი ვარსკვლავი აღმოგობრწყინდა... არა! მთვარესა მცხრალსა ვარსკვლავმან ვითამცა ჰკადრა მტერობა?!

ღვინისაგან დანისლულმა იასეს გონმა მაინც შესძლო მამიდაის განზრახვამდის კვალის მიტანა. აღლომ თუ ამცნო სავალი სწორე. ახალ რჩევით მისულიყო მანდილოსანი, დამაფიქრებელი სიტყვა ახალი. კარგი ჰქმნა დედამ, არ გაუმხილა ის განზრახვა ნასევამ ვაჟეაცს, გრძნობა არეულს: მას დაკვირვება ეჭირვებოდა, ცხრაჯერ გაზომვა და ერთხელ მოჭრა.

— ერთის ფეხით გაასწორა მართამ.

— კარგი, ვერ შეჰხვდნენ ერთმანეთსა. ხელსაყრელია მისი რჩევა ჩენი შეილისთვის, ჩვენ ოჯახისთვის. მაგრამ აღრეა: შეუზორცდეს გულის ქრილობა, შესძლოს თვის ყოფის შეფასება ღირსეულადა და მაშინ...

21.

იასეს რომ აპფურტნოდა ცხოვრების შარა სასურველი, ჩაჰბერგოდა და შეჰქმნოდა მთლადაც უვალი; მის მახლობელნიც რომ ჰლონობდნენ სურვილის ჩაშლას, უარყოფას თვისის აზრისა და ცდილობდნენ წარემართათ სხვა გზით თვის საქმე, — არც სამძივარი გულსავსეობდა სახე მლიმარე. მის მახლობელნიც ვერა გრძნობდნენ გამარჯვებას განდიდებულად და ისწრაფოდნენ დაეველიათ ქალის ბედი ახალ სავალით. შეუთვალა ქალმა ტრფილის თქმა ბუნდოვანი, უფრო უარი. არ იმედის მასწავლებელი, მაგრამ მერე დაენანა იგი თვისი თქმა.

— რასღა ელი, ნეტა ვის უცდი? გაგილიმებდა თუ შენ ბედი, კარგი იღბალი, აქამდისიც შეგკონავდა ის შენ აღერსით. მოვიდა შენს კარს მხოლოდ ეს ვარგი, ეს ერთად-ერთი; მასაც უარჰყოფ, რის იმედი გაქვს?

— რადაო, ქალო, ის ერთად-ერთი: ბევრი შენუკვა იასეს გარდაც.

— რალას ჰყოენიდი?!

— შა, პა, პა! ვანა სხვა ჩემი მთხოვნელები ღირსნი არიან თუნდაც პასუხის? ტოლი მონახონ, თვისი საფერი! იასესაც ვერ შესწვდებიან.

— მაშ?

— ეჰ, იასე მხრებამდინაც ვერ ასწვდება ჩემთვის აღნიშნულნი. — მა! ცხადად ვხედავ მე იმ ქაბუკს ყოვლადშემკულსა! მის შედარებით როდნძიკ კი...

— თითონ როდამი?

— არა, არა! ისეთია როდამი ჩემი. ნამდვილ ის არის ყისმათისვან ჩემთვის ჩენილი. მის გვერდზე მნახვენი იტყვიან ერთხმად: ერთურთისათვის მოვლენილნი წყვილი ლამაზი. შემოგენატრებენ, ჩვენი ბედი შეეხარბებათ.

და იბრძოდა ქალი აჩქარებით, ყოველ ღონესა ხმარობდა დაახლოვებოდა იმ რჩეულ ვაჟკაცს, მიეჭკია მისი ყურადღება.

— ოღონდ კი ერთი დააკვირდეს იგი ჩემს სურათს და მოეჭრება უთუოდ თვალი, მოიხიბლება.

იმის ცდაში იყო, როგორმე შეჭხვედროდა როდამს ვითომ შემთხვევითათვალეირებდა, სწავლობდა მის ვზას; იმის ცხოვრებას, რომ შესაფერად მიემართნა თვისი ზრუნვა, თვის სავალი. და მოახერხა: მის მეგობრებში აინდნენ ისეთნი, რომლებიც იცნობდნენ იმ ვაჟს, სცოდნოდათ კიდეც მისი ცხოვრება. ჰკითხავდა იმათ სამძივარი, მითომ შემთხვევით. ბევრი მაინც ვერ იწვრილა: ცოტა ვაეგოთ; არ ყოფილიყვნენ ვაჟის წრისა, მისი მიმყოლნი. მაინც მიაგნო მახლოვებულ ბილიკს პირდაპირს; და კიდეც შესძლო მასთან ერთად ზეიმში ყოფა.

— დედი, დედიჯან, ღღეს ბაზარში ფარჩა ვნახე, თვალი ზედ დამრჩა.

— როგორი იყო?

— დაფოთლილი მწვანე ხასხასი.

— როგორი მწვანე, ღია თუ ყინწი?

— გიყიდი, კარგო. მაინც მინდოდა საკაბის ყიდვა ქორწინების მეორე დღისთვის. დამშვევდება, სარტყელი და გულისპირი თუ შეუხამეთ; უნდა ფრთხილად აეარჩიოთ ფერი და ნაირი, ზონარიც კი ჩასახლართავი.

— ცოდვა არის ძველებურად მისი შეყერვა, ისევე ქართულად.

— მაშ როგორ, ქალო? ფარჩის კაბა და...

— კინოლინზე სახმარებლად, ახალნაირად: ჩაქ-ჩაქსულებით, ნაოჭად სხმულ ქოქაბობით. ფოლაქებით, ფანცა-ფარჩის მარყუშებით ლამაზ-ლამაზით. კობტად იქნება ჩემს შაპოსთან შეხამებული.

— კინოლინზედა?! სად გამოდგება; გენაცვალე, ეგრე ნაკერი? მაგვარ სახით ირთვებიან ვარემავალნი, თავის სახლის ზღურბლს ვადასულნი, ვაცილებულნი, დარბაზების, შეჯლიშების მუღმივი სტუმარნი. თეათრ-ყაბაბი, ქუჩა-ბაზარი, ხელჯაგაიანი რაინდები გალაღებულნი; ღირფი წაწლობა, თავწასული ურცხვად, საჯაროდ. შენი საქმეა? ჩვენის ოჯახის საფერია ეს?!

— კარგი, კარგი! არამინდა რა! ოღონდ არ ხარჯოთ და თქვენს შვილებს ამოაღრჩობთ ოთხს კედელ შუა, მზეს ჩაუბნელებთ.

ვაფიცებდა, ვაწყრა. ხმა აღარ გასცა არც დედას, არც სხვას. აღარ მიხედა აღარც სახლს, არც კარს, წამსვლელ-მომსვლელსა. შეუყერეს, გამოაწყყეს ახალ გემოზედ. სურათს ემსგავსა სანიმუშოს, უცხოებით მიღებულ ხატს გა-

ცოცხლებულსა. მოუწონა შინაობამ ახალი გემო. გულსავსე კი როდეს იყო ეს მოწონება: საგრძნობლად ეხებოდა ოჯახის დოვლათს. ჯერ რა უნებდა! მაგრამ ქალი დასდგომიდა მოლიტყულ სავალს, სად ნაცურ ნაბიჯს უცხილებლივ მოსდევს მეორე, სხვაც მრავალი შეუკავები. რად უნდოდა უცხოურთა-მორთვა-მოკაზმვა, თუ ვერაინ იხილავდა ახალ კანიანს? მეზობლებში: მახლობლთან სასიარულოდ ან საყდარში წასასვლელადა? რა საჭიროა? და ნელნელა მიიხარა იმ თვის აზრისკენ, აბეზარად აყოლებულ მისწრაფებისკენ, რომელიც მუდმივ თავს ევლებოდა და მიუთხრობდა:

„კარგი, გეყოფა! ვასციდი სახლის წრეს მოჯადოებულს; გაიტანე საქვეყნოდ შენი მშვენიება! ვნახონ; ვაფასონ; დასტკბენ; დაგატკბონ. ჰპოვო საფერი! არ ამოსცილდეს ბრწყინვალე მზე ზეგანს, მთა-გორებს, როგორ მოჰყვინოს თვის სხივები და მოსჭრას თვალი ყოველ სულდგმულსა, დაბლა დახაროს სათაყვანებლად?!“

აიღვა ფეხი, ვარეგარე იწყო რონინი. რამდენჯერ მოჰყვა დიდკაცობაში, დიდ-დიდ ოჯახის წევრულთა შორის! რა ხმაურობა, ღიმილ-სიცილი, ცქრიპა-ლი, ფრენა! მოხდენილი არშიყობა გამოწრთობილი. საუბარი, ჭიკჭიკი, მღერა. უცხო საკრავთა ხმატკბილი ეღერა. პირდაპირადი სიმშვენიერე მოძრავ-მორთოლარე. ელვის ბუნჯგალთა ანარეკლია?! დავლურს უვლიან საკრავის თვლებზე ცელქი თითები, შირმაიდან ურჩეველი მოცეკვავე შაქრის თითები. ტაში. შექება, კვლავ თხოვნა, ხვეწნა. ნაზებული ჯიუტობა ბედნიერისა.

„მე კი... სად შევედრები? როგორ შევსძლებ ავყვე ამგვარ ახალგაზრდობას?! აი რჩეულნი, განათლებულნი! ჩვენნიც იტყვიან, შეილებსა ვზრდითო...“

ჩამორჩენილად დასახა თავი თავის ტოლ-სწორთან შედარებითა: აგრძნობინა ამის განცდამ უზერხულობა. ძნელი მორცხვობა! წარხდა უნარი მიხერამოხერისა, მსუბუქ რონინის მოხდენილის მოძრაობისა. საუბრის შნოც კი აერთევა ჭკვიანს ქალს შემერთალს; მისი სიტყვა ამოიწურა. გრძნობდა ამას გულშემღვრეული, კიდევ ჰხედავდა. ვერ მოჰრეოდა თავისვე თავს, ვერ აბრუნებდა შეეცვალნა ვარემოება და... დაჰკროდა თვის სკამს ქანდაკებად გაქვეავებული. ბოლოს მაინც შეჰმართა თავს, მოავლო თვალი არემარეს; მსურდა ეპოვნა თავისავით გარიყულები: იმათ ჯგუფში ჩასადგომად ემზადებოდა. იპოვნა კიდევ!

კედლებთან ისხდნენ ჩაცოლებით უფრო ხნიერნი, მანდილოსნები. გზა და-ელოცნათ ახლებისათვის. შეექცეოდნენ კრიალოსანს, ჭორებს, ძველს, ახალს წარსულს აქებდნენ აწმყოსაგან გულნატკენები, შავი მომავლის მოშიშარნი, მისგან შემერთალნი. მიმოავლო ლამაზმა თვალნი. შეკრთა. იწყინა.

— მეც ხნიერებში, ცხოვრებისგან გაბიჯებულთ რიცხვში თუ ჯგუფში? მსწრაფლ აიტკრიცა. ბოღმის ბუშტი ყელს მიეტანა. ცრემლებამდის მიიწურა მიტოვებული და...

— ქალბატონო სამძივარ! თქვენთან ცეკვის ნება მიბოძეთ, — მიეხმატებილა რაინდი როდამ და მოხდენილად დახარა თავი ქალწულის წინა.

შეაკრთო ქალი დამსხნელომა ხმამ მოულოდნელომა. მარჯვედ დაიძრა. გაჰყვა ხალისით. მაგრამ... როგორ დაფრინავს, ღმერთო ჩემო, იგი ვაჟაკი! თვალ-

უსწრები მოძრაობა, ელვის სისწრაფე. საუბარსაც რომ ახერხებს ბზრიალ-ტრიალში ჯადოსანია... ესმოდა ქალს მისი სიტყვა. პასუხს ვეღარ ახერხებდა, ვერ ესროდა სიტყვათ ყვავილს სამაგიეროს: როდი ეცალა! მისი მთელი ყურადღება — ფერხთა ხმარებას, ტანის მწყობრად მოძრაობას; ახალ რეცეპში როდი იყო ხელოვნებური, ვერც გაწაფული; შუშპარ-თამაში ჩვეულებად ვერ გარდაქმნოდა. მაშინ კარგია! თავისთავად-ღა სწარმოებს რხევა თუ ფრენა, აღუღებს გრძნობას, ზე აღაფლენს, სასიამო გრძნობას ჰკვესავს აღმატყინებელს. ვაჟი კი... თავის ქარგაშია, დალივლივებს შეწყობილ ხმებში. ჭრელი კალმახი მფრინავ-მსლტომი წყალთა ჩანჩქერში მავრამ... გრივალევით ბზრიალ-ტრიალში მომძიშო ნალოდ აპყოლოდა მას სამძივარი; დაღმავე სწევდა აღმაფრენილს, ეზიდებოდა. სად წავიდოდა კეთილზრდილი?! თავის ზნეობრივ ვალს ასრულებდა, გულდადებით თავის ხვედრს საშრობს.

— ღამაზი ქალია, უხდება ჯდომა, მავრამ შეხედე, როგორ მძიმე მიხვრა-მოხვრა აქვს.

- ვადევნებ თვალსა, ტლანქია თითქმის.
- სრულიად არა აქვს ჰაეროვნება.
- ვერ უჭირავს შესაფერად ტანი ღამაზი: მოკრკალეებულა თაჭილუ-ნული.

— მოქნევით უელის, დიდ წრეს აკეთებს.

— იმიტომ ჭარბად უფრიალებს კალთა კაბისა, გვაბერტყავს მტვერსა; ფეხსაც უშიშვლებს.

- ყველამ არ იცის ეს ხელოვნება; ზოგი ვერც შესწლებს უწნოდ ნაშენი.
- აბა რა ვუთხრა წელთა სიმძიმეს... კი გიჩვენებდით როკვის მუსიკას!
- სწორედ მუსიკას! თამაშობა შუშპარია; ბრაციბრუცი თხამაც კი იცის...

მართალს იტყოდენ გამკილაენი, აენი ენანი. თითქოს ზედმეტი ხორციელი დანაქეთილობა ხელში საგრძნობლად მოსახვეჭი, თუ მოსაწური. განა ცუდია: ეშში მოიყვანს, მურახსა სწევს ნივთის მოყვარულს. ვერ ვარგოდა ჰაეროვნად მეტყველებულ შუშპარის დროსა ეთეროვან მიმოხლტომის დღესასწაულში. ვათავდა ჰანგი, მისივე ადგილს მიაქროლა ვაჟმა თვის ცალი.

- დიდადა ვმადლობთ, ქალბატონო, ჩემთან ცეკვისთვის.
- მაგას რას ბრძანებთ?! მეც გმ...

დროზედ შედგა: იგრძნო, იმას არ ამბობდა, რაც უნდა ეთქვა ზრდილობიან სიტყვის პასუხად, ალლოთი მიჰხვდა: არა ჰჭონდა მოსწრებული საპასუხო ნაზებირები, აღარც უეცრად მოადგა ენას. უკუდგა ვაჟი, გადადგა ბიჯი და უშინველად ხელმანდილით დასწვდა ფეხთსაცემელს: უცაბედათ თუ დაჰკრა ფეხი სამძივარმა იმის მაშისა. შენიშნა ქალმა ეს მოძრაობა და აიღუწა: თითონაც იგრძნო, რომ ცეკვის დროს ფეხი შეაზო.

ერთხელ შემკრთალმა, შეკუმშულმა ვერ გაისწორა ქცევა თუ სიტყვა. მოუზომელად მოსდიოდა მოძრაობები; დაკუთხულიყო მის ქმედობა, რეალულ წრის ნაკვითი ასცილებოდა. უგემურმა ქცევამ, სიტყვამ უკვე დაბინდეს მისი სიტურფე. მზექალა კი აღარ იყო, სიღამაზე მინიჭებული, ქალი იყო სულ უპარალო.

უბირად ზრდილი. შემთხვევით თუ მოჰყოლოდა დიდთა კრებულში და არ იცოდა თვისი გეზი გაწრთვნილთა შორის.

კარგი ვახშიში გემოგაწრთვნილთ საალერსოდ შემზადდებულნი ქალს აქაც დაჰყვა უშნო გრძნობა უვარგისობის და გაახევა, მთლად [წაფრფრე] მტკნილობა, ქცევის უნარი. მხოლოდ ერთისკენ მიიქცა სამძივარის ცდა: არ ჩაედინა უფერი რამ და უნებლიედ არ მიეპყრო ყურადღება მეზობლებისა, მორჩა ვახშიშიც. იწყეს სტუმრებმა დამშვიდობება. ქალმაც ჩაიცვა სათბილობელი და გამოვიდა. კარგა შორს იყო იმისი ბინა. გატეხილიყო ღამე უმთვარო. ქუჩის ლიფლიფა ძლივსა ბეუტავდა. საშიში იყო ქალისათვის მარტოკა წასვლა. ვერ შეაყენა ფიქრმა თუ შიშმა, ოღონდ გამოსცლოდა სამძივო ყოფას.

თუ მასპინძელი ძლიერ გართული არ ყოფილიყო წვეულების გასტუმრებაში, მოიფიქრებდა, როგორ უნდა წასულიყო ქალი უმზღებლოდ; მაგრამ საფიქრად არ ეცალა. ხელი მისცა, დაემშვიდობა. სამძივარმა დაინახა ქალის თვალეზში, რომ იგი იმ წამს ვერც არჩევდა, ვის ისტუმრებდა; შეუგნებლად წარიტყოდა დასწავლილ ფრაზებს.

„ჰა, ჰა, ჰა! გვერდს მოგდევს ტურფავ, როდამ რაინდი. რა ვიალერსებს!

— ძალიან ბნელა, მშვენიერო! ნება მიბოძეთ, რო შეგთხოვოთ: დაეყრდნოთ ჩემს მარჯვენასა.

— გმადლობთ, ყმაწვილო! რადა სწუხდებით.

რა მტკიცე მკლავი! რვალისა არის ეს დალოცვილი. ეჰა, ვიპოვე სანატრი ჩემი! სურვილით დამშწერს, ასცეცხლებია ვაჟკაცს თვალეზი. როგორ სწყურია მომეახლოს, სახით შეეხოს ხუტუტ კულულებს! მოიცა, შმაგო! როგორ დაგყვები ესე სწრაფად? ვერ განგიცხადებ, რომ დაბმული ვარ სურვილით შენით, შენის ეშხითა. ვერც გაგრძნობინებ! კვლავ ცოტა ტანჯვა, გენაცვალე, ერთის წამით-ლა და...

— რა მალე მივედით! ათი ბიჯი არ ყოფილა თქვენ სახლამდინა.

— რასა ბრძანებ მაგას, ყმაწვილო?! მეხუთე ქუჩას შემოუხვებით. აი კარებიც!

— ეჰ!... მომეცი თ ნება თქვენს ხელს შევახო ბაგე მორთოლვარე, თუნდაც თათმანში შეხვეულს თითებს!..

— ახ!..

— სამძივარ, შენა? — მოისმა მამის ხმა.

წამოსულიყო წასაყვანად. ქუჩაში იდგა მიფარებით, რომ ნაცნობებს არ შეჰხეჩოდა. არ უშვებდნენ, ვინმე გამოაცილებსო. არ დაიჯერა. ძლიერ კარგად ქნა: გაუძნელდებოდა სიბნელეში მარტოდ მოსვლა.

— მამი?! — გაეხარდა ქალს მფარველის ხმა.

ჯაერმა ისევ ჩაუბნელა გული ნაწყენი, ბაგე დაუბნო. აჩრდილივით მოსდევდა მამას უხმოლ, უსიტყვოდ.

აბა სად არის, შე ბედშაგო, შენი რაინდი? ბნელმა ჩაეინთქა ოცნებები, ყველა იმედი. ან რად გეგონა, მოჰხიბლავდი ერთის შეხედვით, მონად შექმნიდი?! მხოლოდ შენს წრეში მძლავრი ქმედობა, შენთ სწორთ ფარგალში! უმწეოდ დარჩი ვარიყული... თუ სცოდნოდა საწყალს იასეს, თუ მეთქვა მის-

თვის, მთელი ღამე კარზედ მითევდა, იქვე ქუჩაში, — ეტყოდა თავს უსიტყვო ფრაზით, უზმო სიტყვებით.

მიხვდა, რომ მის ქალს იმ კრებულში ვერ გაემარჯვნა, იავარ კქმნოდა იმედები; სხვა საჯავროც რამ შეჰმთხვეოდა. თითონ კაცი ქვეყნისკარ მოელოდა იმ ენიან გატაცებიდან. ეხლა დარწმუნდა, რომ მისი (აზრის)თვის ქალისათვის ბედზედ სჯობდა მეორეს: როდი მოსწონდა ნატვრა, ოცნება სულ უფლისწულზედ თუ მშეჰბატეხედ. მისი აზრი დაუბრუნდა დაბალ ფარგლებში მყოფ ვაჟკაცებსა და აეხატა იასეს სახე, სულ უბრალოდ უარყოფილ მახვეწარისა.

— იყო იასე წვეულებაში?

— ვინ იასე?

— შეზობელი...

— რა იმისი სწორნი იყვნენ, რომ ყოფილიყო?! — უპასუხა ქალმა უკმებად.

და კვლავ დადუმდა, არრას იტყოდა იმისი ენა ცივადმეტყველი. გონება კი გრილად არ შეჰხვდა იასეს სახელს, არც გულმა დახშო გრძნობის კარი მის აღაღმის წინ. მამის მაგივრად ის ვაჟკაცი რომ დახვედროდა, ვათბებოდა, მოლხებებოდა ლამაზის სული და ვზას მისცემდა მყინვარ სიბებით გზაჩაბერგილ იმის ნებასა.

იასემ არ იცოდა ეს! როდი იყო გულთმისანი, წინადმხედველი, თბილელთაგანი, რომელმაც იცის თვის გრძნობის პატივისცემა, კარგი მოვლა თავისის გულისთქმის; სასიკეთოდ ვანგრძობა კერის, გონიერების კატარღით სელა ცხოვრების ზღვაზედ თვის მოვალეობის ეშხიანად ასასრულებლად. ჰაი, ჰაი მოვიდოდა მის წასაყვანად, უთევდა ღამეს, თუ კი სცოდნოდა, რომ სამძივარი მისკენ მიხრილ გრძნობით თუ აზრით გამოვიდოდა იმ სასახლიდან; გაჩნდებოდა ქალის წინაშე; აზრდილივით აჰყვებოდა ატოლებული. ეხლა კი...

რა იცოდა ეხლა ვაჟმა, რომ მზეს ეშუქნა იმისათვის, ნათელს, მზიარულს?! ეს არ იცოდა! ჩაპლობებოდა სურვილის გზაზედ უიმედობის აზრდილი შავი. სულ სხვა სავალს გარდუშლიდა არსებობისას, სახილველად კარგს, ნამდვილადაც კარგს; გესლიან ვერ მიღებულს, იღუმალად მაწამებელს, მარად უშრეტ სეედის წყაროსა.

და თვის მარცხისგან ნებისყოფა-გადამტკრეღლმა, საქმისა თუ შრომისათვის გულგატეხილმა, კარვად მსჯელი სიწყნარისგან განზედ გამდგარმა, ისევ განაგრძო თვის ცხოვრება უფერებელი: კვლავ ბალები, საღბინონი, თოკახსნილი ძმა-ბიჭები თუ მეგობრები; თვის კაეშანის სიმღერებში ჩაქსოვ-ჩადნობა, თითონაც შესძლო ამ ყოფაში ლეჭათ გამოღება. მოსთქვამდა ქალის გულქვაობას, თავის სევდასა, ლამაზ ყოფის გამცუდებელ შავ-ბნელ დარდებსა.

სწყინდა დედმამას მის ვარეწრობა. გვარად არ მოუდიოდათ ოჯახზედ ზრუნვის უარყოფა, კერის დანგრევა, დაღონება სახლის მფარველ კეთილსულისა. გაბჰეს, დაასკენეს პირდაპირ მოეთხოვნათ შვილისათვის, რომ ზელი ეშვა უფერებელ ცხოვრებისათვის. ვერ გაეგათ მანძილ გავლილებს, რა ცეცხლი ფგზნო ვაჟკაცის გულში.

— რა გაუხდა ეს სამძივარი, რომ იმის იქით ვერვის ჰხედავს. მისმა შემყურემ შეირყიოს სიცოცხლის დენა და გაამრუდოს გზა ცხოვრებისა გავა-

კებული... ცოდვა არ არის თითონ ვაჟაკი?! ჩვენც ცოდვანი ვართ, ლამაზი კერაც მამა-პაპური.

— ოღონდაც, რომ მის შემხედვარმა! რამ მოხიბლა, ლმწობან ჩემო? დამცირებასაც ველარა გრძნობს; იმ ქალისკენვე უჭრის გონებას ~~სეს რაგროსი~~ ჩვენი შვილია, შენი და ჩემი, ამაყებისა?!

— ეგ მართალია! არ მოგვიზრია არასოდეს თავი არვის წინაშე. რად ავითანდით დამცირებას. პატივის აყრას?! არც მიჯნურისგან! შენგანაც არა, ჩემო კარგო, ჩემო ლამაზო!

ბევრს ამბობდა დედამა. შვილსაც ეტყოდნენ. თქმა, ჩავონება ისევ სხლტებოდა იასეს სულზედ; საკუთარი წრთვა და აზრებიც; ემონებოდა ჯერეთ თავის გულს, ტკბილ გრძნობათაგანს ისევ მოხიბლულს; ლოცულობდა თვის ვარსკვლავს ეხლაც, როდესაც უარყოფის ღრუბელი შეჰმოსოდა მას და მოაყრიდა ბუნჯგალბუნჯგალ იმედების ჩამწველ ნაპერწკალთ.

(გავრძელება შემდეგ ნომერში)

ალექსანდრე აბაშელი

მესაზღვრეს

წვერავ საზღვარს თოფიანი,
შეკრული გაქვს ზღვა და ხმელი.
მგელი ღმუის ცოფიანი —
ჩვენი მიჯნის გადაღმელი.

კვლავ მოხდება მტრის შავ ბედზე,
რაც საზღვარზე მუდამ ხდება:
მტერი ღია კარს თუ ეძებს —
რკინის კედელს შეასკდება.

მიდის ღამე. ცის უფსკრული
ალიონმა გადაჰხიდა.
ისევ ყეფა ისმის მტრული
ჩვენი მიჯნის გადაღმიდან.

თუნდ ეს ყეფა არ შენელდეს —
დგახარ მშვიდად თოფით ხელში.
შენ გმირობა გამშვენებდეს,
მხეცი მოკედეს თავის ხერხელში.

მიდის ღამე. ჰფიქრობ ტკბილად
ცას შეფენილ ახალ დღეზე.
ჰაერს ჰყინავს, გულში თბილა,
თვალფხიზელი დგახარ კლდეზე.

კლდეს ქარცეცხლი უბერავდეს —
უკუდგომა შენ არ იცი.
დგახარ რკინის ბუმბერაზი,
წითელ დროშას შენაფიცი.

გიორგი ჭავჭავაძე

იქ. საღამო იშვა ხალხთა გენია

ქარი პირველი.

1.

მინდორსა და
 მინდორშორის,
 მტკვრის ტალღების
 ტაშის ხმაში, —
 ისარივით
 სწორი ქროლით
 ორთქლმავალი მიჰქრის გზაში.
 მიჰქრის, მგზავრებს
 არწევს რხევით,
 ეკლავება კვამლი ვაკეს
 და ცინცხლების
 ხორბლის ფრქვევით
 რიტმიულად
 მირაკრავებს:
 —ტიკ-ტაკ-ტაკა!
 დაგ-და-დაგა! —
 ლიანდაგზე
 დღენიადგ
 ბორბლების ხმებს
 ვჰფანტავს ჰანგად“.
 „გუ-გუ-გუ-გუ!
 ში-ში-ში-ში“! —
 ქაქანით და
 ხენეშით,
 ეიშით
 ჰკივის მცბეთის
 მთების ძირში,
 თითქოს იყოს
 გასაჭირში.

2.

რიურაღია...
 ფანჯრის ფარდებს
 არხევს ხეთა
 შარიშური
 და ვაფრენის
 სწრაფვას ჰბადებს
 ვილაც მწვემის
 სალამური.
 ლურჯ ტატნობზე
 ამოწვდილი
 მზე იცინის,
 ფერადფარდობს
 და ყვაეილებს,
 სადაც შლილი
 მინდორი აქვთ
 ერთობ ფართო, —
 ამოჭრილი
 სიო დილის
 კინტოურის
 ბუქნით ართობს.
 ვაშა დილის
 პირველ მხლებლებს,
 ვაშა ფრთაცქვიტ
 ცის ტოროლას,
 დიდება მის
 დამბადებელს, —
 რა ხმა აქვს ამ
 თითის ტოლას.

3

ქართლო!
 გზედავ შენს მიდამოს,
 გულლიას და
 გულსაამურს,
 შენს ჯეჯილებს,
 ზერებს და ბალებს,
 აღმას ნაწვიმს,
 ნაცვარნამულს.
 აღმავლობა
 შრომის ძალთა
 არ მინახავს
 არსად ასე:
 ბარის უბე,
 მთების კალთა
 უხვ დოვლათით
 არის სავსე.
 გზედავ, ქართლო,
 ქუდბედნიერს,
 თავისუფალს,
 შარადუქამულს
 და გაეძახი:
 ჰა, ილიავ,
 აყვავებულს
 ვკვრეტ შენს მამულს,
 უილაჯო
 მოთქმის ნაცვლად,
 ვისმენ ხალხის
 ლალ ყრიამულს.
 იხარებდე!
 „ხმა სიმართლის“
 უკვე ისმის
 შენს მამულში,
 გმირ შვილთაც ზრდის
 „ძუძუ ქართველის“,
 „ვუთნის დედაც“
 მღერის ხნულში, —
 წარსულ შავ წლებს
 ვინღა დასთვლის
 აწმყოს შობილ
 სიხარულში?
 შენს „ზაქროს“ და
 „ყაჩაღ კაკოს“

4. „მნათობი“ № 6.

კოლექტივში
 შევხვდი გუშინ,
 მათ შვერდს შრომის
 ჯილდო ამეწიქს, ენულნი
 ვეფხვებს ჰგვარან, იქონიქსა
 მშურ ფერხულში,
 ყველა შენზე
 ლაპარაკობს,
 იზებირებს
 ლექსებს გულში
 და დიდ სტალინს
 აღდეგრძელებს
 დარბაისლურ
 ვრძელ სუფრულში“!

4.

გულდინჯი მტკვარი
 დუდუნით
 მოღვლავს
 გაშლილ ველებზე,
 გორში ღიახეი შეხვდება
 შემდგარი ტალღის ცერებზე.
 მტკვარი შეუტევს:
 „ცერციტო!
 გაგვრავ,
 გაგისერი ქერებზე!
 შემდეგ დაუქე და
 იწირპლე
 ლამიან ფებსაცმელებზე!“
 „მტკვარო!
 რას მედიდგულები.
 არც მე ვარ
 შენზე ნაკლები.
 მოდი და მნახე გაზაფხულს,
 ამ არემარის ამკლები...
 არაგვი ზომ არ გგონივარ“? —
 არ სთმობს ღიახეი არაგზით.
 „ბიჭო!
 მე რაღას გადმომწვდი?
 იცოდე შენი ალაგი!
 ჩემი გაკენწვლ
 რას ვარგებს:
 განვთქმულვას.
 დავიდარაბით“! —

თავს აწონებდა
და თანაც
ემუქრებოდა არავე.
„წადი, შე-ნაცარქეჭიავე,
მე როგორ დამედარები:
ისე მოვალ და მოვშუი,
თითქოს ფეხის მეკრას ნალები“!
„გრცხვენოდეთ.

რა გაქვთ სადავო.
ვასწით,
იმლერეთ,
იღინეთ;
ნათესები და ბალები
გადარწყეთ,
აბიბინეთ
და მოსავალი,
საერთო,
სიუხვით დაავიროვინეთ“! —
უქადაგებდა მტკვარი და
გზას ვანაგრძობდა ლიღინით.
შორით კი,
ვალმა მზარიდან,
თანხმობით ყოველდღიურით, —
გულდაგულ ვადმოდინოდა
გუგუნნი კოლექტიური:
„ცაზე მთვარე ამოსულა,
ნიშანია დარისა,
კოლექტივი ვაძლიერდა,
გამარჯვება სტალინსა...“

5.

„გორი!“
„გორი!“ —
მესმის მგზავრთა
ხმა საამოდ ვასავონი.
ვღებში.
ვილაც მესალმება.
გზასაც მითმობს.
მიცნო, მგონი...
ვადმოვდივარ საღვურზე და
მივალ ქალაქს
გულის თრთოლით...

ცა ისე მოწმენდილი,
რომ თვალთა მჭრის
როგორც ბროლი.
ვესალმები ყოველსავეგანს,
ყოველ ხეს დავგანაწილეთ
მინდორს —
მოლით...

იქ ყაყაოთა ბორცვივით
სჩანს გუნდი პიონერების,
გოგონები და ბიჭები,
ერთუროზე მშენიერები.
ზოგი ფეხბურთში ჩაბმულა,
ზოგს ყელი მოუღერია
და საცეკვაო „ცანგალას“
ტაშს აყოლებენ, მღერიან:
„თამაშობა შუშპარია,
ბრაციბრუცი თხამაც იცის,
შენ კი, ბიჭო, ისე ხტიხარ,
თითქოს იყო სამგლე კეცი“.
„ჰა-ჰა-ჰა-ჰა!“
„ტაში — ტაში!“ —
ოხუნჯობენ შაირთქმაში.
„ცანგალა-და-გოგონა-და“...
„ჰეე-ჰეე-გოგონი-გოგო-ჰე“.
„გოგო მოჰგავს ვორგოლასო“...
„ჰეე-ჰეე-გოგონი-გოგო-ჰე“.
„შენზე როგორ მოგორავსო“...
ჰეე-ჰეე გოგონი-გოგო-ჰე“!
ვიშრისფერი ფეხბურთელნი
მიდიოდნენ შინ წკრიალით,
საამური ცხოვრებისთვის
უმღეროდნენ ასე სტალინს:
„ქრემლის ლალის ვარსკვლავები
ისე შორს კაშვიაშებს,
რომ ჩვენც —
გორელ პიონერებს
და ოქტომბრულ ბავშვებს, —
მშობლიური ღიმილივით
პირზე დაგვთამაშებს.
დღეს ყველგან თუ
გზა ხსნილი აქვს
ჩვენს ნიჭსა და უნარს,

ეს შიტომ, რომ
ჩვენზე კრემლში
თვით სტალინი ზრუნავს!“
ყურს ეუვადებდი,
მიტაცებდა
მათი ხმის წკრიალი
და მეც გულში ვადიდებდი
სწორუპოვარ სტალინს.

6.

გორო!
შვეტრფი ასფალტიან
მოსარკებულ შენს დიდ ქუჩებს,
ახალ სახლებს,
ახალ ქარხნებს,
შენს ციხე-ბურჯს,
მის კლდე-ფუძეს
და გარემოს ფერთა ლივლივს
ალტაცებას ვკადრებ უცებს!
შენ, ქალაქო,
ქართლის გულო,
ყოველ ხალხთა
ნატურის თვალო,
ხან მიწის ძვრით
დანგრეულო,
ხან მტერთაგან
ნაოხრალო,
მოვკვდვ.
ტიტან სხვის ქალაქზე
თუ გაგცვალა!..
შენ კი ციხევ,
გორის ციხევ,
დაგიკოცნი
ქვიტკირ-კედლებს,
სადაც ძვლები ჩაუყრიათ
შენთვის გამწყდარ
რაინდ მხედრებს!
ციხევ!
თუმცა თამთა ქროლა
ვაზიანებს,
გარყევს,
გზეთქავს, —
მაინც ცოცხალ

ძველად დგებარ,
მაინც გვესმის
შენი ფეთქვა!
საქართველო
განმათავსებ

7.

აჰა, მოველ და
ჩემს უნებლიედ
ქედს ეიხრი
შენს წინ.
ნანატრო სახლო...
ვიშ, სიხარულო!
ვიშ, განცდის წამო!
თითქოს ბელადთან
ვიდგე სულ ახლოს...
აი საუნჯე
შატარა გორის,
აი ის ქოხიც
დიადი,
სადა,
სადაც იმ შავ დროს,
ლარიბთა შორის,
ქვეყნის ნუგეშად
ყრმა დაიბადა.
აქ, ამ ოთახში,
ტახტს თუ სხვა საგანს
შტარავს ფალასი
და არა ნოხი,
დაჰკანკალებდა
დედა ყრმის აკვანს,
მამა კი სადღაც
ოფლს ღვრიდა ოხვრით.
აქ აეზილა
არწივის თვალნი,
მილიონების
თვალების ამხელს,
ვისაც თვის მხსნელად
ჰსახვენ მაშვერალნი,
ვისი ხსენებაც
მტერთ აცახცახებს.
აგერ ის ჩანთაც,
რომლითაც ივა

მიცუნცულეზდა
სკოლისკენ დილით,
სადაც პირველად
ვადახსნა წიგნი,
სადაც იგემა
ცოდნის წყურვილი.

8.

იგერ სკოლის
ის შენობაც,
საესაო,
იგიც სადა,
სადაც სწავლით
ბაღღმა სოხომ
თავი თვისი გამოსცადა.
ნიჭიერი
იყო თურმე
და სიმკვირცხლე
ჰქონდა მერცხლის,
სწოროთა შორის ირჩეოდა
სიმტკიცით და
ზრძოლის ცეცხლით.
ძლიერისგან
სუსტის ჩაგვრას
ვერ იტანდა,
ვერ ითმენდა
და ვინც უნდა ყოფილიყო,
მას იგი არ შეარჩენდა.
ორპირებს და
გაუტანლებს
დაიქურდა,
შეარცხვენდა,
თუ არ გამოსწორდებოდნენ,
გზას უშკევდა,
ხმას არ სცემდა.
წისქვილში და მწყემს ბიჭებში
უყვარდაო
ყოფნა ხშირად,
სადაც ზღაპრებს
რიგრიგობით
მოჰყვებოდნენ
ცეცხლის პირას.
მას არსენას
მთელი ლექსი

უთქვიაო
სულ ზეპირად.
ხუთმეტის წლის
რომ გამბდა
თვით უცდია
ლექსის წერა:

გამომდგარა.

დაბეჭდილა.

უსწავლია
ხალხს სამღერად.

უთქვია:

„ვარდის კოკორი
გადაჰხეოდა იასა,
ზამბახსაც გაჰღვიძებოდა
და თავს უკრავდა ნიაესა.
ტოროლა მალალს ღრუბლებში
წკრიალ-წკრიალით ჰგალობდა,
ბულბულიც, გრძნობით აღესილი,
ნაზის ხმით ამას ამბობდა:

„აჰყვავდი, ტურფა ქვეყანავ,
იღხინე ივერთ მხარეო
და შენც, პატარავ, სწავლითა,
სამშობლო გაახარეო“!

9.

მან სინამდვილედ აქცია
თავისი ყრმობის ოცნება:
ხარობს მზიური სამშობლო,
ჰყვავის ვარდ-ზამბახ-სოსნებად,
წყაროთა რაკრავს ყურს უვდებს,
ნიავეთ ვადიკოცნება,
ისეთი ჰიშნი უმღერეს
ნიჭით მოსიღმა მგოსნებმა,
რომ შეაჩერეს ჭიკჭიკი
მათდა სასმენლად ფრთოსნებმა!

სტალინი!

დროშა ხარ!

წინ გვიძღვი!

ვიბრძვით!

ვიმარჯვებთ შენითა!

სამოცი წლისაც ფრთამედგრად
დაგვზრუნავ თავზე ფრენითა,

არწიველ ყივილს
 არ გვაკლებ,
 გვაფხიზლებ,
 გვრახმავ რწმენითა
 და ჩვენც —
 „სცოცხლობდე, ბელადო!“ —
 ერთხმად მოვძახით ლხენითა.

ბელადო!

მინდა ვიამბო
 გორზე ხალხური თქმულება.
 ის მე შევმოსე
 ტურფა,
 ვით დედა-ქართლის ბუნება!

კარი მეორე

1.

მცხრალ მთეარეს
 ემსგავსებოდა
 მოწყენით მეფე-თამარი,
 თუ არა,
 მზეთა-მზე იყო
 ბროლ კოშკში
 ამომავალი,
 რუსთაველს,
 მისთვის ხელქმნილსა,
 ცრემლი უღვრია მრავალი...
 ერთხელაც,
 მეფურ მოწყენით,
 როს ტახტზე მჯდარა თამარი, —
 უბრძანებია:

„მომგვარეთ
 მიმინო ჩემი,
 ფრთამალი,
 ნადირობა და გართობა. —
 აი გლახგულთა წამალი!“
 შავი ტაიქი მოჰგვარეს,
 შებრძანდა,
 წარსთქვა:
 „წა, მალით!“
 შეეარდნულ მოხდენილობით
 მოსწყდა ნიადაგს ამალით.

2.

მიჰქრიან,
 მიიმღერაიან

რაინდნი მთა-ბარისანი,
 ბანს მოსძახიან
 მდეგაკურს
 უფსკრულთა ცუბები კლდისანი!
 „ვისაც მოუკლავს,
 ის მოჰკლავს
 ნადირსა შავის ტყისასა;
 ვინც დაჰხვდა,
 იგივე დახედება
 გულდაგულ რაზმსა მტრისასა!“ —
 გრგვინავდა
 ჰანგი სავშირო,
 გრუხუნს რომ ჰგავდა ცისასა.

3.

იქ, სადაც
 ხეთა ტოტებით
 შეკრულა მწვანე კარავი
 და ხეივანიც ხასხასებს
 ფრინველთა ფრთხილი მფარავი, —
 შეჩერდა მეფე თამარი,
 თვალთ აელებს არემარესა,
 ხან ცით მოწყვეტილ
 ვარსკვლავს ჰგავს,
 ხან მოკაშკაშე მთეარესა.
 ნაწვიმარ მაყვალს ჰხიზლავენ
 მზე-ქალის
 გიშრის თვალეზი,
 ტაშს აეგებენ
 ტან-წერწეტს

ტყის მოშრიალე ქალები,
დედოფლის ეშხით აფეთქდნენ
ყვავილნი ნაფერმკრთალები,
ლალების საყურესავით
დაჰკიდებდნენ ცეარები.

4.

დაჰკრეს ბუკა სანადიროს,
აწრიალდა ტყე უღრანი
და აღიძრა სასეიროდ
დედოფალის გულისთქმანი.
და იქ,

სადაც ნიაქაგს შობს
ჩანჩქერების
ჩქარი ჩქეფა,
ირმის კვალის
პოვნას ამცნობს
მეშვილდოსნებს
ხშირი ყეფა.

„ეციოთ, ეციოთ!“
„არ ვაუშვიათ!“ —
აქეზებდნენ სადღაც მწვერებს.
ლოდინს ბოლო
თუ არ უჩანს,
კაცს მოთმენას უნახევრებს.
მზე-თამარსაც მოეწყინა,
აღარ მნათობს სხივთაფენით
და მიმინო გააფრინა:
„ჯეროიო ახლა შენი“.

5.

შეჯიბრი აქვთ მეშვილდოსნებს:
ჰოცვენ ნადიროს,
დიდს თუ მცირეს,
გვირგვინოსნის საამებლად
არ ზოგავენ
ჯიხვს და ირემს
და იქამდის გაგულქვედნენ,
რომ შელის ნუჯრიც აატირეს.

6.

ელის მეფე ნანადირევს,
ელის თავის მიმინოსა,

მაგრამ არ სჩანს
და მით მზე-ქალს
ფერთა კრთომის
ბინდი ჰმოსაჩნდა.
ჩივის:



„ნუ თუ
ულრან ტყეში
გზა დაებნა
ჩემს ცქვიტ ფრთოსანს?“
უხმოზს ყველას
და ერთ მათგანს
ჰგზავნის ხეზე ასასვლელად.
იგიც მიდის.
ეძებს ყველგან
ხეს მაღალს და
კარგ საზვერავს.
ერთგან ერთ ხეს
ნახავს ტანადს,
თვლით აზომ-ჩამოზომავს,
შემდეგ მარჯვედ
დაჰკრავს ფეხს და
ტოტით-ტოტზე
იწყებს ხტომას.
კენწეროს რომ
ხელსა სტაცებს,
საოცრება ჰბოჭავს ჯომარდს.
ჰხედავს:
გალმა,
შვე ტბის გულში,
ობლად მოსჩანს
ტინის ქიმი
და იმ ქიმზე
თრთის მიმინო
ისარნაკრავ ფრთის სიმძიმით.
მოსწყდა ხიდან
მშვერავი და
მბრძანებულთან გაჩნდა უცბათ
და რაც ნახა,
მოახსენა,
დამხოზილ ცას
ჰკავდა თუმც ტბა.

7.

შეწუხდა გვირგვინოსანი,
 თავს ველარ
 ართმევს ღონებას,
 ველარ შორდება მიმინოს
 მისი გრძნობა და გონება
 და ბრძანა:
 „ვინც რაინდია,
 ვინც იჩენს გამბედაობას, —
 წავიდეს,
 ნახოს,
 შეებას
 ვება ტბის უძრაობას.
 საზარელია ტბა იგი,
 კუპრივით შავად მბრუნავი,
 ვერაფერს ჰხედავს
 შიგ შესვლას
 რაშით იქნება
 თუ ნავით,
 ვერც მკლავი გასკრის
 მის მორევს,
 გინდ იყოს
 რკინის მღუნავი.
 ტბის შუაგულში,
 სადაც სჩანს
 ამოზიდული კლდის ქიმი, —
 მიმინო ჩემი ფართხალებს
 ისარნაკრავი სიმძიმით.
 აფრენას ღამობს, საბრალო,
 მკერდს ახლის
 კლდესა ფრიალოს,
 მაგრამ თავს
 როგორ დააღწევს
 უფრთებოდ
 იმ სატიალოს?
 ჰო-და,
 თქვენშორის
 ვინც უფრო
 განთქმული იყოს გმირობით, —
 გასკუროს ტბა და მომგვაროს
 მიმინო ასეთ პირობით:
 რაც მთხოვოს,
 უმალ ვუბოძო
 მოგებულს ამ ნადირობით“.

8.

შეერთა ყველა,
 შეტორტმანდა,
 ელვასავით 
 დაჰკრა ელვამ
 ვერც თანხმობას აცხადებენ,
 ვერც უარი გაუბედავთ.
 დუმილი და ყოყმანია,
 გადაშწვევტი დადგა წამი
 და წრეს ერთი გამოეყო,
 კაბუკია, სჩანს, თამამი.
 „მე ვკისრულობ,
 მზეო-თამარ!
 მე შევეცურავ
 იმ შავ ტბაში!“ —
 სთქვა და ეშხით რეტდასხმული
 მოტრიალდა,
 გაჰკრა რაშით.
 მოულოდნელ ამ დიდ ამბით
 სახტად დარჩა
 თითქმის ყველა
 და სიმხდალის დასაფარად
 ვაიკრიფა ნელანელა.
 ის კი მიჰქრის
 და არ იცის
 ბედი მრუში
 რას უქადის,
 არც თუ შიშს გრძნობს,
 თუმცა სიკვდილს
 ჰხედავს იგი
 ცივ სიციხადით.
 მზე-თამარის ბროლის მკერდი
 მღელვარებით აღის-დადის.
 რაღაც ქვეჯნას მისცემია,
 ფერმიხდილა ბაგე-ვარდი,
 წასულ კაბუკს
 თან სდევს ფიქრით,
 სურს მიუხვდეს
 თითქოს წადილს.

• •

კაბუკმა ტბას მიადწია,
 კლდის ქიმს
 თვალთა გაუსწორა,

რას ერთგულს და
 ყალბზე შემდგარს
 მოეხვია,
 ეამბორა
 და შვე ტბაში გადაეშვა,
 მორევს მკერდიან
 ჰკვეთავს ორად.

9.

„სეფიქრიანდა მზე-ქალი:
 „ეს რა ვსთქვი,
 თავს რა ვჰკადრეო...
 რომ ტრფიალება მომთხოვოს,
 ხომ გული გავილადრეო?
 არა-და,

სიტყვის გატეხვა
 რა გვირგვინოსნის წესია...
 ვაჰ. ყოფა ჩემი,
 მეფური,
 დღეს ყმურზე უარესია“.
 რა მოისაზროს?

ფიქრთავან
 ფრიად ფერფითრობს
 მზე-ქალი,
 შუბლს არ ამორებს
 თლილ თითებს,
 თითქოს ჰკაწრავდეს ეკალი.
 წამწამთა ხშირთა სიშავეს
 შექსა ჰფენს
 თვალთა სპეკალი.

ბრძანა:
 „რას ვაქნევ,
 ეს ჩემი ურვა-ყვედრება.“
 თვალნი და ხელნი აღაპყრო
 „ბუნების ძალნი, მისმინეთ:
 და აღავლინა ვედრება:
 შევეცოდე უცებ თქმულითა,
 ჩამოვდნი,

ჩუმ ჩივილ-სინანულითა.

თუ იმ ტბის მძლეველ ვაჟაკსა
 ცული რამ ედოს გულშია,

ნუ დააბრუნებთ
 შინ ცოცხალს,
 ჩასძირეთ შავ უფსკრულშია“.
 ეპიკურული
 ბიზლირთუხა
 10.

თითქოს უსმინეს,
 უეცრად
 ცა მოაბრჭუნდა ავადა,
 ელვა,
 დასქექ-დაჰქუხა,
 კორიანტელი ავარდა
 და ატორტმანდა
 ტბის ტალღაც
 ურჩ მხედრის დასანთქავადა.
 ბედაურო!
 ბედაურო!
 ვანუყრელო,
 მმურზე-მმურო!
 ცამ რაც უნდა
 იცეცხლმეხოს,
 რაგინდ რისხვით
 მოიბუროს! —
 არ შეშინდე,
 არ შეჩერდე,
 გასწი!

მიზანს მივაშუროთ!
 გასწი!

დაე, სტიქიონშა
 იბობოქროს,
 იგუგუნოს!
 გაჰკარ მკერდი,
 ვაარღვიე!
 არ ისუსტო,
 არ მიმტყუნო!
 ერთგულობა განვამტკიცოთ
 საზღაპრო და
 საუკუნო!“

ასე მღერის
 ჩვენი გმირი,
 თან მიიბრძვის მამაცურად,
 გრიგალი კი დემონივით
 ჰჭრის და წივის:
 „ვერ გასცურავე!“

11.

აღარ წყნარდება ბუნება,
უფრო ავდება წყვეული,
მეგდარიც
ისევ მხნედ არის,
რაში ჰყავს

ყოველად რჩეული,
თუ ის ჩასძირა,
ჩაპყვება
კელიველ-გადახვეული...
და აპა, კიდევ მთავდო
კლდის კიდეს
რაში გრძნეული,
დეზი ჰკრა.

მისწვდა მიმინოს
ნახტომით ელვისეულით, —
მაგრამ, ვაპ...

კლდიდან მოსხლეტილთ,
ნაპრალზე გადაჩეხილთა, —
უფსკრულის უბე,
უძღები,
ფსკერს აბარებდა ტეხილთა...

12.

დაცბრა შმაგი სტიქიონი,
ტბა კი დანთქმულ
მხედრის ზრახვას, —

როგორც უთქმელ
საიდუმლოს



არვის უმხელს, ეარქონული
ლრმად ინახვბ...

13.

თურმე როდესაც მზე-თამარ
თავის მსხვერპლს გაიხსენებდა
და ცოდვის მოსანანებლად
სულს გვემას მიაყენებდა, —
კოშკში კარგადარაზული
სასმელად ცრემლთ იყენებდა,
დღეს აღამებდა მარხვაში
და ლოცვით გაითენებდა...

14.

თქმულება არის:
დროთა სვლით
ტბა იგი ამოშრობილა
და ის კლდე-ქიმი,
მხედარს რომ

სიკვდილი დაამოზილა, —
მიმინოს ტოლად მჩინარი,
ვეება გორა უოფილა,
გორის ციხეც და ქალაქიც
აქედან წარმოშობილა...

კანტაღლიმონ ჩიქვაძე

ახალი ხელოთი

თავა ზეათუ

იორდანე გაამართლეს. მას ჩამოერყევა შუბლიდან „ხარების ქურდის“ სამარცხენო ლაქა. კუთხე-მეზობლობაში ისევ აღიდგინა პატიოსანი კაცის სახელი. აღარც გოჩას ატირებენ ტოლ-ამხანაგები „ქურდის შვილის“ წამოძახილით.

დაზამთრებისას, საგანგებო კრება მოიწვიეს საღვამიჩაოში. ხალხს დაწვრილებით გააცნეს აბრაგთა ნამოქმედარი. ილაპარაკეს უტუ ბერულავას თვალთმაქცობაზე და სასამართლოს განაჩენიც წაიკითხეს.

— ვინ სთქვა, სიმართლე დაიკარგებაო?! — ისმოდა აქა-იქ კრების დარბაზიდან. ყველა ერთსულოვნად ულოცავდა იორდანეს. იორდანე კრიჭაშვიკრული იდგა, გეგონებოდათ, სიზმარშია და ხმის ამოღებას ვერ ახერხებსო. კმაყოფილი იყო საქმის ასე დასრულებით. ხარების ძებნასა და აღმა-დაღმა ხეტიალში დაკარგულ დროს აღარ ნანობდა. არც ის აწუხებდა, წლობით დანაზოვი გროშები რომ გაანიავა.

იორდანემ სამართალი იპოვა, ხალხის თვალში ნდობა გაინაღდა, და ეს ყველაზე დიდი საგანძური იყო თავმოყვარე გლეხისათვის. თანდაყოლილ სილარიბესა და ცარიელ ჯიბეს აღარ მისტიროდა. აღარც მარინე უსაყვედურებდა წინანდებურად „ბეწვის ხიდზე“ გამოვლილ ქმარს, და ოჯახურ ხელმოკლეობას ვაგვაცურად იტანდა.

მოახლოვდა ახალი წელი...

იორდანემ კოთხო-გამორეკილ ოჯახს მოავლო მწუხარე თვალეები და ქაობს მიაკითხა: ჩარჩენილ შემას რა ბედი ეწიაო. ვზადაგზა სულ იმას ფიქრობდა, საკალანდოდ მინც რითიმე გავახარებდე ცოლშვილსო.

ქაობში შესულს მხარი კინალამ ეცვალა. საყადლების მიდამოებში არხისთვის მიმართულება შეეცვალათ კოლბიდის მშენებლებს და ერთი კილომეტრის სიგრძე მოუთავებელი არხი გაეუქმებინათ. ქაობში ჩარჩენილი საყადლები ღერა-ღერად გაეფანტათ სადღაც. ზოგი იქვე დაეწვათ.

ხელი ჩააქნია იორდანემ. ეშმაკს მიაფურთხა და გაუქმებულ არხს დაატრდა. მთებივით იდგა არხის გულიდან ამონაზიდი შლამი და ტლაპო. არხში ჩავუბებულ წყალს ნოყო მოსდებოდა.

— ნასწავლ ხალხს დამიხედეთ! — აღუდღუნდა იორდანე. გული გაუსივდა გაუქმებულ არხზე გაწეული შრომის ცოდვით. სათუთუნე ქისა გახსნა და

ყალიონი გააჩალა. ჩაფიქრებული გაჰყვა ეიწრო ბილიკს. არხის ახალ შტოს მიადგა იჩქითად.

გახურებული მუშაობა ჰქონდათ. მიწის მთხრელები მუხლამდე იდგნენ წყალში და ხენეშით ამოჰქონდათ ჭაობიდან მწვანე ბელტები.

სახელდახელოდ გამართულ კარავში მთავარი ინჟინერი მაგიდას დაყრდნობოდა და ირგვლივ შემოხვეულ ხელქვეითებთან ერთად ნახაზებს ჩაჰყურებდა.

იორდანემ ჩაახველა.

თავი აიღო კახაბერმა. იორდანე დაინახა და ხელი დაუქნია: გამოგვიარეო. თვითონ კარავი მიატოვა და იორდანეს გამოეგება.

ხელქვეითებმაც მიატოვეს ნახაზები. აქეთ-იქით გაიფანტნენ. კახაბერთან ზორავა დარჩა და ისიც ღიმილით შეეგება იორდანეს.

იორდანე მოწიწებით მიესალმა კახაბერსა და ზორავას. ახლად გაჩაღებული ყალიონი ნადრეველ გამოორეკა თავკაცების ხათრით.

— დაჯექი, ამხანაგო იორდანე! — მიმართა კახაბერმა ნაცნობ მეშეშეს და მუხის მორზე მიიბატიეა. თვითონაც გვერდით მოუჯდა.

— ახალს რას გვეტყვი!

— ?!

— ვინ იცის, გვაგინებ ვულში ჩუმუმად, — თვითონვე განაგრძო კახაბერმა, როცა დაინახა, რომ იორდანე ენაძვირობდა. — ხომ მართალს ვამბობ?

— რატომ იკადრებთ, ბატონო... ჩემისთანა ჩამორჩენილ კაცს რა ხელი აქვს ნასწავლი ხალხი აგინოს!

— სამუშაოს მოვაცდინეთ... ზარალი მოგაყენეთ... შე კაცო! — ჩაურთო კახაბერმა.

— ჩემი ზარალი რა სახსენებელია, ბატონო! ალბათ, არ გამოდგა იქოური გეგმა... — ეშმაკურად ჩაუქარავმა იორდანემ და გაუქმებულ არხისაკენ გადაათამაშა დაფანულნი წარბები.

— არ გამოდგა, ჩემო იორდანე, მართლაც რომ არ გამოდგა... მაგრამ არაფერია. ზარალს ერთი ორად აგინაზღაურებთ. სწორედ მაგისათვის დაგიძახე. წვეფასოთ ზარალი და გადაგიხდით.

— სანაოზე რომ შეშა ვიწყვი, იმსაც ვაგისალებთ, — ჩაერია საუბარში ზორავა და იორდანეს ირიბად ვადახედა, რას იტყვისო.

— მიირთვით, ბატონო, მაგას რაღა აჯობებს! — უყოყმანოდ უპასუხა იორდანემ და, თითქო ვულზე ლოდი ააცალესო, თავისუფლად ამოისუნთქა. მერე ერთბაშად ჩაფიქრდა: ნეტა ეს ხალხი რამ მოაქრისტიანაო.

ზორავამ დრო უხელთა და ახლა ოჯახურ ქირ-ვარამზე ჩამოუგდო სიტყვა: ხელმართო კაცი ხარ, პატიოსანი ოჯახის შვილი... გარეგარე სიარული არ შეგწვენისო.

იორდანე დადუმდა.

— თუ არტელში არ შედიხარ, ჩვენთან იმუშავე, — განაგრძო ზორავამ, — მუდმივი სამუშაო გექნება, ხელფასსაც კარგს მოგცემთ... ხომ უყურებ — მოსული ხალხი გეყავს სამუშაოზე. ადგილობრივი თითზე ჩამოსათვლელნი არიან.

იორდანე ისევ ხმაგაკმენდილი იდგა. ვერ გადაეწევიტა, როგორც პასუხი მიეცა ხორავასთვის. საქმე რომ გაუჭირეს, ენის ბორძიკით წაიბურტყუნა; მოვიფიქრებ და მოგახსენებთო.

ისევ შეშის საქმეს დაუბრუნდნენ. ხორავამ ტექნიკოსი უმჯობესად წაიყვანა და სასწრაფოდ დააეღა: წაჰყვები ამ კაცს, შეშა მიიჭრებო. მისი მტერი შეადგინეო.

შეშის ფასზე ადვილად მორიგდნენ. ჭაობში ჩარჩენილი საყადლებიც წინასწარ ივარაუდეს.

იორდანე ყურს არ უჯერებდა: სიზმარში ხომ არ ვარო. კაბაბერსა და ხორავას მოკრძალებულად გამოეთხოვა და ახალგაზრდა ტექნიკოსთან ერთად სანაოზე წავიდა.

გულში სულ ერთსა და იმავეს იმეორებდა: ნეტა ეს ხალხი რამ მოაქრისტიანაო.

ახალ წელს მხიარულად შეხვდა იორდანეს ოჯახი. რაკი შეშა რიგიან ფასში გაასალა. „ხელს აღარ მოუჭირა“, ადგა და საკალანდო ნავაჭრით ცოლშვილი გაახარა. მარინე დღითი-დღე მოლოგინების მოლოდინში იყო, „მუცელი ცხვირზე ეყიდა“, — როგორც იტყვიან, მაგრამ საახალწლო დღესასწაულების თაღარიგმა ისიც გამოაცოცხლა: ჯერ ფაცხა ჩააქრიალა. ქვეშაგებსა და ზესახურავს პირსარჩული გამოუცვალა. ჭვარტლიან ფაცხაში დგომით ფერგადასულ მაგიდას ახალთ-ახლი სუფრა გადააფარა და კიჭა-საინებით მორთო.

აგერ, ვეებერთელა ღორის ფელიკი დაშაშა და ოჯინჯალეზე ჩამოკიდა შესაბოლად. ოჯახს იერი გამოეცვალა. გამოიცვალნენ ოჯახის წევრებიც.

ახალი ტანფეხსაცმელით მორთულ გოჩას და ნუნუს მშობლებიც ველარა სცნობენ. ეზოში შესულს რომ დაინახავენ, როგორც სტუმრებს, ისე გამოეგებებიან. გოჩაც განგებ შორიდან დაიძახებს — მასპინძელოო, და დედას აჯავრებს „სტუმრობანას“ თამაშით.

კალანდა დილით გათოვდა. ციოდა, მაგრამ გახარებულ ბავშვებს საღამომდე არ შემოუხედაიათ ფაცხაში. მთელ დღეს თოვლაობდნენ. სიცივესა და ყიამეთ ამინდს აინუნშიაც არ იგდებდნენ.

მარინე ცრემლებს ველარ იმაგრებდა სიხარულისაგან, — „მოგიკვდათ დედა! დაგბოკეთ ამდენი ხანი ნაცარში ვდებითო“.

იორდანე ჩუმჩუმად იღიმებოდა. მედიდურად უჯდა საახალწლო სუფრას და წვრილი ჭიქით სვამდა „საყანო“ სადღეგრძელოს. მარინე სამჯერ ადღეგრძელა. გოჩა და ნუნუ ცალცალკე დალოცა. მარინეს ფეხშიშობაც არ დაივიწყა და ბიჭი მანქეო, შეემუდარა განგებას.

მარინე ვაწითლდა.

წამობურცულ მუცელზე წინსაფარი შეისწორა.

— მომიჯახუნე, დედაკაცო! — გაუწოდა საეცე კიჭა მარინეს და სანამ ღვინოს დაღევდა, წვრილი მრავალეამიერ წამოიწყო. მარინე აჰყვა. ქალიშვილობაში მარინეს მომღერალი ქალის სახელი ჰქონდა გავარდნილი დგებიათა გვარნი. ძველი დრო გაიხსენა და მოძახილი უთხრა შეზარბოშებულ ქმარს. იორდანემ ყური სცქვიტა. ხმას აუწია და მარინეს თვალი ჩაუკრა: ვაბედეო.

შერცხვა მარინეს. თავი ჩალუნა.

— მომიჯახუნე, ჩემო მზეთუნახავო! — გაუმეორა იორდანემ, რაცა სიმღერა დაასრულეს.

— არ მინდა, შეიღებს გეფიცები, — გამოიღო თავპატივი მარინემ და ალისფერ ღვინოს ცალი თვალით შეხედა.

— დალიე, დედაკაცო, ძუძუში ჩაგევა! ბიჭი უნდა მარტყო, მარტო, ბიჭი! დალიე, შეგერგება!

მარინემ ხათრი არ გაუტეხა. ჭიქა სულმოუთქმელად გამოსცალა და ფსკერზე დახედა.

— არ მინდაო, — დაიბუხუნა იორდანემ და სახეწამოფაკლულ ცოლს დათვივით მოაეღო ხელი. თავი გადაუწია და ჩაკოცნა. — არ მინდაო... უნდა კი არა, კინალამ ჭიქაც გადაუღაპა.

— გაგისმეს მაგ საშხამავი ენა! — შეიფერა მარინემ გამხიარებული ჭმრის უჩვეულო საქციელი. — თუ არ გემეტებოდა, რათ დამაძალე?

— ბაეი ავიღე, დედაკაცო, ბაეი... სხვას გარდა, დღეს ხომ საბედო დღეა, მთელი წელიწადი ხვევნა-კოცნაში ვიქნებით. ერთი ბიჭი კიდევ უნდა გაგიკეთო ამ სიბერისას...

— ამ ფაცხის პატრონი რატომ ხუთს არ გააკეთებ. ვერ შეინახავ, თუ რა, — ჩაუწიწმატა მარინემ.

— ფაცხა... ფაცხას ენაცვალოს იორდანე ღვამიჩავა. დღეს ფაცხაა, ხვალ რა იქნება. სიცოცხლე და სიხარული იყოს და... ფაცხა ქარვასლას აჯობებს. უტუ ბერულავას ქონება არ აკლდა, მაგრამ... ფშტუ... მოგკამა ჭირი. სხვისი წანაღლეტი რა შავკვად მინდა. ქვეყანა მისია, ვინც პატიოსანი შრომით ინახავს თავს. ხემწიფისა და ლარიბის არაკი ხომ გაგივონია, პატიოსან კაცს როგორ უდარდელად ეძინა ფაცხაში.

— უდარდელად ეძინა და... პერანგიც არ ეცვა თურმე.

— ჩვენ პერანგი ქე გვაცვია, ვეყო! — მიეფერა იორდანე, — თუ ხელგამლილად ვერ ვცხორებოთ, სამაგიეროთ შიშითა და დარდით გული არ გვისკდება.

— ამ ორი თვის წინათ არ ჭიკჭიკობდი ასე დაწყობილად.

— ა, შტერი... სიმართლემ თავისი გაიტანა... ახლა არ გეუბნებოდი, ქვეყანა მისია, ვინც პატიოსანი შრომით ინახავს თავს-მეთქი! მართალი ვიყავი და გამამართლეს. ჭრთამი და საფანელი კი არ მიმტკიცია ვინმესთვის...

— რიგიანი ხალხი შეგხვდა... ღმერთმა იმათ ოჯახს უშველოს, თორემ... ნახავდი სინედღეს...

იორდანემ ჭიქა გაავსო და ამ ვახსენებაზე ტიტე ვაშლომშიძის, ბონდო ოჩიგავას და პოლიტსამმართველოს რწმუნებულის სადღეგრძელო დალია.

— მაგათი ჭირი შემყარა უფალმა, — ამეტყველდა იორდანე. — უტუს თავისი გასვლოდა, ციმბირი უკან დარჩებოდა, მაგრამ ვერ მივართვი. ახლა მგონი თვითონ გააშორეს ციმბირს. კაცის ავი როგორ გამიხარდებდა, მაგრამ მე რომ გამიმეტა?!

იორდანემ ცეცხლს შეხედა, მუგუზლები შეასწორა და მარინეს შეხევეწა, ერთი სამწვადე გამიმზადეო.

გარეთ ბარაქიანად თოვდა. იორდანე აწყვეტილი ქეიფის გუნებაზე დად-
 ვა. ტიშკრისკენ რამდენჯერმე ვახებდა — იქნება ვინმე გამოიჩნდესო. შოლოს
 ბავშვები მოაგონდა და მარინეს შეემულარა: შეილებს დამიძახეო.

ჩიტბივით შემოფართკალდნენ ფაცხაში თოვლაობით ხეფეხფეხადღწილი
 ბავშვები. იორდანე ჯერ გაუწყრა შეილებს, ამ ყიამათში სადღ დატანტანდობო,
 მერე ჯიბეში ჩაიკრა ხელი და თითო მუტა კანფეტი ჩამოურიგა გოჩასა და ნუ-
 ნუსს. ბავშვებმა მსწრაფლ იაზრეს, შამა კაი გუნებაზეაო და კრტიმლობით აიკ-
 ლეს ოჯახი. კრტიმლობის თავი, როგორც ყოველთვის, გოჩა იყო.

ანცობით რომ გული იჯერა, კანფეტები დათვალა გოჩამ და ნუნუს მიად-
 გა — შენც დათვალეო.

ნუნუს ჩუმად წასჩურჩულა ჭირვეულ ძმას: სირცხელია, ნაჩუქარი კან-
 ფეტების დათვლა ვის გაუგონიაო.

გოჩა არ მოეშვა: დაეთვალათ, ვის უფრო მეტი აქვს — შენ თუ მეო. იმ-
 დენი ეჩიჩინა, ნუნუს ააგულიანა და ნაძლევიმეც ჩაითრია. ნუნუს ერთი კანფე-
 ტით ნაკლები აღმოაჩნდა და ნაძლევი წააგო.

— მოიტა სამი კანფეტი! ასე იცის ბიჭმა! — კისკისებდა გოჩა და ნუნუს
 მოსვენებას არ აძლევდა — ხომ გაჯობეო.

იორდანე გულიანად ხარხარებდა. თან ფიქრობდა: გოჩა გონება-მახვილი
 ბავშვია, კაცური კაცი დადგებაო.

შარინემ მწვადი ააგო და შამფური იორდანეს გადააწოდა. სამწვადეს და-
 ნახვაზე გოჩამ იფეტქა:

- ბაბაია, ჩვენს სუროზე იმდენი შაშვია, იმდენი... იმდენი, რომ...
- მაინც რამდენი, შვილო?
- რამდენი და მილიონჯერ ათასი... იპ, ერთი თოფი მომცა... ღუ-უ! —

მივარტყამდი კეინიხში.

იორდანე გამოცოცხლდა. მწვადი „კერიაზე“ გააბოგირა და მარინეს მი-
 მართა: უთვალთვალე, არ დაიწვასო. თვითონ ხელწალდი აიღო და ეზოში
 გავიდა.

გოჩა შურდულივით აედევნა მამას.
 მარინემ თვალი გააყოლა — ნეტა სად მიდის ამ ხელწალდითო.

იორდანე ჩქარა დაბრუნდა. თხილის შოლტები შემოიტანა და გამოკაპი-
 ტებას შეუღდა. ფაცხის ერთ კუთხეში შალაფი მოძებნა, დადარში ჩასდო და
 სანამ გახურდებოდა, მარინეს შეეხვეწა: თუთუნის ბაწარი მომიძებნეო.

- რათ ვინდა? — გაიკვირვა მარინემ.
- ძველი დრო მინდა მოვიგონო, დედაკაცო: ირეკი უნდა ავაწყო.
- ბაბაია, შაშვებს დამიკერ? — იაზრა გოჩამ ირეკის დანიშნულება.
- დაგიკერ, შვილო, ცოცხალ შაშვებს დაგიკერ.

გახურებული შალაფი აიღო და ბზეკლებად გამოკაპიტებულ შოლტებს
 თავი გაუხვრიტა. ბაწარი გაუყარა და ირეკეები ააწყო.

გოჩა თვალს არ აშორებდა მამას. წამდაუწყუმ გარეთ გავარდებოდა, სუ-
 როს შეხედავდა და ქაქანიტ შემოირბენდა ფაცხაში — ვარიების ოდენებიაო.

იორდანემ ააწყო რამდენიმე ირეკი. ეზოში გაიტანა და სუროზე მოხდე-
 ნილად ჩამოკიდა. გოჩა გააფრთხილა — შორიდან უთვალთვალეო.

— გაცივდები, ბიჭო! — აკაპასდა მარინე, ფაცხის ყურეში მიყურებული გოგონა რომ დაინახა. ბევრი ემუდარა — შემოდი საბლში, ავად-გახდებოდა, მაგრამ ამოად.

— მოიგონებს რაღაცას! — ყვედრებით შემობრუნდა მარინე ფაცხაში.

— ნუ ბრახობ, დედაკაცო! დღეს საბედო დღეა-მეთქი, დავაფრქვდა?

— საბედო იქნება თუ...

— ბაბაია, ბაბაია! — შემოვარდა გოგონა ათახთახებული.

— რა იყო, ბიჭო, რა გაყვირებს?

— ვაება, ბაბაია!

იორდანე მედიდურად წამოდგა, თითქოს შველი გაბმულიყოს ირეკში ჩიტის მაგიერ. დინჯი ნაბიჯით მიადგა სუროს და აჭრიხინებული შაშვი გოგონას გადასცა.

გოგონა ნაკვერცხლებივით აკიაფებდა მუშტისოდენა თვალებს. ყვითელ-ნისკარტა შაშვს გულში იხუტებდა. თავს უკოცნიდა. ცალი თვალით სუროს შეჰყურებდა, კიდევ ხომ არ გაბმულაო.

დაღამებამდე ხუთი შაშვი დიპტირა იორდანემ. გოგონა დაღამების შემდეგაც აღარ შორდებოდა სუროს.

ახლა კი გაწყრა იორდანე. გოგონას ცოცხალი შაშვები ხელიდან გამოსტაცა და მარინეს მკვასხედ მიადახა: დანა მომაწოდეთ.

გოგონამ იაზრა, ალბათ, შაშვები უნდა დაჰკლასო და მარინეს კალთაზე მოეხვია, თანაც შეეხვეწა: დანა არ მისცეო.

იორდანე მოლბა. ერთხელ კიდევ გააფრთხილა ბავშვი, ჯიუტობა აღარ გაბედოო. შუაღამის შუა წაუმატა და სუფრას მიუჯდა.

ხელახლა გაიწყო სუფრა იორდანე ღვამიჩაევას ფაცხაში. ხელახლა შეიღება ქვიჯისმავარი წელფიწრო ქიქები ალისფერი ღვინით, და იორდანემ ისევ თავიდან გაიმეორა სადილად თქმული სადღეგრძელოები.

გარედ ბარაქიანად თოვდა.



დიდხანს ისმობდა ღვამიჩაევას ფაცხაში ბოხი ხმით წარმოთქმული სადღეგრძელოები, კრინით წამოკრული „ჩვენ მშვიდობა“, ნაზი მეგრული „ნანა“ და ხელხვაი. ნუნუ გამყივანს ამბობდა. ხმები ჯერ კიდევ შეუწყობელი ჰქონდათ და შინაურობაშიაც მორცხვი ნუნუ ზოგჯერ გზას გადასცდებოდა ხოლმე. მაშინ სირცხვილისაგან ყურები უწითლდებოდა ნუნუს. ხმას დაუდაბლებდა და მაინც შეხედავდა: ხომ არ მიწყრებოო.

იორდანე მალალი ბანით ფარავდა ნუნუს შეცდომას, და სიმღერის დასასრულს წასაქეზებლად განგებ შესძახებდა ცოლშვილს: ღმერთმა თქვენი თავი მიცოცხლოს ას წელიწადსო.

ღვინს ბოლო არ უჩნდა.

შეზარბოშებულ იორდანეს თვალ-ყური ქიშკოისაკენ ეჭირა: იქნება ვინმეს მოვაგონდეთ. მაგრამ საღვამიჩაოდან განტოლვილ ქიშკარს დღესაც (ისე, როგორც ყოველთვის) არავინ არ ეკარებოდა სიახლოეს.

მალალ ვახშობას გადასცდა. გოგონას მთქნარება აფვარდა. წაბაძვით ნუნუსაც დაალო ხახა, ძარინემ სასწრაფოდ დააფარა ხელი პირზე — სირცხვილიაო.

ნუნუმ იწყინა. გოჩას მუნჯურად გაუწყრა: სულ შენი ბრალთა ჩემი ასე შერცხვენაო.

იორდანე საესე ბოთლებს არ აშორებდა თვალს. ბავშვები რომ მოწყენილი დაინახა, მეგრული საცეკვაო წამოიწყა და გოჩას ანიჭებდა მუხარტო. გოჩა გაქირვეულდა. ნუნუმაც ითარა საცეკვაოდ გასვლა. შიშლინიშენა

— აბა, ჩაის ჭიქა-მომიტანე, დედაცაყო, თუ ცეკვა არ გინდათ! — შეპკიენა იორდანემ უცნაურ კილოზე და ჩოხის სახელო წაიმკლავა.

მარინე უხმოდ წამოდგა. ბუჯერში ჩაის ჭიქა მოძებნა, წყალი გამოავლო და მოზდენილად მიაწოდა ღრეობის გუნებაზე მოსულ იორდანეს.

იორდანემ ქალაქური რევერანსით ჩამოართვა ჭიქა, გააცსო და ლამპის შუქზე გალანდა — თუ კრიალებსო. ჭიქაში ხანძარი ენთო.

— თუ არ გეწყინა, უკანასკნელი სადღეგრძელო მინდა დავლიო, ჩემო მზეთუნახავო! — მიმართა იორდანემ მარინეს და უღვაშები შეიგრიხა.

— ღმერთმა შეგარგოს! რავე მეწყინება, წახვდი! — ღიმილით მიაგება მარინემ დაუყოვნებლივ.

— კაი, მაგრამ, აბა თუ მიხვდები, რა სადღეგრძელოს ვიტყვი მე ამ ჭიქით?

— რა ვიცი, ბეჩა, სადღეგრძელო რავე გამოელევა კაცს. ისე, სულ ცოდვილო, შინაური არ დაგრჩენია უდღეგრძელები და გარეული, მოყვარე, ნაფესავე და რა ვიცი... წინამძღოლი ხალხის სადღეგრძელო ბარე სამჯერ გაქვს დაღეული.

— მოიცა, მარინე... შენ თუ მიხვდები, ახლა რა სადღეგრძელოს იტყვის იორდანე, ერთ შალის კაბას შეგიკერავ, მე ნუ მოგიკვდე...

— გულთმისანი ზომ არ ვარ, შენ გასახარებელო, — შეიფერა მარინემ იორდანეს ჭირვეულობა და მთელის არსებით შეწრიალდა — აბა, მართლა, თუ მივაგნებთ გუმანსო.

მაგრამ ამოდ. მარინე ერთს ფიქრობდა, იორდანეს სულ სხვა აზრი უტრიალებდა თავში. ეს აზრი სადილს აქეთია აეკვიტა იორდანეს და მოსვენებას არ აძლევდა, მაგრამ იორდანე მის გამოაშკარავებას არ ფიქრობდა. ახლა, თითქოს დანაშაულის აღსარება მოუნდაო, იღუმალი აზრი ამეტყველდა და იორდანე ისევ მარინეს მიუბრუნდა:

— აბა, ეს მაინც მითხარი, დედაცაყო, რა მამხიარულებს მე დღეს?

გოჩამ ყური ცქვიტა. თავი ასწია აქამდე ჩაფიქრებულმა და მოწყენილია ნუნუმაც.

მარინე უნებრულ მდგომარეობაში ჩავარდა. ქმრის შეკითხვაზე პასუხის გაცემა ერთობ გაუძნელდა. ბოლოს თავს ძალა დაატანა და გაუბედავი კილოთი უპასუხა: რავე, მუდამ მგლოვიარედ ზომ არ უნდა ვიყოთო.

— ვერ მიპასუხე, მგლოვიარედ შარშანაც არ ვყოფილვარ, მაგრამ ჩემს ფაცხაში სიმღერა არ თქმულა. მეიცა, მართლა, რამდენი წელიწადია, მარინე, მე და შენ რომ არ გვიმღერია?

მარინემ ხელი ჩაიჭნია. სათვალავი ვისლა ახსოვსო, — ჩაილაპარაკა უღიმღამოდ და უნებური ოხვრაც აღმოხდა ანაზღიფულად.

იორდანემ ხელახლა იფეთქა:

— ჰო-და, თუ არ გახსოვს, დღეს მეც ვქეიფობ და ვიმღერო, შენც მზიარულად ხარ და... — იორდანემ ბავშვებს ვადახედა. გოჩას ნაკვეთილებივით უკაშკაშებდნენ მუშტისოდენა თვალები. საზე ისე გაბრწყინებოდა, თითქოს სინანავს და უმშვენიერეს სიზმრებს ხედავს.

— შენ ხომ არ გეძინება, შვილო? — გადაუსვა თავზე ხელს და ისევ მარინეს შეხედა ჯიქურ. — ჰო, იმას გეკითხებოდი, დედაკაცო, რატომ ვარ დღეს მზიარულ გუნებაზე-მეთქი!

— მე გეტყვი, ბაბაია, — წამოხტა ზეზე გოჩა და მამას ამოუღდა გვერდით.

— აბა, ჩემო მოსწრებულო, თუ გამახარებ. — არახროხდა შეხარბოშებული იორდანე.

— დღეს ბედობა დღეა, ბაბაია! შენ ხომ სთქვი, მზიარულად უნდა ვიყოთ. იორდანეს გაეცინა. გოჩას მამაშვილურად მიუაღერსა, გონებამახვილობა შეუქო, მაგრამ გამოცანის გადაწყვეტა მასაც დაუწუნა.

— ნუ ვადაგვატანე, ყაძახო, გვადირსე, თუ რამეს ამბობ, — მკვახელ მიუბრუნდა მარინე ამეტყველებულ ქმარს და ქარაგმით ისიც აგრძნობინა, საცაა შუალამე გახლებოა.

— კარგი, მე გეტყვით, რაკი თქვენ ვერ გამოიცანით, — ენის ოდნავი ბორძიკით სთქვა იორდანემ და ზედისედა დაასლოცინა.

საესე ჭიჭა ისევ ხელში ეჭირა. არც დაცლას ჩქარობდა და არც სუფრახე დასადგმელად იმეტებდა. მოძრაობაში ორჯერ ცარიელ კარკაპასავით გადაყირავა საესე ჭიჭა, თითო ზიარება ღვინოც ვადაღვარა, მაგრამ ხელიდან მანაც არ გაუშვა.

— დაითვრა ავი შეჩვენებული! — ხმადაბლა სთქვა მარინემ და იორდანეს სიცილით მიუბრუნდა: — სთქვი ბარემ, რის თქმაც გინდა!

— მე ის მინდა, რომ... მე უნდა ვადღეგრძელო ის დრო და საათი, როცა... როცა იორდანე ღვამიჩავამ ნდობა მოიპოვა... არა, კი არ მოიპოვა, როცა ნდობა აღიდგინა ხალხის თვალში... გესმის, მარინე? შენ გესმის, რას ნიშნავს ნდობა? შენ იცი, რა ფასი აქვს ნდობით აღჭურვილ ადამიანს? სანდო კაციაო, ვენდობიო, ენდე, ნუ გეშინიაო, იცი, როდის იტყვიან? შენ თუ არ იცი, მე გეტყვი: როცა უმწიკვლო ადამიანი ხარ, როცა ხალხთან პარნათლად ხარ, როცა მთავრობაც კეთილის თვალით გიყურებს, ერთი სიტყვით, იორდანე ღვამიჩავას ნდობა აქვს, ნდობა. მან ეს ნდობა სიმართლით მოიპოვა. გესმის, თუ არა, ჩემო მზეთუნახავო! იორდანე ღვამიჩავა...

ეზოდან ფეხის ხმა მოისმა. ფიფქი თოვლის კრაქუნნი თანდათან მოახლოვდა და იორდანემ კარისაკენ ვახედვა ვერ მოასწრო, რომ ვილაცამ მკვახელ დააკაუნა:

— სტუმარი ღვთისაა, მობრძანდი! — არ დააყოვნა იორდანემ და სიხარულისაგან ამჩატებული ფეხზე წამოიჭრა. მარინეც წამოდგა სტუმრის შესახვედრად. გოჩამ თვალეხი ვააცეცა, ბიძია მიხა ხომ არ არისო.

კაკუნე განმეორდა, ახლა უფრო მრისხანედ და მოუტირებლად. იორდანე შესდგა. მარინეს თვალით ანიშნა — აქედან მოეცალეო და კარს თვითონ მიადგა. რაზა ასწია და კარი ერთბაშად გაიღო. თოვლის სინათლე შეიჭრა ფაცხაში.

სტუმარი ტანსაცმელს იფერთხავდა. უკანასკნელად ქული დაიბერტყა და თავდახრილი შევიდა ფაცხაში.

— უდროვო სტუმრობაა, მაგრამ რა გაეწყობა, — გაბზარულ ხმით დაიბუხუნა აყლაყულა მოწითურმა ვაეკაცმა, ტყევის ქვინჩი გახსნა და ხის ყუთში გამართული მაუზერი წინ გადმოივდო.

იორდანე უტბათ გამოფხიზლდა ჯონდო ბერულავას სტუმრობაზე. მხიარული შეზევედრა მოზომილმა სიტყვა-პასუხმა შესცვალა, ხოლო რევოლვერის დანახვისას დანის ქარქაში მოაფათურა იორდანემ.

ჯონდო მიუბატყებლად დაჯდა. ლადარი განხრია და აგიზგიზებულ ნაკვერცხლებს გათომილი ხელები მიუშვირა.

— ახალი წელიც ვერ მოვილოცე, — კვლავ აბუხუნდა ჯონდო, როცა ცეცხლზე ხელები მოითბო და ფიფქი თოვლი ჩამოიშორა შალის პაჭიკებიდან. — შენ რომ ჩემს ღღეში იყო, დარწმუნებული ვარ, სხვანაირად არც შენ მოიქცეოდი. ამიტომ იმედი მაქვს, არ დამძრახავ. თუ დამძრახავ, არც მაგ არის ჩემთვის საშიში...

ჯონდო დადუმდა, რამდენიმე წუთით გაშტერებული თვალები ცეცხლს მიაპყრო და, როცა მასპინძლებმა ისევ ღუმელით უპასუხეს მის ქარავმებს, გამომწვევი კილოთი განაგრძო:

— სიტყვა შეგაწყვეტინე, ბიძია იორდანე, ვკონებ სადღეგრძელოს ამბობდი?

დაცინვით გადახედა და მაუზერის ტარი შეათამაშა ბანჯგელიან ხელში. იორდანეს მოთმინება გამოელა ვაურანდავი, ტლუ ბიქის უხამსი საქციელის გამო, მაგრამ ცოლშვილის დაწიოკებისა შეეშინდა და ძალაუნებურად შეიმაჯრა თავი. ვაკადნიერებულ სტუმარს არც ახლა ვასცა რაიმე პასუხი და სიტყვის ბანზე ავდების ნიშნად სავსე ჭიქა მიაწოდა: დაილოცეო.

ზონდომ ჭიქა ჩამოართვა იორდანეს. ჯერ ლამპის შუქზე ფერი გაუსინჯა, მერე ანთებულ მუგუზლებში ერთი სუფრის კოვზის მანგი ჩაასხა. ალი წამოპკრა საარყე რახივით. ჯონდომ ღვინო შეაჭო.

— შენი მოკლე ფეხის სადღეგრძელო იყოს, ბიძია იორდანე!

— გრძელმა რაღა დააშავა? — უმაღ მიაგება იორდანემ და წელში შეირხა.

— ის დააშავა, რომ მოკლე არ არის, — უტიფრად უპასუხა ჯონდომ და სავსე ჭიქა აგიზგიზებულ ცეცხლში შეაჭტია.

ამის დანახვაზე გოჩამ ისივლა და ხელებგამილილ დედას უსურვაზივით ჩაეხვია.

მარინემ ხმა ამოიღო: ზრდილობა ტყეში დაგრჩენიაო, — შეჰკადრა ვათივხედებულ სტუმარს.

ჯონდოს ჯერ ისევ ხელში ეჭირა ცარიელი ჭიქა და თვალებს ცეტივით აცეცებდა: როგორ მოვიქცეო.

— მთვრალი ხომ არ ხარ, ბიძია ჯონდო! — მეტისმეტი მღელვარებისაგან ხმადაბლა ჰკითხა იორდანემ და მარინეს თვალთ ანიშნა: ცეცხლის პირს მოეცალეოთ.

ეს ივრონო ჯონდომ და სანამ მარინე წამოდგებოდა, ბოდიში მიაგება დიასახლისს, ცარიელი ჭიქა იორდანეს გადასცა და გამივსეო, შეემუდარა. ეს მუდარა ბოდიშაეც მოაგონებდა კაცს.

იორდანემ ვაეცსო.

ჯონდომ ხელახლა ასწია კიჭა და იორდანეს ჯალაბის სადღეგრძელო დალია. ფაცხა და შუაგულს დაულოცა. პირი და ნდობა მოაგონა.

სადღეგრძელო გაუგრძელდა. ხან რა მოკიბა, ხან რა. სიტყვა ასე დაასრულა: ვაგიგე, მამიჩემისეულ მიწა-წყალზე სამოსახლოს გაძღუევენო. ათო მირიანი კაცი ხარ და ქუთა-გონებაც ნათელი გაქვს, ხელი აიღე მან სასიფათო საქმეზეო.

იორდანემ ცხვირი ასწია:

— ცუდი სიზმარი გინახავს, — მიაგება დაცინვით.

— ცხადს მოვახსენებ, — აუწია ხმას აყბედებულმა სტუმარმა.

— გარწმუნებ სიზმარია, სიზმარი, რომელიც არასდროს არ ახდება.

— ვითომ? — ღიმილით გადახედა ბერულავამ და მოღუშული წარბი გახსნა.

— ცოლშვილს გეფიცები!

— მაგრა, ბიძია იორდანე. დღევანდელი შენი ფიცი ბეჭედსაშუღ ხელწერილს სჯობია. ჭკვიანი კაცი ხარ, ჭკვიანი. გული მეუბნებოდა, რომ შენ ასე მოიქცეოდი...

— ჭკვიანი იმიტომ ვარ, ბიძიკო, რომ ვითომ შენი შემეშინდა და სამოსახლოზე უარი ვთქვი? — ჩამოართვა სიტყვა იორდანემ და გესლიანად ჩაიხიზნო.

— კი არ შეგეშინდა, მაგრამ...

— აბა, მომეხატრა, ვითომ?

— ორში ერთია, ბიძია იორდანე.

— არც ერთი და არც მეორე, ჩემო ბიძია. იორდანე ღვაშიჩავს თავისი კარაბადინით უცხოვრია დღემდე ამ ქვეყანაზე: სხვისთვის არ წამიღელტია, ჩემი არავისთვის დამინებებია. დღეს რატომ ვიკადრებ ბერულავას ნამოსახლოზე ცეცხლის დანთებას? ეს არის და ეს. გული არ მიმიძღვება, თორემ შენი და მამაშენის ხათრი შემაჩერებს? მამაშენმა, ჩემო ბიძია, საკუთარი ხარები მოპარა თავის ოჯახს და სახორცედ გაყიდა. ცალკე მთავრობას ატყუებდა და ცალკე ჩემს ქორდად მონათელას ცდილობდა კუთხე-მეზობლის თვალში. გაუვიდა მერე? მან გამწირა და გამიძეტა, მაგრამ სამართალმა თავისი მიუზლო მას და ჩემს ლარბ ოჯახსაც. ასეა, ჩემო ბიძიკო. გული არ მიმიძღვება თქვენი ნამოსახლისაკენ, თორემ იორდანე ღვაშიჩავა ისეთი ძაბუნე არ არის, ბერულავების შიშით ხალხის შემოძღეულ სამოსახლოზე უარი განაცხადოს...

— მაშ რაღას მეფიცებოდი?

— შენ კი არ გეფიცებოდი, ბიძი, ჩემ თავს შეგეფიცე და ახალწელს დადებულ ფიცს შეეპარულე კიდევ. თქვენი ოჯახის ხათრი და შიში წაშლილია ჩემს გულში ყოველნაირად. ეს შენ კარგად უნდა იცოდე.

— შანს მიგებ, იორდანე! — იფეთქა ჯონდომ ერთბაშად და ისე აიწურა, გვეკონებოდათ, ეს არის წელში გაწყდებო.

იორდანემ დინჯად შეავლო მჯილისოდენა თვალეზი, მხარზე ხელი დაკრა და ვაბედული ხელის შეხებით უხეშად აგრძნობინა შარბან სტუმარს, ნუ იტყები, თორემ მკლავის ღონის გასიჩქევიში უყუყმანოდ გამოგყვებიო.

ჯონდო გასწორდა. რევოლვერი წინიდან თქმოსკენ გადააჩოჩა და ქეინჩის ლილეზი შეიკრა. კაცი იფიჭრებდა, წასვლას აპირებდა. იორდანესაც ასე

მოჩვენა. ჩაის ქიქა კვლავ გააესო და ჯონდოს დაუდგა: გინდ სადღეგრძელო დალიე, გინდა ვისმეს შესანდობარო.

გამომწვევად ჩასთვალა ჯონდომ იორდანეს სიტყვები, მაგრამ ახლო თვითონ წაუყურა და იორდანე ადღეგრძელა. სიხარული და ბარძანა მოსავალი უსურვა მის ოჯახს.

იორდანემ სამადლობელი დალია და ჯონდოს სადღეგრძელოც მიაყოლა ჩაის ქიქით.

— სხვა რაღა უნდა გისურვო, ბიძი! — მოგვიანებით დაასრულა სადღეგრძელო იორდანემ და რამდენიმე სიტყვა ხელახლა გაუმეორა გულწრფელად წარმოთქმულ სადღეგრძელოდან: — ნუ გაყვები მამის გზას, ბიძიკო. ჩემს შვილებს აქვს გზარება, შენ ეს ინანო, მაგრამ მაშინ შეიძლება გვიანი დარჩეს. ჩამოწორდი მამიშენის გზას, ჩემო ჯონდო... მიდი ხელისუფლებასთან, ჯანი და ლნე არ გაკლია, ცოდნა სხვებზე მეტი გაქვს შენს ტოლ-ამხანაგებში. მიადურთხე ეშმაკს. პატიოსან შრომას მოჰკიდე ხელი და, დამიჯერე, ათასჯერ უფრო მოგებული დარჩები...

შარავზაზე სიმღერა გაისმა... მთვრალეები „სულიკოს“ მიიმღეროდნენ. იორდანემ სიტყვა შესწყვიტა. სიმღერას წაუყურადა.

ჯონდოც შეიშშშა და, იჩქითად შეწრიალეებულმა, ფაცხა კუთხით-კუთხემდე ჩათვალეირა.

სიმღერა მოახლოვდა, კიშქართან ვილაცამ დაიძახა: ეი, მასპინძლოო.

ჯონდო ფეხზე წამოიქრა. უკანა კარს მიაწყდა. ერთბაშად მობრუნდა და იორდანეს შეემუდარა: ჩემს შესახებ არაფერი წამოგცდესო. ციმბირული ტყავის ქუდი საჩქაროდ თავზე ჩამოიფხატა, ყურები შეიფუთნა და უკანა კარით ეზოში გავარდა.

იორდანე ახალ მოსულ სტუმრებს შეეგება — წინა პარმალიდან.



გვიან ნაშუალამევეს ხორავას ბინაზე დააკაკუნა ჯონდომ. ოდაში შტეი ჩამქრალი იყო, სამხადშიც. ჯონდო კარვა ხანს იდგა პარმალზე. ვერ გადაეწყვიტა: დაეკაკუნებინა კიდევ, თუ გაწბილებული გაბრუნებულყო უკან. ალბათ, მაგრა იქეიფეს, დაითვრენ და ღრმა ძილში არიანო, გაიფიქრა მოგვიანებით.

ამ დროს სასტუმრო ოთახში მუგუზალმა გაიჩინჩხილა, ბებუთის პირის-ოდენა ალი ამოძერა ნაკვერცხლებიდან და ბუხრის გარემო გავანათა. ბუხრის ერთ კუთხეში დაბალი სამფეხა სკამი იდგა, ჯონდოს ბაბუის (უჩას) დას, ხორეშანს, უყვარდა ჯდომა ამ სკამზე. ხორეშან სამი წლის წინად გარდაიცვალა და ბებიის ხათრით თუ ქვეცნობიერი სიყვარულით ეს სკამი პაქუმ დაიჩემა ოჯახში. ბებია ხორეშანს ბუხრის მარცხენა კედრით უყვარდა ჯდომა. პაქუმ ეს ჩვეულება არ გასტეხა და მისი შინ ყოფნის დროს ბებია ხორეშანის მიერ ამონებულ ადგილას ვერავინ ვერ ბედავდა დაჯდომას.

ერთხელ ჯონდო დაჯდა სამფეხა სკამზე მიუბატეებლად. პაქუს უფროს-მა გაემა, დუტუმ, უშალ წამოავდო ჯონდო სკამიდან და გააფრთხილა კიდევ: მვორედ აღარ გაბედოო. დუტუ ოთხი წლის იყო მაშინ. ჯონდოს სასაცილოდ არ ეყო ბავშვის გაფრთხილება, მაგრამ პაწია დუტუს დედაც წამოეხმარა და

ჯონდო დასუსტული დათვივით წამოვარდა სკამიდან. ტყავშემოცვეტილ დივანზე მიგდებული თეთიკის ყაბალახი მხარზე გადაიგდო და გამორეშვილებულად გაიქცა ნათესავის ოჯახიდან.

ეს იყო შარშანწინ.

„კაცი მაშინ ვიყავი, — გაიფიქრა ჯონდომ, — ლეთისმწიფისმსახურების რისხვად მეყურებოდა. ფული და ქონება არ მიკვირდა. უფულობასა და უბინაობას არასოდეს არ შევეუწუხებდებარ. ახლა კი... კარდაკარ. ხატისხარად... სხვისი ხელისა და ლოგინის შემხედვარე...“

მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითი მოხარა და ფრთხილად დააკაკუნა. კარი დაუყოვნებლივ გაიღო. სანამ ვინმე გამოჩნდებოდა, ჩურჩული გაისმა:

— ჯონდო ხარ? შემოდი...

ჯონდო შევიდა ოთახში და კარი ჭრილით დაიხურა. ცოტა ხანს უკან ბუხარში ცეცხლი აფუზვუნდა. ლამპა არც ახლა აუნთითთ ხორავას ოჯახში. ჯონდომ ხელები წაითბო და ცეცხლის შუქზე მასპინძელი შეათვალა: მთვრალია თუ ფხიზელია.

— რას მიცქერი? მთვრალი გგონივარ? — შენიშნა პაქუმ და სკამზე მიფარებულ პიჯაკის ჯიბიდან პაპიროსი ამოიღო. თავი მოუსრისა და ნაკვერცხალს დაადო მოსაკიდებლად. ასანთი ხელში ეჭირა, მაგრამ რამდენიმე წამს ეწეაღა, სანამ პაპიროსს გააჩაღებდა ნაკვერცხალზე.

ეს ცუდად ენიშნა ჯონდოს. მაშინვე იაზრა, რომ პაქუ გულმოსულია და ძარღვების მოშლილობის გამო თვითონაც არ იცის რას აკეთებსო.

— რა ამბავია, ბიძია პაქუ? — შეეკითხა მოგვიანებით.

— სისხლი აქ მომდის, მაგრამ... დღეს ახალი წელი იყო და ხემსი არ ამიღია.

— რა მოხდა, კაცო?

— ლაწირაკი!.. — ვილაცას მისამართით შეუყურთხა ხორავამ და კბილები ულავივით დააკრაქუნა.

— არ გასვენებენ?

პაქუმ უღვაშები შეიგრობა, პაპიროსი ზედიზედ მოჭაჩა და კვამლი საესე მკერდით ჩაისუნთქა.

ჯონდო თვალს არ აშორებდა პაქუს, მაგრამ მეტის თქმისა და შეკითხვისაც ერიდებოდა.

— აღმასკომიდან მომხსნეს, — როყოოდ სთქვა ხორავამ.

— ბიკოს! ვითომ რატომო?! — გაიოცა ჯონდომ.

— მამაშენის მფარველობა დამდეს ბრალად, ჯონდო შენ გააპარეო და რა ვიცი. შენ გაქცეულად გთვლიან, სხვათა შორის.

ჯონდო გაშეშდა. შიშით თუ ბრახით ენის მობრუნება ვაუჭირდა.

— ჩვენი ნათესაობისა არაფერი იციან, მაგრამ სამაგიეროდ კულაკის მფარველობას მიყენებენ ბრალდებად, — დასძინა ხორავამ და ფიქრებში შესტოპა. მოაგონდა რაიკომის ბიუროს სხდომა, ვაშალომიძის თავდასხმა, რაიკომის მდივნის შემოტყევა. მაგრამ ბიუროს სხდომაზე რომ არავის არ უხსენებია უტუ ბერულავა და არც ჯონდო! ეს იცრუა ხორავამ ჯონდოს წინაშე. იცრუა და ახლა თვითონ ჩაფიქრდა, რატომ ვიცრუეო.

— საჭირო იყო. — დაასკვნა ხანმოკლე ფიქრის შემდეგ ხორაევმა და ჯონდოს მიუბრუნდა: — ეგ არაფერია, ჩემო ჯონდო, შენ ისა სთქვი, რა უბრალოება ლეამიჩავა?

ჯონდომ დაწვრილებით უამბო ყველაფერი.

— მინდოდა მომეკლა, მაგრამ ვიფიქრე, იქნებ ამან ^{ქვემოთ} ^{საქმის} ^{განმარტების} მდგომარეობა-მეთქი და მშვიდობიანად წამოვედი. — დაასრულა ჯონდომ ხანგრძლივი საუბარი.

— მაშ სახლი ჯერ არ დაურღვევიათ?

— ზაფხულამდე ხელს არ ახლებნო, მითხრეს სარწმუნო პირებმა.

ჯონდოს დასცბა. ტანზე დაიხედა და ახლა შენიშნა, რომ ქვინჩით იჯდა გავარჯარებული ბუხრის წინ. წამოდგა. ქვინჩი კუთხეში მიდგმულ დივანზე მიავლო და ბუხარს დაუბრუნდა.

პაქუმ თვალი შეავლო ტარმოლეულ მაუზერს. წარწერა გაუსინჯა. ინიცილებში თავისი სახელი და გვარი ამოიკითხა.

— ეს მაუზერი მე ვაჩუქე მამაშენს, ევონებ, 1919 წელს.

— კვლავ ხელი შეავლო და ჯონდოს შეეკითხა: ვაზნები თუ გაქვს ბლომადო.

— ხუთი გარსაკარი დამრჩა.

პაქუ უბზოდ წამოდგა, შარვლის ჯიბიდან კამოდის გასაღები ამოიღო, უჯრა გამოსწია და ორი ყუთი ვაზნა გადასცა ჯონდოს.

ისევ ცეცხლის პირს მიუჯდა. ლადარი გაჩხრიკა და ხელში შერჩენილი ჩამქრალი პაპიროსის ნამწვი გააჩაღა.

ბუხარი ხმადამლა ბუტბუტებდა. თითქო დამუნჯებულ სტუმარ-მასპინძელს ზღაპრებით ართობსო.

ჯონდო და პაქუ კარგა ხანს ისხდნენ ასე გამგუნებულებივით. ერთიც და მეორეც საკუთარ პირვარამს ჩაფიქრებოდა. აწმყოსა და მომავალსაც მუშტრის თვალთ სწონიდა. არც ერთს ხგალინდელი დღე არ უღიმიოდა. ცისკიდური ნისლითა და ჯანლით იყო შებურთული.

— შენ მშვიერი იქნები, — დაარღვია სიჩუმე მასპინძელმა და თვალები მოისრისა. — მეც უტყველი ვარ, გავადვიებებ გოგოს.

— არაფერი არ მინდა, — ასწია თავი ფიქრებში გართულმა ჯონდომ, მაგრამ დიდი თავპატივი აღარ გამოდიოდა და რამდენიმე წუთის შემდეგ ჯონდო და პაქუ მადიანად შეექცეოდნენ სახალწლო კერძებს და ხელუხლებელ ულუფებს. პაქუ ღვინოსაც ზედოზედ ასხამდა საშინაო ჭიქებში. ჭიქების მიჯახუნება სცელიდა სიტყვიერ სადღეგრძელოებს.

— ვაშალომიძე ისევ იკბინება? — შუაქამისას იკითხა ჯონდომ. წვენი გასვრილი თითები შეიმშრალა და დოლაბივით ამოძრავებული ყბა დააყენა. პაქუმაც შეიწმინდა თითები შესვენების ნიშნად. ჯონდოს ცალყბად უპასუხა შეკითხვაზე და პაპიროსის კოლოფს წაეპოტინა.

— დაუფასეს კიდევ, — განაგრძო ხორავამ. — ხელმარტო ლაწირაკს სამოთახიანი ბინა მისცეს კოლხიდშენის ფონდიდან.

— კაცად რომ ვარგოდეს, სამი ოთახი რა დასაყვედრია. დღეს მარტოხელაა, ხვალ ოჯახი ეყოლება, მაგრამ...

პაქუ შეიკმუნხა. უცბათ ვერ ახსნა ჯონდოს ასეთი პასუხი და ცოტას გაწყდა იფეთქა, შენიშვნასა და შესწორებას როგორ მიხედავო.

ჯონდო მიხვდა მასპინძლის განზრახვას და სწრაფად გამოასწორა!

— თუმცა, მართალია, კაცადაც რომ ვარგოდეს, სამი უფუხეს დღესი მაინც არ იყო. — და იკითხა: — სად მისცეს ბინა, რომელ ქუჩაზე?

— გურიის ქუჩის დასალიერს, გარეუბნად ითვლება, მაგრამ ნაიუქარ ცხენს კბილს რომელი გიყი გაუსინჯავს...

— გურიის ქუჩაზე, — აბუტბუტდა ჯონდო. თითი შუბლზე მიიღო, თითქოს დიდი ხნის დაეწეებულ ამბავს იგონებდა.

— შევარდნადის სახლის პირდაპირ. ნუთუ არ გაგონდება? — წამოეშველა ჯონდოს მასპინძელი.

— ვიცი, — დაბეჯითებით წამოიძახა ჯონდომ. — სასაფლაოს მახლობლად. კარგი ადგილია, — შეაქო ჯონდომ ადგილმდებარეობა, თვითონაც არ იცოდა, რატომ.

— ადგილი მართლაც რომ კარგია, — დაემოწმა ხორავა. — სასაფლაო ახლოს ექნება და მეკუბოვეც იქვე მუშაობს, შევარდნადის სახლის დარბაზში.

ჯონდოს ენიშნა ხორავას ქარავმა. სისხლიანი თვალები ზედიზედ გადაატრიალა და მაუზერს დახედა, თითქოს ეკითხებოდა, ხომ არ მიმტყუნებო.

საუბრის საგანი ორ-სამჯერ შესცვალს. ისევ ვაშალომიძეს დაუბრუნდნენ, ისევ გურიის ქუჩა ახსენეს, ბნელი მოსახვევი, უცაკრიელი მიდამოები.

— რაიკომის ბიუროს სხდომა დილის სამ საათამდე გრძელდება ზოგჯერ, — უთავბოლოდ სთქვა ხორავამ და თითქოს უხერხულობა იგრძნო, თითონვე დაუმატა: — სანამ იქ მიაღწევდეს კაცი, გათენდება კიდეც.

დროს ხსენების გამო საათს დახედა პაქუმ. ჩვეულებად ჰქონდა: დროს ისე ვერ ახსენებდა, საათისათვის რომ არ დაეხედნა.

— საცაა გათენდება! — გაოცებით წამოიძახა მასპინძელმა და სუფრიდან წამოღვა. მას ჯონდოც აჰყვა.



ახალწელს ღამით ბონდო იჩივავა, როსტომი და სარდიონ ვოგოლაძე იორდანეს ესტუმრნენ. დიდად გაიხარა იორდანემ. მარინესა და ბავშვებს ხელმეორედ გაუთენდათ ახალი წელი. ცივი და გრილი აღარ აქმარა დიასახლისმა სტუმრებს. სწრაფად კეცი გადაადგა და ორი სადღეგრძელო ვერც-კი მოასწრეს შემოსწრებულებმა, რომ გოდარის პირის ოდენა ხაჭაპური გაჩნდა სუფრაზე. ხაჭაპურს რველად მოხარული დედალი მოჰყვა, ლორის მწვადები და ოდიშური საწებელი.

გათენებამდე იჭეიფეს. უამრავი სადღეგრძელო სთქვეს. მათ შორის იორდანე განსაკუთრებული ყურადღებით ახსენეს. მოიგონეს მისი თავგადასავალი, შერცხენა, გამართლება, დაუსრულებელი მითქმა-მოთქმა და ჭორები.

ბონდომ დრო უხელთა და სადღეგრძელო ასე დაასრულა:

— მართალია, დღეს ახალი წელია, სტუმრობა-მასპინძლობისა და მისვლამოსვლის დღე, მაგრამ ჩვენს აქ მოსვლას განსაკუთრებული მიზანიც ჰქონდა. გარდა ტრადიციულისა, — გაუსვა ხაზი ბონდომ უკანასკნელ წინადადებას. — ჩვენ დღეს მოვედით იორდანესთან ახალწლის მოსალაოცადაც, მაგრამ მთავა-

რი ჩვენი მიზანი იყო მოგველოცა იორდანესთვის ახალი სამოსახლო, რომელიც გამგეობის სდომამ დღეს გამოჰყო მისთვის უტუ ბერულავას ნამოსახლ ფართობში...

— მართალია!

— სავსებით სწორია! — ოფიციალურ კილოზე დაქრწმუნებული გოგოლაძე და როსტომი.

იორდანემ მადლობის ნიშნად კიქა მიუჯახუნა სტუმრებს და სამადლობელი უბრაღ გადაჰკრა.

ფიქრები შემოაწვა იორდანეს. მოწყენა არ შემწამონო, — გაუელვა უცბათ და ხასან-ბეგურა წამოიწყო. გოგოლაძემ მოძახილი უთხრა, როსტომმა ბანი და შემთხვევით ისე კარგად გამოუვიდათ ეს რთული და მრავალბმიანი სიმღერა, რომ დამთავრებისას საუბრის თემა თავისთავად შეიცვალა და ხასან-ბეგ თავდგირიძის ღალატი და უნამუსობა სჯა-ბაასის მთავარ ღერძად გადაიქცა. იორდანესაც სწორედ ეს უნდოდა.

როცა სტუმრები ერთმანეთს გაეჯიბრნენ ისტორიის ცოდნაში, იორდანე სამოსახლოს ამბავს ჩაუფიქრდა და — ჯონდო მართალი ყოფილაო. — სთქვა თავისთვის. ახლა მთავარი ის არის, როგორ შეხედდეს იორდანე სამოსახლოს ჩუქების ამბავს. რა პასუხი გასცეს უმიწა-წყლო კაცმა არტელის გამგეობის დადგენილებას. სთქვას: მიწა არ მინდა, ჩემიც შეყოფაო. ვინ დაუჯერებს. უმიწეზოდ განაცხადოს უარი, ვინ იცის, როგორ კუღს გამოაბამენ ამ დაუსაბუთებელ უარისთქმას. არა და გული რომ არ მიიწევს ბერულავას ნამოსახლოსკენ? წელანაც ეს უთხრა ჯონდოს და... ამათ რაღა უთხრას უფრო ზუსტი და დასაბუთებული?

ჯონდოსთან ვაბედულად ლაპარაკობდა იორდანე. უფრო თამამად გრძობდა თავს. სოფლის მოწინავე ამხანაგებს რაღა უთხრას, სიტყვა რომ მოაბრუნონ და იჩქიიად ჰკითხონ. რას იტყვი გამგეობის დადგენილების შესახებო.

სტუმრები დავას მორჩნენ. ბონდო დაარწმუნა სარდიონ გოგოლაძემ, რომ ხასანბეგ თავდგირიძეს გურულებმა ერთი წამით არ აპატივეს ღალატი და გამცემლობა. სახელდახელოდ შეთხზეს ლექსი ხასანბეგზე და ლექსი იგი სიმღერად აქციეს. როგორ თავზარდამცემია ხასან-ბეგურას მოძახილი. თითქო ბრალდებული ხასანბეგი დაჩოქილი დგას ხალხის წინაშე და ღალატით აღშფოთებული ხალხი შერისხვისა და შეჩვენების განაჩენს უკითხავსო. ასეთია სიმღერის შინაარსობრივი შთაბეჭდილება მისი პირველი მოსმენისთანავე.

იორდანე ისევ სამოსახლოზე ფიქრობდა. მუღამ ფიცხსა და აჩქარებულ როსტომს არ გამოეპარა მხედველობიდან იორდანეს ჩაფიქრება. აქ რაღაც ამბავიო, სთქვა და აღარ დააყოვნა:

— რას ჩაფიქრებულხარ, ბიძია იორდანე, ბერულავებისა ხომ არ გეშინია, — შეეკითხა მოულოდნელად.

— შიში რა სახსენებელია, — უცებ მიაგება იორდანემ, თითქოს დიდი ხანია ასეთ შეკითხვას ელოდა და პასუხიც წინასწარ ჰქონდა გამოკობიტებული. — ქურდობა დამწამა და არ შემშინებია. სიმართლეს მივენდე. აქ რისიღა უნდა მეშინოდეს, მაგრამ...

შეყოყმანდა იორდანე. ვერც ავი და ვერც კარგი ველარ დაუმატა გაბედულად დაწყებულ წინადადებას.

— თუ სახლი გაფიქრებს, — წამოეშველა როსტომს ბონდო ოჩიგავე, — საცა სამოსახლო ვიშოვეთ, იქ სახლის აშენებასაც შეგაძლებინებოქნა.

ალარ უთხრა ავიშენებთო, თუმცა წინასწარ ასე იყვნენ მოლაპარაკებულნი ბონდო, როსტომ და სარდიონი: თუ ძალიან გაეხარდება იორდანეს სამოსახლოს მიცემა, ბარემ სახლის აშენებაც შევპირდეთო. ახლა სხვანიარად სთქვა ბონდომ ეს აზრი და ამხანაგებსაც მოეწონათ გულში, ასე სჯობდაო.

— სახლის აშენება და ოჯახის გამართვა ეს შენს მარიფათზეა დამოკიდებული, — ჩაერია საუბარში სარდიონი. — მიწა ქვეყნისაა, ჩვენც ავიღეთ და მუქთად შექნილი მიწა უსასყიდლოდ მოვიზომეთ. ამ მიწაზე როგორ იხეირებ, რას მისცემ და რას აიღებ მისგან, ეს თვითეული ჩვენგანის შრომა და უნარზეა დამოკიდებული. ვინც იმუყაითებს, ის ყოველთვის მოიგებს. ვინც მეტს იშრომებს, ის მეტსაც მიიღებს.

— მეტის მიღებაზე მომაგონდა, ამხანაგებო, — ჩამოართვა გოგოლაძეს სიტყვა ბონდო ოჩიგავემ: — ამბობენ, უახლოეს ხანში არტელებში შრომა-დღეებსა და სანარდო სამუშაოებს შემოიღებენო...

— მერე? რა შეიცვლება მაგით? — იჩქარა იორდანემ შეკითხვა და ბონდოს სიტყვა ალარ დაათაყვინდა.

— ბევრი რამ, — მიუგო ბონდომ: — მუყაითი კაცი დღეში ორ ნორმას გამოიმუშავებს, ზოგი სამსაც და სამ შრომა-დღეს დაიწერს ერთის ნაცვლად.

— კი მაგრამ, ზარმაცები დაგანებებენ. ბიძი, მაგ წესების შემოღებას? არ გახსოვთ, რას ამბობდა ბოკუჩა ჯალალანია — სულადობაზე უნდა გავყოთ მოსავეალიო. თქვენ გგონიათ, ბოკუჩას თანამააზრე ცოტა გყავთ არტელში?

იორდანემ კარგა ხანს ილაპარაკა ახალი წესების შემოღების ავსა და კარგ თვისებაზე, ხელის შემშლელებზე, უქნარებზე და მაინც ასეთი დასკვნა გამოიყვანა თავისდაუნებურად:

— საბოლოოდ ეს აზრი გაიმარჯვებს, შრომასა და თავდადებას ფასი მოუვა. ვინც დღეს სულადობაზე გაყოფას მოითხოვს, მოგვიანებით თვითონ იყვარებს — შრომა-დღეებზე გავყოთო. მაგრამ პირველად, — აქ სიტყვა გაუგრძელდა იორდანეს, — პირველად გაგიქირდებათ, ამხანაგებო!

არტელის საკითხებზე წამოჭრილმა დავამ კვლავ დაეწიყებას მისცა სამოსახლოს ამბავი, და ახლა ყოველ ღონეს ხმარობდა იორდანე, როგორმე ალარ გამეორებულიყო იგი სუფრის აშლამდე. ხან სიმღერით, ხან მოულოდნელი სადღეგრძელოებით იორდანემ მოხერხებულად გადააიწიყა სტუმრებს ბერულავას ნამოსახლი და როცა ბონდომ შემთხვევით ჯონდოს გაქცევა და შუა აწიწიში გადაკარგვა ახსენა, იორდანემ წარბი შეიკრა და, თითქოს არ ეუგონიო, ჯონდო ბერულავას გაქცევის ამბავს გვერდი აუქცია.

დილით ყველაფერი მოაგონდა იორდანეს. მოაგონდა და ველარ მოისვენა. — სალაპარაკოდ მარტო ის კმარა, ბერულავას ნამოსახლზე რომ უარს ამბობს იორდანე, ახლა ჯონდოს სტუმრობაც რომ დამალოს, რას ეტყვიან სოფლის თავაკები? ინახავდიო, ამრავლობაში ხელს უწყობდიო, რომ დასდონ ბრალად, ახი არ იქნება?!

ველარ მოისვენა. ადრე ისაუშმა და ცოლს ხეაშიადი გაუმკლავდა. მარინე-საც მოეწონა იორდანეს გადაწყვეტილება.

იორდანემ განუყრელი ყავარჯენი აიღო და საღვამიჩაოსკენ გასწრაფდა. მზიანი დღე იყო. თოვლს წყალი შესდგომოდა. ჯერ კიდევ მთებზე ოშხივარი ასდიოდა. ვინ იფიქრებდა, რომ გუშინ თოვდა კოლხეთში, რომ მოულოდნელმა ქარბუქმა და ხოშაკალამ მუხლამდე თოვლი დაჰყარა დღელამის განმავლობაში, რომ დღეს დილით ერთბაშად გამოიღარა და დაბალსადილობისას უკვე ლილოჭრელი გაჩნდა სოფელში.

ასეთი ტაროსი მხოლოდ კოლხეთში იცის და ამინდის ასეთ აწერილობას მხოლოდ კოლხი თუ დაიჯერებს.

იორდანეს თვალი მოსჭრა მზისა და თოვლის ელვარებამ. თვლები ბეცვით მოწუხა და თავჩალუნული გაჰყვა თემშარას.

★

არტელის გამგეობის შენობის წინ ხალხი შეყრილა. ზოგი გრძელ სკამზე ჩამომჯდარა. ზოგს ლურსმნის ცარიელი ყუთი გადმოუბრუნებია და ზედ დაყუნცულა. ზოგიც მოაჯირზე შესკუპებულა, ზურგი მზისთვის მიუფიცებია და თვლები-მილულული სთვლემს. არტელის წევრები სქარბობენ თავმოყრილთ შორის. აქ არიან: როსტომი, სარდიონ გოგოლაძე, კოსტაია ჩაჩუა და ბოკუჩა ჯალალანას ძმა ისიდორე.

ისიდორეს ბოკუჩას მკვლელობაზე ჩამოუგდია სიტყვა. უტუმ დააქცია მისი ოჯახი და ბოლოს სულაც ამოხადაო, — ამბობს დაურიდებლად.

ერთი ხანშიშესული გლეხი სიმინდის დამზადების შემხვედრ გეგმაზე ედავება სარდიონ გოგოლაძეს. სარდიონი თითქმის ყველაფერში ეთანხმება. მაგრამ ხანშიშესული გლეხი მაინც ცხარობს, ხმას ხშირად აუწევს, სკამიდან წამოვარდება, სარდიონს პალტოს საყელოზე მოაელებს ზღლს და სეტყვისავით წაუშენს ბრაზიან სიტყვებს. დავაში გულს შოიობებს, თანდათან მოშმინდება და ისევ სკამზე ჯდება.

წყუთით ჩოჩქოლი მინელდა. იორდანე ღვამიჩავამ ცალფერად ამოთვალა ხის პატარა კიბე, თოვლიანი ფეხები დააბაკუნა, თითქოს ვინმეს ემუქრებოდა და მდაბლად მიესალმა მეზობლებს.

— ო, იორდანეს გაუმარჯოს! — თითქმის ერთხმად წამოიძახა ყველამ. ზოგმა ხელი გაუწოდა, ზოგმა ყაბალახი მოუხადა შორიდან. კოსტაია ჩაჩუამ მახლობელივით ჩაჰკოცნა, კაი წელიწადი უსურვა და ყოჩაღ ყაძახო, — ორსამჯერ გაუმეორა ზედიზედ.

ვერავინ მიხედა, რას უწონებდა კოსტაია იორდანე ღვამიჩავას. ვერც იორდანემ მიიტანა რაიმე გუმანი და თვითონაც განცვიფრებული დარჩა სხვებთან ერთად.

კოსტაია თავისას არ იშლიდა და ქადაგად დავარდნილივით იმეორებდა: ყოჩაღ, ჩემო იორდანე, აფერუმ შენს კაცობასო. ბოლოს იორდანეს ხელი გამოსდო, პარმალის კუთხეში მიიყვანა, ცარიელ ყუთზე თვითონაც დაჯდა და იორდანეც ვვერდით მოისვა.

იორდანემ ცალი თვალით გამგეობის ოთახში შეიხედა, ბონდო დღე სადმე სჩანსო. ვერაფერი ვერ გააჩნია ოთახში მზისა და თოვლის ჭარბ სიხატლესე მოჭრილი თვალებით.

ეს შენიშნა როსტომმა და ხმამალა მიიძახა: ერთ საათში დაბრუნდებო. იორდანე ახლა დამშვიდებული დაჯდა მზის ყურზე და კოსტაის/ჩანჭასთან სულდათქმული საუბარი გააბა.

— ასეა, ჩემო სარდიონ, — ცხარობდა ისევ ხანშიშესული გლეხი, — თუ არტელის გამგეობამ მაგ შემხვედრი გეგმიდან ვერ გაითავისუფლა თავი, მშვიდობით ბრძანდებოდეთ, კაცი აღარ ვაგეკარებათ კოლექტივში...

— დარწმუნებული ვარ, ვაგვითავისუფლებენ, — მშვიდად უპასუხა სარდიონმა. — ვნახოთ, რა ამბავს მოგვიტანს ბონდო რაიონიდან. მართლა და სულს ზომ არ ამოგვბდინან სიმინდის დამზადების გეგმის გადასაჭარბებლად. შემოდგომაზე ორასი ცენტნერი ჩავაბარეთ. ახლა კიდევ ასი ცენტნერი. არა, არა, ამხანაგებო, ეს შეეცდომაა. უთუოდ რაღაც გაუგებრობაა...

იორდანემ ყური სცქეცია სარდიონისა და ხანშიშესული გლეხის ხმამალ საუბარზე. კოსტაიას, რომელიც ამ დროს ყურში უჩურჩულებდა რაღაცას იორდანეს, ნიდაყვი წაპკრა — დაჩუმდით და თვითონაც სული გატვრინა.

— თქვენი არ ვიცი და... — განაგრძო ხანშიშესულმა გლეხმა, — მე აგერ მიდევს ჯიბეში განცხადება: როგორც კი ბონდო ცუდი ამბით დაბრუნდება რაიონიდან, ვადაყეპმ ამ განცხადებას და „ჯვარი ვწერიათ ჩემი თვალიდან“, ჩემს ორანს ველარ იბილავეთ კოლექტივში.

— მეხუზლა ლაპარაკობს ამას?! — აღმოხდა უნებლიედ იორდანეს.

— მეხუზლა, კი, — ჩემად უპასუხა კოსტაიამ და ახლა თვითონ წაპკრა ნიდაყვი, — დაჩუმდით.

გურიიდან გადმოსახლებული გაბრიელ მეხუზლა თხუთმეტი წელიწადია საღვამიჩაოში ცხოვრობს. ოჯახი კი გამართა. ეზო-მიდამოც დაამშვენა. კუთხე-მეზობლობას უყვარს გაბრიელ მეხუზლა, როგორც გამრჯელი და პატიოსანი მშრომელი. კაი სამეზობლო კაცის სახელიც აქვს მოხვეჭილი საღვამიჩაოში. სოფლის თავკაცებში მასაც ასახელებენ. ამიტომ იყო, როგორც კი გამოცხადდა მთლიანი კოლექტივიზაცია, გაბრიელ პირველი გამოცხადდა ბონდო ოჩიგავასთან და ჩამწერე არტელშიო, განუცხადა უყოყმანოდ. ცოლიც ჩასწერა არტელის წევრად. მაგრამ ვაეილა ხანი, არტელის შიგნით ათასჯერ შეიცვალა შინაგანი განაწესი. ათასჯერ შებრუნდა და შეტრიალდა მოსავლისა და წლიური მონაგარის გაყოფა-განაწილების ძირითადი წესდება. საერთო კრება ერთს ადგენს, რაიონმასკომი სულ სხვა ცირკულიარს ჰგზავნის; ცენტრიდან კიდევ ორივეს საწინააღმდეგო ახსნა-განმარტება მოდის. გაბრიელ მეხუზლამ ათჯერ მაინც გადასწყვიტა არტელიდან გასვლა. გადასწყვიტა, მაგრამ ერთ-ორ თვეს კიდევ დავაძლიო, დასძენდა თვითონვე და ასე მოიტანა თავი დღემდე. დღეს დილით უთბრეს, სიმინდის დამზადების შემხვედრი გეგმა წარუდგენიათ რაიონიდან და ჩვენმა არტელმა დამატებით ასი ცენტნერი სიმინდი უნდა ჩააბაროს დამზადების კომიტეტსო. მაშინ კი იფეთქა მეხუზლამ. ადვა და განცხადება დასწერა. სწორედ იმ განცხადებით ემუქრებოდა ახლახან სარდიონ გოგოლაძეს.

დღეს თანამოაზრე ბევრი ჰყავს მეხუზლას. თუ მეხუზლასაკვირ ხმამალა არა ყვირიან, ჩუმ-ჩუმად თითქმის ყველა საყვედურს აცხადებს. — ეს ხელაური კანონია, არტელმა ჩირის ფასად ჩააბაროს სიმინდი მთავრობას და თვითონ ოჯახის სარჩო მამასისხლად იყიდისო.

საღვამიჩაოელების არტელის ძირითადი შემოსავალი ^{გემოსავალი} სიმინდითა და ბოსტნეულით განისაზღვრებოდა. მუხუდო ბევრი მოიწიეს, მაგრამ აღებისთანავე ჩააბარეს დამზადებას. ნარინჯოვანი და ტენიკური კულტურები ჯერ შემოსავალს არ იძლევიან და თუ სიმინდის მოსავალი მთლიანად ჩააბარეს დამზადებას, მართლაც, რით უნდა იარსებონ არტელმა და არტელის წევრებმა?! ასეთი აზრი წაიღო ბონდომ რაიადმასკომში, ეს აზრი არტელის საერთო გადაწყვეტილება იყო და ვნახოთ რას იტყვიან რაიონის თავკაცებო.

— მოსავალი ჯერ არ გაუნაწილებიათ? — ხმადაბლა ჰკითხა იორდანემ კოსტაია ჩაჩუას.

— სამ-სამი ცენტნერი სიმინდი დაარიგეს მუშა-ხელზე. დანარჩენი ჯერ გაუნაწილებელია, — ხმადაბლავე უპასუხა კოსტაიამ და მწარედ ამოიოხრა. — სად გვყავს პატრონი, თორემ... ვის რათ უნდა ჩვენი ორი ჯამი სიმინდი?! რუსეთის პური ერთ ზღვას ამოაშრობს. აქ კიდევ ზოგიერთ მეტიჩარა შეთაურს დაუჩემებია: დამზადების გეგმას შემხვედრი გეგმით უნდა ვუპასუხოთო. კი, უპასუხე, თუ გიყრია ბელელსა და სასიმინდეში. როცა თავგების თავშესაქცევი აღარაფერი დაგრიება... მაშინ? მაშინ რაღა ვქნათ, გეკითხები მე?

აიმალა ხმა კოსტაიამ და იორდანე შეანჯღრია.

— მე რას მეკითხები, ვეყო? წადი, იმას ჰკითხე, ვისაც პასუხის მიცემა შეუძლია. მე რა პასუხი უნდა მოგცე, თუ იცი...

— შენ... შენ თავიდანვე გვაჯობე, ჩემო იორდანე. ამა ტყვილა გეუბნებოდი წელან — ყოჩალი ხარ, აფერუმ შენს კაცობას მეთქი. ჰკვიანი ხარ, იორდანე, ჰკვიანი. თუ ღარიბად ცხოვრობ, სამაგიეროდ ორასი უფროსი და ჰკუის მასწავლებელი მაინც არ ავიშლის ყოველდღე ძარღვებს. ჰკუა გაქვს თავში, სამართებელივით ბასრი ჰკუა...

დიდბანს დაობდა კოსტაია ჰქვეუნი კირვარამზე, საღვამიჩაოს არტელის აეკარგზე, მის ხვალინდელ დღეზე. გული სტკიოდა, რომ დიდის ვაგლანით მოწესრიგებული საქმე უთაობით ინგრეოდა. მოულონებებელ არტელს საფუძველი ერყვოდა. ხალხში უნდობლობა და უიმედობა იკიდებდა ფეხს. არტელში დარჩენა შიმშილობას უდრის, პრტელიდან გასვლა — არტელის დანგრევას და კოლექტივიზაციის იდეის დამარცხებას. კოსტაია თავიდანვე მომზრე იყო კოლექტიური შრომისა; სხვებს ანუგეშებდა — ფიქრი ნუ გაქვთ, არტელეში ყველა ვინებრებთო და ახლა თვითონ ჩაეარდა ფიქრსა და საგონებელში. ჯერ კიდევ იმედი აქვს, ბონდო კაი ამბით დაბრუნდება რაიონიდანო, თორემ თუ ბონდო მართლაც ხელცარიელი მოვიდა, მაშინ კოსტაია ჩაჩუა მეხუზლასთან ერთად შეიტანს განცხადებას არტელიდან გასვლის შესახებ, და მშვიდობით ამიერიდან კოლექტივის ბიჭებო!

ასევე სამართებელივით აღესილნი არიან არტელის სხვა წევრებიც. ჩოჩქოლი და უწესრიგო საუბარი ძლიერდება და რაც დრო მიდის, მით უფრო გაბედულად სჩივიან და საყვედურს აცხადებენ შემხვედრი გეგმის შესახებ.

„მოსავლის გაყოფაზე დაუხეტქენ თავს ერთმანეთს-მეთქი და ბჭ, მგონი, ვსაყოფიც აღარაფერი რჩებათ ამ საცოდავებს“, — გაიფიქრა იორდანემ და შინ წასვლა დააპირა. ემყოფილი იყო, რომ ბონდო არ დაუხვდა გამგეობაში. იორდანე აღარ ჩქარობდა თავისი ურყევი გადაწყვეტილებით. სისულელეზე მოყვანას, ამ დილით რომ მოსვენებას არ აძლევდა მას და შარინეს.

იორდანე წამოდგა. მზეზე შეცხუნებულმა და მოთენთილმა ერთი-ორჯერ ტკბილად ვააზმორა, ჩოხა წამოიკალთა და კოსტიას ხელი გაუწოდა გამოსათხოვებლად.

იორდანეს როსტომი გადაეღობა წინ.

— ცოტა კიდევ მოთმინე, ბიძია იორდანე, საცაა ბონდო გაჩნდება.

— საჩქარო არაფერია. თუ მოვიცალე, ხვალ-ზევ გამოვივლი და მასთან საუბარს მაშინაც მოვასწრებ...

ყავარჯენი შეათამაშა და კიბეზე დაეშვა.

„ძალი პატრონს ვერ ცნობსო, სწორედ ეს არის, — აეკვიტა იორდანეს უზიავი ფიქრები. — არა, ვილაც განგებ ურევს ამ არტელის საქმეს, თორემ ასეთი უთავბოლოება სად გაგონილა! ჯერ იყო, ყური გამოგვიჭედეს, სიმინდის კულტურა უნდა მოვსაოთო. რამი და სოია უნდა ვთესოთო. ზოგან ვერც რამი დათესეს და ველარც სიმინდი მოასწრეს გვალვების გამო. ახლა მოწეულზე ყველას ფართო თვალეები უჭირავს. ეს დამზადებო, ეს შემხვედრი გეგმომე ვინ შეკითხება ამ მძიმე-მძიმე ამბების გარჩევას და განხილვას. მაგრამ მაგ შემხვედრი გეგმის მომგონი ან ბუნებით ჭკუამოკლე ადამიანია, ის კიდევ დიდი გაიძვერა და გაქნილი ვინმე. ხალხს ლუქმა-პურს რომ გამოსტყუებ ხელიდან, იყვირებს, აბა, რას იზამს? სენაკელი კაცი სიმინდის გადაშენებას მოითხოვდეს? თუმცა რა... ქვიჯალია და ქვეყნის ხელმძღვანელი“?

იორდანე უკვე ხმამაღლა მიდაობდა სოფლის თემშარაზე...

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ვალერიან გაფრინდაშვილი

ბუნებებს

მე მიყვარს შენი მთა-ველები და წყაროები,
თუმცა, აღერსით არ ეპყრობი თითქოს არავის.
მატბობს ფოთლების უდაბურა, მწვანე კარავი,
ფრინველთ სიმღერას ვუსმენ ტყეში განმარტოებით.

ესუნთქავ მარადის ბეივნების ტკბილ მყუდროებით.
შუავს ხეებს შორის მეგობარი — ჩემი მფარავი.
მე ქარიშხალიც არ მაშინებს თვალშემზარავი
და მზიბლავს წვიმა — ნაზ წვეთების მკრთალ ურდოებით.

გამოუცნობო! შენ მიცქერი მღუშარე სახით.
მე მაინც შენგან ეელოდები ჭეშმარიტებას.
მოგესალმები სიყვარულით, ლექსით, ზამბახით.

ვეამბოროები შენს ცას, გაშლილს მარგალიტებად.
ლალო ბუნებაე! ხან სასტიკო, ხან ტკბილო დედაე.
მე შენს წიაღში დაბრუნებას ხელახლა ვბედაე!

გიორგი კიკვაძე

პირველ მერცხლებს

მერცხლებო, იას დაუსწრია, მორთულან ტყენი,
არც ნისლი სადმე... არც ზამთრული ყინვა და თოში...
მე მისრითიდან მომესმოდა გალობა თქვენი —
კეთილი იყოს თქვენი მოსვლა ჩემს სამშობლოში.

შორეულ მგზავრებს ერთი ცელქიც რომ შეგხედეთ ავად,
შიშით და წყენით ატოკდება ათასი მკერდი:

„რა დაგიშავა, ბიჭო სესე, რა დაგიშავა,
ალალმართალი, უწყინარი ჩიტია ერთი...“

ვისთანაც თქვენ ხართ, თქმულება — მას ბედი სწყალობს —
ბედნიერ გულს კი ბედნიერი სიმღერაც უნდა.
პირველ ლექსივით ამიფრინდი, შავო მერცხალო,
დაბუდრებულო ახალგაზრდა ვაჟკაცის გულთან.

ლალად იფრინეთ! — ყვავილებით აესილან ტყენი,
არც ბიჭი სესე... არც ზამთრული ყინვა და თოში...
მე მისრითიდან მომესმოდა გალობა თქვენი —
კეთილი იყოს თქვენი მოსვლა ჩემს სამშობლოში!

ანა ხახუტაშვილი

იოსებ ლალიაშვილი

(რომანი *)

სემინარიელთა გლეჯარება

მალე, სულ მალე ჩამობნელდა, მეტისმეტად ჩამოპირქუშდა სემინარიელთა ცხოვრება. ერთ კვირაში ბევრი რამ შეიცვალა.

ეგზარხოზისაგან დაბრუნებულმა ჩუღეციმ იმ ღამესვე მოქმედების გეგმა შეადგინა და მეორე დღეს სასწრაფო განკარგულება გასცა, რომ ქართული ლიტერატურა რუსულ ენაზე ესწავლებინათ და გაკვეთილებიც მასწავლებელს რუსულად წიგნიანა.

— Этот собачий язык в стенах семинарии надо с корнями изрыть.

ასე სასტიკად დაავალა ინსპექტორ სტეფანოვს ჩუღეციმ და იმ დღიდანვე საჯარო ორგანიზაცია უფრო კარგად მოაწყო.

შემჩნეულ მოწაფეებს ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე ზურგთ უკან მეთვალყურე ედგათ და პაწია მიზეზს ელოდნენ, რომ ხელზე დაეხვიათ და სასწავლებლიდან გამოეგდოთ.

გაჩაღდა უჩუმაჩი ჩხრეკა მოწაფეთა საწოლებისა და პარტებისა, იმ დროს, როცა მოწაფეები ან კლასში და ან საწოლ ოთახებში არ იყვნენ.

ქართველ მასწავლებლებს ხეირიანად სალამსაც აღარ აძლევდნენ. გააფრთხილეს — ცუდი დღე დაადგებოდათ, თუ ისინი სინოდის განკარგულებას პირნათლად არ შეასრულებდნენ.

გარდა ამისა, ჩუღეციმ შაქრისა და ჩაის ყოველდღიური ულუფა შესამჩნევად შეამცირა და შემოძარცვული სემინარიელებისათვის საშემოდგომო თბილი ხალათების გაცემა გადასდო. მაგრამ ჩუღეციკის ანგარიში შეეშალა: რამდენადაც მოწაფეებს ამ რეჟიმის მწვავე სუსტი ძვალსა და რბილში ატანდა, იმდენად ისინი უფრო კაედებოდნენ და მეტ სიმტკიცეს იჩენდნენ.

ამ საზინელმა დევნამ და სისასტიკემ მოწაფეთა თვითშეგნება ერთი-ორად გაზარდა, ახალგაზრდული სულისკვეთება გააძლიერა და უარესად აამხედრა.

გოლა ჩიტაქე ისევ მოძრაობის სათავეში იდგა. უფროსი კლასის მოწაფეები — მიხა ცხაკაია, ონოფრე რამინიშვილი, ბართლომე მოსეშვილი და სხვები დაბალი კლასების ჯგუფებს გატაცებით აყალიბებდნენ და კრებებს კრებებზე მართავდნენ.

*) გვ. 5. იხ. „წათობი“, № 5

აკრძალული ლიტერატურა ახლა უფრო დიდის ცნობისმოყვარეობით გადადიოდა ხელიდან ხელში. იმეამად მათ მეტისმეტად აინტერესებდათ ემიგრანტების გამოცემა, რომელსაც „კოლოკოლი“ ეწოდებოდა: „ინტლობ-დნენ ე. წ. „ლონდონსკაია ვაზეტას“, „რუსსკოე ბოგატსტვოს“ „ნოვოე ობოზრენიეს“. გატაცებული იყვნენ უტოპისტთა თეორიებით, რომლებიც იყო მაგალითად, რობერტ ოუენი. მეტად უყვარდათ ჩერნიშევსკი, დობროლუბოვი, ბელინსკი, პისარევი და მრავალი სხვა.

ამავე დროს მოსვენებას არ აძლევდნენ ქართული ენის მასწავლებელს, თედო ჟორდანიას, რომელიც ვაკვეთილებზე ძველ სასულიერო წიგნებს უკითხავდა და ილიას, აკაკის და სხვა მწერლების შემოქმედების ნაცვლად მოწაფეებს დავითნს აკითხებდა.

— დაიჯერეთ, პროგრაამაში უწმინდესი სინოდის განკარგულებით ქართული ლიტერატურის ხსენება არ არის. კიდევ კარგი, ძველი ქართული გესმით, იქნება მალე ესეც აღკვეთონ. — თავს იმართლებდა შეწუხებული მასწავლებელი და ბედს ჰგმობდა, რომ სემინარიის გარეშე მას სხვა გზა არ მოეპოვებოდა.

ერთის სიტყვით, დამოკიდებულება მოწაფეთა და ადმინისტრაციას შორის დღითიდღე მწვეავდებოდა და ამგვარ გამწვეავებას არც მოწაფეები და მით უმეტეს არც ჩუდდები არ ერიდებოდა.

ზამთრას პირი იყო. ნისლიანი ამინდი იდგა და ციოდა.

მალალ ბეებზე ფოთლების ნაცვლად ჩიტები შეხუნზლულიყვნენ და ჩვეულებრივი თივილ-ხივილით დაბინდების სიმფონია დაეგუგუნებინათ.

სალამოს ლოცვის მოლოდინში სემინარიელებს ბალში მოეყარათ თავი და რაღაც არაჩვეულებრივი მოუსვენრობა ეტყობოდათ.

გრძელი სკამები მათ მიერ იყო დაკავებული.

დიდი ნაწილი მოწაფეებისა ჯგუფ-ჯგუფად დასერიბობდა, ზოგნი მალალ ხეებს ქვეშ ჯგუფად იდგნენ და წყნარი ხმით ქართულ მელოდიებს ღიღინებდნენ.

ერთ სკამზე, ბალის სიღრმეში, რომანოზ ფანცხავა და თენგიშვილი ისხდნენ და ჩუმად ლაპარაკობდნენ.

— მთავარი ის არის, რომ ადმინისტრაციის მიერ ჩვენი ლანძღვა-გინება და შეურაცხყოფა სულ პუნქტებად უნდა გადავუმალლოთ. მერე გადაჭრით უნდა მოვითხოვოთ ქართული ენისა და გალობის აღდგენა, შემდეგ ნებადართულ ლიტერატურის კითხვის უფლება...

ფანცხავამ სიტყვა შესწყვიტა და ბალის ვასაველელისაკენ გაიხედა.

მალალ-მალალი სემინარიელი, რომელსაც კაკლის საბერტყელას ეძახდნენ, შესავალ კარებიდან გაჩქარებული მიდიოდა და დაწინაურებულ ამხანაგს მისძახობდა:

— მოიცა, ვრიგოლ, მოიცა...

ეს იყო პაროლი და ყველამ თვალემა აქყიტა: ორი ხელგაყრილი სემინარიელი ბალში წყნარი ლაპარაკით შევიდა და აქეთ-იქით ქურდული გახედვით მათკენ ვაემართა.

ერთ მალალ ხესთან სამი სემინარიელი ზურგშექცეული იდგა და ჩუმად ლაპარაკობდა.

— როგორ გგონიათ, ბიჭებო, ხვალ დარი იქნება თუ ავდარი? — ეკითხებოდნენ ცისფერთვალემა ლამაზი სემინარიელი ამხანაგებს და თან ეშმაკურად ილიმებოდა.

— ვერა ხედავ, როგორ იღრუბლება? — უბასუბა მეორემ და ცას შეხედა.

— ეინ იცის, გრიგალი საიდან წამოგვიბრუნეს და საით გაგვტანტანეს!

— ვაი თუ შარაზე დავერჩეთ და დედებიც აგვიტირდნენ?

ჩაუროთო მესამემ, ხმაურზე უკან მიიხედა და გვერდში გაეღილი ორი ჯამუშეში მოწაფე რომ დაინახა, სწრაფად ხმამალა ჩაილაპარაკა:

— კაცო, ამ ჩიტების ელურტული რა უცნაური გრძნობების ამშლელია. ერთი შეხედეთ, რა ამბავი აქვთ!

— ჰო, კაცო, — მიაშველა სიტყვა ცისფერთვალემა სემინარიელმა.

— მე რომ მათ ვუსმენ, მაგონდება დაბურული ტყე შშიერი მგლებით და ვაიძვრა მელიებით.

ეს უკანასკნელი სიტყვები სწორედ მაშინ ითქვა, როცა ჯამუშებმა გვერდით გაუარეს.

— ფუი, თქვენი! — გააფურთხა ბრაზმორევით მანვე და ზურგით უკან ჯამუშებს გემრიელად შეუყურთხა.

— დედას გიტრებთ, თქვენი დროც დადგება და ისე გაგიხდით მაგ საძალღე თავებს, მგონი, სულ ბუშები გეხვეოდეთ.

ჯამუშების დანახვაზე სემინარიელების თვალები მრისხანებით აივსო. ბევრმა ზურგი შეაქცია, ზოგმა ირონიული ღიმილით გახედა და ბრაზნარევი ღიღინით გააცილა.

— მაგრამ მთელი ჩვენი აღშფოთებით ამ იუდათა შესახებ უნდა ვილაპარაკოთ, — განაგრძო შეწყვეტილი სიტყვა ფანცხვამ და იმანაც განრისხებული თვალები ჯამუშებს გააყოლა.

— ერთი შეხედეთ, რასა გვანან! მაგათი წაღებიც კი სულ სხვანაირად იყურებიან... აი, თქვენი! — ჩუმად ილანძლებოდნენ პირტიტველა უმცროსი კლასის მოსწავლენი.

— ე, ბიჭო, მაგათ ბნელი კუთხე, იცი, როგორ არგებდათ?

— გაგიბარია, ჩვენი მუტრუკელა მაგათ ემუტრება, ისეთ ადგილას მოვიმწვდევ, რომ ნეკნები სულ სათითაოდ გადაეუთვალოვო.

— კაცო, არ შეამჩნიეთ, ღღეს ზარი რაღაც გვიან ირეკება... ხომ არა გრძნობენ? — მოუსვენარი კილოთი ჩაეკითხა წითელლოყება კანდელაკი გრძელიშვილს და სკამიდან დაიძრა.

ამ დროს ზარიც დაირეკა და სემინარიელებით სავსე ბაღი ახმაურდა.

ყველას თვალები ერთნაირი შექით გაუნათდა. სახეზედაც ყველას ნერვიულმა ღიმილმა გადაურბინა. ზოგი კი გაფითრდა, ზოგს ხელფეხი მღვლეარებით გაუცივდა. ყველა დაიძრა და გასაველ კარებისკენ მძიმე ნაბიჯით გაემართა.

— ჰა, ბიჭებო, გუნებაზე როგორა ხართ?! — ეკითხებოდნენ გზა-და-გზა ერთმანეთს და თან ეშმაკურად თვალში თვალს უყრიდნენ.

კარებთან შეტბორებულ სემინარიელთ კი უფროსი კლასის მოწაფეები აქა-იქ ჩასურჩულებდნენ:

— აბა, ბიჭებო, ყველა ერთად და გაბედულად. ნურაფრის ნუ შეგეშინდებათ, დეე, ვაწყდეს, სადაც გასაწყვეტია... ოღონდ ლოცვაზე ჩერის-მეტი სიღინჯე უნდა გამოიჩინოთ... რამინიშვილის გამოსვლაზე პირდაპირ სული განაბეთ, იქით არ გაიხედოთ.

ქ რ ქ ე ნ შ უ ლ ი

ამ სიტყვებზე ბევრს ღიმილი სწრაფად უჭრებოდა და ატკლესკმსაყენ მონღოლური სახით მიიმართებოდა.

ცოტა ხნის შემდეგ გაპრიალეებული კანკელის წინ გრძელ წყებად დამდგარი სემინარიელები მუყაოზე დახატული ჯარისკაცებივით უძრავად იდგნენ. მხოლოდ ზოგჯერ საერთო შრიალს გამოსცემდნენ. ეს მაშინ, როცა ისინი ერთად პირჯვარს იწერდნენ და ერთ დროზევე ჩერდებოდნენ.

ინსპექტორი სტეფანოვი თავის ადგილას იდგა და სიხარულით ფიქრობდა: — კმ, მუხრუჭის მოკერამ გასჭრა! ისე დგანან, თითქოს სუნთქვა შეზღუდვით. ასე სჯობს და ყოველთვის ასეც უნდა ყოფილიყო.

სტეფანოვმა გრძელ წვერზე ხელი სიამოვნებით ჩამოისვა და უკანა სვეტებთან ჩამწყვრიებული ზედამხედველები სათითაოდ ჩაათვალიერა.

ისინიც კმაყოფილი სახით იდგნენ, მაგრამ მოსწავლეებს თვალს მაინც არ ამორებდნენ.

სალამოს ლოცვას ცისკარი მოჰყვა. დადგა თუ არა სამოციქულოს წაკითხვის დრო, სემინარიელები უარესად გაინაზნენ.

როცა შემოსილმა მღვდელმა აღსავლის კარი გააღო, კედლის მხრივ, მოფარებულ ადგილიდან, რამინიშვილი მძიმედ დაიძრა და ეკლესიის შუა ადგილას აღსავლის კარების წინ გაჩერდა. მღვდელმა გრძალდ წარმოსთქვა: „მოხე-დევეე..ნ..“

რამინიშვილმა აუჩქარებლად ლენტით დანიშნული სამოციქულო გადაწა-ლა და რიხიანად დაიწყო.

„ძმაანოოო..“

„აჰაჰა, — სიხარულით გაიფიქრა ინსპექტორმა, — აკი სამოციქულოს კითხვას თავს არიდებდა, ექიმების მოწმობაც კი მომიტანა: თვალები მტკიცა და კითხვა არ შემოიძლიანო. კარგა კითხულობს! გასჭრა თუ არა ურჩობისათვის სემინარიიდან გამორიცხვის დაქადნებამ!“

ზეიმობს გულში გამარჯვებას სტეპანოვი და უკან აღარ იხედება.

რამინიშვილმა დაბალი ხმით დაიწყო. მერე თანდათან ხმა გააძლიერა. ხმის ამალღებას ნელ-ნელა აჰყვა და ისეთნაირად ატოკდა, რომ ვიღაცისაგან ნათხოვარმა ძველმა პალტომ მასზე, როგორც საფრთხობელაზე გადაკიდებულმა ძონძმა, ისე დაიწყო ფრიალი. ყოველ მის განძრევაზე შემოცვეთილი კალთების ჩამოჩეჩილი, ტუტყუანი ბამბები ისე სასაცილოდ ცუკავდნენ, რომ სიცილ-კაყვებულები სემინარიელები პირდაპირ გაიგულდნენ.

რამინიშვილი კი ხმას უფრო და უფრო უმატებს და მკვეთრად ღრიალებს:

„და, პა, იყო შენ დადუმებულ და ვერ შემძლებელ სიტყვა, ვიდრემდე ყოფად ამისად, რამეთუ არ გრწმენენ სიტყვანი ჩვენნი, რომელი აღესრულნენ ეამთა თვისთა“.

შეძრწუნდნენ და შეშფოთდნენ უკან მდგომი ზედამხედველები. გაბოროტებით იწყეს ჩურჩული და ის იყო ერთ-ერთი მათგანი უნდა დაძრულიყო და

სტეფანოვისათვის მოეხსენებინა, რომ უცებ მარჯვენა კედელთან მდგომმა დარაჯის პატარა გოგონამ ხმამაღლა წაიფხუქუნა და მლოცველთა ყურადღება მიიქცია.

ინსპექტორმა დაბლვერილი თვალებით იქით გაიხედა და რაღაც მკვლამს? ყველა რამინიშვილს მისჩერებია და ზოგი შეკავებულნი ღიმილით, ზოგიც მოლუწული სახით ათვალერებს. სტეფანოვი რომ ფეხაკრეფით ადგილიდან დაიძრა, პატარა გოგოს შეეშინდა. ცხვირპირზე ხელი აიფარა და წკრიალა ხარხარით ეკლესიიდან გაეარდა.

ინსპექტორმა კი რამინიშვილს ზურგს უკან შემოუარა, მერე ცოტა განზე გადა და კისერგავდებულმა ხან აქედან, ხან იქიდან უცნაური სახით ცქერა დაუწყა.

უკანა რიგებში დიდმა მოსწავლეებმა ვეღარ მოითმინეს და ისეთი სმაური ატყდა, თითქოს სიომ გამხმარ ჩილას წამოუბრძინა და შეაშრიღლაო.

მაგრამ ეს მხოლოდ წუთით გაგრძელდა. სემინარიელებმა თავი შეიკავეს და ცისკარიც მშვიდობიანად გათავდა.

ცისკრის შემდეგ ყველამ თავი დიდ დარბაზში მოიყარა. იქ კი ნაყარი ფუტკარივით სემინარიელები ჯერ ნელნელა აზუზუნდნენ, მაგრამ როცა ყველაზე ათვალისწინებელი ზედამხედველი მივიდა და რამინიშვილს ინსპექტორთან მოუწოდა, მოწაფეების ზუზუნი უცებ გუგუნად იქცა და ყველა საშინლად ახმაურდა.

— ინსპექტორი თვითონ მობრძანდეს და მოგვისმინოს, ჩვენ თვითონ გვაქვს იმასთან საქმე! — შესძახეს ერთხმად გაკვირებულ ზედამხედველს.

— რა ამბავია, რა მოხდა? ეს რასა ჰგავს?! — ბრძანებლობის კილოთი მიმართა მან და შეგუგუნიებული მოწაფეები წყრომით შეათვალერა.

— მაგას თქვენ არავინ გკითხავთ.

— თქვენ ის შეასრულეთ, რასაც გავალბებთ.

— რექტორს მოუხმეთ, რექტორს. ინსპექტორი ჩვენთვის საკირო არ არის!

შესძახეს აქეთ-იქიდან და როცა იგი ქვანაკრავივით გატრიალდა, უკან სტვენა და სიცილი გააყოლეს.

როგორც ქარბუქის წინ ყორნები, დანარჩენი ზედამხედველებიც ამ ხმაურზე ისე დაფორიაქდნენ თითქოს ცეცხლი უკიდიათო, რივი აქეთ გარბოდა, რივი იქით. ალიაქოთი ატყდა, თავგზადაკარგულებმა არ იცოდნენ, რა უნდა ექნათ.

— არიქა, ბიჭებო, ჩვენი სულის მექვეი მოდის.. სიჩუმე, ბიჭებო! მგონი მექვეს რაღაცა ამბავი მოაქვს!

ვაისმა სემინარიელთა შორის, როცა უკან დაბრუნებულ ზედამხედველს თვალი მოჰკრეს.

— სულისა კი არა და, ბუასილის შავი მექვეკია, სულთან მაგას რა ხელი აქვს!?

გაუსწორეს მეორეებმა და დამფრთხალი მოხვერივით გამოქანებულ ზედამხედველს სიცილ-ხარხარით შეეგებნენ.

— ინსპექტორმა ბრძანა, ეხლავე დაიშალენით და კლასებში წადითო.

— ეეე... ძმაო, ეგ ძველი ამბავია, ჩვენ ახალ ამბავს ველოდებით, ახალი რამე ბრძანეთ, ახალი! — დამკინაფი კილოთი შესძახეს მარჯვენა მხრიდან.

— ფეხს არ მოვიცვლით, სანამ რექტორი არ მოვა და არ მოგვისმენს. — შეუტყეს მარცხენა მხრიდან.

— სად არის რექტორი, რატომ არ გვეჩვენება? ხალხი მოვითხოვთ და რას გვემალება!

დარბაზში ხმაური მაშინ უფრო გაძლიერდა, როცა ^{გარდაცემული} ~~დარბაზის~~ ერთ-ერთ კარებთან სტეპანოვის სილუეტი გამოჩნდა.

— არიქა, ბიჭებო, ატერ ჩვენი დემურჩოლილი! ხედავთ, მანეთი გამომწყვდეულ წრუწუნასავით ხან ერთ კარებში შედის, ხან მეორედან გამოვობის.

— ჩვენთან მოსვლისა ეშინიან, თელხუჭუნას გვეთამაშება... ხა-ხა-ხა-ხა... იცინიან სემინარიელები და ინსპექტორს ქართულად ლანძღავენ.

ამ გაძლიერებულმა ხმაურობამ სტეპანოვს, როგორც იყო, დარბაზთან მისვლა ვააბედინა, თუმცა მუხლები არ ემორჩილებოდა და სახეზედაც მიწის ფერი გადაჰკროდა.

როცა სტეპანოვი დარბაზის კარებს მიუახლოვდა, მარჯვენა ხელი მალა ასწია და ქუთუთოებ-დახრილი უღაბნოში მღალადებელ ქრისტეს პოზით გაჩერდა.

გუგუნე უმალ შესწყდა, შენელდა. ინსპექტორმა ხელი ჩამოუშვა და ალღელებულ მოწაფეებს წყნარად მიმართა:

— ყმაწვილებო, რა დაგემართათ? მე დღეს თქვენ ველარა გცნობთ! გამაგებინეთ, რა ამბავია?

— რექტორს მოუხმეთ! რექტორს! — ერთხმად შესძახეს სემინარიელებმა.

— ჩვენ რექტორთან გვაქვს საქმე, თქვენ ჩვენთვის საჭირო არა ხართ! — დაურთეს აქეთ-იქიდან.

სტეპანოვმა ხმა იკმინდა და გაშეშდა.

რამდენიმე წამი ჩუმად იდგა და როცა ალღელებული ხმაური მინელდა, ისევ წყნარად დაიწყა:

— რექტორი ევზარხოსთან არის და არ ვიცი, როდის დაბრუნდება. დღეს დაიშალენით, განა ხვალაც ამ დღისა არ არის? თავის მოყრა ხვალაც ხომ შეიძლება?

— არ დავიშლებით, სანამ ის არ მოვა...

— კაცი გაგზავნეთ და დაუყოვნებლივ მოუხმეთ.

— ფეხსაც არ მოვიცვლით, სანამ ის არ მოვა და არ მოგვისმენს.

უარესად ალღელდნენ სემინარიელები. თავზარდაცემულმა სტეპანოვმა სწრაფად ზურგი იბრუნა და კიბეზე ნიაჭპარივით დაეშვა.

სემინარიელებმა ცოტა კიდევ იგანგავსეს. იმედი გადაუწყდათ, რექტორი ჯიბრით არ მოვაო. სწორედ ამ დროს ზემო სართულის კიბიდან ნახუცრიშვილის გაბმული ღრიალი მოისმა:

— არიქა, ბიჭებო, მოდის, მოდიის, მოდიის!

მოსწავლეებმა ზღუდე-დანგრეულ ჩახრიალასავით ისევ დაიქუხეს და რექტორს დიდის ხმაურით შეხვდნენ.

ჩუდტყი ანაფორის კალთების ფრიალით, დაქიმულხ ძარღვებით და აფორიაქებული სახით დარბაზის კარებთან მიიჭრა და მეხივით დაიჭყქა:

— Что вы хотите, дети? Зачем вы собрались, что вас заставило бунтовать?!

ჩუღეცკის ეგონა, რომ გველის იერით მიშტერებული მისი თვლები და ფოლადისებური მისი მრისხანე შეძახილი დაბეჩავებულ ბუხსაკებს ხმახ ჩააგმედინებდა, მაგრამ უკანასკნელი სიტყვები ჯერ არც კი დაემთავრებინა, რომ დარბაზმა ერთხმად იგრგვინა:

— ნუედა, ნუედა, ნუედა!

ამ წამს სემინარიელების ტალღა შეიჩხა, შუაგულიდან მედგარი სახით ნიკოლოზ ხახუტაშვილი გამოიჭრა და გაბედულად წინ წადგა. მას მიჰყვნენ ლავრენტი მგელაძე, დედაბრიშვილი, ბართლომე მოსეშვილი და ჩუღეცკის წინ ჩამწყრივდნენ.

რექტორმა ირგვლივ მიმოიხედა და ტანში ერთანტელმა დაუარა. მრავალთვალეებში ბოროტების ნაპერწკალი დაინთო, როცა ნიკოლოზ ხახუტაშვილმა თამამად დაიწყო:

— მამაო რექტორ! — თითქოს მშვიდობიანი კილოთი დაიწყო ნიკოლოზმა, მაგრამ ერთანტელის მომგვრელი მისი ხმა თითქოს ქვესკნელიდან ყრულ მოსმენილ გრგვინვასა ჰგავდა. მთელი დარბაზი დამუნჯდა.

რექტორს ფერი ეცვალა, ერთი ნაბიჯი უკან გადადგა, მაგრამ გვიანდა იყო: სემინარიელთ უკანა კარებიდან ეყელათ და ჩუღეცკი შუაწრეში მოემწყვდიათ.

რექტორმა ირგვლივ მიმოიხედა და ტანში ერთანტელმა დაუარა. მრავალი თვალი აგიზგიზებული ცეცხლივით შენათოდა. რექტორმა იგრძნო, რომ აქ უკვე ძალა აღმართსა ხნავდა, და უნდა მოესმინა.

ნიკოლოზ ხახუტაშვილმა ერთი ნაბიჯი კიდევ წარსდგა წინ და რექტორის სმის ამოღება აღარ აცალა.

— ჩვენი ცხოვრება სემინარიის კედლებში შეტისმეტად გაუარესდა, — განაგრძო მან, — ზოლო უკანასკნელ დროს მან ისეთი აუტანელი სახე მიიღო, რომ მოთმინებადაკარგულმა მოწაფეებმა გადაფრეციტეთ, ეს უკმაყოფილება და ჩვენი ესოდენი გულისტიკვილი დაუფარავად კალიაროთ თქვენს წინაშე, რადგან ვიცით, რომ თქვენზე დაბოკიდებული ჩვენი მდგომარეობის როგორც გამოსწორება, ისე გაუარესება.

ამ სიტყვებზე რექტორი მოუსვენრად შეტოკდა, ქუთუთოები ძირს დაბარა და ლავამამოდებული ცხენივით თავი მოუსვენრად გაიქნია.

ხახუტაშვილმა კი განაგრძო:

— როცა ჩვენ ამ სასწავლებელში მოვდიოდით, იმედი გვქონდა, რომ სასულიერო სემინარიაში, როგორც მომავალი სულიერი მამები, ზნეობრივად ფაქიზ და გონებრივად ნათელ მოქალაქეებად აღვიზრდებოდით, ჩვენ დარწმუნებული ვიყავით, რომ ამის თავდებად იქნებოდა ის ქრისტიანული სიყვარული, სიწრფელე და გონებრივი ძალა, რომლებითაც ჩვენი აღმზრდელნი და ხელმძღვანელნი უნდა ყოფილიყვნენ აღჭურვილი. მაგრამ ვხედავთ, რომ ის იმედებით სავესე გული, სიწრფელე, ადამიანისადმი სიყვარული და მისწრაფება, რაც კი ყოველ ახალგაზრდაში მოიპოვება, ჩვენდა უნებურად ამ სასწავლებლის ზღუდეში გვეშაშხება, მისწრაფება გვიჩლუნგდება და სიყვარული სიძულვილით გვეცვლება. ამის მიზეზი კი ის არის, რომ მზარეულიდან დაწყებული აღმინისტრაციის უმაღლეს წარმომადგენლამდე ჩვენ არავინ ანგარიშს არ გვიწევს და აღამიანებადაც არა ვვთლიან. მიუხედავად ჩვენი არა ერთი განცხადებისა,

რომლისთვისაც ჩვენვე ისე სასტიკად ვისჯებით, პურში კვლავ თოკის ნაგლე-
ჯებს და ჩერებს ვაშლულობთ. ლაყე კვერცხების სუნმა ხომ ისე შეგვიწუხა,
რომ ყოველი საშუმელი შეგვძაგდა, და იმ დღეს კი ლობიოს კერძიდან მთელი
თაგვი ამოვართოეთ. ადამიანებს და ისიც მოსწავლე ახალგაზრდობასაც ანა ასე
მოექცევიან?!

მცირე პაუზის შემდეგ ხახუტაშვილმა განაგრძო:

— თქვენც კარგად იცით, მამაო რექტორ, რომ ჩვენ შემოდგომობით მუ-
დამ თბილი ხალათები და ყაბალასები გვეძლეოდა. ეხლა ისიც აღკვეთეთ და
აი, დღეს, როდესაც ცივებით დაავადებულმა თავისი ძველი პალტო ჩაიცვა და
დავითნის წასაკითხად გამოვიდა, ინსპექტორმა მოუხმო, რომ ისედაც დაზა-
რული ადამიანი სასტიკად გველანძლა და დაესაჯა.

ხახუტაშვილი გაჩუმდა და ამრუზილი სახით ამხანაგებს გვერდით ამოუდ-
გა. მის მაგიერ ახლა ბართლომე მოსეშვილმა წამოიწია წინ და სასიამოვნო
ბარიტონით დაიწყო:

— მამაო რექტორ! თქვენ სემინარიელებს იმდენად არ გვენდობით, ისე-
თი თვალებით ვეცქერით, რომ ჩვენ ამხანაგთა შორის ზოგიერთ სულმდაბალ
ადამიანს იუდის როლი დააკისრეთ, რათა სიმაართლე ჩვენი გულისა და სინამ-
დვილე ჩვენი ყოფისა თქვენთვის ჩუმად ემცნოთ. ისინი ახლა ჩვენთან ერთ ქერ-
ქვეშ, ერთი პაერთ სუნთქავენ და ჩვენ რომ ვუყურებთ, ბოროტებით და სი-
აფიო გვეცხება გული. განა ეს ნორმალურ აღმზრდელობის მეთოდს ცოტა
ოდნაე მაინც წააგავს? ამხანაგები ვძულდეს და სატანასაყით ერიდებოდე?!
გარდა ამისა, დაავადებულ მოწაფეებს თქვენ მხოლოდ ხინით და ზეთით
მკურნალობთ, ხოლო იმათ, ვინც ქარებით იტანჯება და ვისაც გარეგნულად
არაფერი ეტყობა, სიმულიანტად სთვლით და ხანგრძლივ წირევა-ლოცვაზე
დგომას ავალებთ.

ამ სიტყვებზე ქარებისაგან გამწარებულმა დედაბრიშვილმა ველარ მოით-
მინა, ამხანაგს აღარ აცალა და თვითონ აღიმალა ხმა:

— მამაო რექტორ! განა ის კი სამართლიანია, რომ ავადმყოფობის გამო
გაკვეთილებზე დაუსწრებლობისათვის ყოფაქცევაში ნიშანს უკლებთ, ხოლო
გაკვეთილზე ქართული სიტყვის დაცდენისათვის ძალღივით გარეთ აგდებთ?!
ამ სასწავლებელში ხომ ქართველ ხალხს მოძღვრებს უნდა უზრდიდეთ. ჩვენ
კი ქართული ენის სწავლება და ქართული სასულიერო ვალობა სრულიად
მოგვისპეთ. მაშრა ცოდნით, რა გამოცდილებით უნდა წარვსდგეთ იმ სამწყსოს
წინაშე, რომლის სკოლების და ეკლესიის ზელმძღვანელობას ჩვენა ვეისრუ-
ლობთ?!

ამ სიტყვებზე რექტორმა შუბლი შეიკრა და ის იყო რაღაც შენიშვნა უნ-
და მიეცა, მაგრამ მოსწავლეებმა აღარ აცალეს.

— მართალია, მართალი! დედაბრიშვილი ჩვენი ენით ლაბარაკობს, ჩვენი
გულის ტკივილს ღალადებს!...

— ჩვენ ერთხმად მოვითხოვთ, რომ ქართული ენის გაკვეთილები და ქარ-
თული ვალობა აღდგენილ იქნეს!

იხუფლეს მოსწავლეებმა და რამდენიმე წუთს აღარ გაჩერდნენ.
დეკანოზს ანგარიში წაუხდა. ეს უკვე დიდ საპასუხისმგებლო „სკანდალს“
ჰგავდა. მისი საწინააღმდეგო მოსაზრება ცეცხლზე ნავთის დასხმას უდრიდა,

და ორპირობა არჩია. მან ისევ ხელი ზევით ასწია, ნაძალადევად სსრკ-დაწყნარებულმა მოსწავლეებს სიხუმისაკენ მოუხმო და შშვიდობიანი ხმით მიმართა:

— И так, я вас выслушала внимательно, дети мои, но... — გააკვირვებულა მან სიტყვა და კილოს მაინც მუჭარის იერი მისცა. — Я нахожу, что ваше действие незаконно, ибо вы вовсе не должны были собратсья с копом, а прислать делегацию.

სემინარიელნი ისევ ახმაურდნენ და აქეთ-იქით შესძახეს:

— ჩვენ გვეშინოდა, რომ დელეგაციის წევრები, როგორც არა ერთხელ მომხდარა, ჩვენი გულისათვის არ დასჯილიყვნენ, ამიტომ პასუხისმგებლობა ყველამ ვიკისრეთ.

— Это и неправильно! — ჯიუტად დასძინა დეკანოზმა და მაინც იმ ნაკლის გამოსწორებას დაჰპირდა, რაც პირადად მასზე იყო დამოკიდებული, ხოლო იმის შესახებ კი, რაც ვითომ მის კომპეტენციის აღემატებოდა, სინოდის წინაშე ეგზარხოსის შუამდგომლობა აღუთქვა.

მოსრა კრება

იმ ხანებში, როცა სემინარიელები ახმაურდნენ, მოსკოვიდან სტუდენტი ხალხოსანი პეტროვი ჩამოვიდა. „ნაროდნაია ვოლიას“ წარმომადგენელმა კრება დანიშნა ქალაქგარედ, ავლაბარში, და გოლა ჩიტაქემ იოსებ ლალიაშვილსაც შეატყობინა.

იოსებს ხუთი ვაკვეთილი გაუთავდა თუ არა, ვხაზე გაზეთი „ივერია“ იყიდა და ავლაბრის აღმართს შეუდგა.

როცა ვოგილოს აბანოს დაუბირისპირდა, ელაცამ გვერდზე გაუარა და ჩუმად ჩაულაპარაკა:

— პირდაპირ ნუ მიდიხარ, თავქვე დაეშვი, გათვალისწინებენ.

იოსებმა ხმაზე ოცნო ყმაწვილი, ვხა გადასჭრა, თავქვე დაეშვა და რაღაც ნანგრევებს მიეფარა. უკვე პირველი საათი იყო. თოვლის ფიქქებით შეფენილი ნარიყალა და ხარჭუხი მზიან დღეზე ლამაზ დეკორაციას წააგავდნენ. შუაზე მტკვარი მდორედ მიიზღაზნებოდა. სამღებროდან მზეზე გამოფენილ ფერადი ქსოვილები ნიავის დაჭროლაზე ნელა ირბეოდნენ.

იოსებმა ძველ ნანგრევს ზურგი მიაყუდა და გაზეთი გაშალა. ერთი სტატიის ზემოთ ეწერა: „წერილი ციურბიხიდან“. იოსებმა სტრიქონებს თვალები გააყოლა და ჩაიკითხა:

„ამა დაგვისახელეთ, რა გაუკეთებია ჩვენ კაპიტალისტებს იმისათვის, რომ ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრე თვით დაემუშავებინათ. განა კავკასიაში შეუძლებელია რიგიანი წუმწუმის ან რომელიმე ქარხნის გამართვა? ეკვი არ არის, რომ ყოველივე ეს უფრო შესაძლებელია, ვინემ ზოგიერთი საქონლის ცხრა-მთას იქიდან მოტანა!“

— რა გულუბრყვილო ყოფილა ამის დამწერი, — გაიფიქრა მწარე ღიმილით იოსებმა. — განა თვითმპყრობელობის გეგმაში დაპყრობილი ქვეყნების ეკონომიურად გაძლიერება ხელსაყრელია?! ქარხნების გახსნა ხომ მუშათა კლასის მომრავლებას ნიშნავს, მუშები-კი კაპიტალისტების მესაფლავენი არი-

ან, — განაგრძო ფიქრი იოსებმა, მაგრამ ამ დროს მის ფიქრში სხვა რაღაც შეიჭრა და სულ სხვა გეზით წარმართა მისი გულისყური.

— ზაირა! — უცებ გაისმა თხოთმეტ-თექვსმეტი წლის გოგონას/ვერცხ-
ლისებური წყრიალი.

იოსებმა იქით გაიხედა: ზემოთ, მიწურ აიენიდან ^{გვერამხეთი} გოგონა გადმომდგარიყო, ხელით მზე ჩამოეჭრდილა და ქვემოთ ვილატას ჩასძახოდა. სიცოცხლე და ნეტარება გამოსქვივოდა მის ქალწულებრივ ხმაში.

იოსებს ფიცხლავ მარო გაახსენდა. ისევ გაზეთს დახედა, მაგრამ გაზეთის ფურცლებზე სტრიქონების მაგიერ დაღვრემილი მაროს სხე აღიბეჭდა.

— აფსუს, მარო... ახ! ახ!... — და იოსებს გული გაემძვალა, მაგრამ მტკიცედ დაძინა: — კიდეე კარგი დროზე გამოვიქეცი, თორემ მისი სინაზე და სიფაქიზე ჩამითრეედა და მაშინ მშვიდობით, აღარავისთვის აღარ ვივარგებდი. ეხ, მარო, ნეტა ისეთი მომზიბლავი მაინც არ ყოფილიყავ, იქნებ ისე მალე არ გამოვექცეულიყავ. მაგრამ ვაი რომ ჩემი საქმე ეხლა სულ სხვა გზით მიიმართება...

სადღაც საყვირმა ვაბმით დაიზუზუნა.

— აჰა, ორის ნახევარია, — ვაიფიქრა იოსებმა, გაზეთი ისევ დაკეცა. თათრის გოგონას ერთხელ კიდეე შეხედა და ზემობილიკით გზას დაადგა.

იოსებს ალაგ-ალაგ სქელ ტალახში ფეხი ეფლობოდა, მაგრამ ზევით, შარა გზაზე ასვლას მაინც ვერ ბედავდა.

— ალბათ, რუსეთიდან ჩამოსულ სტუმარს მეთვალყურე დაადვენეს, თორემ ასე მალე ჩვენ თანდარმერიას ყურში საიდან ჩაეწვეთა მისი მოსვლა, რომ მთხრობელი აქ დაწანწალებს? კიდეე კარგი, რომ ასეთ მივარდნილ ადგილას დაუნიშნიათ კრება, თორემ ქალაქში ხომ მართლა სულ თვალეებში ჩაუვარდებოდა.

ოცი წუთის შემდეგ კახეთის გზის ვადაღმა, პატარა ხევთან, კახეთიდან შომავალ მეცხვარეების ქობს წაადგა. სემინარიელები გაზაფხულზე იქ ხშირად დასეთრობდნენ და კარგად იცნობდნენ იმ მიდამოებს.

სანამ იოსები მოვიდოდა, ქობს თუნუქის ტურქლის ვაჭარი რუსი მიადგა. ზურგზე ეკიდა ერთად ახროვილი სათაგურები, მავთულის თეფშები, მავთულის კალათები, კვერცხის სათქვეფი კოვზები და სხვა, თავზე გაქონილი ცოლინდრი ჩამოეფხატა და ვითომ ნავთლულში სავაჭრო მიჰქონდა. გზადაგზა ხმამალალა გაიძახოდა: „პასულა, ეესტიანაია პასულა“.

ქობის შორი-ახლო ყაბალახ-მოხვეული გლეხი იდგა და გემრიელად ილუკებოდა.

იოსებმა იცოდა, ვინც იყო ის. გვერდით რომ აუარა, გაუხუშრა:

— ბიჭო, ნამდვილი ოტროველა გლეხი ხარ, აფიცრობას ტყუილად ეპოტინები.

გლეხის ტანისამოსში გამოწყობილი საიუნკრო სასწაელებლის მოწაფე იყო, რომელსაც სალამური ეჭრა, და თუ საეჭვო რამეს თვალს მოჰკრავდა. სალამურს ჩაარაკრავებდა და იქ მყოფნი ქობიდან აქეთ-იქით გაძვრებოდნენ და ხვეის შარა გზაზე გავიდოდნენ.

ქობში ცხრა კაცი დაუხვდა იოსებს. ისინი ქვებზე ისხდნენ. შუაში ცეცხლი დაეუზგუზებინათ. გვერდით ძველი ქვაბი მიედგათ, რომელსა დაიღობის შხადებაში იყვნენ.

ქობის შუა ადგილას რუსეთიდან ჩამოსული სტუმარი უცხოელები მსჯელობა უკვე დაეწყათ, და იოსები რომ შევიდა, გარდა: ჩხრქმე მსტუმარ ხალხოსანს სახეში დაეინებით მისჩერებოდა და უკმაყოფილო კილოთი ლაპარაკობდა:

— მე ვამბობ, რომ საქართველოში მუშათა კლასი მხოლოდ ეხლა იღვამს ფეხს. ჩვენდა სამწუხაროდ, არც უნივერსიტეტი გაგვანჩია, რომ სტუდენტების დიდმა რაოდენობამ ისეთი როლი ითამაშოს, როგორსაც რუსეთში თამაშობს. მაგრამ გარწმუნებთ, რომ პოლიტიკური წინააღმდეგობისათვის აქაც დიდი ნიადაგია მომზადებული. ჩინ-ორდენებით მოსყიდული თავად-აზნაურობის გარდა, მთელი ჩვენი ერი მთავრობის მოწინააღმდეგედ შეიძლება ჩაითვალოს. თვითმპყრობელობის კოლონიური პოლიტიკა ჩვენ ხალხს მეფის წინააღმდეგ საშინლად აღელვებს. ჩვენს ქვეყანაში, ეკონომიურ და პოლიტიკურ დეენასთან ერთად, ეროვნული ჩაგვრისა და დამცირების პოლიტიკა იმდენად გაძლიერდა, რომ შეიძლება ქართველმა ხალხმა ვერ მოითმინოს და უფრო ადრე აფეთქდეს, ვიდრე ეს რუსეთში მოხდება. ჩვენი მუშაობის გეზი ეხლა იქითკენ არის მიმართული, რომ ეს ნოყიერი ნიადაგი რევოლუციური ცეცხლით გაეძლიეროთ. ამ მოკლე ხანში ზოგიერთ ჩვენს ქარხანასა და სახელოსნოში რამდენიმე პატარა გაფიცვა მოვაწყეთ, რამაც დიდი შედეგი მოგვცა. ამჟამად საქართველოში უნივერსიტეტის როლს სასულიერო სემინარია ასრულებს. ეს ჩვენი ბრძოლის პოლიტიკური ბაზაა, საიდანაც რევოლუციონერ მომუშავეთა კადრები გამოდიან. აი, ვისაც აქ ხედავთ, გარდა ამ ორი მუშისა, ყველა სემინარიიდან დათხოვნილი მოწაფეა. ჩვენ ყველა-ნი, სემინარიელ ამხანაგებთან ერთად, მუშათა ორგანიზაციების გასაძლიერებლად ვიბრძვით. დღეს-დღეობით ჩვენი პოლიტიკური მუშაობა ეროვნულ ხასიათს ატარებს. დღეს ჩვენ მთელი ერი თანაგვივრძნობს, რადგან ჩვენი ხალხი კარგა ხანია დაწმუნდა, რომ ბარბაროსების არც ერთი შემოსევის დროს ქართული კულტურის დეენა ისეთი ძლიერი არა ყოფილა, როგორც რუსეთის თვითმპყრობელობის დროს. ეს გარემოება ერთიან ფრონტს ჰქმნის ახალი პოლიტიკური მოძრაობის სასარგებლოდ. ამას უსათუოდ დიდი ანგარიში უნდა გავუწიოთ და ჩვენს პოგრამაში ეროვნულ მოთხოვნებს ფართო ადგილი დავუთმოთ.

გოლას სიტყვის შემდეგ ხანმოკლე დუმილი ჩამოვარდა.

სტუდენტმა პეტროვმა თხელ წვერებზე ხელი შეივლო და ცისფერი თვალებით ამხანაგებს გადახედა, თან საამოვნებით ჩაიღიმა.

პეტროვი „ნაროდნაია ვოლიას“ ერთ-ერთი წარმომადგენელი იყო. გვირად პეტროვს ეძახდნენ, მაგრამ მისი ნამდვილი გვარი არავინ არ იცოდა.

პეტროვმა სიტყვა აიღო და წყნარად დაიწყო:

— ამხანაგებო, რუსეთის მოძრაობა დღითი დღე ძლიერდება. სოფელს-სათავეში ქალაქი ჩაუდგა. მართალია, მეფის მკვლელობამ ჩვენი გმირი ამხანაგები ასობით შეიწირა, მაგრამ ამანვე მრავალი ათას თავგანწირული მებრძოლი შეგვმატა. მეფის მკვლელობის აქტმა თვითმპყრობელობა და ხალხი.

ურთიერთს ისე დაუპირისპირა, რომ მათ შორის არცხილი დავა ასე ადვილად არ გადაწყდებოდა. ამ ბრძოლით ჩვენ იმ ვულკანურ აფეთქებებსაც შევისწრაფით, რომელიც რუსეთის თვითმპყრობელურ რეჟიმს და მასთან დაკავშირებულ ძალებს ძირ-ფესვიანად აღმოფხვრის. ეს არც ფუქციონალური საქმეა და მე აქ იმიტომ ჩამოვედი, რომ საქმის მდგომარეობა განვსაზღვროთ და ამავე დროს დაგავალთ, რომ ამიერ-კავკასიამ თავისი ამბოხების ცეცხლით მხარი დავვიჭიროს რევოლუციის გასამარჯვებლად. ამხანაგებო, ამიერ-კავკასია გეოგრაფიულად და ნაციონალურად საუკეთესო ადგილია რევოლუციის გასაჩაღებლად და ეს გარემოება უოველმხრივ უნდა გამოვიყენოთ. მე სავსებით ვეთანხმები ამხანაგ ჩიტაძეს, რომ ეროვნული საკითხი, მართლაც, დიდი ფაქტორია დაზარალი ერის პოლიტიკურად ამოძრავებისათვის. ჩვენი პროგრამის ერთ-ერთი სუსტი მხარე შეიძლება ისიც იყოს, რომ ეროვნული საკითხი საერთოდ გამომუშავებული არა გვაქვს. მე საჭიროდ მიმაჩნია, რომ თქვენ თვითონ შეიმუშაოთ ეს საკითხი, რასაც ცენტრი დიდ ანგარიშს გაუწევს.

რუსმა გაათავა სიტყვა და ირგვლივ ყველანი შეათვალა. მერე გოლა ჩიტაძეს მიაშტერდა გამომწვევი თვლებით. გოლამ დღემილით მიიღო ეს გამოწვევა და ერთ-ერთ ამხანაგს გადახედა, რომელსაც თავისი მოსაზრებანი ჰქონდა სათქმელი და რომელიც მოუთმენლად იმშუშნებოდა.

— ამხანაგებო, — დაიწყო სემინარიელმა, — რუსეთის მოძრაობა კაიხნის ამბავია. პოლონეთის ამბოხებამ ბაკუნინი და ჩერნიშევსკიც კი ჩაითრია. ბაკუნინმა 1847 წელს რუსი მოხალისეები შეპკრიბა, რომ შეეცით ლიტვაში შეპკრილიყო პოლონეთის მისაშველებლად, და როდესაც ვარშავაში ამბოხების პირველმა ტყვიამ დაიჭექა, პეტერბურგში და რუსეთის სხვა დიდ ქალაქებში სტუდენტობა ფეხზე დადგა. სტუდენტები ქუჩებში პოლონურ ჰიმნს მღეროდნენ, პანაშვიდს პანაშვიდზე იხდიდნენ. ბოლოს, ლიბერალებმა საიდუმლოდ გამოცემულ „ველიკოროსიის“ მესამე ნომერში ალექსანდრე მეორეს პოლონეთის განთავისუფლებაც-კი მოსთხოვეს, და როდესაც თქვენ, „ნაროდნაია ვოლია“ წარმოამდგენელი, აღიარებთ, რომ ეროვნული საკითხი საერთოდ გამომუშავებული არა გვაქვსო, ზოდიშს ვიხდი, მაგრამ ეს რალაც დაუჯერებელი ამბავია, ან და ჩვენ უფიცად თუ მიგაჩინვართ, თორემ განა...

— მოიცა! — გააწყვეტინა სიტყვა მარცხნივ მჯდომმა ერთ-ერთმა სემინარიელმა და ყველამ ყურები ცქვიტა.

გარედან დაჟინებით მოისმოდა სალამურის ხმა: შეკრებილთ ერთმანეთს გადახედეს.

— მართლაც სალამურია, — სთქვა მეორე სემინარიელმა და ზეზე წამოდა.

— ჰო, გაქცევის პანგია. აბა, მარდად და ფრთხილად! — სთქვა გოლამ. ყველანი წამოიშალნენ, ხევისაკენ დაყოლებულ ზერელში გაძვრნენ და სხვადასხვა ბილიკით დაიფანტნენ.

როცა ეანდარებმა ჭოხისაკენ გასწიეს, სალამურის დამკვრელი გლენი აელაბრისაკენ გაქანებულ რუსულ ფურგუნს მოახტა და იმანაც თავს უშველია.

მოულოდნელი დარბაზობა



თოვლიან ზამთარს მეტად თბილი და წყნარი გაზაფხულის დღეები მომ-
ცვა. ნაადრევად აყვავებული ნუშები და მსხლეები პატარა ბაღში მართლ-
ლიყვნენ და გულს სილაღეს და სიხარულს აგრძნობინებდნენ.

სალამო უამი იღვა. ის იყო იოსებმა თავის პატარა ოთახში შაპოვალოვის
ბავშვებთან მეცადინეობა გაათავა და წამოდგა.

— მოიცა, მოიცა, ბიძია იოსებ, — შეეხვეწა ცხრა წლის სერგეი, ფიც-
ხლავ სკამზე შეხტა, ხელები გაშალა. იოსებს კისერზე შემოეხვია და მაგრა
აეკოცა.

იოსებმა თავზე ხელი გადაუსვა, ბავშვი ფრთხილად ძირს ჩამოსვა და სი-
ცილით უთხრა:

— აბა, ახლა კი პაერზე ვაისეირნეთ ბორის! — მიუბრუნდა შემდეგ თორ-
მეტი წლის გიმნაზიელს: — დაძინების წინ ტურგენევის „მუმუ“ ორჯერ-სამ-
ჯერ კიდევ წაიკითხე, თორემ ცოტა ბორძიკობ და არ ივარგებს.

ჭრელთვალა ბიჭმა წიგნები და რვეულები ჩანთაში ჩააწყო, კარგით, ღი-
მილით უთხრა და ისიც კისერზე ჩამოეკიდა.

— მოიცა, ბორის, მოიცა, ბიჭო, შენ დიდი ხარ, სირცხვილია. — უთხრა
სიცილით იოსებმა და ბავშვები გარეთ გაიყვანა.

— ბორის, სერგეი, რა დაგემართათ?! ბიძია არ შეაწუხოთ. — გამოსძახა
მეორე ოთახიდან ახალგაზრდა ქალმა და თვითონაც აივანზე გამოვიდა.

— ცუდლუტობენ, განა იოსებ იაკობის-ძევე? — მორიდებული ღიმილით
მიმართა იოსებს შუატანის ქერათმიანმა ქალმა.

— არა, — უბასუბა მორიდებით იოსებმა და გაწითლდა. — ძალიან კარ-
გი ბავშვები არიან და სიამოვნებით ვასწავლი. — იოსებმა ქალს თვალი ვერ
გაუსწორა და ღიმილით ფეხებზე ყურება დაიწყო.

— ამ ორი თვის განმავლობაში ძალზე მოგეჩვივნენ. პატარას ხომ ისე
უყვარბართ, სულ იმას იძახის, ძია იოსები სოფელში რომ წაეა, მეც წავეყ-
ვი, უიმისოდ აქ არ დავდგებიო.

ქალის აღერსიანი კილო იოსების გულს ხვდებოდა, თვალწინ კი მარო
ედგა და მის სახეს სკვრეტდა.

ბავშვებმა მზიარულად კიბე ჩაირბინეს. ბორისმა დედას შესძახა:

— დედა, სტიოპასთან წაველთ, ბურთს ვითამაშებთ. მალე დაგბრუნ-
დებით.

ქალმა თავი დაუქნია. ბავშვები ხელად გაჰქრნენ. ქალი კი ისევ სახლში
შეტრიალდა. იოსები აივანზე იღვა და პაწია ბაღში გაშლილ მიმოზებს უც-
ქროდა.

ავტო რ თვეზე მეტია, რაც იოსები ნავთლულში ფელდფებელ შაპოვა-
ლოვთან გადასახლდა. წყნარი, მშვიდი ოჯახი იოსებს მეტად გულთბილად ექ-
ცეოდა, და ამ გადმოხვეწილი, სოფლის მსგავსი მყუდროებით იოსები თითქმის
სულიერდაც ისვენებდა. ამ ხალხსაც ძალიან მიეჩვია.

მაგრამ გულის სიღრმეში რალაც ნაღველი მიმალულყო და დროგამოშ-
ვებით თავს იჩენდა.

თი ეხლაც, ქალის დალაპარაკებაზე გულის საშინელი ტკივილი იგრძნო. იოსებმა თელეთის მთებზე ოქროს ვარაყად შეფენილ მზის შუქს შეჰხედდა და სინანულით გაიფიქრა:

„რა დამემართა? იმ გოგონას სახე გულიდან ველარ ამოფრქვევს... უფილა, თქვენი კირიმი! ნათლულში ვადმოვიხვეწე, დიდი საქმეც: ცოცხალ და მინც ვერ დავივიწყებ. აჰ, რა რევოლუციონერი ვარ... შერისხა მან თავისი თავი და ზურგით მზისკენ შეტრიალდა. — ამ გაზაფხულმა ხომ მთლად გადამრია: ყოველი ქალის ხმა იმას მაგონებს, ყვაილს დავინახავ თუ არა. თვალწინ ის ამეტლებდა. აგერ! — იოსებმა წმინდა ბარბარეს ეკლესიისაკენ მიმავალი გრძელ-ნაწნავიანი ქალი დაინახა და ეკალივით რალაცამ უჩხვლიტა. — სასაცილო არ არის? განა ნაწნავებიანი ქალი ცოტაა ქვეყანაზე. მაგრამ წერწეტა ტანი და მიმოხვრაც იმისი პქონდა. ეხ ..

იოსებმა ქალს თვალი გააყოლა და მძიმედ ამოიოხრა.

ამ დროს იოსებს შარა-გზიდან ხარების წყაროები მოესმა და იქით გაიხედა.

აქლემების ქარავანი ყარაიით თბილისისაკენ მოდიოდა, ხარებს რითმიულად მოაწკარუნებდა და მიწაზე გრძლად ჩრდილებს ათამაშებდა.

სამ აქლემზე, — წინ, შუაში და ბოლოში, — ჩაბალახიანი კაცები ისხდნენ აქლემების რხევას ისე ჰყვებოდნენ, თითქოს ბუქნას თამაშობდნენ.

ულამაზო, კუზიან და ახმას ცხოველებს თავები ამაყად მოჰქონდათ და შორევივით დიდი თვალეზით სადღაც შორს, სულ შორს იყურებოდნენ.

იოსები კიბეზე ჩავიდა, შარა-გზაზე დადგა და ქარავანს სულ ახლო დაუწყო ცქერა.

აქლემები მედიდურად მააბიჯებდნენ. იოსებს მოეჩვენა, თითქოს მათ თვალეზში ნათლად იხატებოდა უდაბნოს ოკეანე, ყვითელი ქვიშის ტალღები, დამე აუტანელი სიცივე, დღისით კი სულშემშუთავი სიცივე, ქარიშხალისაგან ცამდის ატანილი ქვიშის სვეტები და ჯოჯოხეთური ტანჯვა-ვაება, და მისი გული ამ ცხოველებისადმი უღარესი სიყვარულით აივსო. იოსები მზად იყო ტვირთ-აკიდებული აქლემების თვალეზი დაეკოცნა, რადგან ძლიერი ცხოველი თავისი მოვალეობის ამტანი იყო და თითქოს ამაყიკ, რა ვუყოთ, რომ მათ შორის ერთი-ორი უდაბნოს შეეწირება მსხვრპლად! დანარჩენნი ხომ თავიანთი ტვირთით საშვეილობო გზაზე გამარჯვებულნი ვავლენ.

„ჰმ, მაგრამ ადამიანი ხომ აქლემია, — გაუღევა თავში იოსებს, — ცხოვრება მისთვის ნამდვილი უდაბნოა, ხოლო ბოლომდე მისატანი ტვირთი მისი — განუწყვეტელი ფიქრი და გრძნობა“.

აქლემების ხარების უღარული შორიდან საღამოს ნიავს ძლივსღა მოჰქონდა. თელეთის მთაზედაც უკანასკნელი სხივი ჩაქრა, როცა იოსებმა კიბე აირბინა და თავის ოთახში შევიდა, პატარა ოთახს ბინდი უკვე შეჰპარვოდა. იოსები მაგიდას მიუჯდა და ის იყო ერთ-ერთ წიგნს ხელი წაავლო, რომ ამ დროს აივნის წინ თქარა-თქურით ეტლი გაჩერდა.

იოსებმა თავი ასწია და ფანჯარაში გაიხედა. გარეთ პატარა აივნის სემინარიის რექტორის ეტლი მოსდგომოდა და შიგ ინსპექტორი სტეფანოვი და ერთ-ერთი რუსი ზედამხედველი ისე წამოსკუბებულყვნენ და აქეთ-იქით თავებს ატრიალებდნენ, როგორც ბუდეში ყვავის ბახალეები.

— და, და... ეტო სამოე ი ესტ, — წარმოსთქვა ზედამხედველმა, როცა სახლის ვახუტებულ ნომერს თვალი შეასწრო.

იოსებს სისხლი თავში აუფარდა, მაგრამ ადგილიდან მაინც არ დაძრულა. როცა კიბეზე მათი ფეხები აბრაახუნდნენ, იოსებს მოეჩვენა, რომ მათთან მარეში ჩაშვებულ მუხის კუბოზე ლოდები აბრაახუნდნენო.

კარების დაკაქუნებაზე ახალგაზრდა დიასახლისი კეკლუცად ვაგვება და მათ შეკითხვაზე ოდნავ გაკვირვებული კილოთი სწრაფად უპასუხა:

— დიახ, დიახ, აქა ცხოვრობს და სახლშია.

დიასახლისის ოთახიდან ნაბიჯი იოსების პაწია ოთახისკენ გამოემართა და მისმა გულმა მეორედ უფრო მძლავრად შემოჰკრა, მაგრამ ადგილიდან მაინც არ დაძრულა.

დიასახლისმა კარი შემოაღო და თვითონ უკან ჩამოიღდა.

კარებში შავი ლანდივით ალიმართა ინსპექტორი. მის მხრებს უკან ბაი-უშვივით მოსჩანდა ზედამხედველის თავი.

— აი, აქაც გესტუმრეთ, — ირონიული კილოთი წარმოსთქვა ინსპექტორმა, ორი ნაბიჯი წინ გადადგა და აქეთ-იქით მიტრიალდა.

— ძალიან შორს გადმოხვეწილხართ, მაგრამ ეს სიშორე და მყუდროება თქვენ მეცადინეობას, ალბათ, ხელს უწყობს, არა?

ერთმანეთს შეხედეს და შებღვირეს. იოსებმა შუბლი შეიკრა, მაგრამ ხმა არ ამოუღია. ინსპექტორი-კი მაგიდისკენ მიტრიალდა და იოსების მიერ გადაშლილ წიგნს დახედა.

— ნ... დაა... ისტორია, — ვააგრძელა მან, ვადაშლილი წიგნი დაკეცა. გვერდზე მისდო და ახლა კედელთან მიწყობილ წიგნებს წაატანა ხელი.

— აბა, ახლა სხვები ენახოთ, რას კითხულობთ და რითი სარტ გატაცებული.

იოსები შეტოკდა, რაღაც უნდა მოემოქმედა, მაგრამ თავი შეიკავა.

ინსპექტორმა წიგნები სათითაოდ გადააღაგა და გადაფურცლა.

— ეს ლეთისმეტყველება, ეს ტრიგონომეტრია, ესეც საეკლესიო... — გადმოღებულ წიგნებს ფურცლავს სტეფანოვი და თან ჩუმად ბუტბუტებს.

როცა მან მეოთხე წიგნისაკენ ხელი გაიწოდა, იოსები ისევ შეტოკდა და მაგიდისკენ გადინხარა, მაგრამ თავი ხელმეორედ შეიკავა და კრიკაშეკრულმა ინსპექტორს თვალი შეაველო. სტეფანოვმა ეს მეოთხე წიგნიც ვადაშალა და უცებ წარბები აიძაგრა.

— ეოტ! — წაშოიძახა მან და ლალიაშვილს სათვალეებს ზემოდან გადახედა.

„ერთი ხელის გაქნევა და საზიზღარ ცხვირპირიდან სისხლი ორტოტად წასკდება“, — გაიფიქრა იოსებმა და ხელები მაგრა შეიკუმშა.

— ამ მყუდრო და მივარდნილ ადგილას აი თურმე თავს რითი იტყვევდით: „სოე.. რე.. მენ.. ნიკ...“ — გესლიანად ვააგრძელა მან და იოსებს სახეში მრისხანედ მიაშტერდა.

იოსები არ დაბნეულა, მღელვარებამ მის ჩვეულებრივად მოკრძალებულ კილოს ფოლადისებური რიბი მისცა.

— ეგ ჩემი წიგნი არ არის, — უკმეხად შესძახა მან, გაუსინჯავ წიგნებს ხელი მიატანა და მღელვარებით გაფითრებულმა განაგრძო:

— ეს დანარჩენი წიგნებიც სხვისაა და თქვენ მათი გაჩხრეკის უფლება არა გაქვთ...

სტეფანოვმა უნებურად უკან დაიწია და ზედამხედველმა და მან ერთმანეთს გაოცებით შეხედეს.

ოოსებს სახის ნაკვთები უთრთოდა, ანთებულ თვალებში მათი მზერა მუდმივად გადაწყვეტილება ეხატებოდა.

— მამ წავიდეთ, — მორიდებული კილოთი უთხრა ზედამხედველს და კარებისკენ შეტრიალდა.

— ისიც საკმარისია, რაც ჩვენი თვლით ვნახეთ, — აივანზე თავისუფლად ჩაილაპარაკა მან და დიასახლისის კარები მავრა დააკაკუნა.

დიასახლისს ტუჩებზე თავაზიანობის ღმილი ჩაუჭრა, როცა ინსპექტორს სახეზე შეხედა.

— მობრძანდით, მობრძანდით, — შეიპატიეთა ქალმა უცხო სტუმარი და ფიცხლავ სკამები შესთავაზა.

— თქვენი ქმარი სად არის? — შესვლისთანავე იკითხა ინსპექტორმა და უარესად დაიბღვირა.

— სამსახურში გახლავით, — უპასუხა შეშინებულმა ქალმა და ორივეს რიგ-რიგად შეხედა.

— ერთი ეს მითხარით, რამდენი ხანია, რაც ლალიაშვილი თქვენთან ცხოვრობს?

— უკვე ორი თვეა, მესამე, — შეაგება სწრაფად პასუხი დიასახლისმა და თან სბაპა-სსუბით დაუმატა: — მეტად წყნარი ყმაწვილია და ბავშვებსაც ძალიან კარგად ამეცადინებს. ჩემმა სეროიყამ ამ უკანასკნელ დროს სულ ოთხი თვე მოიტანა. მერე... თვითონაც სულ მეცადინეობს.

— ჰმ, ოღონდაც! — ირონიულად ჩაიღიმა სტეფანოვმა და ზედამხედველს გადახედა.

— მიუხედავად მგვისა, — უთხრა მან დაქანებული კილოთი, — მიუხედავად მგვისა-შეთქო, იგი მვენე კაცია და თქვენი ბავშვები უნდა დაიხსნათ ნისკანს.

— უი, რას ბრძანებთ! — წამოიძახა შაპოვალოვის ცოლმა და კედელს მიეყუდა. შიშით და განცვიფრებით სახე მთლად აეკინკრა, თვალები გაუფართოვდა.

— როგორ? ასეთი წყნარი და მორიდებული ადამიანი? ღმერთო, დამისსენ, ღმერთო!

— დიახ, დიახ, — დაუკანტურა თავი ინსპექტორმა და ნიკაპზე ხელი წაიღო. — მე თქვენ გირჩევთ, ხვალდანვე ეგ სუბიექტი თავიდან მოიცილოთ. თქვენი ქმარი სამხედროა? — სწრაფად გაახსენდა ინსპექტორს და ქალს პირდაპირ თვალებში შეხედა.

— დიახ, — ძლივს უპასუხა ქალმა.

— მით უმეტეს, თუ გინდათ რომ... მავრამ, აი რას გეტყვი: თქვენ ქმარს სთხოვეთ, რომ ხვალ იორმეტ საათზე აუცილებლად გამოცხადდეს სასულიერო სემინარიის რექტორთან.

ინსპექტორმა ამ სიტყვებით დიასახლისს თავი დაუტრა და კარებისაკენ გატრიალდა.

ზედამხედველი აზრდილივით აედევნა. კიბე ისევ ბრავა-ბრუტეთ ჩაიარეს და ეტლისაკენ გაემართნენ.

ინსპექტორმა საფეხურზე ფეხი რომ შესდგა, ეტლი თავისკენ დაწნიჭა და როცა მოფლეშილი მისი სხეული საჯდომზე მძიმედ დაეშვა, ჩეტლმა ისე მაგრად დაიჭრიალა, რომ იოსებმა ფანჯრიდან გადინედა და გარეშე მისი ჩაილა-პარაკა:

— ეანდარმებო! დამაცადეთ, ცოტა კიდევ დამაცადეთ და მე კაცი არ ვყოფილვარ თუ არ განანკათ, შეჩვენებულეზო, იუღებო!

უკვე დაბინდდა. შაპოვალოვის შვილები შინ დაბრუნდნენ და კიბეზე სიცილ-ხარხარით აცვიდნენ. მათი ხმაური იოსების დამძიმებულ გუნებაში მზის სხივივით შეიჭრა, მაგრამ მალე ჩამწარდა, როცა გაახსენდა, რომ მათ ხვალის დან ველარ ასწავლიდა.

ბავშვები რომ ოთახში კვიცილ-ხივილით შეცვიდნენ, იოსებს თხელი კედლის მეორე მხრიდან მკაფიოდ მოესმა, როგორ დაისისინა დედამ და როგორ ჩაკეტა კარები ვასალებით. ოთახში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

დედა ბავშვებს რაღაცას ეჩურჩულებოდა. ცოტა ხნის შემდეგ უმცროსი ვაჟის ტირილი შემოესმა.

— ნეტ, მამა, ია დრუტოვო ნე ხაჩუ, — გულამომჯდარი ტიროდა ბავშვი.

— სსს... ჩუმად, სერიოზა, სერგეი, — ებვეწებოდა, დედა.

იოსებს გული ჩასწყდა. თითქოს ამ ადამიანებმა იოსები გაიციენს, დააფახეს კიდევ მისი გულწრფელობა და ადამიანობა, მაგრამ მოვიდა ეტლით დიდი კაცი და უცებ მოისპო ყველაფერი.

— ნეტ, მამა, ია ევო ლრუბლიუ, ნე პუშუ, — მოესმა კვლავ იოსებს ბავშვის ხმა და გაეცინა, რომ მისი ნამდვილი შემფასებელი ბავშვის უმწიკველო გული იყო.

მაგრამ ის მაინც უნდა წავიდეს აქედან. სულ ერთია, მოსვენებას არ მისცემენ. სემინარიიდან რომ დაითხოვენ, ეს უკვე აშკარაა. მაგრამ მერე მის მეთვალყურეობას, ალბათ, ეანდარმებს მიანდობენ და სახლის პატრონისთვისაც ეს წყნარი და გამოსადეგი ადამიანი თვალის ეკლად შეიქნება...

არა, თვითონვე წავა. ხვალვე ბარჯს წაიღებს და წავა, სანამ სახლის პატრონი ბოღივით და დამამცირებელი ღიმილით დაითხოვდეს.

იოსებს მთელი ღამე არ ეძინა. გათენებამდე იმას ფიქრობდა, სად უნდა შეეფარებინა თავი, სად იყო უფრო მოსახერხებელი ადგილი, რომ გუშინდელი აქლემებივით თავისი დიდი ტვირთი ბოლომდე დაუჩოქებლივ მიეტანა.

— ისევ ვარეუბანში, დურგალ გიგოსთან სჯობიან... ჭკვიანი ბიჭია, მათი კრების წევრი და თავგადაკლული მუშაკი, — მრავალი ფიქრის შემდეგ გადასწყვიტა იოსებმა, და განთიადისას ძლივს ჩაეძინა. მაგრამ მაინც აღრე ადგა, წიგნები შეკრა, ლოგინი გაამზადა და გარეთ გამოვიდა.

შაპოვალოვის უმცროსი ბიჭი დილა ადრეიან კიბეზე იჯდა და სერიოზული სახით თავის ძალს ეალერსებოდა.

იოსებო რომ გამოვიდა, ბავშვმა თავი ჩალუნა და ძალზე გაწითლდა.

— ყოჩაღ, ბორის, ადრე ამდგარხარ. ალბათ, ვაკვეთილი უნდა გაიმეორა, არა?

ბორისი ფიცხლავ ზეზე წამოხტა და უხმოდ სახლში შევიდა. ჩასწყდა იოსებს გული. პატარა ბიჭს თითქოს თავისი საყვარელი მასწავლებლის შეშინდა. ალბათ, უამბო დედამ, რა საც სტუდენტოვი მასზე ფიქრობდა.

საშინლად შესწუხდა ლალიაშვილი. სახლის პატრონთან, პეტრესთან შეხვედრა ეძნელებოდა. წასვლა უიმითოდ უფრო იმითომ იყო, მტრულად გაპარვად ჩამოართმევდნენ და მით ინსპექტორის საზიზღარ ბრალდებას გამართლებდა. მაგრამ, ეჰ, რაც უნდათ, ის იფიქრონ! სულ ერთია, ესენი დიდკაცს უფრო დაუჯერებენ... აგერ, ბავშვებიც კი არ დაუზოგიათ და რაღაც უთქვამთ. წავალ, — ვადასწყვიტა იოსებმა, ზურგზე ლოკინი მოიგდო, ილიაში წიგნები ამოიჩარა და კიბეზე ჩაივდა.

შარა-გზაზე რომ გავიდა და ქვემოთ აფთიაქს მიუახლოვდა, უკანიდან ბავშვის ღრიალი შემოესმა.

«ეე... რა ბედზე დაგებადებულვარ! ყველა ბინიდან გაპარვა შვირდება. ალბათ, მაროც ისე გულამომჯდარი ტიროდა, ოღონდ ჩუმად, რომ მის მიღას ვერაფერი ვერ შეეტყო» — გაიფიქრა იოსებმა და ნაბიჯს უმატა.

სახალაოზ

ღილით სვრიდა, თითქოს შემოდგომის დღე ყოფილიყოს. მიწას ოსში-ვარი ასდიოდა. ქალაქი შორიდან ყრულ ხმაურობდა.

იოსებმა კახეთის მოედნისაკენ გაუხვია და დარიის მონასტრის ქვემოთ კიბედანგრეულ პატარა ძველ სახლს მიადგა.

იოსების შეხმაურებაზე კარი კრაჭუნით გაიღო და ხანშიშესულმა დედაკაცმა ფართოდ გაუღიმა იოსებს:

— შენა ხარ, იოსებ! ამოდი, შეილო, ამოდი, რა შორიდან გვეხმაურები.

— აი, შენ ავაშენა ღმერთმა, რა კაი დროს მოხველ! ბიჭო, სადა ხარ აქამდის, რომ ერთხელ აღარ შემოიარე? — გაისმა შიგნიდან ხალისიანი ხმა და შევგვრემანმა ბიჭმა მოხუცი კარებიდან სწრაფად ჩამოაყენა და თითონ შურდულივით გავარდა, — მართლა, რა ქვევიდან იძახი, უცხო ხომ არა ხარ, ბიჭო, ამოდი რაღა! — უთხრა ახალგაზრდამ.

— არა, ამოსასვლელად არა მცალიან, გელა, პატარა საქმე მაქვს და სწრაფად უნდა გავტრიალდე.

— წამოდი, ბიჭო, მეც საქმე მაქვს, ვორიდან წუხელის ჩამოვედი და დედლაშენისაგან პატარა დავალება მაქვს.

დააყარა სხაპასუხობით გელამ და იოსებს მკლავში ხელი ჩაავლო, თან იოსებს სახეში შეხედა, რაღაც არ მოეწონა და უფრო დაეინებით შეეპატიჟა.

— წამო, თავი ნუ მოგიკვდება. არ დაიჯერებ, ისეთი არაყი ჩამოვიტანე, რომ პირში სულ ცეცხლს აჩენს, წამოდი!

იოსებმა პასუხის მაგიერ ლუქით დაბეჭდილი წერილი გაუწოდა და საჩქაროდ უთხრა:

— აი ეს წერილი დიდუდიანებს, ვორში გაბრუნდები თუ არა იმ დღესვე მიუტანე.

იოსებს ამ სიტყვებზე სახე უფრო მოეღრუბლა, მაგრამ ნაძალადევად გაიღამა და ეს ღიმილი გელას ძალიან არ მოეწონა.

— როგორ არის საწყალი მოხუცი, მგონი, სულ დღეს-ხვალეობით მიმე-
ლის, არა?

— გელის კი არა, კაცო, ისეთი ამბავი აქვს, თითქოს საქორწილოდ ემზა-
დებოთ: გვის, წმენდავს იჭაურობას. გუშინ დილით კაკალა მჭკრხნივს ვამოეც-
ხო, ამ ორ დღეში ეგზამენები გაუთავდება და ამოვაო.

იოსებს გულში ვაკენწლა და გელას უფრო სერიოზული კილოთი უთხრა:
— დღეს დიდი საქმე მაქვს და მერე შემოვივლი... ეს წერილი აო დავა-
გიწყდეს, მალე გადაეცი. თუ მაინცდამაინც რამე საქმემ ხელი შემეშალა, ალ-
ბათ, ძალიან იდარდებს და, აბა, გელა, თქვენი იმედი მაქვს, მოხუცებულია და
უმწყო.

იოსებმა გელას წერილი ძალით მიაჩეჩა და სწრაფად გატრიალდა.
— დაიცა, ბიჭო, იოსებ! — მიაძახა გელამ, მაგრამ იოსები უკვე შორს
იყო. — მაგის თავს რალაც ამბავია. ნეტა რა მოუვიდა? — გაიფიქრა გელამ
და ისეთი მოუსვენრობა იგრძნო, თითქოს იოსები შორს, ძალიან შორს მი-
დიოდა და ველარ ნახავდა.

იოსებმა კი სწრაფად გაიზინა ვიწრო შესახვევი, კახეთის მოედანი გა-
დასკრა და პეტრე-პავლეს სასაფლაოსკენ შურდულივით გაემართა.

მაისის დღეებს ყვითელი ყვავილები ისე გაეთამამებინა, რომ მრავალი
საფლავი ფერადი ხალიჩით დაფარულს ჰგვანდა.

მწვანით აქორილი ხეები უმწეოდ დაყურსულიყვნენ და ნამიანი კალ-
თებით იცრემლებოდნენ. იოსებმა ზოგიერთ ლამაზ და მდიდარ ძეგლებს გზა
აუქცია, ხევს გავიდა და ვილაკის ჩანგრეული საფლავის ღრუში ქალაღში გახ-
ვეულ რალაცას ხელი წაავლო და გამოათრია. ქალაღი არ გაუხსნია, იქვე
ხშირ ბუჩქებში ჩაჯდა და მოუსვენარ ფიქრებს მისცა თავი.

სასაფლაოს უცნაური დუმილი გულზე მძიმედ დააწვა იოსებს.
ეს დუმილი და ამ ჯვრების დაუსრულებელი ტყე... სადმე ფოთოლი იდუ-
მალად დაშრიალებს და მარმარილოს ანგელოზთა მწუხარე თვალები თითქოს
უფრო ღრმავდებიან.

ეს უცნაური დუმილი და ზოგჯერ ახლო-მახლო ფოთლების იდუმილი
დაშრიალება დაუსრულებელ კმუნვარებად იფანტება იოსების გარშემო და
რალაც სინანულის გრძნობა დაღლილი ქარაევანივით მძიმედ იძვრის მის გულში.

თითქოს შორეული, რალაც გაურკვეველი გოდება გველის სიფრთხილით
უძვრება იოსებს გულის სიღრმეში და მოძრაობით სავსე სხეული ახალგაზრ-
დისა ნელ-ნელა უმძიმდება. თან ბრაზობს იოსები, გული მოსდის, რომ თავს
ერ დასძლია და წუთიერ სისუსტეს დაემორჩილა.

ორი კვირის განმავლობაში ემზადებოდა, თითქოს საწადელს კიდევ მი-
ღწია, გულის სიმწვიდე განამტკიცა და უკანასკნელ ორ დღეს ყოველ მოძ-
რაობას მათემატიკურად ანგარიშობდა.

დღევანდელი დღის პროგრამა მთლად აწონ-დაწონილი ჰქონდა. სულ იმას
ფიქრობდა, რომ დამიზნებული ხანჯალი მის საზიზღარ მსხვერპლს ისე უნ-
და მოხვედროდა, რომ წარბი არ შეეხარა. ამ ერთ კვირას იოსები მართლაც
ფოლადის გრძნობით დადიოდა. ქვეყანასაც სტოიკური მსოფლმხედველობით
სჭერტდა და მომავლასაც მტკიცე გადაწყვეტილებით უცქეროდა.

მაგრამ იმ დილით, სწორედ იმ საბედისწერო დილით სიმბნეკემ თითქოს უმტყუნა...

ბიკს სიცოცხლის ხალისი სახეში შესთამაშებდა და ხან დედას, ხან მაროს სურათი თვალწინ წუთით მაინც ეხატებოდა, და გულში სასიხარულო კოლომა ებადებოდა.

იოსებმა ორ საფლავს იქით ჩამუჭებულ კვიპაროსებს შეხედა და გული ზედმეტად აემღვრა.

კვიპაროსების შერხეული კენწეროები მოხუცი ქალების ჩუმ გლოვას და გოდებას ემსგავსებოდნენ, და იოსებს მასზე გამწარებული დიდება გაახსენდა.

— საწყალი, რა უმწეო დარჩება. სიკვდილის კარამდე უნდა იგლოვოს წვითა და ვაებით გაზრდილი ობოლი ბიჭი, რომლისაგანაც ის დამარხვას მოელოდა...

იოსებმა თავებდაბრილ კვიპაროსებს უკმაყოფილოდ თვალი აარიდა, მაგრამ უარეს ხილვას წააწყდა: მის გასწვრივ მარამარილოს ქერუბიმს ისეთი მწუხარებით, ისეთი ნაღველით დაეხარა თავი, რომ ეს მწუხარება პირდაპირ განსახიერება იყო კაცობრიობის იმ გარდაუვალი მწუხარებისა, რომელიც ქვეყნის დასაბამიდან თანსდევს ადამიანს.

აქ-კი თავი ველარ შეიკავა იოსებმა: მშვენიერ ქანდაკებას თვალი ველარ მოაშორა.

ქანდაკების შუა გულში სურათი იყო გაკეთებული.

მზით გახარებულ იასავით და უმანკო იასავით იცქირებოდა თმაკულულა, გრძელნაწნავებიანი ქალწული, თითქოს ეს-ეს არის მართლა ცრემლები გადმოსცვივა თვალებიდანაო.

სურათს ქვემოთ ასე გოდებდა ვარაყიანი წარწერა:

„ვაი, რა მუხთალი ხარ, წუთისოფელო. დედისერთამ მთის ყვეილივით მხოლოდ წუთით ვუმზირე მზეს. სიკვდილის სიომ უდროვოდ წამომიბერა სიცოცხლე მოწყურებულს და შავ სამარეს მიმბაბრა. წამკითხველო, შენდობას ველი შე უბედური“.

იოსები ძალზე გაოცდა: ამ სასაფლაოზე თევობით დადიოდა, აქ კითხულობდა აკრძალულ წიგნებს, აქ იბადებოდა იოსების შინაგანი ახალი სახე. მაგრამ ეს ქანდაკება არასოდეს არ უნახავს. თითქოს მიწიდან იყო ამ ორ დღეში ამოსული, რომ იოსები მთლად დაედუნა.

იოსებმა შეხედა სათნოებით სავსე ქალის სურათს და როცა მათრახებით გადმოყრილი ნაწნავები დაინახა, თვალწინ დაეხატა მარო, მოკრძალებული და მეტად ნაზი მარო. იმის მაგივრად, რომ გულში მახვილგაყრილის სურათისათვის თვალი მოერიდებინა, იოსები უფრო მიაშტერდა, და გასაოცარია, თვალებიც თითქოს მაროს უგავს, ის თვალგებია, იოსებს ფარული ვედრებით რომ მისჩერებოდნენ და მუდამ ამას უკარნახებდნენ: რისთვის, რისთვის მაწამებ, გენაცვალე? ცხოვრება ხომ ასე მოკლეა, სიზმრის მსგავსია და... ჰმ! — მწარედ გაიღიმა იოსებმა და წუთით თავი ძირს დახარა.

— ეს ჩემი საკუთარი სულის ძაბილია... ლაჩრული, დედაბრული, ნუ თუ შავი მომავლისა მეშინიან ან იქნებ ამ მომავალს ვაფურბი? ტყუილია, ტყუილი... ეს ცხოვრება და მისი სიტყობება ეხლა სხვისთვის დამილოცნია. ჩემი ეხლანდელი მოწოდება-კი მხოლოდ ეს არის, ეს, აი ამ პატარა მუცელში უნდა ვანგმიროს ის, ვინც მრავალთა ცხოვრების ჩამშხამებელს ვინც ჩემი ცხოვრებაც უკუღმა დაატრიალა.

იოსები დაიხარა, ქალადი გახსნა, სამი ხანჯლიდან ყველაზე ბასრი გამოაჩნია და ორი რომ ისევ ხერელის სიღრმეში დამალა, უცებ ზურგს უკან ვილაძის მწარე ქვითინი შემოესმა.

— დასწყევლოს ღმერთმა! — გაჯავრდა იოსები და უნებურად უკან მიიხედა:

ვილაც ახალგაზრდა ქალი ახლად აკოკოლავებულ სველ მიწას დამზობოდა და ვერხვის ფოთოლივით თრთოდა.

— რა ვქნა, ველარ გავძელ, შენი ქირიმე, მთელი ქვეყანა უშენოდ მთლად დამიბნელდა, ობლობის ცეცხლი ყოველწუთს გულს მიხრავს, თავს შემოგველე! — საშინელი ხმით მოსთქვამდა ქალი და სველ მიწას გაშლილი მკლავებით ეკვროდა, თითქოს მისი სივრდილი ლამობსო გულში დანთებული ცეცხლის ჩაქრობას.

გავულისებელი იოსები ზეზე წამოიჭრა.

— დე, ამ დაუსრულებელ ცრემლებს დიდდღაიშის უმწეო მდღლარებაც მიემატოს! მე დღეს, სწორედ დღეს მოვთხოვ პასუხს იმას, ვინც უსიკვდილოდაც ცრემლებს აფრქვევინებს ხალხს!

იოსებს ახლა ცეცხლით ჰქონდა გული სავეს და ეშინოდა, რომ სემინარიამდე ეს ცეცხლი არ დანელდებოდა. ეს ის მძლავრი გრძნობა იყო, რომელიც მას თვალდაბუქულსაც კი ამოქმედებდა და ეჩქარებოდა, რადგან დღეს სასაფლაო იოსებზე უკუღმართად მოქმედებდა.

მან ხევი ისე გაიარა, ძეგლებიან საფლავებს ისე ჩაუარა, ზედაც აღარ შეუხედნია. მაგრამ შუაგულ სასაფლაოზე, მარცხნივ, ერთი დიდი აკლდამის გვერდით, დუღუკის კენესამ და ჩირალდანის აღმა მისი ყურადღება მიიქცია.

ვილაძის საფლავზე დიდი ხელადებით ღვინო იდგა, ხოლო საფლავის თავში ერთად გადახლართული რამდენიმე კელაპტარი ისე გუზგუზებდა, თითქოს ჩირალდანი დაუნთიათო.

მწვანე ფოთლებზე დაწყობილი მსუქანი სათალი ქარვასავით იცქირებოდა. ჯვარიმამის ლავაში, ცხელ-ცხელი ცხვრის ხაშლამა ნებად იორთქლებოდა, ლურჯად ჩამუქებული ახალი ზრამული, ყველი, ტარხუნა და ბოლოკი ისე ჰჭარგავდნენ იმ საფლავს, რომ ადამიანს ქეიფი მოუნდებოდა.

საკინძ-ჩახსნილი ყარაჩოლელი ბიჭები საფლავის გარშემო ცალმუხლზე დაცემულიყვნენ და ორი დღის დამარხულ ამხანაგს დასტაროდნენ.

ერთი მათგანი ფერად ბალდას ჰაერში ნელა არხევდა და ისეთი გულით მოსთქვამდა, რომ იოსებს ზურგზე ქიანჭველებმა დაურბინეს.

დუღუკი კენესოდა, დანარჩენთა ქვითინი შეხმატბილებული მოძახილივით მიჰყვებოდა ამ კენესას.

„ახა, ღმერთო ჩემო, დღეს თითქოს ჩემი ჯიბრით ქვეყანა ატირებულა ატირეთ, ივაგლახეთ! ეხლა ერთ სატირელსაც მე გავამზადებ და რაც მომივა,

მომივიდეს“, — ვადაქრით გაიფიქრა იოსებმა და გზა უფრო სწრაფად გა-
ნავრძო. — ციხეა? ციხე იყოს... მთელი ქვეყანა ხომ ციხესა ჰგავს და დეე-
ვიყო ამ ციხეში. მაგრამ თუ სიკვდილისათვის სიკვდილი გამოიძებნა, არც ეს
ჩქნება დიდი ბედენა. საუკუნე და ერთი წუთი ერთად მიჰქრება და დასრულე-
ბლობისაკენ... დღეს, ხვალ... ვანა რა განსხვავებაა“?! — ებრაელის კოყმით თა-
ვისთავს და ამ ფიქრით გაგულისებულ უფრო სწრაფად მიაბიჯებს სირაჩ-
ხანისაკენ.

გაიარა ავლაბრის ხიდი. ნაბიჯს აუჩქარა და სემინარიისაკენ ნაივით
გაემართა.

გზა და გზა ვერავის ხედავს. თვალწინ ყველაფერი წაეშალა, გარდა ერ-
თი სურათისა და ის სურათი ანდამატივით სემინარიისაკენ იზიდავს.

კოჯრიდან დაქროლილი ნელი სიო ყოველ ნაბიჯზე წინ აგებებს მინდვ-
რის სურნელებას. მაგრამ ამოად, იოსებს მხოლოდ ეს ქაფქაფა სისხლის სუნი
სცემს და უარესად მიიჩქარის.

აგერ პატარა ბალიც სემინარიის წინ. მრავალი ჩიტე მზეს შეჰხარის და
განუწყვეტლივ ჟღერტულებს.

სამსართულიანმა თეთრმა შენობამ თითქოს რაღაც სევდით შეხედა იოსებს
და ვულს ცეცხლი უარესად წაუქიდა.

„ეს დსაქცივი შენობა, ალბათ, ჩემი ხსენების ცოცხალ მატურად ვადაიქ-
ცევა“, — გაიფიქრა იოსებმა და მიუახლოვდა კიდეც.

სემინარიის არემარეზე კაცი არ ჩანდა. შესავლის კარები ღია იყო და
ყველგან სიწყნარე სუფევდა. იოსებმა ქუჩის მხრივ კლასებს შემოუარა და
მრავალფანჯრიანი გრძელი კედელი აათვალიერა-ჩაათვალიერა.

აგერ იქ პირველი კლასია, იქით მეზუთე, აქ-კი მესამე. ფანჯრები ღია
იყო, მაგრამ არაერთიარე ხმაური არ ისმოდა.

დღეს წერაში გამოცდა აქვთ და, ალბათ, ქირის ოფლში იწურებიან. აგერ
იმ ფანჯარასთან ილიკო ხახუტაშვილი ზის. იოსები მუდამ მის გვერდით იჯ-
და, ეხლა-კი ჯოჯობეთური სულისყვეთებით ქვევიდან შესცქერის. უცებ საი-
დანღაც წითელი პეპელა მოფარფატდა, იოსებს თავზე ორჯერ შემოუტრინა
და ზევით, ღია ფანჯრისაკენ გასწია.

— მშვიდობით, ამხანაგებო! ჩემს მაგიერად თავისუფლად მოფარფატე
პეპელა დაგინახავთ. მეც თქვენსავით გამოცდაზე მივდივარ, ისეთ გამოცდაზე,
რომელიც თქვენ მანაც მოგცემთ შეღავათს, მე-კი ალბათ, ვერასოდეს ველარ
მიხილავთ.

იოსები სწრაფად მიტრიალდა და სვეტებიან აივნისაკენ გამოემართა.
დერფენის სიღრმეში, მაგიდასთან, გრძელწვერა დარაჯი იჯდა და, მუშუ-
რობით ძილწამოპარებულს, დროგამოშვებით ეყვინთებოდა.

— მამა რექტორი გამოცდება? — წყნარი ხმით შეეკითხა იოსები, რო-
ცა თავზე მოულოდნელად წაადგა.

დარაჯმა იოსებს გაკვირვებით შეხედა და თავის ქნევით უბასუხა:

— არა, კაბინეტშია. რისთვის გინდა? — რაღაც უცნაური ხმით ჩაეკითხა
დარაჯი და სკამიდან წამოდგა.

— თხოვნა მაქვს ვადასაყვმი, — სრულიად დამწვიდებული კილოთი უბა-
სუხა იოსებმა და ჯიბიდან ოთხად დაკეცილი ქალაღი გამოაჩინა.

— რა წყნარი და მშვიდი ყმაწვილი დაითხოვეს, ნეტა რა უნდა დაეშავებინა? — გაიფიქრა დარაჯმა და უფრო მორბილებული კილოთი სთქვა:

— ახლა იქ ვიყავი და ვნახე, რომ კანცელარიიდან თავის კაბინეტში შევიდა.

იოსებს გულმა მავრა ჩამოჰკრა, მუხლები შეუტოკდა: უცნაო მიტრიალდა.

გეგმვლადობა

იოსებმა დერეფანი სწრაფად გაიარა და ქვის ბნელ კიბეებზე ისე აფრინდა, რომ არ ვაუგია. იქიდან მარჯვნივ გაუხვია და უფრო გრძელი დერეფანით რექტორის ბინას მიადგა.

გული საშინლად უცემდა. ხელებზე ოფლი გამოუვიდა. მღელვარება უფრო და უფრო უძლიერდებოდა.

იოსები კარებთან მივიდა და დააკაკუნა. მკვიდრი შენობის ბნელ კუთხეებში ეს კაკუნის საშინელი ხმით გაიფანტა.

იოსების ახლო თითქოს ვიღაცამ ამოიოხრა და შემდეგ ბოროტი სიჩუნი ჩამოვარდა.

ფაფარაყრილ ზღვასავით დრტყინავდა იოსების გული. მოუთმენლობა აღჩნობდა. გამოკეტულ კარს აქეთ იდგა იოსები და სქელ კედლებს იქით თავის მსხვერპლს თითქოს თვალთ სცვრეტავდა.

ხელებს ინსტიქტიურად კუმშავდა და დაჟინებით ფიქრობდა იმაზე, რომ ხანჯლის წვერი იმ წერტილს არ დასცდენოდა, სადაც ბინძური გული უცემდა, სადაც პატარა ადგილი აბრეშუმის კაბის ქვეშ რითმულად ერხეოდა.

წუთიერმა ლოდინმა უარესად გააღიზიანა ყმაწვილი. მან რამდენიმე ნაბიჯით უკან დაიწია, ჯიბიდან დაკეცილი ქაღალდები ამოიღო, დახედა, ერთი ისევ ჯიბეში ჩაიღო, ხოლო მეორე ხელში დაიჭირა, მერე კარები უფრო ღონივრად დააკაკუნა.

კედელს იქით ჯერ სკამმა დაირახუნა, შემდეგ ვიღაცის ფეხსაცმელი რამდენიმე ნაბიჯზე მძიმედ აქრაქუნდა, ხოლო როცა კარებში გასაღებმა დაიჩხაკუნა, იოსების გული საშინელი ბორცვით გამოეხმაურა.

მაგრამ ლალიაშვილმა მაშინაც-კი არაფერი არ შეიმჩნია, როცა გაღებულ კარებიდან ჩუდუკი ბელზებელის სახით გამოეცხადა.

მის დანახვაზე იოსებს მთელ სხეულში ცოფივით რაღაცამ დაურბინა, მაგრამ თავშეკავებულმა ყმაწვილმა ქუდი მოიშვლია და რექტორს სათანადო სალაში მისცა.

— ნუ? — შუბლშეკვრით ჰკითხა დეკანოზმა და უკმეზი სახე ოთახისკენ მიიბრუნა. — ჩტოჲ, ვოიდი. — უთხრა უგემურად და ნელი ნაბიჯით მაგიდისკენ გაემართა.

დეკანოზი სავარძელში ზათქით და ზანზარით დაეშვა. ეტყობოდა, ძალიან ცუდ გუნებაზე იყო. გაწვედენილი ქაღალდი ისე ჩამოართვა იოსებს, რომ ზედ არ შეუხედნია.

როცა დეკანოზმა თხოვნა გაშალა და სტრიქონებს თვალი გააყოლა, იოსებმა მის შესუბუღულ ქუთუთოებს შეხედა და მოუთმენლობამ შიგნით ავიძალივით ღრღნა დაუწყა. როგორც ხევ-ხევში ჩამდგარი ჩრდილი, დეკანოზს

სახის ნაკეთებში ღრმად ჩასწოლოდა დაუფარავი სიძულელი და ბოროტება. წუთის შემდეგ დეკანოზმა შუბლი უფრო შეიკრა და თავი ჯიუტად გააჩხია.

შუბის წვეტივით ეძგერა იოსებს დეკანოზის თავის გაქნევა.

— Это ерунда, а посему выполнить его невозможно.

მოკლედ მოუჭრა დეკანოზმა იოსებს და ქალაღი უკანვე მიუხვეს.

— გორის სასულიერო სასწავლებლის მოწმობები მაინც დამიბრუნეთ, თუ სემინარიაში აღარ მომესვლება, — ჩავარდნილი ხმით დაიხრიალა იოსებმა, ამასთან არ განრძეულა: ეშინოდა, წონასწორობა არ დაეკარგა და უდროოდ მოქნეული ხანჯლით საქმე არ გაეფუჭებინა.

— არავეთარი მოწმობების ღირსი შენ არა ხარ და ვერ მიიღებ, — ბოროტად უთხრა ჩუდდუკიმ და სავარძელში ოდნავ შეიჩხა, რომ უკეთ დაშვლარიყო.

იოსებს სუნთქვა შეეკრა, მაგრამ თავი შეიმავრა და საშინელი ხმით კვლავ ჩაეკითხა:

— მაშ რა ვქნა, მამაო რექტორ, სხვა გზა არსად აღირა ჩანს და ყაჩაღად ხომ არ გავარდები?

— ტუდა ტებე დაროვა! — ნიშნის მოგებით მიუვგო მოძღვარმა და სკამიდან წამოიწია, რომ იოსებისათვის აუღენციის გათავება ეგრძნობინებინა.

ცეცხლად მოედო იოსებს გესლიანი თქმა დეკანოზისა, და თავდაკავებამ უცებ იქეკა. შიგნიდან მოწოლილმა თქეშმა ბოროტებისამ და მძულვარებას რომ დაიქუბა, იოსები დეკანოზს მესხივით ეძგერა. ელვის სისწრაფით მან ჯიბისაკენ ხელი წაიღო, ხანჯალი წუთით ჰაერში შეაბრიალა, თვალის დახამხამებაზე მუცელში მძლავრად ჩასცა და ბურღივით დაატრიალა.

— მიშ... ვ... ელეთ... მკლა... ვე... ენ!

ფოცხვერივით დაიღრიალა დეკანოზმა, სავარძლიდან წამოვარდბ და გაფათრულ მუცელზე ხელი იტაცა.

როგორც ბელებ-დაკარგული დათვის ღრიალი გამოქვამულში, ისე საზარლად გაიბნა სემინარიაში სქელ კედლებში რექტორის ბღავილი.

შიშით თვალებ-გაქცეტილი, სახე-გაფითრებული მისი ცოლი და ცოლის და ეკატრინე მათელები დაფეთებულნი შეცვივდნენ იმ წუთს, როცა კარებისაკენ ზურგშებრუნებული დეკანოზს გამძაფრებული იოსები სისხლიან ხანჯალს კისერში უმიზნებდა თავის მოსაჭრელად.

— ჩქარა კარი, კარი დაკეტე. კატია, ჩქარა! — სასოწკვეთილი ხმით იკივლა დეკანოზის მუღღემ, იოსებს პალტოს კალთაში ხელი სტაცა და ერთი მტკაველით უკან დაახეინა. ამ დროს ოთახის კარიც მიიხურა.

მაგრამ იოსები იმ წამს შთიდან მოვარდნილი თქეშით ძლიერი და დუნდობელი იყო.

— სიცოცხლის ნიშან-წყალი არ უნდა შერჩეს, შენს ხელშივე უნდა დალიოს სული! — უკიოდა ლალიაშვილს გულის სიღრმეში გაცოფებული ხმა და ეს გარდაწყვეტილება ვეფხის სიძლიერეს აგრძნობინებდა.

— მოაწეჭ, კატია, ჩქარა ჩაკეტე, მიშველე, ჩქარა! — კიოდა ჩუდდუკის ცოლი, როცა რექტორმა მეორე ოთახში შევარდნა მოასწრო.

მაგრამ გვიან იყო: იოსებმა ცალი ხელი გაიჭნია უკანა კალთაზე კნუტივით ჩამოკოწიკლებული დეკანოზის მუღღლე გორგალივით გვერდზე მიაგდო

და კარებს ეძვება. მძლავრი მიწოლით კვლავ გააღო მოხურული კარი და მესამე ოთახისკენ გაქცეულ დეკანოზს აფთარივით ეძვება. — იოსებო, მერ მოქნეულ ხანჯალს დეკანოზმა თავი ინსტიქტიურად აარიდა და აივანზე გაგარდნილმა ზურგი შეაგება.

— მიწვე-ლეთ, მკლა-ვენ! — გაბმით დაიღრიალა ჩუღციკი.
 ორივე ქალი უკან დაედევნა იოსებს. მათ უშვეოდ ისევ პალტოს კალთებში წააფლეს ხელი.

შეიქმნა ბრძოლა და ჯაჯგური.

დეკანოზის ღრიალზე პირველი მასწავლებელი ლოტოცკი მოვარდა და იოსებს მკლავებში ხელი მაშინ წააფლო, როცა ის ზეამართული ხანჯლით დეკანოზის თავის მოქრას ლამობდა. მაგრამ ლალიაშვილმა მძლავრი მოქნევით მკლავი ვინთავისუფლა და ხანჯლის გასისხლიანებული ტარი მკერდში ისე მაგრად ჰკრა ლოტოცკის, რომ კედელზე მიაჯახა.

ლოტოცკი ძალზე გამწარდა, ეგონა მეც დამკრაო. ხანჯლის ტარისაგან დასისხლიანებულ მკერდზე ხელი იტაცა და სასწავლო ოთახისაკენ შეტრიალდა.

ამ დროს საიდგანლაც მახათაძეც გაჩნდა. ადმინისტრაციის ერთგული ახალგაზრდა აღმზრდელი, ყოველთვის გამოსადეგარი პიროვნება იყო და ახლაც დროზე გაჩნდა.

იოსებმა ერთი-ორჯერ კიდევ მოასწრო კისერში ხანჯლის ჩაცემა, რომ უკონიდან მიპარებულმა მახათაძემ მკლავებში ხელი სტაცა და ჩეტრიკინის დახმარებით ხანჯალი სწრაფად გამოჰგლიჯა.

კვიელმა და ჩოჩქოლმა მთელი სემინარია ძირიან-ფესვიანად შესძრა.

აივნის პირობაირ მდებარე კლასებრიდან ბრძოლის დანახვაზე სემინარიელები ფანჯრებს ეცნენ.

მასწავლებლები თავ-პირის მტერევით მირბოდნენ შისაშველებლად.

იოსებს აუარებელი ხალხი ეხვია. იგი ძლივს შეაკავეს. მან სახიდან ოფლი ჩამოიწმინდა, დასისხლიანებული ხელები ძირს დაუშვა და აჩქარებული ქშენით ჩუღციკისაკენ გაიხედა.

დეკანოზს უკვე მკედრის ფერი ედო, მაგრამ კატივით მაგარ კაცს იმდენი ძალა კიდევ შერჩენოდა, რომ ოთახში თავისი ფეხით შელასლასდა.

«ვაი თუ ვერ ჩაძალდეს?! ნუ თუ გადარჩება?» — გაიფიქრა ლალიაშვილმა, მაგრამ გაახსენდა, რომ პირველი დარტყმა მუცლისაკენ იყო დამიზნებული და იმედი მოეცა — არ გადარჩებაო.

პოლიციის მოსვლამდე იოსები მახათაძის ბინაზე წაიყვანეს, რომლის ფანჯრებიც აივანზე გადიოდა. აივანზე გავლის დროს იოსებს კლასებიდან აგზნებული ვუგუნი და ღრიალცელი მოესმა, და როცა იქითკენ მიიხედა, დაინახა თანაგრძნობით საფეხ ამზანაგების თვალები. ფიზიკურად უკვე მოდუნებულმა ახლა ისეთი სულიერი სიმხნევე იგრძნო, რომ მასწავლებლებს ოთახში სრულიად დამშვიდებული შეჰყვია.

ამ დროს სემინარიის თეთარწინსაფრიაანი, ჩარგვალეული მზარეული ქუჩაში ქაფქირით გაგარდნილიყო და მოზვერევიტ ღრიალებდა:

— გ ო რ ო დ ო ვ ო ი, გ ო რ ო დ ო ვ ო ი!

პუშკინის და ფოსტის ქუჩებზე სასტვენის საშინელი ჭყვიტინი და გარბენ-გამორბენა ასტყდა...

— რა ამბავია, რა მოხდა? — კითხულობდა ყველა.

უამრავი ხალხი შეიკრიბა. მენახშირეები, თაბახიანი კინტოელები, შეშინი ურმებიც კი გაჩერდნენ. რომ კარგად შეეტყუათ სასულიერო მარხის სწავლით მოკვლელობის ამბავი.

მალე სვეტებიან აივანთან ეტლი ეტლზე მოგრიალდა. ჯანდარმის როტ-მისტრები, უბნის ბოქაულები, სასწრაფოდ გამოწვეული ექიმები და საგანგებო საქმის გამომძიებლები თითქმის ერთი ერთმანეთს მოსდევდნენ.

ხალხი კი იდგა და შრავალნაირად დრტვინავდა:

— ოი, ოი, იმ მარჯვენა დასამიწებელმა მოძღვარზე როგორ ამართა ხელი?!

— მაშ რა ეგონათ, ქვეყნის ოხრებს გაუღდეს სკოლის კარები და ბრალიანი და უბრალო ყველა შიგ შევიდა, განა სხვა ამბავი იყო მოსალოდნელი?!

— მე და ჩემმა ღმერთმა, რომ ქეშმარიტებაა. ერთი მითხარით — დიაკანისა და მერუსტეს შვილებს რა სწავლა უნდა? ყველამ თავისი გზით უნდა იაროს. კინტო კინტოდ დარჩება და ყაჩაღმა კი ყაჩაღის გზით უნდა იაროს. სანამ ტყვია არ წამოეწევა და ცოფიანი ძაღლივით არ გააგორებენ.

— მეტადრე ამ ველურ ქართველებს რომელი სკოლა მოარჯულებთ? — ჩამოართვა მოლაპარაკეთ სიტყვა მერძევე დედაკაცმა. — ამათი სკოლა ციხე და მთარაზი უნდა იყოს.

ცოტა ხნის შემდეგ ეყენებმა დაიწკრიალეს და თქარა-თქურით სემინარიის წინ სამცხენიანი ეტლი გაჩერდა.

— პოლიცემისტერი, პოლიცემისტერი! — ფუტკარივით დაიხუზუნა ხალხმა და ნიავდაქროლილ ყანასავით მარჯვენე და მარცხნივ შეტორტმანდა.

ამ დროს მომაკვდავ ჩუდეცის თვალები უკვე იყინებოდა. გამომძიებელი უბის წიგნაკით ხელში მანც გვერდით ეჯდა და ეკითხებოდა.

— თქვენო მაღალკურთხევავე, ვინ დაგჭრაით?

სამარისებურ სიჩუმეში ძლივს გაისმა დეკანოზის მისუსტებული ხრიალი:

— ლაღი... აშვილ... მა შური იძი...აა სე...მინა... რიიდან დათ... ხოვნი-სათვის.

დეკანოზს ტუჩების მოძრაობა შეუჩერდა, მან პირი დააღო და უკანასკნელი სიტყვის შემდეგ საშინლად ახრიალდა.

ყველამ სული განაბა.

ექიმმა დაფიქრებული სახით დეკანოზის პულსს ხელი მოაშორა და თვლებ-დახრილმა ერთი ნაბიჯით უკან დაიწია.

მღვდელმა ჩეტრიკინმა პირუჯვარი გამოისახა და ცრემლები ჩამოყარა.

ამ დროს შავნითა ოთახებიდან ქალის კივილი მოისმა. ასტყდა ჩოჩქოლი, შერბენ-გამორბენა.

კლასეში-კი სემინარიელების ხმაური ახალ ნაყარ ფუტკრის ზუზუნს წააგავდა, იმ ზუზუნს, ვაზაფხულის მზიან ამინდზე ადამიანის გულს რომ იმედით აესებს და ოცნების მშვენიერ მომავლისაკენ იტაცებს.

— ბიჭო, ალბათ, ზვალ ახალი წელი დადგება, იოსები რომ ასე გაისარჯა და ამოდენა ღორი წამოაგორა.

— ეჰ, ჩემო ძმაო, ერთი შერცხალი გაზაფხულს ვერ მოიყვანს, ხომ გვიგონია?

— შენ რას მიედებ-მოედები, უგაზაფხულოდ შერცხალი განა მოტყუინდება?

— ჰო და ეგ არის, რომ იმ ადრე მოფრენილი შერცხალი ვიყავი, თვითონვე დაიღუპება, თორემ გაზაფხული, ავი იქნება თუ კარგი, თავისი ნაბიჯით თავზე მაინც წამოგვადგება.

— ეხ, საწყალი, უპატრონო ბიჭი! ძალიან მეცოდება, თუმცა ყველას კი გვაჯობა, — ჩუმად ლაპარაკობდნენ ერთ კუთხეში მესამე კლასის მოწაფეები.

— ბიჭო, დიმიტრი, როგორ იყო, გიყი ქელეხში რას იძახდა?

— რასა და: ეგ ერთი და სხვა ათასიო, ეგ ერთი და სხვა ათასიო, — დააყარა დიმიტრიმ და ორივემ ხითხითი შორთო.

— ვახ, ვინ იცოდა, ბიჭო, რომ ეგ მაგის ჩამდენი იყო! ვაი შენ ხელებს კი ვენაცვალე, ბიჭო! — მოისმა სხვა ადგილიდან.

„და მოვიდა ხალხსა მას შეკრებულსა მთავრისასა და იხილა შფოთი და ტირილი და ღალადება ფრიადი“, — მარკოზის სახარებიდან ჩაუმღერა სამოციქულო კილოთი სვიმონმა ვანოს და მარცხნივ მოიხედა, სადაც არაკეთილსაიმედო მოწაფე ეგულებოდა. მაგრამ ის იქ აღარა ჩანდა.

სემინარიელები ისე იყვნენ გახარებულნი, რომ ამ სიხარულის გამომკლავნებას აღარ მიღვდნენ, თუმცა კარგად იცოდნენ, რომ ამ მკვლელობის გამო კარგი და კეთილი არავის დაატყუებოდა.

— არიქა, ბიჭებო, იოსები მოჰყავთ, იოსები! — წამოიძახეს ფანჯარასთან მდგომმა მოწაფეებმა და კარ-ფანჯარასთან მიწეულ პარტებზე აღიმართნენ, რომ გმირი ამხანაგი უფრო კარგად დაენახათ.

— ერთი შეხედეთ, რა გაბედული და შეუპოვარი სახით მიდის. აი, ყოჩაღ, ჩვენო იოსებ!

— აი შენ მარჯვენას ვენაცვალე, რა ვაეკაცად დაბადებულხარ!

— კაცო, არ გიკვირთ? ამ ცხვარივით კაცმა რა ჰქნა, თქვენი ჭირიმე!

— აგრეა, ძმაო, ცხვარი თუ გაცხარდა, ცხარეაო.

— ვაიმე, ჩემო იოსებ! უკანასკნელია შენი მანდ გავლა. ვინ იცის, რას დაგმართებენ ობოლ-ოხერ ბიჭს! — ჩუმად წაიდუღუნა სანდრო გძელიძემ და თვალის უბეები ცრემლებით აეცსო.

იოსები რომ ქვევით ჩაჰყავდათ, მეორე კლასის ერთმა მოწაფემ თვალის დახამხამებაზე კიბეები ჩაიბრინა, ეზოდან ქუჩაში თავმოშვლებილი გავარდა და ქუჩის მეორე მხრიდან ნაცნობი დერციკის სახლის სახურავზე მოექცა. ძველი შენობის ავარდნილ თუნუქს სემინარიელმა თავი მოაფარა და როცა იოსები შავ კარეტასთან მიიყვანეს, ზემოდან გადმოსძახა:

— შენმა მარჯვენამ იხაროს, ბიჭო! ყოჩაღად იყავ, იოსებ, ყოჩაღად! გმირს ხალხი არ დაივიწყებს, შენ კი გაბსოვდეს: ჭირსა შიგან გამაგრება ისე უნდა, ვით ქვიტკირსა.

იოსებმა იცნო ხმა და მის აღშფოთებულ გულს მწლამოსავით დაედო. კარეტის საფეხურზე ფეხი ისე თამამად შესდგა, თითქოს სადარბაზოდ მიდისო.

სემინარიელის გადმოძახილზე უანდარმებმა ბარემ თვალები სწყიტეს, მაგრამ ამოად, სემინარიელი იმავე სისწრაფით ჩაფრინდა ძირს, ვიწრო შუკით სასახლის ქუჩაზე გავიდა და თავს უშველა.

(დასასრული)



ღავით სასუნხი

ღავითის ბრძოლა მისრა-მელიქთან

• •

ზადინ, კოზბადინ, სუდინ, ჩარხადინ
 თავზარდაცემით და შწუხარებით
 მივიდნენ მისირს... ეგებებიან
 უკვე წყაროსთან მდგარი ქალები.
 ზედავენ, სახე კოზბადინისა
 ყველა რაინდზე უფრო წინ არი,
 მახარობელი ჰგონიათ იგი,
 ნადავლით სავსე, პირ მოციხარი...
 მაგრამ მხედარი მივიდა ახლო,
 და სინამდვილე გამოჩნდა გვიან:
 კბილები შუბლის ძვალში ჩასმული,
 ტუჩების ნაცვლად ქრილობა ღია...
 დასახიჩრებულს ჩამოსდის ლორწვი
 ღვთის გლახას ვინღა მიეკარება,
 და დამარცხებულს მხოლოდ დაცინვით
 ერთად მიუგეს ნიშნი ქალებმა:
 — ჰეი, კოზბადინ, ვერ იტრაბახებ,
 ვერც დაიწებავ ტუჩებს წებოთი,
 გვითხარ, პირლიავ, სად არის ხარკი,
 ცა და ქვეყანას რომ ჰპირდებოდი?
 ორმოც ტანშალალ ქალს ვერ უბრძანებ,
 რომ აქლემები ადვილად ტვირთონ,
 ორმოც ტანდაბალს ვერ დაავალებ,
 თითო წისქვილი აბრუნოს თითომ.
 მხეველად ორმოცი ქალწული გსურდა,
 განაადი მათი თვალების ცეცხლით!
 ორმოცი ბულა, ორმოცი ფური,
 ორმოც ხურჯინით ოქრო და ვერცხლი!
 შენ კი დაბრუნდი დამარცხებული;
 კაცს დაემგზავსო ამოდ ცდილობ,
 გუშინ მგელივით წასული მტერზე,

ძუკნა ძალღივით ხარ სასაცილო.
 ამოჭრილ ტუჩებს ადგება ნერწყვი,
 ალბათ, კოცნასაც ნატრულობს ორმოცს,
 რომ დახვევიან ხარა-ბუზები
 პირის მაგიერ ამოჭრილ ორმოს —
 ეუბნებიან... და კოზბადინმა
 უკან მოსწია ლაგამი ცხენის,
 ქალთა უტიფარ დაცინვისაგან
 თავის დაღწევა უნდა შერცხვენილს.

• •

და სასახლეში მიდის, მეფესთან
 მელიქი რისხვით ამოიგმინებს,
 დასახიჩრებულ პირს რომ შეხედავს
 და შუბლის ძვალში ჩაჭედილ კბილებს.
 — შენ აქ ვაეკაცის იერი გქონდა,
 დღეს ბებერივით გხედავ მოქანცულს;
 გახსოვს, მკვებხარავ, ხარკს მპირდებოდი,
 ორმოც დიაცსა და ორმოც ქალწულს?
 დამარცხებული დაბრუნდი მარტო,
 ცრუ მეომარი და ცრუ სარდალი,
 აბა, გვიამბე შენი ლაშქრობა,
 შენი ათასი კაცი სად არი?
 — ცოცხლობდე, მეფევი! — სთქვა
 კოზბადინმა, —
 მოგეცეს ჯანი და ღონე ბრძოლის,
 შენი ბრძანების უარყოფელი
 ერთი აღმოჩნდა სომეხთა შორის.
 მან დაარბია შენი ლაშქარი,
 შენს წინააღმდეგ იგი აღიძრა;
 მარტომ წაგვართვა მთელი ნადავლი,
 აგრე საზარლად დაგვასახიჩრა...

მან ჩამიღწა გვერდები ისე,
რომ საუკუნო სსოენისთვის კმარა,
ვაჯავრებულმა გასწყვიტა ჯარი
და გამოქცეულს ეს დამაბარა:
„მიდი, კოზბადინ, და მიესალმე
მისრეთის მელიქს მოკრძალებითა,
თუ ხარკი უნდა მობრძანდეს თვითონ,
მე კი არ ვიხდი ჩემის ნებითა“.
პოი, მეფეო, წყეული იყოს,
სასუნთა მხარე ვინც დააარსა!
დავითის მსგავსი გმირი ვაქვაცო,
დედამიწაზე არ არის არსად...

* *

მეფემ შექყარა ნაზირვეზირნი,
დაჯდა მათ შუა ჩუმი და მკაცრი,
გაიჭრა შუბლი სამართებელით
და სისხლის ღვარმა აავსო ვარცლი.
მერე გაშალა მან პერგამენტი,
და აღფრთოვანდა მსურველი ომის,
დასწერა სისხლით ბრძანება თვისი,
შთამგონებელი დიდი ლაშქრობის...
„ჩემის ბრძანებით ვწერ აღმოსავლეთს,
ჩრდილოეთსა და სამხრეთ-დასავლეთს,
ჩემის ბრძანებით ვწერ ყველა მებრძოლს
ვისაც ოდესმე ომი გასწავლეთ:
შემოკრბით ჩემთან ამხედრებულნი,
პირსისხლიანი ხმლის ერთგულები!
შემოკრბით ჩემთან და გაიხარეთ
ურჯულოების განადგურებით!..
მინდა ათასჯერ ათასი გმირი,
უწვერულვაშო და დედის ერთა!
მინდა ათასჯერ ათასი გმირი,

დე, სჩანდეს მათი სიშავე წვერთა!
მინდა არასჯერ ათასი გმირი,
თმა უკვე ომში რომ გაუთეთრდათ...
მინდა ათასჯერ ათასი გმირი
და ყორნისფერი ბედაურები,
მინდა ათასჯერ ათასი ლურჯა
და მონაგარდე მეთაურები,
მინდა ათასჯერ ათას ნალარის
და საომარი ბუკის დამკვრელი,

ბუკის დამკვრელი!..
მინდა ათასჯერ ათასი ხმლის
ელვა, დავითის ვულის დამკვრელი.
გულის დამკვრელი! ქოქუნული
და მალე მართლაც ჩადვას მელატი,
ჯარი მოადგა ოთხსავე მხარეს
მოისწრაფიან მოსამბარებლად,
აღფრთოვანდება და გაიხარებს:
„ვხედავ მოსულა ასი ათასი
უწვერულვაშო და დედის-ერთა,
ვხედავ მოსულა ასი-ათასი,
დე, სჩანდეს მათი სიშავე წვერთა!
ვხედავ მოსულა ასი ათასი,
რომელთაც ომში თმა გაუთეთრდათ!
ვხედავ მოსულან ოთხივე მხრიდან,
შვიდი მთავარი მოსულა ერთად...“

ომია, ომი! დიდი ლაშქარი
როცა მოადგა მდინარე მისიის,
როცა მწყურვალნი წყალს დაეწაფნენ,
პირველთ არ ეყოთ ტალღები მისი.
და მეორენი სცილიდნენ გუბეებს,
ანუ სოველ ქებებს სლექდნენ ენებით;
მდინარე დაშრა, ელოდნენ წვიმას
რიყეზე მდგარი დანარჩენები...
და ჰკითხულობდნენ, ვისთან ვიომოთ,
გვითხრან, ვინ არის ჩენი მტერიო,
ვინ გაჩენილა ქვეყნად ისეთი,
რომ ერთის დაკვრით ვერ მოვერიოთ!
მისრა-მელიქიც უპასუხებდა:
— არის დავითი სასუნთა გვარის,
მან დაარბია ჩემი ლაშქარი
და ის ჯერ კიდევ ცოცხალი არის...

* *

ატრდა ძია თოროსის ცოლი,
იფიქრა: ომში მოჰკლავენ თოროსს
და ჩვენც მოგვთხრიან ჭირ-ფესვიანად,
წუხილმა მარტო რად ამათროოლოს!
დავითს ლოყაზე დაეცა ცრემლი, —
დამოქმებული დგას დავითთანა,
გამოელევიდა ვაქვაცს, იკითხა:
— თავს რომ დამტირი, მკვდარი ვარ
განა?

თოროსის ცოლი სჩიოდა: — დავით, მელიქის ჯარი გაელიტე გუშინ, მაგრამ დღეს მაინც მოგვადგა კარზე და სახარელი ბოლმა აქვს გულში...

და გაგულისდა ისევ დავითი, უცებ დასძლია სიმთვრალე, ძილი, ხელთ მწვილდისარი აიღო თვისი და აიმართა ძლევამოსილი. ოპანს გასძახა: — საომრად მივალ, მომგვარეთ ლურჯა ელვაზე მალი! და უპასუხა ოპანმა: — გასწი! ამოირჩიე ცხენი და ხმალი! — საით? — გაოცდა მოხუცი ქალი. — მსურს დავარბიო მტერთა

კრებულის.

— შენ მამის სახელს შეარცხვენ მხოლოდ,

ხარ სასაცილოდ ამხედრებულნი...

— ომში თუ მიხვალ, დავითის მამას ნუ თუ არ ჰქონდა ხმალი ელვისა? ნუ თუ არ ჰყავდა მხედარს ულაყი, მარდი ჯალალი ყორნის ფერისა? ნუ თუ არ ჰქონდა ყორნისფერ

ჯალალს

მშფოთვარე მკერდი — ხალისიანი?

ნუ თუ არ ჰქონდა ოქროს უზანგი,

ფოლადის ნალი ნაპერწკლიანი?

ნუ თუ არ ჰქონდა არც უნაგირი,

ნაქედი უცხო მარგალიტებით,

კბილით არ ზრავდა ფოლადის ლაგამს

და არ მიჰქროდა ომში დიდებით?

ნუ თუ არ ჰქონდა დავითის მამას

ტანისამოსად მცირე წვრილმანიც?

ნუ თუ არ ჰქონდა ოქროს ქამარი

ანუ ხავერდის შარვალი მაინც?

ნუ თუ არ ჰქონდა დავითის მამას

სხვა ახალუხი, ნაცვლად ჩერებისა?

ნუ თუ არ ჰქონდა მარჯვენა მკლავზე,

ჯვარი, ნიშანი გამარჯვებისა?..

— მერე სად არის ეს ყველაფერი, —

დავითმა ჰკითხა, — მითხარ, დედაო?..

— ძენოს-ოვანმა დასწყევლა იგი,

ვინც მიგასწავლის, და ვერ ვებედავო...

სჯობია თვითონ მიმართო ბიძას, რაკი მელიქთან მოგვლია ომი; ნებით არ მოგცემს ავი რაზმი, მაგრამ დასძლიე სრულყოფილად... დავითი უმალ მტკიცედ მოქმედებდა დასტაცა ხელი, ასწია ზევით, უბრძანა: — მომე ხმალი ელვისა, რომ დავიმალავს მზაკვრულის ქცევით! უნდა მომგვარო მამისეული მერანი მარდი, ხალისიანი, მას უნდა ჰქონდეს ოქროს უზანგი, ფოლადის ნალი ნაპერწკლიანი! და უნაგირიც მამისეული იყოს ნაქედი მარგალიტებით, ფოლადის ლაგამს ზრავდეს ჯალალი და მიმაფრენდეს ომში დიდებით! უნდა მომართვა მამისეული სხვა ახალუხი, ნაცვლად ჩერებისა, უნდა მომართვა ოქროს ქამარი, ჯვარი, ნიშანი გამარჯვებისა! უნდა მომართვა უმალ, თუ არა, სულ ერთი არის, წაგართმევ ძალით! — ვაუბმეს ენა, — ამბობს ოპანი, — ვინც გაისარჯა შენი განსწავლით! იმ წელს, როდესაც მოკვდა მიჰერი, მისი ქონებაც დავმარზე იქვე — წავიდეთ... — გააკყენენ ვხასა და ორნი წამში მიჰერის საფლავთან იყენენ...

გააღეს თველაც, მიჰერის ცხენმა ძველი აბჯარი როცა იხილა, იცნო, მიწაზე დაარტყა ტორი და აღტაცებით დაიკიხებინა. მიუახლოვდა დავითი ჯალალს, შეუბღზე გადუსვა ხელი ალერსით. ცხენმა დაყნოსა... და ორსავ თველს ცრემლი მოადგა უნეტარესი. მაგრამ როდესაც გამოჰყვა გარეთ და გაახილა მერანმა თვალი, შეცდომას მიხვდა, წამოდგა ორზე და ფლოქვებიდან ავარდა ალი. განგების ძალით აიღვა ენა, მღელვარე გული კაცივით უცემს:

— მიწის მტვერი ხარ და მტვრადვე გაქცევი.
 სთქვი რას მიპირებ? — მიმართა უცებ.
 დავითმა უთხრა: — ამოვდებ დაგამს,
 მინდა მთა-ბარად შენი ტარება!
 ის დაემუქრა: — ავაფრენ ცაში
 და იქვე დაგწავას მზის მსურველებს.
 — მე უმაღლეს მუცლის ქვეშ მოგაქცევი,
 როგორც მხედარი, ჯამბაზი ვინმე.
 — მაშინ ლოდებზე დასანარცხებლად
 ბნელ ხეობების უღრანზე ვირბენ.
 — მე ისევ ზურგზე ამოვიჭრები,
 ისევ უწებლად გადავრჩებიო...
 და ცხენმაც უთხრა უკანასკნელად:
 — სჩანს, რომ პატრონი შენ ხარ ჩემიო.



და მოეფერა დავითი მერანს:
 — მეც გიპატრონებ ერთგულად
 ჯალალ,
 წაგიყვან წყალზე და ინავარდე,
 ად სამოვარი მინდვრები სჩანან...
 — შენ კი მომართვი ეგ უნაგირი, —
 ვასძახა უცებ დავითმა ოპანს.
 მან მოუტანა და, განზე მდგარი,
 არ აშორებდა თვალს ძალგულოვანს.
 იცოდა კარგად: როცა მიპერი
 ზურგზე ადგამდა უნაგირს, ცხენი
 ყოველთვის იყო ამდგარი ყალყზე,
 ცად ისწრაფოდა გულით ფიცხელი.
 მაგრამ დავითი ცხენოსნობაში
 გამოეცადა უნდოდა ბიძას,
 არ გააფრთხილა, და ბედაური
 ოთხივე ფეხით ასცილდა მიწას.
 — თუ ღირსი გახდი, თვითონ
 მოგძებნის

მამისეული სალაშქრო ჯვარიც. —
 მხედარს დაცხენით შესძახა ბიძამ,
 მაგრამ დავითი მამაცად არის...
 სთქვა: — ამღერეთ საზი მამისა;
 ცხენი გააჭენ-გამოაჭენა
 და მის ქიშკართან თავმოყრილ ქალაქს
 შავი გრიგალის ქროლვა აჩვენა...

• •
 თან წასცივდებოდა თვალზე ოპანს,
 გულისთქმა კენესას დაეგვიანება:
 — ვახ, შენანება მაინც, ვაგალოლი,
 ვახ, შენანება! გიგალოლი
 — ვახ, უნაგირის მარგალიტები
 ვარსკვლავებივით რად მემალება:
 ვახ, შენანება ოქროს უზანგი,
 ვახ, შენანება!
 — ვახ, ახალოხი უძვირფასესი,
 ოქროს ქამარი ათას თვალება
 და ძლევის ჯვარიც თან მიყოლილი.
 ვახ, შენანება, ვახ შენანება!..
 დავითმა იძრო ხმალი ელვისა,
 მის წინ მრისხანედ ჩამოიჭროლა,
 მაგრამ უეცრივ ძენოვ-ოპანმა
 სულ სხვა სიძლერა გამოიგონა:
 — ვახ, შენანება ჩვენი დავითი,
 ვაი, ვაეკაცი უბრწყინვალესი!
 ვახ, შენანება ხარი ირემი,
 გადავარდნილი უცხო მხარეში!
 დავითმა უთხრა: — მხოლოდ სიძლერამ
 გადაგარჩინა სიკვდილს, იცოდე.
 სთქვი, ჩემზე ადრე ჩემი ნივთები
 გულისხმიერად რად შეიცოდენ?
 უფრო რომელი დაგენანება:
 მე თუ მედგარი ხმალი ელვისა?
 მე თუ ძვირფასი ოქროს ქამარი,
 თუ ბრწყინვალე უზანგებისა?
 — ძვირფასო დავით, — მიმართა
 ბიძამ, —
 მხოლოდ შენს გამო მდის ცრემლის
 ღვარი!...
 ჩემად ჩამოხტა დავითი დაბლა
 და დაუკოცნა ბიძამის მხარი...
 — შენს ამავს მუდამ დავიხსომებო,
 უთხრა. ვადაკრა ღიმილმა ოპანს,
 და აამღერა მიპერის საზი,
 მეღაირეებს თამაში სთხოვა...
 დადგნენ დავითის წინ პატარძლები,
 უმღერეს: — ღმერთმა მოგცეს მოგება,
 ნათელი სახე არ მოგიღრუბლოს
 წამით წაგების ვაბოროტებამ...
 უწინ თუ, ძმაო, არ გმსახურებდით,
 აწ შემოგწირავთ ყმაწვილქალობას!

თუნებთ ხელებზე წყალს ჩვენ
დავისხამთ
და ჩვენ ჩავაცმევთ ფეხზე ქალამანს...
დავითი ისევ მოახტა მერანს,
ახსენა ღმერთი, მაღალი მარად,
თავი დაუკრა ქალებს, ვაჟაკებს
დაემშვიდობა და დაუბარა:
— ო, დაო ჩემო, და ძმად ძმისავე,
ნუ შემომტყერი თითების ტყვიით:
ხალხის გულისთვის მივდივარ ომში.
მისრა-მელიქის წინააღმდეგი...
თქვენ, ჩემო დებო, ოჯახში დარჩით,
შუღამ იყავით კეთილი დები:
ჩემო დედებო, კერას მებედეთ,
ომში არას დროს არ დამჭირდებით.
ახალგაზრდებო და მოხუცებო,
კეთილი იყოს თქვენი დარჩენა!
გულის ტოლებო და მეზობლებო,
შინ ტრიალებდეს თქვენი მარჯვენა!
პურს რომ დააცხოზს დისახლისი,
დე, მოიგონოს ჩემი სახელი,
ღვინში მახსენონ ჩემმა სწორებმა,
დასკალონ თასი უკანასკნელი.
ჩემო კეთილო ნათესაებო,
ომში მივდივარ... და თქვენს მაგიერ
ეობრძოლებ მტერთან თავდადებულად,
თქვენ კი იცოცხლეთ მრავალფამიერ!..



რა გაიგონა ხმა დავითისა,
მიპერის დედამ შესწვევითა გლოვა,
იმ დღეს, როდისაც მოუკვდა შვილი,
იგი ქვეყანას გამოეთხოვა.
და ფიცი დასდო მარტვილობისა,
შინ დარჩა შავით მოხილი ქალი,
რომ არ ენახა ნათელი მზისა,
თან ჩაიკეტა შვიდივე კარი.
უცდიდა დიდხანს დაჯერებული,
რომ შვილიშვილი შეცვლიდა მიპერს,
და იჯდა ბნელში, პური და წყალი
სურდა მიეღო მსახურის მიერ.
სხვას აღარავის ეკარებოდა
და ერთხელ მსახურს სადილობისას
უთხრა, მე საზის ხმა გავიგონე.

ნუ თუ დასრულდა აღზრდა ლომისა?!
მსახურმა ქალმა მიუგო: — ხოთუნ,
საზის ხმა სწორედ გამოიქანა,
მამის აბჯარი ჩაიქცა შვილზე.
აილო ხმალი და მშვილდისაარი.
ტურფად შეჰკაზმა ცხენი ჯალაღი,
დე, გაიხაროს იმედმა შენმა,
მამისეული საზი დაუკრა
და უნდა მისრა-მელიქთან შებმა...
მაშინ წამოდვა მოხუცი ქალი,
თვალზე ცრემლები ჩამოიწმინდა,
სთქვა: — აღმისრულდა წადილი
გულის,
ღღის სინათლეზე გავიდე მინდა!
მაღლა ასწია დახრილი თავი,
ღიმით მიადგა ღია ფანჯარას,
ნახა მხედარი მიპერის ცხენზე
და გადმოსძახა მოხუცმა ჯალაღს:
— ო, ბედაურო, ერთგულო ჯალაღ,
შენ გაუწიე მამობა დავითს!
აღარც დედა ჰყავს, იყავი დედა,
იყავი მკვიდრი ძმა გამბედავის!
მიდი, მიჰგვარე ჩემი დავითი
კლდიდან რძესავით მჩქეფარე წყაროს,
რომ დაისვენოს, დალიოს წყალი,
მამამისივით რომ გაიხაროს!
მიდი, მიჰგვარე ჩემი დავითი
ქვას გამოსაცდელს, ომამდისაო,
ქვასაც გადაჰკრას ხმალი ელვისა,
სინჯოს სიმტკიცე ფოლადისაო...



უმაღლესი ცივასარისკენ,
ულრან კლდეებში არ სჩანდა კვალი,
ზეცა დაჰფარა ბნელმა ღრუბელმა
გზას ვერ იგნებდა დავითის თვალი...
მაგრამ ჯალაღი ჰკვეთდა უკუნეთს,
ვით განსწავლული მტრედი
ფრთამალი;
იგი დავითმა ნებას მიუშვა
და შორს სივრცეებს ნთქავდა
ჯალაღი...
მარდი მერანი ებრძოდა მანძილს,
წამით შვიდი ღღის გზა გაიბრძნა,

ბოლოს აფრინდა მაღალ მწვერვალზე
და უცებ შედგა ნაპრაღის წინა...
შუა ვაირღვა ღრუბელი მაშინ,
ცა გაანათა ვარსკვლავთ კრებულმა,
და მოიყარა მუხლი ჯაღალმაც,
წყაროს წინაშე დაიჩქებულმა!
მერანი უვალ კლდეებზე რბენით
დაიღალო, — ეგონა დავითს:
— ვახ, როგორ ადრე წაგერთვა
მუხლი,

დაჯანბნებულმა დახარე თავიც!
მეგონა სისხლის მდინარეებზე
გადამიყვანდი, როდესაც ვნახე,
შენ კი დაეცი მუხლმოკვეთილი
და ნაკადულიც ვერ გადალახე...
მისირელთ მელიქს როგორ შევება,
'შენ შუაგზაზე თუ შემჩირდი? —
უთხრა დავითმა, ჭუსლი ჰკრა მერანს
და შეუღეწა მარჯვენა ფერდი.
— ვახ, მამა შენის ხათრი მაქვს,
თორემ

შეზე გისროდი! — ჯავრობდა ცხენი.
და გაგულისდა უცებ დავითიც,
ხმაზე მრისხანედ იტაცა ხელი.
მაგრამ შებღს ჭარმა გადაუჭროლა,
ვაჟკაცი მიხვდა, ამაოდ ცხარობს,
და გაიგონა: — სჯობს დაეწაფო
ჯერ მამისეულ ანკარა წყაროს,
მომხედე მერე და ერთი პეშვი
ჩაღეწილ ფერდზე მასხურე ნელად...
უმაღ ვადმოხტა დაბლა დავითი
ცხენის თვალების დასაკოცნელად.
წყალი ასხურა და საბალახოდ
ცხენი გაუშვა მან თავის წინა,
თვითონაც ხარბად დალია წყარო,
ფერდობზე დაწვა და დაიძინა.

• •

გამოვლენიდა... და რაღას ხედავს:
გაზრდილა, თითქოს დეჟაკი იყვეს;
ჯაღალაცი, ორჯელ უფრო დიდია,
დამშვიდებულად ბალახობს იქვე.
გახარებული მოახტა მერანს,
გაპქუსლა მთებში, გაპქრა სრულიად.

ხედავს, ვეება ბოძი რკინისა
ზედ შუა გზაზე ამართული.
ჯაღალი ამბობს: მამისეული
გამოსცდელი ქვა ეაქოს მწმენდა,
დაპკარი ხმალი დამიხუქსა მსხპრა,
საომრად წასვლა მე აღარ მინდა.
ბოძი შუაზე გაკვეთა ხმალი
და ელვასავით დავიდა ძირთან,
მაგრამ რადგანაც რკინისა იყო
ნაჭერი ნაჭერს არ ჩამოსცილდა.
ერთის შეხედვით, ქვა ამართული
ხმლით გაკვეთილი რომ ველარ ნახა,
დავითს მრისხანედ შეეკრა შუბლი
და გულმოკლულმა წამოიძახა:
— რად მშორჩილობდი, მუხლო,
დავრომილს,

რად ამისრულე მტერთაგან თქმული,
რად მომიყვანე აქამდე, მხდალი,
და ბნელი ბოღმით ამივსე გული?
რად მქირდებოდი, ჩემო მარჯვენავ,
თუ იყავ ასე ძალდაკარგული,
რად შემირცხვინე მოქნევა ხმალის,
და ბნელი ბოღმით ამივსე გული?
რად იცქირებით, ჩემო თვალებო?
სჯობს დაგეუფლოთ სიბნელე სრული;
ველარ ეიომებ მისრა-მელიქთან
და ბნელი ბოღმით ამივსეთ გული!
ამ დროს უეცრივ დედამიწიდან
გრივალმა ერთხელ ამოიჭროლა
და წააქცია ბოძი რკინისა,
დავითის მიერ გაჭრილი ორად.
მაშინ დალოცა აღტაცებულმა
თავისი მუხლი ახალგაზრდული,
დალოცა ისევ მძლავრი მარჯვენა,
რომ გამარჯვების მისცა დასტური.

• •

სწრაფლ გაეშურა საომრად იგი
და მთიდან ხედავს, როგორც მზვერავი:
ქვეყნად ვარსკვლავებს დაითვის კაცი,
მაგრამ მელიქის კარგებს — ვერაინ!
ხედავს და როგორც ზღვის პირად
ქვიშა,
საომარ ველზე გაშლილა ჯარი.

— ლმერთო, მე ამით როგორ
ვემოა?! —
იტყვის მედგარი და უშიშარი,
ჯარი კი არა, ველზე რომ იყვნენ
ჩვილი ბატკნები ვახუშტულისა,
მშიერი მგელიც ვერ დავახრზობდი
ყველას, არ კმარა ღონე გულისა.
თივის ზვინებად რომ გადაიქცნენ
ველზე დადგმული კარვები მათი
და მეკი ვიყო მძვინვარე ცეცხლი, —
ყველას უთუოდ ვერ გადავსწვავდი!
მტერი კი არა, ძირს რომ ეყაროს
მხოლოდ ნაცარი და მხოლოდ მტვერი,
რომ ამოვარდე ვით ქარიშხალი,
ვერ აღიგავოს მიწიდან მტერი!
მიხვდა ჯალალის და გაამხნევა:
— რამდენ მებრძოლსაც გაჰყვეთავს
ხმალი,

იმდენსვე დასცემს მაწაზე ჩემი
ნესტოთა სუნთქვა და ცეცხლის ალი.
რამდენ მებრძოლსაც გაიტანს მკერდი,
იმდენი უნდა მუხლებით ვჭოლოთ;
ნუ გეფიქრება, შეები მტარვალთ
და არ დავშორდეთ ერთმანეთს
მხოლოდ...

კვლავ აღფრთოვანდა დავითის გული,
ცხენის ქენებით მთა გადალაბა,
უნდა წინასწარ გაავებინოს
მტერსაც თავდასხმა და გადასძაბა:
— ჰეი, თქვენ, ვისაც გძინავთ, ადექით!
და ვინც წამოდგა, — შეჰკაზმოს ცხენი,
ცხენი თუ მზად ჰყავს, ამხედრდეს იგი,
დროა იარაღს დასტაცოს ხელი!
და შემებრძოლოს!... ვაფრთხილებ
ყველას,

რომ ჩემი ძვირი არ სთქვას არავინ,
არ თქვას, უეცრივ დაგვეცა თავზე,
ჭურღლივით ჩუმი და შემპარავი!
ეკვეთა მისრა-მელიქის ლაშქარს,
ხმაღს დასძაბოდა: — იელვე, გასქერ!
ცხენს დასძაბოდა: — კვალდაკვალ
გასწი!

გასწიხეთ მტერი, გასქერით ასჯერ!...
დავითთან ერთად იბრძოდა ცხენი,

მთ წინ სიკვდილი არავის აცდა;
ელეტდნენ... დაიძრა სისხლის ღვარები,
მიაქეთ ხეცდახეც გვამები ქცთა...
შეხედა ამდროს ქვეყნის მთავე
როგორ აობრდა მელქისედეკისა —
იფანტებიან კენესით, გოდებით,
თითქოს მათ შუა ტრიალეხს ქარი,
ასახირებენ, ერთმანეთს ჰკლავენ,
თავს დასცემიათ რისხვა ახალი.

— დაჰკათ! — დასჰყვილა ძია
თოროსმა, —
ჩვენთან ყოფილა ლმერთი მალალი!
შემოუარა ლაშქარს ზურგიდან,
თავისი რაზმიც შემოუერთდა, —
ქვემოთ იბრძოდა ძია თოროსი,
ჯარს კი მალლიდან დავითი ელეტდა.

• •

ლაშქარს თან ახლდა ერთი მებრძოლი,
შვილი ვაჟკაცის მამა ხნიერი:
შვილებთან ერთად მელიქმა ძალით
აქ მოიყვანა გადამთიელი...
მან გაარღვია ჯარი... გავიდა,
საომარ ფარხმალს ხელი არ ახლო,
წარსდგა დავითის წინაშე სიტყვით
თავ-ქუდ მოხდილი, უიარაღო.
სთქვა: — ჩემს ჰალარას უსმინე, დავით
და შეაჩერე წამით მერანი,
მე ხვეწნით ერთი მოვსულევი შენთან,
რომ ავაცდინო სიკვდილს ყველანი!
თვით ახალგაზრდაც, გთხოვ შეიბრალო
ქაბუკი ახლად ულვაშაშლილი,
გთხოვ შეიბრალო ოჯახის კაცი,
შინ უცდის დედა, ცოლი და შვილი.
აღამიანის ძე სულიერო,
გულისხმიერო, არ გებრალემა?
დაგწყევლევენ შვილნი, დაობლებულნი,
და ცოდვის ჩრდილი დაგეფარება...
ზოგს საქორწილო გვირგვინი ადგას,
იმედით საესე დედის თვალია!
ზოგი ჩემსავით ნაქარმაგევი
მიმქრალი კერის ნალევრდალია...
— მაშ თუ აგრეა მე რად მებრძვიან,
იყავი ხარკის გადამხდელი?

— ჯარი მელიქმა შეჰყარა ძალით,
მხოლოდ ის არის შენი მტერიო... —

— აბა, მანახეთ მისრა-მელიქი!

— მას ეხლა სძინავს, განცხრომაშია,
ველზეა მისი მწვანე კარავი,
კარავის თავზე ოქროს ვაშლია...

შვიდი ქალწული უგერებს ბუზებს,
ფეხის გულს უფხანს შვიდი გამდელი,
ირველივე კვამლივით დგას ოშხივარი,
იმის პირიდან ამონადენი.

— თუ მოჰკლავ იმას, მთელი

ლაშქარი

მკლავს დაგილოცავს და გაიხარებს.

შინ წავა ყველა, თავისუფალი

დაუბრუნდება ოჯახის კარებს.

და შეიბრალა დავითმა ჯარი,

უცებ შესწყვიტა ხოცვა და რბევა,

უთხრა: — მოხუცო, მწვამს სამართალი,

მსურს ავასრულო მე შენი რჩევა...

• •

დილით მიმართა მელიქს დავითმა:

— თუმც მომატყუე, სთქვი, რალას

ვახდი?

მისრა-მელიქმა შიშით შეხედა,

დავითს ზელთ ეპყრა ვეება ლახტი...

მიიბატყა ისევ კარავში —

მოისვენეო, — ღიმილით სთხოვდა,

მაგრამ დავითმა უთხრა: ებრძოლოთ!

და ცბიერს აღარ მიუახლოვდა.

მაშინ წამოდგა მისრა-მელიქი,

ცხენი „კალხანი“ მოჰგვარონ, ბრძანა.

ველად გავიდნენ ორნივე ჭენებით,

სცადეს მერანთა მუხლების ძალა...

მერე მელიქმა მიმართა: — დავით,

სთქვი, ზელ-ჩართულად გინდა

ვიბრძოდეთ

თუ რივრიგობით ვცადოთ ძალ-ღონე?

დავითმა უთხრა: — როგორც

გინდოდეს!

— მაშ რივით იყოს... დამყარი სამჯერ,

დავით, ეგ შენი ლახტი მძვინვარი,

სამჯერ მეც დაგკრავ, მხოლოდ

წინასწარ,

ჩვენში პირველი, მითხარ, ვინ არი?

ძირს ჩამოვიდა დავითი ჩუმად

და: „შუა ველზე ცალკე დამდგარი,

მას ეუბნება: — შენ! ჩაქო უფროსი,

მოდი პირველად [სამშვენიერ] დამყარი!

მისრა-მელიქმა აიღო ლახტი,

უკან სამი დღის გზა გაიბრძინა,

შემოაბრუნა ცხენი და ისევ

ელვისებრ გაჩნდა დავითის წინა.

დაჰკრა... აღმოხდა ხმა დედამიწას,

გაშლილი გული გაეპო ღრმათა,

ცად ღრუბელივით ასული მტვერი

დღითა და ღამით ვერ განიფანტა...

— ხომ გაცამტვერდი, საბრალო დავით,

ვით მიწიერი კაცი ყოველი!

— არა, ჯერ კიდევ მე ცოცხალი ვარ

და შენს მეორე დარტყმას მოველი...

— ჰოი, — განცვიფრდა მისრა-მელიქი,

ლახტის მოქნევა არ იყო მძლავრი, —

უთუოდ მოკლე გზით გამოვქანდი,

მეორე დაკვრამ მომიკლას ჯავრი.

და მოაბრუნა მერანი, გაჰჭრა,

გადაიბრძინა დიარბეჩიერი,

იქედან დაჰკრა... აღმოხდა მიწის

გმინვა და ევდო გულვახეთქილი...

ისევ ამტვერდა ქვეყანა დიდი,

ღრუბლებში ჩაჭრა მზე სიბრაღულით,

და ორი დღე და ღამე დავითი

იდგა მინდორზე მტვერით დაფარული...

— ხომ გაცამტვერდი, საბრალო დავით

ვით მიწიერი კაცი ყოველი?

— არა! ჯერ კიდევ მე ცოცხალი ვარ

და შენს მესამე დარტყმას მოველი...

— ჰოი, — განცვიფრდა მისრა-

მელიქი, —

ნუ თუ არ იყო მოქნევა მძლავრი?!

კვლავ ნუ თუ მოკლე გზით

გამოვქანდი?

მესამე დაკვრამ მომიკლას ჯავრი...

მან მოაბრუნა მერანი ისევ —

შორს, მიღწია მისრეთის ქალაქს,

ზელთს აიმაღლა ვეება ლახტი

და დავითისკენ გამოექანა.

დაპკრა... აღმოხდა გმინვა

უფსკრულებს,

ცამ ნამეხარმა შორით ხმა მისცა
და სამი დღე და დამე სრულიად
შტეტერმა ღრუბელმა დაპტარა მიწა...

მისრა-მელიქმა სთქვა: — გაცამტვერდა,
როგორც მიწიერს ვაფანტავს ქარი!
მაგრამ დავითი თავისი მერნით
ისევე გამოჩნდა მინდორზე მდგარი...

და უთხრა: — ეხლა ჩემი ჯერია,
დადექ, ნუ ელი აწ გადაჩენას!
— პოი, — განცვიფრდა მისრა-მელიქი, —
მაშ კიდევ ერთხელ ვცდი ჩემს

მარჯვენას.

— არაო, — მოსჭრა უცებ დავითმა, —
ვერსად ვერ წახვალ, არ მოგცემ
ნებას,

სთქვი, აბა, რომელს ემორჩილება
ქვეყანა: წესს თუ ძალდატანებას?
მოვიდა მისრა-მელიქის დედა:

— დავით, მელიქი ძმა არის შენი
და გვედრები, რჯულს ნულარ გასტებს,
სჯობს უბრძოლველად ჩამოეხსენი...
— ო, არა, დედავ, სჯულს შე არ

გავტებს

და მხოლოდ სამჯერ დავკრავ — წესია!
მელიქმა სთხოვა: — აბა კარავში
დაწვეები, შენთვის უკეთესია...

— დაწვეი... მხოლოდ ამოიჩიე,
რა იარაღით ვაგვეთო სამჯერ?
ლაბტს გადახედა მელიქმა შიშით
და უპასუხა: — სჯობს ხმალით გამსჭერ.

მივიდა მერე თავის კარავში
და მწუხარებით შესჩვილა დედას:
— ევლარ მოვკალი დავითი მაინც
ეხლა მოვა და ხმალით გამკვეთავს.

და ისევე დედამ ასწავლა ხერხი,
მიმართა იქვე ამოთხრილ ორმოს,
დაადვეს ორმოს ორმოცი ტყავი,
წისქვილის ქვებიჯ აღწევდა ორმოცს.
ზედ კი საბანი გადაიდარა,
დაჯდა ორმოში დამშვიდებული...

— დაე, გადაპკრან ხმალი მრისხანედ,
სინჯონ მოქნევა თავისებური!

დავითმა კარგად იცნა, რა მოხდა:
საბნის ქვეშ წვანან წისქვილის ქვები,
მაგრამ არ ამბობს: ახადეთ საბნის
მელიქს ერთ წამსა დატყნანტყნი.

შემოახტება ყორნისფერ ჯალალს,
ცევისარამდე გაიბრუნს ველად,
ამართავს ხმალს და გამოქანდება
მისრა-მელიქის გასაპოხელად...

მაგრამ უეცრივ ისმილ-ხათუნტ
წინ აღუდგება გახსნილი მკერდით:
— ჩემის ძუძუთი გაგზარდე, დავით,
დედას მამუქე ეს დაპკრა ერთი...

დავითიც ეტყვის: — როდესაც სამჯერ
შე სასიკვდილოდ დამეცა ლახტი,
მაშინ ასეთი ხვეწნა-მუდარით,
დედაო, მელიქს რატომ არ ახლდი?

დაატრიალა ჰაერში ხმალი,
კოცნით გულისთქმა ვააგზნია:
— კარგი, დედაო, ეს ერთი დავკრა
გახსოვდეს, შენთვის მიჩუქებია!

წავიდა ისევე და გამოქანდა,
მაგრამ მელიქის და შეხვდა წინა,
უთხრა: — რამდენჯერ ჩემმა ხელებმა
მოგეალერსა და ჩაგაძინა, —

დას მაპატიე მეორე დავკრა!
და შეაჩერა დავითმა ხმალი,
დაპკოცნა, ჩუმად მიიღო შუბლთან,
გამოისყიდა და-მშობის ვალი...

სთქვა: — დამრჩა ერთი მოქნევა
ხმალის, —

და შორს, სასუნთა ქალაქის კართან
გაჩნდა უეცრივ მარდი ქენებით,
შემოტრიალდა და გამოქანდა!
მაგრამ ამართა ხმალი თუ არა,

უმაღლე ისმილ-ხათუნტმაც ბრძანა:
მოდიოთ, ცოლებო და ქალწულებო,
რომ წამომყევით მისრეთიდანა,
აახმატკბილეთ სალამურები;

დაე, სალამურთ აპყვეს დაირო,
და გააჩაღეთ ცეკვა-თამაში,
წელთა მიმოხერა ათასნაირი...
ჯერ უცოლშვილო ბიჭია მხოლოდ,

მოდიოთ, წაართვით მას გულსყური,

იქნებ გადარჩეს მისრა-მელიქი,
მისგან წვევლილი და შერისხული...

სალამურია სუნთქვა ასულთა,
დაირს თან აპყვა წელთა რხევანი,
გამართეს ცეკვა თვალის წარმტაცი
თითქოს ელოდეთ მათ არჩევანი...
მაგრამ დავითმა იცის ყოველი...
ჭება სთქვა წმინდა ღვთისმშობელისა,
ახსენა ჯგვარი ძლევამოსილი
და მელიქს დაპყრა ზმალს ელვისა.
ზმალმა წისქელის ქვები გაპყვეთა,
გასპრა ორმოცი კამეჩის ტყავი,
გაპყვეთა იქვე ელვისებურად
მისრა-მელიქის მოხრილი თავი.

თან გაიტანა ღვარძლი ვულისა
და შეიღი ადლით ხმელეთი ბნელი,
ცად შავი წყალი აღმოსკდებოდა,
რომ არ ეტაცა აშგელის ხელი...
წამოიძახა მაინც მელიქმა:

— დავით, ჯერ კიდევ არ ვარ
მკვდარიო...

დავითმა უთხრა: — თუ შეგიძლია,
ასწიე თავი საკუთარიო...

და შეარზია თავი თუ არა,
მისრა-მელიქის ვეება ტანი
ორად გაიყო და გახლეჩილი
დაეცა დაბლა სულამომხდარი.

მთარგმნელი კარლო კალაძე

მანონ ლესკო*)

ამასობაში ბოროტი სული დალუბვას გვიმზადებდა. ნეტარებას ვეძლეოდით, როცა ჩვენს თავს მხვილი ჩამოკიდულყო. ძაფი, რომლითაც ის ეკიდა, ყოველ წუთს გაწყდომას აპირებდა. მაგრამ ჩვენი დალუბვის ვითარების გასაგებად უნდა შევიჩრდეთ მის მიზეზებზე.

გ... მ...ს, როცა იგი გვარდიელებმა დააკავეს, თან ერთი ლაქია ახლდა. თავისი ბატონის თავგადასავლით დამფრთხალმა ბიჭმა მოკვურცხლა და მის დასახსნელად სხვა ვერაფერი მოიგონა, გარდა იმისა, რომ მოხუც გ... მ...ს მიჰმართა.

ასეთ სამწუხარო ამბავს არ შეეძლო არ აელღეებინა მოხუცი მამა. იგი ერთადერთი შვილი იყო იმისი. თვით მოხუცი, ხნოვანების მიუხედავად, ძალიან ცოცხალი და მოძრავი კაცი იყო. მან დაწვრილებით გამოჰკითხა ლაქიას, რას აკეთებდა მისი შვილი ნასადილევეს, ხომ არავის წასჩუბებია, სხვის შეტაკებაში ხომ არ მიუღია მონაწილეობა, ხომ არ ყოფილა საექვო ადგილას. ლაქიამ წარმოიდგინა, რომ მისი ბატონი უკიდურეს საფრთხეშია და მის დასახმარებლად არაფერი არ უნდა დამალოს. გაუმკლავნა მამას, რაც იცოდა მისი შვილის და მანონის სიყვარულის შესახებ. აგრეთვე იმ ხარჯების შესახებ, რომელიც გ... მ...მ მანონისათვის გასწია. უამბო, როგორ გაატარა შვილმა მთელი დღე თავის ბინაზე ცხრა საათამდე, როგორ ვავიდა შინიდან და რა უბედურება შეემთხვა დაბრუნებისას. ეს საკმარისი იყო მოხუცს ეჭვი შეეტანა, რომ მის შვილს უსიამოვნება მოუვიდა სიყვარულის ნიდავზე. საღამოს თერთმეტის წახევარი იყო, იგი უყოყმანოდ გაეშურა ბ-ნ პოლიციის გენერალ-ლეიტენანტთან. მოხუცმა სთხოვა ამ უკანასკნელს გაეტა განსაკუთრებული ბრძანება სადარაჯო რაზმებისათვის. შემდეგ მოითხოვა, გადაეცათ მის განკარგულებაში პოლიციელთა რაზმი. ამ რაზმით იგი გაემართა იმ ადგილებში, სადაც იმედი ჰქონდა, რომ შვილს ნახავდა. და როცა მის კვალს ვერ მიაგნო, გაემართა მისი საყვარლის სახლისაკენ, სადაც, იმისი აზრით, შეიძლებოდა მისი შვილი უკვე დაბრუნებულიყო.

უკვე დასაწოლად ვემზადებოდი როცა ის გაჩნდა. ჩვენი ოთახის კარი მიხურული იყო და ვერ ვავიგე, როგორ დაარახუნეს ჭურჭის კარი. ის შემოვიდა ორი ჯარისკაცის თანხლებით. და როდესაც გამოკითხვის შემდეგ ვერა ვაიგო რა თავისი შვილის შესახებ, მოისურვა მისი საყვარლის ნახვა, რათა მისვან გაეგო რაიმე. იგი კიბეზე ამოდიოდა პოლიციელების თანხლებით. ჩვენ ის

* დასასრული. იხ. „წათობი“ № 1

იყო დაწოლას ვაპირებდით, როცა შემოაღო კარები. მისმა დანახვამ სისხლი გაგვიყინა ძარღვებში. „ღმერთო ჩემო, ეს მოხუცი გ... მ...“ — ელთხარი მანონს. მივევარდი დაშნას. საუბედუროდ, ის ჩემს ქამარში ვაიხლართა. ჯარსკაცებმა შეამჩნიეს ჩემი მოძრაობა და დაუყონებლივ შემეშინებინენ. რა წინააღმდეგობის გაწევა შეუძლია პერანგისამარა კაცს! თავდაცვის უწყველივე საშუალება მომიხსენს.

გ... მ... პირველ ხანს ასეთი სანახაობით შეფერხდა, მაგრამ მალე მიცნო. უფრო ადვილად იცნო მანონი. „ნუთუ თვალი მატყუებს? — შეაკრად მოგე-მართა მან. — განა ესენი შევალე დე გრეი და მანონ ლესკო არ არიან?“ მე ისე გაცოფებული ვიყავი სირცხვილისა და ბრაზისაგან, რომ პასუხი ვერ გავეცი. ერთხანს ისიც გაჩუმდა. ეტყობოდა, თავში სხვადასხვა აზრი უტრიალებდა. მერე ერთბაშად დაიყვირა: „უბედურო, დარწმუნებული ვარ, შენ მოკვალ ჩემი შვილი!“ — ამ შეურაცხყოფამ ძალიან გამამწვარა. „ბებერო მტარვალო! — შევძახე მე ამბყად, — მე შენი ოჯახიდან ვისიმე მოკვლა რომ მღო-მღოდა, ჯერ შენგან უნდა დამეწყო!“ — „მაგრა დაიჭით, — უბრძანა მან პო-ლიციელებს, — მან უნდა მითხროს, სად არის და რა მოუვიდა ჩემს შვილს. თუ არ შეტყვის, ხვალვე ჩამოვალჩობინებ.“ — „შენ ჩამოალჩობინებ ჩემს თავს? — მივუხე მე. — სახარხობელაზე შენისთანა უნამუსოები აპყავთ. იცოდე, მე შენზე კეთილშობილი და წმინდა სისხლისა ვარ. დიალ, მე ვიცი, რაც მო-უვიდა შენს შვილს, — დავუმატე მე, — და თუ თავს არ დამანებებ, ვუბრძა-ნებ, დილამდე ჩამოალჩობინ შენი შვილი. ხოლო შენ, პირობას გაძღვე, რომ იმავე გზას გავაყოლებ.“

უჯუნურად მოვიქეცი: გავაგებინე, რომ ვიცოდი, სად იყო მისი შვილი. სიბრაზით წამომცდა. მაშინვე დაუძახა დანარჩენ ხუთ თუ ექვს პოლიციელს, რომლებიც კარებთან იცდიდნენ და უბრძანა დაეტუსალებინათ სახლში მყოფი ყველა მსახური. „აა, ბატონო შევალე, — მითხრა მან დაცინვით, — თქვენ იცით, სად არის ჩემი შვილი და განკარგულებას გასცემთ დაალჩობინ იგი! არ-ხეინად ბრძანდებოდეთ, ჩვენ ზომებს მივიღებთ“. მივხვდი, რა შეტომაც ჩა-ვიდინე.

მოხუცი მიუახლოვდა მანონს, რომელიც მტირალი ქვეშაგებში იჯდა. მან ირონიული დაცინვით მოაგონა, თუ რა გავლენა მოიპოვა როგორც მამაზე, ისე შვილზე, და რა კარგად გამოიყენა ეს გავლენა. ეს თავდაუტყერელი უმს-გავსო ბებერი მზად იყო გამოლაზნანდარებოდა მანონს. „არ გაბედო და ხე-ლი არ ახლო, თორემ იცოდე, არ გადაამიჩრები!“ დავუყვირე. გავიდა, ოთახში სამი პოლიციელი დასტოვა, თან უბრძანა, თვალყური ადევნეთ ჩქარა ჩაიცივანო.

არ ვიცოდი, რა განზრახვა ჰქონდა მოხუცს. შეიძლება გავეთავისუფლე-ბინეთ, რომ გვეთქვა, სად იყო მისი შვილი. ჩაემის დროს ვფიქრობდი, იქნებ უმჯობესი იყო ასე მოვქცეულიყავი-მეთქი. მაგრამ თუ მას ოთახიდან გასე-ლისას ასეთი განზრახვა ჰქონდა, სულ სხვა გუნებაზე იყო, როცა უკან დაბ-რუნდა. ის გავიდა მანონის მსახურთა დასაკითხავად, რომლებიც პოლიციე-ლებმა დაატუსაღეს. მან ვერაფერი ვაიგო მათგან, ვინც მისი შვილის დაჭრა-ვებული იყო, მაგრამ, როცა ვაიგო, რომ წინათ მარსელი ჩვენ გვემსახურებო-და, გადასწყვიტა მუქარით მისთვის ეთქმევიანებინა ყველაფერი. მარსელი ერთ-გული, მაგრამ გულუბრყვილო კაცი იყო. მას გაახსენდა, რაც ჩაიდინა თავშე-

საფარში მანონის დასახსნელად, ამას დაერთო შიში, რომელიც მას გ... მ...-მ ჩააგონა და ყოველივე ამან მის სუსტ გონებაზე ისე იმოქმედა, რომ იფიქრა, სახრჩობელაზე მივეყავარო. დაპირდა, იტყოდა ყველაფერს, რაც იცოდა, ოღონდ სიცოცხლე შეენარჩუნებინათ. აქედან გ... მ...-მ დაასვენებულად ჩვენი საქმე ბევრად უფრო სერიოზული და დანაშაულებრივია, ვიდრე მისი ტყუილია. მან აღუთქვა მარსელს, რომ არა თუ სიცოცხლეს, ბევრ რამესაც აჩუქებდა, თუ გულწრფელად აღიარებდა ყველაფერს.

უბედურმა გადასცა მას ჩვენი გეგმის ნაწილი, რომლის შესახებ მასთან დაურიდებლად ვლაპარაკობდით, რადგან მასაც უნდა მიეღო მონაწილეობა ამ გეგმის განხორციელებაში. მართალია, მან არაფერი არ იცოდა იმის შესახებ, თუ რა ცვლილება შევიტანეთ ჩვენს გეგმაში პარიზში მოსელის შემდეგ, მაგრამ შიოდან წამოსვლისას იცნობდა ჩვენს გეგმას და იცოდა, თვითონ რა უნდა გაეკეთებინა. ამრიგად, მან გააგებინა მოხუცს, რომ ჩვენ ვადაწყვეტილი გვქონდა მისი შვილის მოტყუება, რომ მანონს უნდა მიეღო ან უკვე მიიღო ათი ათასი ფრანკი, რასაც, ჩვენი გეგმის მიხედვით, არასოდეს არ დავუბრუნებდით გ... მ...-ის ოჯახის მემკვიდრეებს.

ამის გაგების შემდეგ მოხუცი გაცოფებული შემოვარდა ჩვენს ოთახში. ხმისამოუღებლად შევარდა კაბინეტში და ადვილად იპოვა მთელი თანხა და სამკაული. გაცეცხლებული შემობრუნდა ჩვენთან და გვიჩვენა ის, რასაც იგი ნაქურდალს უწოდებდა. აგვაგვო მუქარით და შეურაცხყოფელი საყვედურებით. მანონს ზედ ცხვირთან მიუტანა მარგალიტის ამბარჩა და სამაჯურები. „ხომ სცნობთ ამას? — დაცინვით მიმართა. — პირველად არა ჰხედავთ ამას. ვარწმუნებთ იგივეა, იგივე. მჯერა, რომ თქვენ ძალიან მოგწონთ ეს ნივთები. საცოდავი ბავშვები! — დაუმატა მან, — მომხიბვლელი წყვილია, მაგრამ ცოტათი ცუდლუტები არიან!“

ასეთი შეურაცხყოფისაგან გული გასკდომის ლამობდა. ერთი წუთის თავისუფლებიასათვის, ჰოი ზეცაო, რას არ მიესცემდი! ბოლოს, თავს ძალა დავატანე და თავდაპირველად მივუბრუნდი მოხუცს: „ქმარა, გაათავეთ, ბატონო, ეგ კანდიერი დაცინვა. რა შიამ საქმე, რას გვიპირებთ?“ „საქმე იმაშია, ბატონო შევალე, — მიბასუხა მან, — რომ თქვენ დაუყოვნებლივ შატელეს წაბრძანდებით. ხვალ დღის სინათლეზე უკეთ გავარჩევთ თქვენს საქმეს; იმედი მაქვს, მოიღებთ მოწყალეებას და მეტყვით, სად არის ჩემი შვილი“.

ბევრი ფიქრი არ იყო საჭირო იმის მისახვედრად, რომ შატელეში ჩამწყვდევას საშინელი შედეგი მოჰყვებოდა. ძრწოლით წარმოვიდგინე მთელი საფრთხე. მიუხედავად ჩემი სიამაყისა, მიხეხედი, რომ საჭირო იყო უბედურების სიმძიმის ქვეშ თავის მოხრა, რათა ფარისევლობით რაიმესთვის მიმეღწია. ზრდილობიანად ვსთხოვე მოხუცს ერთი წუთით მოესმინა. — „ბატონო ჩემო, — მივმართე: — ჩემს თავს არ ვამართლებ. ვაღიარებ, რომ ახალგაზრდობამ დიდი შეცთომები ჩამადენინა და შეურაცხყოფა მოგაყენეთ. მაგრამ თუ იცით სიყვარულის ძალა, თუ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რას განიცდის ახალგაზრდა, როცა მას ართმევენ ყველაზე ძვირფასს ამ ქვეყნად, მაშინ იქნებ მომიტევოთ და სამაგიეროს გადახდა შემომსუბუქოთ, ან იქნებ ჩემს სასჯელად საქმარისად მიიჩნიოთ ჩემი ასეთი შერცხვენა. საჭირო არ არის არც ციხე და არც წამება იმისათვის, რომ მათქმევინოთ, სად არის თქვენი ვაჟი. იგი უში-

შარ ადგილას იმყოფება, მე განზრახული არა მჭონდა მევენო რაიმე იმისთვის ან შეურაცხყოფა მომეყენებინა თქვენთვის. მე მზადა ვარ ვაქნობოთ ის ადგილი, სადაც იგი მშვიდად ატარებს ღამეს, თუ იძენს გულკეთილობას გამოინჩნთ, რომ ვაგვანთავისუფლებთ“.

გარკინული

ბებერმა ვეფხმა არაფითარი ყურადღება არ მიაქცია ჩემს გეგმებს და სიცილით ზურგი შემომაქცია. მან მხოლოდ რამდენიმე სიტყვა წარმოსთქვა, რათა ეცნობებია ჩემთვის, რომ იგი საესებით მიხვედრილია ჩვენს განზრახვას. რაც შეეხება მის ვაჟს, დაუმატა მან უკმეხად, რაკი იგი არ მომიკლავს, ადრე თუ გვიან თვით გამოცხადდებაო. „წაიყვანეთ ესენი მცირე შატელეში, — უთხრა მან პოლიციელებს: — თვალყური ადევნეთ, რომ შევალე არ გაგეპაროთ. ის თვალთმაქცია და ერთხელ უკვე გაიპარა წმ. ლაზარედან“.

მოსუცი წავიდა და ადვილად წარმოიდგინეთ, რა საშინელ მდგომარეობაში დამტოვებდა. „ოჰ, ზეცაო, — წამოვიძახე მე: — მორჩილებით ავიტან ყველა შენს ლახვარს, მაგრამ ის ახრი, რომ საზიზღარი არამზადა განაგებს ჩემს ცხოვრებას, სასოწარკვეთილებაში მაგდებს“. პოლიციელები გვაჩქარებდნენ, კარებთან კიდევ ეტლი იცდიდა. კიბეზე ჩასვლისას ხელი გაუფწოდე მანონს. „წავიდეთ, ჩემო ძვირფასო დედოფალო, — უთხარია: — წავიდეთ და დავემორჩილოთ ჩვენს ბედს. იქნებ ზეცამ ინებოს და უფრო ბედნიერი დღეები გვაღიროსო“.

ერთ ეტლში ჩავესვეს. მანონი მომეკრა, მე მოვეხევიე. მას შემდეგ, რაც გ... მ...-მ გამოაცხადა, არც ერთი სიტყვა არ გამიგონია მისგან, მაგრამ როცა მარტონი დავრჩით, ათასი ნაზი სიტყვა მითხრა. უსაყვედურებდა თავს, რომ ჩემი უბედურების მიზეზი ვახდა. ვარწმუნებდი, რომ არასოდეს არ დავემდურები ბედს, თუ მას ვეყვარები. „მე შესაბრალისი არა ვარ, — განეავრძე მე, — რამდენიმე თვით ციხეში ყოფნა სრულიად არ მაშინებს, ამასთან წმ. ლაზარეს შატელე მირჩევნია. მაგრამ მე, ჩემო ძვირფასო, შენთვის მტკიცე ვული. რა ბედი ხვდა წილად შენისთანა მშვენიერ ქმნილებას! ჰოი, ზეცაო, რატომ ებყრობი ასე სასტიკად შენს საუკეთესო ქმნილებას? რატომ ისეთი თვისებებით არ აღგვეპურვე, რომლებიც უფრო შეეფერებინ ჩვენს უწყალო ბედს? ჩვენ დაჯილდოვებულნი ვართ გონებით, გემოვნებით, გრძნობიერებით. ვაგლახ, რა ცუდად ვიყენებთ მათ, იმ დროს, როდესაც ბევრი სულმდაბალი სტკებდა ბედის მფარველობით“!

ამ ფიქრებმა მწუხარებით ამავეს, მაგრამ ეს უნნიშვნელო იყო იმასთან შედარებით, რაც წინ მოგველოდა. მანონზე ფიქრი მოსვენებას არ მაძლევდა. ის უკვე თავშესაფარში ნამყოფი იყო და თუნდაც იქიდან მშვილობიანად გამოსულიყო, ვიცოდი, რომ ხელმეორედ იქ ჩავარდნას საშინელი შედეგი მოსდევდა. მინდოდა გამეზიარებინა მისთვის ყოველივე ეს, მაგრამ მეშინოდა, არ შემეშფოთებინა. ვერ ვებედავდი გამეფრთხილებინა. ვვობრავდი, ვეხვეოდი, მინდოდა დამერწმუნებინა, თუ რა ძლიერ მიყვარდა. ეს იყო ერთადერთი გრძნობა, რის გამოძლეავენბასაც ვებედავდი. „მანონ, — მივმართე ბოლოს: — გულახდილად მითხარი, გეყვარები თუ არა ყოველთვის?“ მიპასუხა — ძალზე სწუხს, რომ მე ამაში ეჭვი შემდის. „მაშ კარგი, ეჭვი აღარ მეპარება, — ვუპასუხე მე. — ასეთი რწმენით აღჭურვილს, მე ჩვენი მტრების შიში აღარა მაქვს. მე ჩემი ოჯახის დახმარებას მივმართავ, რათა შატელედან გამოვიდე და როცა

იქიდან გავნთავისუფლდები, არაფერს დავიშურებ, სისხლის უკანასკნელ წვეთსაც კი, რომ იქიდან გამოგვლიჯოთ“.

ციხეში მივედი. სხვადასხვა საკანში მოგვათავსეს. ამ ღამეებში არც ისე ძალიან განმაცვიფრა, რადგან მე წინასწარ მოველოდი ამას. შედარებით უფროსი ყურადღება მივაქციე მანონზე, ჩავაგონე, რომ მე შეძლებდნენ ქაქუცისებრ და სამაგიერო პარტივისციემას დავპირდი. სანამ გავშორდებოდი, გულში ჩავიკარი ჩემი ძვირფასი სატრფო. ბევრი ვემუდარე, არ ეჯავრა და არაფრის არ შევინებოდა, სანამ ცოცხალი ვიქნებოდი. ფული მქონდა. ნაწილი მას გადავეცი. დანარჩენიც უხვად მივეცი ზედამხედველს ერთი თვის ჩვენი გამოსაკვები.

ჩემმა ფულმა ზეგავლენა მოახდინა. მე მომათავსეს საკმაოდ კარგ ოთახში და დამარწმუნეს, რომ მანონმაც ასეთი ოთახი მიიღო. მაშინვე იმის მოფიქრებას შევეუდექი, თუ როგორ გამენთავისუფლებინა თავი. ცხადი იყო, რომ ჩემს მოქმედებაში არავითარ ბოროტმოქმედებას არ ჰქონდა ადგილი, თუნდაც მარსელის ჩვენებით დადასტურებულიყო, რომ ჩვენ განზრახული გვექონდა ქურდობა, კარგად ვიცოდი, რომ მარტოოდენ განზრახვა თავისთავად არ ისჯება. ამიტომ გადავწყვიტე, დაუყოვნებლივ მიმეწერა მამაჩემისთვის და მეთხოვნა ჩამოსულიყო პარიზში. როგორც უკვე აღვნიშნე, შატელეში ყოფნისა მე ნაკლებად მრცხვენოდა, ვიდრე წმ. ლაზარეში. მეორეს მხრივ, თუმცა სათანადო პარტივისციემა მშობლის ავტორიტეტისადმი ჯერ კიდევ შენარჩუნებული მქონდა, მაგრამ წლებმა და გამოცდილებამ ძალიან შეანელებს ჩემი მოკრძალება. ასე და ამრიგად დავეწერე წერილი. შატელედან მისი ვაგზავენა არ გამჭირვებია, მაგრამ არც იქნებოდა საჭირო თუ მცოდნოდა, რომ მამაჩემი თურმე მეორე დღეს აპირებდა პარიზში ჩამოსვლას.

მამაჩემს ჩემი წინანდელი წერილი მიეღო, რომელიც ერთი კვირით ადრე ვაუვუზავენე. ძალზე გახარებოდა. ვპირდებოდი გამოსწორებას, მაგრამ იგი მარტო ამ დაპირებით არ დაკმაყოფილდა. გადასწყვიტა, ჩამოსულიყო და თავისი თვალთ შეემოწმებინა ჩემი გამოსწორება და იმის მიხედვით მოქცეულიყო, თუ რამდენად მოვიანინე ცოდვები. მამაჩემი ჩამოვიდა ჩემი დატუსაღების მეორე დღეს.

პირველად მან ტაბერჯი ინახულა, რადგან ვთხოვე, პასუხი მისი მისამართით გამოგზავნა. ტიბერჯისაგან მან ვერც ჩემი ბინა გაიგო და ვერც ის, თუ რა მდგომარეობაში ვიყავი. მან გაიგო მხოლოდ ის, რაც მე წმ. სულპიცის სემინარიიდან გაქცევის შემდეგ გადამხდა. ტიბერჯმა დაადასტურა თურმე ჩემი კარგი განზრახვები, რაც ჩემში ჩვენი უკანასკნელი შეხვედრის დროს პოვითან დაუმატა, რომ, მისი აზრით, მე სავსებით ჩამოვშორდი მანონს, თუმცა ძალიან უკვირდა, რომ მთელი კვირის განმავლობაში ჩემგან არავითარი ცნობა არა ჰქონდა. მამაჩემი საკმაოდ ჭკვიანი კაცი იყო. იგი მიხედა, რომ ტიბერჯს რაღაც გამოეპარა. იგი ბეჯითად შეუდგა ჩემი კვალის ძებნას და რომ ორი დღის შემდეგ გაიგო, რომ შატელეში ვიმყოფებოდი.

მამაჩემის მოსვლამდე, რომელსაც ჯერ არ მოველოდი, მინახულა ან, უკეთ რომ ვთქვათ, დამკითხა პოლიციის გენერალ-ლეიტენანტმა. მან მისაყვედურა, რაშიაც, მართალია, არაფერი ყოფილა არც უხეში და არც უპატივცემულო. შემდეგ ღმობიერად გამოამიტხადა, რომ ძალიან სწუხს ჩემი ცუდი ყოფაქცევის გამო, რომ მე ვაუფრთხილებლად მოვიქეცი და გადავივიდე ისეთი კაცი,

როგორც ბ-ნი გ... მ...-ია. მართალია, ჩემს საქმეში მეტი უფუნურობა და ფუქსავატობაა, ვიდრე ბოროტი ნება, მაგრამ, რაც არ უნდა იყოს, მეორედ მიხედება საბრალსდებლო საქმეზე ჯდომა. იმედი კი იყო, რომ წმ. ლაზარეში გატარებულ ორ-სამ თვეს ვკუთხე მოვეყვანე.

მოხიბლული იმით, რომ საქმე მქონდა ასეთ გონიერ მონამართლესთან, მოწიწებით და თავდაპირილად ველაპარაკე მას, ეტყობოდა, კმაყოფილი დარჩა ჩემი პასუხით. მირჩია ბევრი არ მეჯავრა და მითხრა, რომ მზად არის ჩემი გვირგვინისა და ჩემი ახალგაზრდობის გამო სამსახური გამიწიოს. შევბედე და შევეხვეწე მანონისათვის ყურადღება მიექცია, შევაქე მისი მოკრძალება და ბუნებრივი სიკეთე. მან სიცილით მიპასუხა, რომ ჯერ მანონი არ უნახავს, მაგრამ იგი გააცნეს, როგორც საშიში ქალი. ამ სიტყვებმა ისეთი სიბრალული აღმიძრეს მანონისადმი, რომ მთელი სიტყვა წამოვთქვი ჩემი საბრალლო სატრფოს დასაცავად, ველარც ცრემლი შევიკავე. მოსამართლემ ბრძანა ისეე საკანში წავეყვანეთ. „ჰოი სიყვარულო, სიყვარულო, — წამოიძახა ამ წარჩინებულმა მოხელემ, — ნუ თუ მუდამ მტრულ განწყობილებაში იქნები კეთილგონიერებასთან?“

ჯერ კიდევ ბ-ნ პოლიციის გენერალ-ლეიტენანტთან ნალაპარაკეზე ვფიქრობდი, როდესაც ჩემი საკნის კარები შემოაღეს: ეს ის იყო, მამაჩემი. მამაჩემს რამდენიმე დღის შემდეგ მოველოდი და თუმცა სანახევროდ მომზადებული ვიყავ მის შესახებდრად, მაინც იმდენად შეეშფოთდი მის დანახვაზე, რომ მზად ვიყავ მიწაში ჩავმძვრალიყავ. ვიდექ მის წინ თვალეზ-დახრილი და ქუდ-მობდილი.

„დაბრძანდით, ბატონო ჩემო, დაბრძანდით, — მითხრა მან. — თქვენი უწესოებით და თაღლითობით გამოწვეული აურზაურის მეოხებით ვაგიგე სად უნდა ყოფილიყო თქვენი სამყოფელი. თქვენი ყოფაქცევის უპირატესობა იმაშია, რომ იგი საიდუმლოდ ვერ დარჩება. თქვენ პირდაპირი გზით მიდიხართ სახელისაკენ. იმედი მაქვს, მალე მიიღწევთ გრევის შოედანს, სადაც თქვენ სასახლეო ბედი მოგელით: ყველასთვის თითოთი საჩვენებელი გახდებით“.

მე ვღმუმი. მან განაგრძო: „რა უბედურია მამა, რომელსაც უსახლვროდ უყვარდა შვილი და არაფერს ზოგავდა მისი ღირსეული აღზრდისათვის და ბოლოს ზედავს გაიძვერას, რომელიც სახელს უტეხს მას. შეიძლება ადამიანმა ნუგეში ჰპოვოს ბედის ცვალებადობაში: დრო აქარწყლებს ყოველივეს და მწუხარება კლებულობს. მაგრამ სად არის წამალი იმ უბედურების წინააღმდეგ, რომელიც დღითი დღე ძლიერდება, იმ უძღვნი შვილის გარყვნილების წინააღმდეგ, რომელმაც დაჰკარგა ყოველგვარი პატიოსნება? შენ სდუმხარ, უბედურო, — დაუმატა მან, — შეხედეთ მის თვალთმაქცურ მოკრძალებას, მის ფარისეულურ სათნოებას! სულ ადვილად შეიძლება იგი ჩვენი გვირგვინის ღირსეულ წარმომადგენლად იქნას მიჩნეული“.

თუმცა უნდა გამოვტყდე, რომ რამდენადმე დავიმსახურე ასეთი მოპყრობა, მაგრამ მაინც ვადაჰკარებულად მეჩვენა იგი. მე საჭიროდ დავინახე გულწრფელად ვადამეშალა მის წინაშე ჩემი აზრები.

„გარწმუნებთ, ბატონო, — მივმართე მე, — რომ ჩემი მოკრძალება სრულიადაც არ არის თვალთმაქცური, იგი ბუნებრივია კეთილშობილი ოჯახის

შვილისათვის, რომელიც უღრმეს პატივსა სცემს თავის მამას, მიუ უმეტეს განრისხებულ მამას. არ მომაქვს თავი ჩვენი გვარის ღირსეულ წარმომადგენლად. ვაღიარებ, რომ დავიმსახურე თქვენი საყვედურები, მაგრამ გემუდარებით, ნუ გამოიჩენთ უზომო სიმკაცრეს და ნუ ჩამთვლით ფაქტუალურად არააშკარად. ესოდენ საშინელი სახელი მე არ დამიმსახურებოდა. ჩემი აკეთი, რომ ჩემი შეცთომის მიზეზი სიყვარულია, საბედისწერო ენება. ნუ თუ თქვენთვის უცნობია მისი სიძლიერე? ნუთუ თქვენი სისხლი, რომელიც ჩემს ძარღვებშია ცხოდნობის, არასოდეს არ ანთებულა ასეთივე გრძნობით? სიყვარულმა მეტად მგრძნობიარე გამხადა, მეტად ენებიანი, მეტად ერთგული და შეიძლება მშვენიერი სატრფოს სურვილების ადვილად დამყოლი, ასეთია ჩემი დანაშაულებანი. ნუ თუ რომელიმე მათგანი თქვენ ჩირქსა გცხებთ? ძვიფასო მამავ — დავუმატე მე გრძნობით, — ოდნავ მაინც შეიბრალებთ შვილი, რომელსაც მუდამ უყვარდით და რომელიც სულ მუდამ პატივს გცემდათ, მას სრულიადაც არ აუღია ხელი, როგორც თქვენ ჰფიქრობთ. პატიოსნებაზე და მოვალეობაზე. იგი ათასჯერ უფრო შესაბრალისია, ვიდრე თქვენ ფიქრობთ“. ამ სიტყვების დამთავრებისას თვალებზე ცრემლები მომადგა.

მამის გული ბუნების სრულყოფილი ქმნილებაა: ბუნება მოკრძალებით არის გამეფებული მასში. იგი თვითვე მართავს მას. მამაჩემს, გონიერ და მიხვედრილ ადამიანს, იმდენად მოეწონა ჩემი თავის გამართლების ცდა, რომ იგი არც კი შეეცადა იმ ცვლილების დამალვას, რომელიც მასში მოხდა. „მოდი, ჩემო საბრალო შევალე, — მითხრა მან, — მოდი, მომეხვეი: მებრალები“. იგი გადამეხვია. მე ვგრძნობდი, რაც ტრიალებდა მის გულში. „რა ზომები უნდა მივიღოთ შენს აქედან დასახსნელად? — განაგრძო მან. — მიაჩნებ ყველა შენი თავდასაყვანი დაუფარავლად“.

რადგან ჩემს ყოფაქცევაში ისეთი არაფერი იყო, რასაც შეეძლო ჩემი შერცხვინა, განსაკუთრებით თუ შევედარებდით ჩემს ყოფაქცევას საზოგადოების ცნობილი ახალგაზრდობის ყოფაქცევასთან, და რადგან საყვარლის ყოლა და თითების ოსტატობის გამოყენება ბანქოს თამაში სამარცხვინოდ არ ითვლებოდა, ამიტომ მე გულახდილად და დაწვრილებით ვუამბე მამაჩემს, რა ცხოვრებასაც ვეწეოდი. როცა ამა თუ იმ შეცთომას ვაღიარებდი, ვცდილობდი ზედ ცნობილი მაგალითიც დამერთო, რომ ამით ჩემი სირცხვილი შემემციებინა.

„მე ვცხოვრობ საყვარელთან ჯვარდაუწერლად, — ვამბობდი მე, — მაგრამ პერცოვ ***-ს ასეთი საყვარელი ორი ჰყავს და ეს მთელმა პარიზმა იცის. ბატონ დე...-ს ათი წელიწადია საყვარელი ჰყავს, რომელსაც უფრო ერთგულად ეპყრობა, ვიდრე ცოლს. საფრანგეთის კეთილშობილ ადამიანთა ორი მესამედი ამაყობს იმით, რომ საყვარლები ჰყავთ. მე ვთაღლითობდი ბანქოს თამაშის დროს, მაგრამ მარკიზ ***-ს და გრაფ ***-ს შემოსავალს საფუძვლად სწორედ ასეთივე წყარო უდევს. თავადი *** და პერცოვი *** ბანქოს გაიქვერა მოთამაშეთა ბრბოს მეთაურობენ. რაც შეეხება იმას, რომ მე მინდოდა ხელში ჩამეგდო ორავე გ... მ...-ს ქისა, მე ადვილად შემეძლო დამემტკიცებინა, რომ აქაც მყავდა წინაპრები. მაგრამ პატიოსნება ნებას არ მაძლევს ჩემთან ერთად სახელი გავეტეხო ყველა იმას, ვისი დასახელებაც მე შემიძლია. ამიტომ ვთხოვე მამას, ეპატივებინა ჩემთვის ის დანაშაული. რომელიც ორმა მძლავრმა ენებამ ჩამადენინა: შურისძიებამ და სიყვარულმა.“

მან მკითხა, ხომ ვერ უწიევენებ ისეთ საშუალებას, რომლის მეშვეობითაც შეიძლება ჩემი განთავისუფლება, ამასთან ისე, რომ ეს ამბავი არ განმჟღავნდეს. მე ვუამბე როგორ თავაზიანად მომექცა ბ-ნი პოლიციის გენერალ-ლეიტენანტი. „თუ ჩემს საქმეს რაიმე დაბრკოლება გადაელობება, — ვუთხარა მამაჩემს, — ეს მხოლოდ გ... მ...-ს მხრით იქნება, ამიტომ კარგი იქნებოდა, თუ ინახებულდით მამაშვილს“. იგი დამპირდა.

ვერ ვაგებდე მეთხოვნა, რომ გაეწია შუამდგომლობა მანონისათვისაც. ეს მოხდა არა ჩემი გაუბედობით, არამედ იმით, რომ შემეშინდა ამ თხოვნით არ ვანრისხებულყო და ისეთი რაიმე არ ჩამედინა, რაც მანონსაც დაჰლუპავდა და მეც. აქამდე ვერ გამომირკვევია, ხომ არ ვახდა ეს შიში მიზეზი ჩემი უსაშინელები უბედურებისა, რადგან ამან ხელი შემეშალა შემებრალეზინა მანონი მამაჩემისთვის. შეიძლება აღმეძრა მასში სიბრალული. შეიძლება ამის შემდეგ ისე ადვილად აღარ დაეჯერებინა მოხუცი გ... მ...-სთვის. ვინ იცის, იქნებ ჩემს უკუღმართ ბედს ყველა ჩემი ცდა ჩაეფუშა, მაგრამ მაშინ ყველაფერში ბრალი უნდა დამედო მხოლოდ ჩემი ბედისა და ჩემი მტრების სისასტიკისათვის.

მამა პირდაპირ ბ-ნ დე გ... მ...-თან წავიდა. იქ მამასთან ერთად შეილიც დახვედრია, რომელიც ჩემს გვარდიელს პატროსნად გაენთავისუფლებინა. ვერ ვავიგე მათი საუბრის შინაარსი, მაგრამ ადვილად მივხვდი ამ საუბრის შინაარსს მისი საბედისწერო შედეგის მიხედვით. მოხუცები ერთად გაემართნენ პოლიციის გენერალ-ლეიტენანტთან და შემდეგი თხოვნით მიმართეს: პირველი — დაუყოვნებლივ გავენთავისუფლებინე მე შატელედან, მეორე — სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე პატიმრობაში ჰყოლოდათ მანონი ან გადაესახლებინათ ამერიკაში. იმ ხანებში შემოიღეს მაწანწალების გადასახლება მდინარე მისისიპიზე. ბ-ნმა პოლიციის გენერალ-ლეიტენანტმა სიტყვა მისცა, რომ მანონს პირველსავე გემით გაგზავნიდა.

ბ-ნი დე გ... მ... და მამაჩემი მაშინვე მოვიდნენ ჩემთან, რომ გადმოეცათ ჩემი განთავისუფლების ამბავი. ბ-ნმა დე გ... მ... ზრდილობიანად ბოდიში მოიხადა ჩემს წინაშე წარსულის გამო და მომილოცა, რომ ასეთი საუცხოო მამა მყოლია. დამარიგა მომავალში მესარგებლნა მისი რჩევა-დარიგებით და მაგალითით. მამამ მიბრძანა, ბოდიში მომეხადნა დე გ... მ...-ს წინაშე იმ შეურაცხყოფისათვის, რომელიც ვითომ მე მიმეყენებინოს მისი ოჯახისათვის და მადლობა გადამეხადა მისთვის, რადგან მასთან ერთად ეცადა ჩემს განთავისუფლებას.

ჩვენ ერთად გამოვედით. ჩემ სატრფოს შესახებ ერთი სიტყვაც არ დაგვიძრავს. მეკარესაც ვერაფერი ეკითხე. მაგრამ ჩემი მწუხარება ამაო იქნებოდა, რადგან მანონის გადასახლების საბედისწერო ბრძანება მოვიდა ჩემი განთავისუფლების ბრძანებასთან ერთად. ერთი საათის შემდეგ საბრალო ქალი თავ-შესაფარში გადაიყვანეს და იქ რამდენიმე სხვა უბედურს შეუერთეს, რომელთაც იგივე სასჯელი ჰქონდათ მისჯილი.

მამაჩემმა მაიძულა გავყოლოდი იქ, სადაც თვითონ ცხოვრობდა. მხოლოდ საღამოს ექვს საათზე დავუძვეერი ხელიდან და შატელეში დავბრუნდი. ერთი განზრახვა მქონდა მხოლოდ: მიწოდდა საკვები შემეგზავნა მანონისათვის და

მეთხოვნა ზედამხედველისათვის, რომ ყურადღება მიექცია მისთვის, რადგან იმედი არ მქონდა, რომ მაჩვენებდნენ და არც დრო მქონდა, რომ მერსონა მისი განთავისუფლებისათვის.

გამოვუძახე მეკარეს. მას არ დავიწყებოდა ჩემი სიუხვე და გულგურობა. ამიტომ მზად იყო რამეთი მაინც ეცა პარტივი ჩემთვის. მანონის შესახებ განაცხადა, რომ ძალიან სწუხს და იცის, როგორ დავიტანჯები მე. ვერაფერი გავიგე მისი სიტყვებიდან. რამდენიმე წუთი ვილაპარაკეთ ისე, რომ ერთმანეთისა არა გვესმოდა-რა. ბოლოს, რაკი დაინახა, რომ არაფერი გამეგებოდა, გადმომცა ის, რაც მე უკვე მოგახსენეთ და რისი განმეორებაც ჩემთვის აუტანელია.

არავითარ დამბლას არ შეეძლო ისეთი საშინელი და სწრაფი ზემოქმედება მოეხდინა ჩემზე, როგორც ამ ამბავმა მოახდინა. გული ისე საშინლად გადამიბრუნდა, რომ წავეიქციე. მეგონა, სიცოცხლე სამუდამოდ მომიკპო. ეს განცდა მაშინაც კი შემჩნა, როდესაც გონს მოვედი: თვალი მიმოვაველე ოთახს, ავხედ-დავხედე ჩემ თავს, რათა დავრწმუნებულიყავ, რომ კიდევ ვატარებდი ცოცხალი ადამიანის საბრალო სახელწოდებას. მე რომ იმ ბუნებრივი მიდრეკილებისათვის მიმეცა გზა, რომელიც ასეთ ტანჯვისაგან განთავისუფლების საშუალებას ეძებს ხოლმე, უეჭველად სიკვდილზე უტკბესად არაფერი მომიჩვენებოდა. სარწმუნოებასაც კი არ შეეძლო დაეხატა ჩემთვის იმაზე საშინელი ტანჯვანი, რომელსაც მე იმეამად განვიციდიდი. მიუხედავად ამისა, სიყვარულის სასწაულმოქმედებით მე მალე მოვიკრიფე ძალა და მადლობა შევსწირე ზეცას, რომ ცნობიერება და გონება კვლავ დამიბრუნა. ჩემი სიკვდილი მხოლოდ ჩემთვის იქნებოდა სასარგებლო. ჩემი სიცოცხლე მანონს სჭირდებოდა, უნდა დამეხსნა იგი, ლაგებარებოდი, შური მეძია მის გამო და ამიტომ ფიცად დავსდე, რომ ამისათვის სიცოცხლეს არ დავზოგავდი.

მეკარემ ისეთი დახმარება აღმომიჩინა, როგორსაც კაცი მხოლოდ საუკეთესო მეგობრისაგან მოელის. დიდის მადლობით მივიღე მისი სამსახური. „ეჰა, — მიემართე მას, — თქვენ თანაუგრძნობთ ჩემს ტანჯვას. ყველამ ზურგი შემომაქცია, თვით ჩემმა მამამაც, ჩემმა უსასტიკესმა მღვდელმა. არავინ არ შემიბრალა, ამ სისასტიკესა და ბარბაროსობაში მხოლოდ თქვენ უტყბადებთ თანაგრძნობას ყველაზე საცოდავს ადამიანთა შორის“. მან მიჩნია ქუჩაში არ გაკუსულიყავ, სანამ ცოტათი მაინც არ დაემშვიდდებოდი. „არაფერია, — მივუგე მას წამოსვლისას, — გნახავთ, კიდევ გნახავთ, ამასთან უფრო ადრე, ვიდრე თქვენ ფიქრობთ. დამომზადეთ ყველაზე შავბნელი საკანი, ვეცლები დავიმსახურო იგი“.

მართლაც, ჩემს უახლოეს ვანზრახვას შეადგენდა ის, რომ ბოლო მომეღო ორივე გ. მ.-სთვის და პოლიციის გენერალ-ლეიტენანტისათვის, ხოლო შემდეგ იმათი დახმარებით, ვისაც შეევაგროვებდი, თავს დაესხმოდი თავშესაფარს. მზად ვიყავი არ დამენდო თვით მამაჩემიც ამ მართებული შურისძიებისაგან. მეკარემ არ დამიმალა, რომ გ... მ...-სთან ერთად მასაც წილი ედო ჩემს დალუპებაში.

მაგრამ, როდესაც ქუჩაში რამდენიმე ნაბიჯი გადავდგი და როცა პაერმა ოღნავ გამაგრილა და დამამშვიდა, სიბრაზემ თანდათან გონიერ გრძნობებს დაუთმო ადგილი. ჩვენი მტრების სიკვდილი ზიანის მეტს არაფერს მოუტანდა

მანონს, მე კი აუცილებლად წამართმევდა მისი განთავისუფლების ყოველივე საშუალებას. ესეც არ იყოს, განა შემძლო მე უმსგავსო მკვლელობა ჩამეძინა? მაშ შურისძიების სხვა რა გზა იხსნებოდა ჩემთვის? მოვიკრიფე ძალა და გონიერება, რომ უპირველესად მანონი გამენთავისუფლებინა, *ჩრდონ შპ: წარმატებების შემდეგ სხვებზე გადავსულიყავი.*

ფული ცოტა-და დამორჩნოდა. ეს იყო სწორედ პირველი საზრუნავი და აქედან უნდა დამეწყო: ვიცნობდი მხოლოდ სამ ადამიანს, რომელთა იმედიც შეიძლება მქონოდა. ესენი იყვნენ: ბ-ნი დე ტ-ი, მამაჩემი და ტიბერტი. საექვო იყო, ამ ორ უკანასკნელისაგან მიმელო რამე. ხოლო პირველისა მრცხვენოდა, თავს ვაბეზრებდი, მაგრამ გამოუვალ მდგომარეობის დროს ვერაფერს ვერ აღუდგები! დაუყონებლივ გავეშურე წმ. სულბიციის სემინარიაში. არ დავერდიე იმას, რომ შეეძლოთ იქ ვეცანი. გამოვიძახე ტიბერტი. მისი პირველივე სიტყვებიდან მივხვდი, რომ მან იცოდა ჩემი უკანასკნელი თავგადასავალი. ამ გარემოებამ მაიძულა შემეცვალა გადაწყვეტილება და შემოქმედნა მის გრძობაზე. ზოგადად ვუამბე ჩემი სიხარულის შესახებ მამასთან შეხვედრის გამო და ვთხოვე მოეცა სესხად მცირე თანხა, რაც თითქოს მჭირდებოდა იმისათვის, რომ პარიზიდან წასვლის წინ გამესტუმრებინა ვალეები, რომელთა შესახებ არ მინდოდა მამას გაეგო. მან იმ წუთშივე თავისი ქისა გამომიწოდა. ექვსას ფრანკიდან, რომელიც იქ იდო, მე ხუთასი ავიღე. ხელწერილი ვაძლიე, მაგრამ იგი ერთობ კეთილშობილი იყო, რომ ამაზე დამთანხმებოდა.

იქიდან ბ-ნი დე ტ-სთან გავემართე. მასთან უფრო გულახდილი ვიყავი! ვუამბე ჩემი უბედურება და ტანჯვა. მან ყველაფერი დაწვრილებით იცოდა, რადგან გულმოდგინედ ადევნებდა თვალყურს ახალგაზრდა გ... მ...-ს თავგადასავალს. მიუხედავად ამისა, გულდასმით მოისმინა, და როდესაც რჩევა ვკითხე, როგორ შეიძლებოდა მანონის დახსნა-შეთქი, დაღონებულმა მიპასუხა, რომ ეს საქმე ძალზე ძნელად ეჩვენება, რომ იმედი შეიძლება ჰქონდეს კაცს იმ შემთხვევაში, თუ განგება რაიმე მოულოდნლ სასწაულს არ მოაუღენსო. მან გადმომცა, რომ ის თავშესაფარში იყო მას შემდეგ, რაც მანონი იქ დაამწყვდიეს, მაგრამ მასაც კი არ უჩვენეს იგი, რადგან პოლიციის გენერალ-ლეიტენანტს მტრად სასტიკი ბრძანება გაუტია. ყველა ამ უბედურებას დაერთო ისიც, რომ იმ ჯგუფს, რომელშიაც მანონია მოქცეული, ზეგ გაუყენებენ გზასო.

მე იმდენად შემაძრწუნა მისმა ნაამბობმა, რომ თუნდ ერთ საათს ელაპარაკნა, არ შევაწყვეტინებდი. მან გადმომცა კიდევ, რომ შატელეში იმიტომ არ ზოვიდა ჩემს სანახავად, რომ ეშინოდა არ გამომქლავნებულყო ჩვენი შეგობრობა, რადგან ამის შემდეგ ისე ადვილად ვეღარ დამეზმარებოდა. ხოლო ჩემი შატელედან განთავისუფლების შემდეგ კარგა ხანს ვერ გაეგო, სად ვიყოფებოდი, ჩემი ნახვა კი ძალიან უნდოდა, რათა მოეცა ერთადერთი რჩევა, რომელსაც შეეძლო ცვლილება მოეხდინა მანონის ბედ-იღბალში, მაგრამ რჩევა იმდენად საშიში, რომ მითხოვა, არ დამეკავშირებინა ამ რჩევასთან მისი სახელი. იგი მდგომარეობდა იმაში, რომ თავი მომეყარა რამდენიმე მამაციისთვის, რომელნიც თავს დაესხმოდნენ მანონის მცველებს, როცა ისინი პარიზს გაშორდებოდნენ. მან არ დამაცადა, სანამ მე უსახსრობას მოვიძიებებოდი, გამომიწოდა ქისა და მითხრა: „აი ასი პისტოლი, გამოგადგებათ. დამიბრუნეთ მაშინ, როდესაც თქვენი მდგომარეობა გამოკეთდება“. თანაც დაუმატა: სახელის გატეხი-

სა რომ არ ეშინოდეს, ჩემი სატრფოს დახსნაში ხმალითა და მარჯვენით დამეხ-
მარებოდა.

ასეთმა განსაკუთრებულმა გულკეთილობამ ისე ამაღელვა, რომ ცრემლე-
ბი მომგვარა. უდიდესი მადლობა გადავუხადე, რამდენადაც შექაღწეული
იყო ჩემს მწუხარე მდგომარეობაში. ვკითხე, ხომ არ შეიძლებოდა რაიმე მხარად
ზეგავლენის მოხდენა პოლიციის გენერალ-ლეიტენანზე მეტეი. მან მიპასუხა,
რომ მისაც მოუვიდა ეს აზრად, მაგრამ ეს ღონისძიება ამაოდ მიაჩნია, რადგან
ასეთი თხოვნა სავსებით დასაბუთებული უნდა იყოს, ის კი ვერ პხედავს ვერა-
ვითარ საშუალებას, რის მიხედვითაც შეიძლებოდა შეამდგომლობის აღძვრა
დიდი და ძლიერი პაროვნების წინაშე. ეს შეიძლებოდა მხოლოდ იმ შემთხვე-
ვაში, თუ ბ-ნი გ... მ... და მამაჩემი შეიცვლიდნენ აზრსა და იკისრებდნენ
თვით თხოვნათ გენერალ-ლეიტენანტისათვის შეეცვალა თავისი განაჩენი. მან
აღმითქვა, მიიღებს ყოველგვარ ზომებს, რომ ახალგაზრდა გ... მ... ჩვენს მხა-
რეზე ვადმოიბიროს, თუმცა იგი ცოტათი უკმაყოფილოა ჩემით, — სთქვა დე
ტ-მ. — რადგანაც ეჭვი ჰქონდა, რომ მეც მონაწილეობას ვიღებდი მის საქმეში.
დე ტ-მ მიჩნია მიმელო ზომები და მამაჩემისათვის შემეცვლევინებინა აზრი.

ჩემთვის ეს მეტად ძნელი საქმე იყო. ამას ვამბობ არა მარტო იმ აზრით,
რომ სიძნელეს წარმოადგენდა მისი დათანხმება, არამედ სხვა გარემოებითაც:
მე ხომ მამაჩემის ნებადაურთველად გამოვიპარე მისი ბინიდან და როცა მა-
ნონის სავალალო ბედი გავიგე, გადავწყვიტე, იქ აღარ დავბრუნებულიყავი.
მეშინოდა რომ ძალით არ დავეკავებინე და პროვინციაში არ გავეგზავნე. ჩემ-
მა უფროსმა ძმამ ერთხელ ზომ მიმართა ამ საშუალებას. მართალია, მას შემ-
დეგ ხანი მომემატა, მაგრამ ხნოვანობა სუსტი საბუთია ძალის წინააღმდეგ.
ცოტა ხნის შემდეგ მოვინახე საშუალება, რომელიც ხიფათს ვადამარჩენ-
და: გადავწყვიტე, გამომეძახა მამაჩემი სხვისი სახელით საღმე საზოგადო და-
წესებულებაში. ბ-ნი დე ტ-ი გ... მ...-სთან ვაეშურა, მე კი ლუქსემბურგის ბალ-
ში წავედი, საიდანაც მამას ვაცნობე, რომ ერთი აზნაური დიდი პატივით ელო-
დება მას. ვშიშობდი, რომ ღამის მოახლოვების გამო არ მოისურვებდა მამაჩე-
მი ბალში მოსვლას. მაგრამ მცირე ხნის შემდეგ იგი გამოცხადდა ლაქიის თან-
ხლებით. ვთხოვე შეესულიყავით ხეივანში, სადაც მარტონი ვიქნებოდით. ასი-
ოდე ნაბიჯი გადავდგიოთ ისე, რომ სიტყვა არ ამოგვილია. რასაკვირველია,
მისთვის ცხადი იყო, რომ ასეთი სიფრთხილე სერიოზული საქმით იყო გამოწ-
ვეული. იგი უცდიდა ჩემს სიტყვებს.

ბოლოს დავიწყე: „მამაე, — მიემართე აკანკალებული ხმით, — თქვენ კეთი-
ლად მეპყრობით. თქვენ ბევრი მოწყალება მოიღეთ ჩემზე და ბევრი შეცთობა
შეშინდეთ. თვით ზეცაა მოწმე, რომ მე თქვენდამი ისეთი გრძნობებით ვარ გა-
მსჭვალული, როგორიც შეეფერება ყველაზე მოსიყვარულე და თავმდაბალ
შვილს, მაგრამ მე ვფიქრობ... თქვენი სიმკაცრე... „კეთილი! მერე, რა ჩემი სიმ-
კაცრე?“ — შემაწყვეტინა მამამ. ალბათ, მის მოუთმენლობას ეჩვენებოდა, რომ მე
მეტად ნელა ვლაპარაკობდი. „ოჰ, მამაე, — განვაგრძე მე, — გაუბედავ და ვიტ-
ჯვი, რომ თქვენი სიმკაცრე მანონის მიმართ ყოველ საზღვარს გადასცდა. თქვენ
ამ შემთხვევაში დაენდეთ ბ-ნ გ... მ...-ს, მისმა სიძულელიმა თქვენ იგი მეტის-
მეტად ცუდ ადამიანად წარმოგიდგინათ. თქვენ მის შესახებ საშინელი წარ-
მოდგენა შეგექმნათ, ის კი ყველაზე ნაზი და ყველაზე ღირსეული ქმნილებაა.

რატომ განგებამ არ აღგიძრათ სურვილი, ერთი წუთით მაინც გენახათ იგი, დაინახავდით თუ არა მის მშვენიერებას, უეჭველად ეცდებოდით ნისკ ხვედრის შემსუბუქებას. შეგეზიზღებოდათ ბ-ნ გ... მ...-ს შევბნეული ზოხვები. შეგებრალებოდათ ისიც და მეც. დარწმუნებული ვარ, თქვენმა გულმა არა მხოლოდ მოკლებული გრძნობას. შეუძლებელია თქვენი გული არ აღოკრეს!

მან კვლავ შემაწყვეტინა, რაკი დაინახა, რომ ისე გატაცებული ვლადიმერ კომბი, რომ დიდხანს არ შეეწყვეტდი. მან მოისურვა ვაგება, რა ჰქონდა მიზნად ჩემს ასეთ ცხარე სიტყვებს. „გთხოვთ მაჩუქოთ სიცოცხლე, — ვუბასუხე მე, — რადგან ერთი წუთითაც არ დავრჩები ცოცხალი, თუ მანონი ამერიკაში ვაგზავნის“. „არა, არა — მრისხანედ შემიბრუნა სიტყვა: — მიჩვენია მკვდარი გნახო, ვიდრე გონებადაკარგული და შერცხვენილი!“ „ნულარ აყოვნებთ, — შევეყვირე მე და მკლავში ხელი წაავლე, — მომისმეთ ეს საბუღეველი და აუტანელი სიცოცხლე, რადგან ასეთ სასოწარკვეთილებაში, რომელშიაც თქვენ მადგებთ, სიკვდილი მოწყალეობა იქნება ჩემთვის. ეს იქნება მამის ღირსეული ჯილდო“. „მაგით შენ მიიღებ იმას, რაც დაიმსახურე, — მომიგო მან. — სხვა მამები ასე დიდხანს არ დაიცდიდნენ, რომ საკუთარი ხელით დაესაჯე, ჩემმა უაღრესმა გულკეთილობამ დაგლუბა შენ“.

მე ფეხებში ჩაუფვარდი: „ოო, თუ თქვენში ცოტა რამ კიდევ არის დარჩენილი კეთილი გრძნობისა, — ვევედრებოდი და მუხლებზე ვეხვეოდი, — ნუ უკუვადებთ ჩემს ცრემლებს, გაიხსენეთ, რომ თქვენი შვილი ვარ... გაიხსენეთ დედანიმი, თქვენ იგი ნაზად გიყვარდათ. ნუთუ ნებას მისცემდით ვისმეს, მოვგლიჯა იგი თქვენი გულიდან? თქვენ მას სისხლის უკანასკნელ წვეთამდე დაცავდით. და განა შეიძლება სხვა გულიც თქვენივე მსგავსი არ იყოს? განა შეიძლება შეუბრალებელი იყოს ის, ვისაც ერთხელ მაინც განუცდია, რა არის ნამდვილი სინაზე და მწყუბარება?“

„ხმა აღარ დასძრა დედაშენზე, — დამიყვირა მან გაანჩხლებულმა, — დედაშენის ვახსენება უფრო აძლიერებს ჩემს მრისხანებას. შენი უმსგავსოება მოჰკლავდა მას, რომ ეცოცხლა და ენახა ყველაფერი. შევსწყვიტოთ ლაპარაკი, — დაუმატა მან, — იგი გულს მიწყალებს და გადაწყვეტილებას ვერ შემაცვლევინებს. შინ მივდივარ, შენც გიბრძანებ გამოიყვე“.

მკაცრ და მშრალ კილოზე, რომლითაც მან ეს მიბრძანა, შევატყე, რომ მისი გულის შეცვლა შეუძლებელი იყო. რამდენიმე ნაბიჯით უკან დავიხიე, რადგან შემეშინდა, საკუთარი ხელით არ განეზრახა ჩემი წაყვანა. „ნუ აღრმავებთ ჩემს სასოწარკვეთილებას, ნუ მაიძულებთ ურჩობას, — ვუთხარი მე, — თქვენთან ვერ წამოვალ და შეუძლებელიც არის თქვენთან ცხოვრება ასეთი სისასტიკის შემდეგ. სამუდამოდ გემშვიდობებით. ჩემმა სიკვდილმა, რომელსაც სულ მალე გაივებთ, — დავუმატე მე, — შეიძლება ისევ გააღვიძოს თქვენში მამობრივი გრძნობა“. „მაშ შენ უარს აცხადებ ჩემთან წამოსვლაზე? — მომმართა ვანრისხებულმა, როცა წასასვლელად მივბრუნდი. — წადი, ისწრაფე დალუპვისაკენ. მშვიდობით. უმადურო და ურჩო შეილო!“ — „მშვიდობით, — მივაძახე მეც ვამბავებულმა, — მშვიდობით, უსულგულო და ულმობელო მამავ!“

იმ წამსვე ლუქსემბურგიდან გამოვედი. ცოფიანივით დავეხეტებოდი ქუჩაში, სანამ ბ-ნ დე ტ-ს სახლს არ მივადექი. გზაზე თვალვ და ხელვ აპყრობილი შევიჩიოდი ციურ ძალებს. „პოი, ზეცაო! — ვამბობდი მე, — ნუთუ შენც

ისეთივე უწყალო ხარ, როგორც ადამიანები? შველას მხოლოდ მენგან მოველი“.

ბ-ნ დე ტ-ი შინ არ დამიხვდა, მაგრამ რამდენიმე წუთის შემდეგ დაბრუნდა. მისი ცდაც, ისევე, როგორც ჩემი, უნაყოფო გამოდგა. ეს მან მინტუსი შეწუხებულმა მაცნობა. ახალგაზრდა ვ... მ... ისე არ იყო გაჯავრებული ჩემსე და მანონზე, როგორც მისი მამა, მაგრამ არ მოისურვა ჩვენი გამოსარჩლება მოხუცის წინაშე, მან ვერ გაბედა ეს თავისი სასტიკი მამის შიშით, რომელიც ისედაც ძალზე გაბრაზებული იყო მანონთან კავშირის გაბმისათვის.

დამრჩა მხოლოდ ერთადერთი გზა — ძალის გამოყენება, რისი გეგმაც უკვე დასახა ბ-ნმა დე ტ-მ. ამაზე დავამყარე მთელი ჩემი იმედი, „ჩემი იმედი მეტად საეჭვოა, — ვუთხარი დე ტ-ს, — მაგრამ ჩემთვის ყველაზე სანუგეშო ის არის, რომ თავდასხმის დროს მოსალოდნელია დაღუპვა“.

გამოვეთხოვე დე ტ-ს და ვთხოვე გზა დაელოცა. შევეუდექი ფიქრს იმაზე, თუ სად ვამომენახა ისეთი ამხანაგები, რომელთაც ვადავსცემდი ჩემი გაბედულებისა და თავგამოდების რამდენიმე ნაპერწკალს მაინც.

პირველად თავში სწორედ იმ გვარდიელმა გამიელევა, რომელსაც ვ... მ...-ს დაკავება დავევალე. ვფიქრობდი, ღამეც მის ოთახში გამეტარებინა, რადგან დღის განმავლობაში აზრად არ მომსვლია ბინის მონახვა. გვარდიელი მარტო დამხვდა. ვაუხარდა შატელედან ჩემი განთავისუფლება. სიამოვნებით აღმოთქვა დახმარება. აფუხენი, რა დახმარებას მოველოდი მისაგან. იგი საკმაოდ გონიერი იყო, წარმოიდგინა მთელი სიძნელე, მაგრამ იძენდა სულგრძელი აღმოჩნდა, რომ შიში არ გამოუთქვამს.

ღამის ნაწილი გეგმის განხილვას მოვანდომეთ. ის სამი გვარდიელი, რომელნიც უკანასკნელ საქმეში ეხმარებოდნენ, მისი სიტყვით, გულადნი და გამოცდილნი იყვნენ. ბ-ნ დე ტ-მ მაცნობა, თუ რამდენი მცველი გაჰყვებოდა მანონს. ისინი სულ ეჭვსნი უნდა ყოფილიყვნენ. ხუთი მამაცი და თავგამოდებული კაცი საკმარისი იყო თავზარი დაეცა ამ ლაწირაკებისათვის, რომელთაც არ შეეძლოთ ვაეკაცურად თავის დაცვა, პირველივე განსაცდელის დროს ისინი ლაჩრულად მოკურცხლავდნენ.

რაკი ფული არ მაკლდა, გვარდიელმა მირჩია ყველაფერი გამეთვალისწინებინა, „საჭიროა, — მითხრა მან, — ცხენები, დამბაჩები, თათოსთვის თითო თოფი. მე ვეისრულობ ხვალ ამისათვის ზრუნვას. საჭიროა აგრეთვე სამი სამოქალაქო ტანისამოსი ჩვენი ჯარისკაცებისათვის: ასეთ საქმეში ისინი ვერ გაჰხედავენ ჯარისკაცის ტანისამოსით გამოსვლას“. გადავეცი გვარდიელს ბ-ნ დე ტ-საგან მიღებული ასი პისტოლი. მეორე დღეს მან ეს ფული მთლად დახარჯა. დავათვალე ჩემი სამი ჯარისკაცი, შევაგულიანე ისინი დიდი დაპირებებით და რომ გამეფანტა ყოველგვარი უნდობლობა, თითოს ათ-ათი პისტოლი ვაჩუქე.

საბედისწერო დღეც დადგა. ერთ-ერთი მათგანი დილაადრიან გავეზაენე თავშესაფარში, რათა საკუთარი თვალთ ენახა, როდის გამოვიდოდნენ მცველები თავიანთი ნადავლით. ამ ზომას მივმართე მხოლოდ ჩემი ეჭვის გამო, მაგრამ, როგორც გამოირკვა, იგი საჭირო აღმოჩნდა. დავყურდნე რამდენიმე ყალბ ცნობას, რაც უშუალოდ გზის მიმართულებას შეეხებოდა. მე დარწმუნებული ვიყავი, რომ ვადასახლებულთა ჯგუფს გემში ლა-როშელში ჩასხამდ-

ნენ. ამოდ უნდა გვეცადნა ორლენის გზაზე. ჯარისკაცმა-გვარდელმა მაცნობა, რომ მათ ნორმანდიის გზით წაიყვანდნენ და ამერიკაში პატივით გაგზავნიანო.

დაუყოვნებლივ გავემართენით წმ. პონორის კარისაკენ. მანქანა იყვებოდა ჩვენგანი სხედასხვა ქუჩებით მიდიოდა. გარეუბნის ბოლოში კვლავ შევერთოდით. ჩენი ცხენები მზენ ნაბიჯით მიდიოდნენ. მალე დავინახეთ ექვსი მცველი და ორი ოთხთვალა, რომლებიც თქვენ ამ ორი წლის წინა პასიში ნახეთ. მათ დანახვაზე ცოტას გაწყდა, ძალა და გონება არ დაეკარგე. „ჰოი, ბედო, — შეესძახე მე, — უღმობელო ბედო, მომანიჭე სიკვდილი ან გამარჯვება!“

გავმართეთ თათბირო, თუ როგორ უნდა დავესხმოდით თავს. ოთხსამდე ნაბიჯით იყვნენ ჩვენზე დაშორებული. ადვილად შეგვეძლო გადაგვებინა პატარა მიწოდრი, რომელსაც გარს შარა უფლიდა და გზა გადაგვეჭრა. გვარდიელი მიჩრევედა, ანაზღეულად და სწრაფად დავესხმოდით თავს. მე მოვეუწონე ახრი და პირველმა მოგქუსლე ცხენი, მაგრამ ბედმა ყველა ჩემი განზრახვა ჩააფუშა.

როცა მცველებმა დაინახეს ხუთი ცხენოსანი, რომლებიც მათკენ მიემუერებოდნენ, მიხვდნენ, რომ ეს თავდასხმა იყო. ისინი მოემზადნენ თავდასაცველად, მოიმარჯვეს თოფები და ხიშტები.

ამის დანახვაზე მე და გვარდიელი უფრო გავმხნევედით, მაგრამ ჩვენმა სამმა ლაჩარმა ამხანაგმა ვაეკაცობა მთლად დაჰკარგა. მათ ცხენები შეაჩერეს. ერთმანეთს გამოელაპარაკნენ, — სიტყვები ვერ გაეარჩიე, — ცხენები მიაბრუნეს და პარიზისკენ მოჰკურცხლეს.

„ღმერთო ჩემო, — შეჰყვირა გვარდიელმა, რომელიც ამ უსინდისო ღალატის გამო ჩემსავით დაიბნა, — რა უნდა გავაკეთოთ ჩვენ ორმა?“ ელდისა და გაოცებისაგან ხმა ჩამიწყდა. შევაჩერე ცხენი. არ ვიცოდი, როგორ მოვექცეულიყავი; პირველ ხანს გავიფიქრე მემია შური, გამოედგომოდი და დამესაჯა მოლაღატე ლაჩრები. შევექცეოდი მათ, როგორ მიაჰყენებდნენ ცხენებს. შემდეგ მცველებს ვაპყრობდი თვალებს. რომ შემძლებოდა ორად გადავქცეულიყავი. ერთდროულად დავესხმოდი თავს ჩემი გაშმაგების ორივე მიზეზს! ახლა კი ვიდექ და ვეამდი მათ თვალებით.

გვარდიელმა თვალებზე შემატყო ყოყმანი და მთხოვა მისი რჩევა მომესმინა: „რადგან, — სთქვა მან, — ჩვენ მხოლოდ ორნი ვართ, უგუნურება იქნება თავს დავესხათ ექვს კაცს, ჩვენზე არა ნაკლებ შეიარაღებულს, უკვე მომზადებულს ჩვენს დასახვედრად. უმჯობესია, დავბრუნდეთ პარიზში და უფრო მამაცი თანაშემწენი შევავროვოთ. მცველები ამ მძიმე ოთხთვალათი შორს ვერ წავლენ და ხვალვე ადვილად დავეწვეით“.

ერთ წუთს დავეფიქრდი ამ წინადადებაზე, მაგრამ რადგან გარს უიმედობა მეხვია, მივიღე ჭეშმარიტად უიმედო გადაწყვეტილება: მადლობა გადავლხადე ჩემს თანამგზავრს სამსახურისათვის, უარყავ მცველებზე თავდასხმის განზრახვა და გადავწყვიტე, მოჩილებით მეთხოვნა მცველებისთვის, მიველე თავიანთ რაზმში და ნება მოეცათ გავყოლოდი მანონს პაერამდე, ხოლო იქედან მასთან ერთად ოკეანე ვადამეცურა. „ყველანი მდევნიან ან მლაღატობენ, — შევიჩველე გვარდიელს. — აღარავის იმედი აღარა მაქვს. აღარაფერს მოველი არც ბედისაგან და არც ადამიანებისაგან. ჩემმა უბედურებამ საზღვარს

მიადწია. ამნაირად, მორჩილების მეტი არაფერი დამრჩენია. ღმერთმა მოვიმართოთ ხელი გულკეთილობისათვის. მშვილობით. მივდივარ, რომ ჩემს ბედს მივეშველო ჩემს დაღუპვაში“. ამოდ მიჩრქვედა იგი პარიზში დაბრუნებას. ეთხოვე, წინააღმდეგობა არ გაეწია ჩემი გადაწყვეტილებებისათვის და საჩქაროდ დავეტოვებინე, რათა მცველებს არ ეფიქრათ, თითქოს ჩვენს ცეცხლს თავდასხმას ვაპირებდით.

მარტო-მარტო გავემართე მათკენ წელი ნაბიჯით, ამასთან დაღონებული, რომ ცუდი არაფერი ეფიქრათ. „დამშვიდდით, ბატონებო, — მივმართე მათ მიხლოვებისას, — მე თქვენზე თავდასხმას არა ეფიქრობ. მოვედი მოწყალება ვთხოვოთ“. შემდეგ ეთხოვე განევრობოთ გზა და გადავეცი, რა მოწყალებას მოველოდი მათგან.

მოითათბირეს და მათმა უფროსმა მთელი რაზმის სახელით გამომიცხადა. რომ, მართალია, მათ სასტიკად აქვთ ნაბრძანები მკაცრად აღევნონ თვალყური ტუსალებს, მაგრამ იმდენად მოეწონებოდათ, რომ ისინი მზად არიან გადაუხვიონ მოვალეობას, ოღონდ ეს ხარჯებთან არის დაკავშირებული. სულ თხუთმეტობედ პისტოლი მრჩებოდა. მე გულახდილად ვაცნობე, რა თანხის მქონე ვიყავი. „კეთილი, — მიპასუხა მცველმა. — ჩვენ ბევრს არ მოვთხოვთ. ერთი კვირ დავიგდებთ საათის განმავლობაში იმ ქალთან საუბარი, რომელსაც თქვენ შოისურებთ. ასეთია პარიზის ნიხრი“.

მე მანონზე არ მილაპარაკებია მათთან, რადგან არ მინდოდა მათ სკოდნოდათ ჩემი გრძნობების ამბავი. პირველ ხანს ჰფიქრობდნენ, რომ ეს მხოლოდ ახალგაზრდა კაცის ახირებააო, რომელსაც უნდა თავის გართობა ამ საბრალო მშინილებასთან. მაგრამ, როცა ვაივეს, რომ მე შევევარებული ვიყავი, ისე აღწიეს ფასს. რომ ჩემი ქისა უკვე მანტიიდან გასვლისას დაცალიერდა.

გადმოვკეთე, რა შინაარსისა იყო გზაზე ჩემი და მანონის საუბარი, ან გითხრათ, რა შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე მანონის გარეგნობამ, როდესაც ოთხთვალასთან მისელის ნება დამრთეს? სამწუხაროდ, სიტყვებს მხოლოდ მცირედი ვანცდის გამოთქმა შეუძლიათ! მაგრამ წარმოიდგინეთ საბრალო ჩემი სატრფო, წელზე შემოვლებულის ჯაჭვით მიბმული, ეტლის ერთ კუთხეში თივაზე ჩამოხდარი უღონოდ და თეჩაქინდრული, გაფითრებული და ცრემლით დასველებული! ცრემლი დახუჭულ თვალთაგან განუწყვეტლივ სდიოდა. მას თვალები მაშინაც არ გაუხელია, როდესაც მცველებმა თავდასაცავად მზადებაში სმატრობა ასტეხეს! საცვალი ტალახში ჰქონდა ამოსვრილი. სათუთი ხელები დასკდომოდა. ერთი სიტყვით, მთელი მისი სახე და გარეგნობა, რომელსაც შეეძლო მთელი ქვეყანა დაემორჩილებია, გამოუთქმელ მწუხარებას ამჟღავნებდა.

რამდენიმე ხანს ოთხთვალას ცხენდაცხენ მივდევდი და დავეყურებდი მანონს. თვითონ მე იმდენად ცუდად ვგრძნობდით თავს, რომ რამდენჯერმე კინალამ ცხენიდან ვადმოვარდი. ბოლოს ჩემმა ვანუწყვეტელმა ოხერამ და ვიივაგლახმა მისი ყურადღება მიიპყრო. მიცნო, დაეინახე, როგორ შეეცადა ოთხთვალადან გადმობტომას, მაგრამ ჯაჭვით შებორკილი უკან გადავარდა.

შევიხევენი მცველებს, ერთი წუთით მაინც შეჩერებულიყვნენ. ფულს დაეხარბნენ და დამთანხმდნენ. ჩამოვხტი ცხენიდან და გვერდით მოვეუჯექი. იგი იმდენად დაქანცული და დასუსტებული იყო, რომ კარგა ხანს ვერც ენა დას-

ძრა და ვერც ხელები აამოძრავა. ამ ხნის განმავლობაში ჩემი ცრემლებით ვბანდი ხელებს, რადგან არ შემეძლო არც ერთი სიტყვის წარმოთქმა. როცა ენა ამოვიღვით, ჩვენი სიტყვებიც ასეთივე მწუხარე იყო. მანონი კოტას ლაპარაკობდა, თითქოს სირცხვილმა და მწუხარებამ ენა წაართქვა. მანონი დასუსტებოდა და უკანკალებდა.

მადლობას მიცხადებდა, რომ არ დაევიწყე და ვავახარე იმით, რომ მოვედი, რათა ერთხელ კიდევ შენახა და უკანასკნელი მშვილობა მეთქვა მისთვის, მაგრამ როდესაც დავეუწყე დარწმუნება იმაში, რომ არაფერს არ შეუძლია ჩემი მასთან დაშორება, რომ მზადა ვარ თუნდაც ქვეყნის საზღვრამდე ვავყევი, მოვეუარო, ვემსახურო და ჩემი ბედი განუყრელად დავუკავშირო მის ბედს, ისეთმა ნახმა და მწარე გრძობებმა შეიპყრო, რომ შემეშინდა, ესოდენ მძლავრ განცდებს არ ევნო მისი ჯანმრთელობისათვის. თითქოს მისი სულის მთელი მოძრაობა მის თვალბეჭდში ახატულიყო. თვალები რამდენჯერმე შემომამტრია. მზად ჰქონდა სიტყვები სათქმელად, მაგრამ ძალა არ შესწევდა წარმოთქვა. რამდენიმე სიტყვა მაინც გამავონა და ამ სიტყვებში მოისმოდა აღტაცება ჩემი სიყვარულით; მას არა სჯეროდა, თუ ესოდენ ბედნიერი ყოფილიყო, რომ ჩემში ასეთი მშვენიერი გრძობები აღძრავ; იგი მევედრებოდა, უარი მეთქვა მასთან წასვლაზე, მომეტებნა ახალი ღირსეული ბედნიერება, რომელსაც, მისი სიტყვით, იგი ვერ მომცემდა.

უსასტიკესი ბედის მოუხედავად, მე ნეტარებას ვპოულობდი მის თვალბეჭდში, ვრწმუნდებოდი, რომ მანონსაც ვუყვარდი. მართალია, მე დავკარგე ყოველივე ის, რასაც ადამიანები აფასებენ, მაგრამ სამაგიეროდ მე ვიყავი მანონის გულის მბრძანებელი, ამას კი ყველაზე მაღლა ვაყენებდი. სად, რომელ ქვეყანაში ვიცხოვრებ, ევროპაში თუ ამერიკაში, სულ ერთი არ არის, თუ კი დარწმუნებული ვიქნები ჩემს ბედნიერებაში. სად არ ვიცხოვრებ ჩემს სატრფოსთან ერთად! განა შეყვარებულთათვის მთელი მსოფლიო სამშობლო არ არის? განა ისინი ერთმანეთში არა ჰხედავენ მამასაც, დედასაც, ნათესავეებსაც, მეგობრებსაც, სიმდიდრესაც და კეთილდღეობასაც?

მე მხოლოდ ის მაწუხებდა, რომ მანონს გაჭირვებული ცხოვრება მოელოდა. მე უკვე წარმოდგენილი მქონდა პირველყოფილ, ველურებით დასახლებულ ქვეყანაში მასთან ცხოვრება. „დარწმუნებული ვარ, — მიემართავდი ჩემს თავს, — რომ იქ არ იქნებიან ისეთი სასტიკი ადამიანები, როგორც არიან გ... მ... და მამაჩემი. იქ ნებას მაინც დავგვრთავენ ერთად ვიცხოვროთ. თუ მართალია, რასაც ველურებზე ამბობენ, ისინი ბუნების კანონებს მისდევენ. მათ არ იყრობს სიძუნწის ეინი. როგორც გ... მ...-ს, მათ არა აქვთ პატიოსნების ისეთი უფუნური გაგება, რამაც მამაჩემის მტერი გამხადა. ისინი არ დასტანჯავენ ორ მიჯნურს, რომელნიც მათ გვერდით, მათსავით უბრალოდ იცხოვრებენ“. ამ მხრივ მე დამშვიდებული ვიყავი.

მაგრამ ცხოვრების საერთო საჭიროებათა შესახებ რომანტიულად განწყობილი არ ვიყავი. მე ხშირად დავრწმუნებულვარ იმაში, რომ სიღატაკე აუტანელია, მეტადრე ფუფუნებასა და ლალ ცხოვრებას შეჩვეული ნახი ქალისთვის. საშინლად ვწუხდი, რომ ასე დაუფიქრებლად დავიცარიელე ჯიბე, ხოლო იმ გროშებს, რომელიც ჯერ კიდევ შემარჩუნოდა, მცველები დამტყუებდნენ. ვგრძობდი, რომ მცირეოდენი თანხით არა მარტო ვიცხოვრებდი ამერი-

კაში, სადაც ფული იშვიათია, არამედ რაიმე მტკიცე საქმესაც მოვაგვარებდი.

ამ მოსაზრებამ გადაამწყვეტინა მიმეწერა წერილი ტიბერჯისათვის, რომელიც ჩემი დახმარებისათვის ყოველთვის მზად იყო. მართლაც, შანსლოზელ ქალაქიდანვე გავუგზავნე წერილი და ვაცნობე, უსასხრობის გამო რა ვაჭირებებაში ჩავვარდებოდი პავრში, სადაც (ეს არ დამიფარავს) მანონს მივაცილებ და ასი პისტოლი ვთხოვე. „გამოგზავნეთ იგი პავრში. როგორც ხედავთ, უკანასკნელად ვიყენებ ბოროტად თქვენს გულკეთილობას! სამუდამოდ მტაცებენ სატრფოს. არ შემიძლიან ისე დაეტოვო, რომ არავითარი დახმარება არ აღმოვუჩინო, რაც შეუსუმბუტებს მას ხვედრს, ხოლო მე მომაკვდინებელ სევდას“.

მცველებმა, დანახეს რა ჩემი ძლიერი სიყვარული, გააოჩქვეს ფასი სრულიად უმნიშვნელო სამსახურისათვისაც კი. მალე სრულ სილატაკემდე მიმიყვანეს, სიყვარული კი ნებას არ მძლევედა ქისას გავფრთხილებოდი. დილიდან-სალამომდე მანონთან ვიყავი და დრო იანგარიშებოდა არა საათობით. არამედ დღის ხანგრძლივობით. ბოლოს, ჩემი ქისა დაცარიელდა და მსხვერპლი ვავხდი იმ ექვსი არამზადის თვითნებობისა და თავებლობისა, რომლებიც მეტისმეტად უხეშად მეპყრობოდნენ. თქვენთან შეხვედრა ბედნიერი ამოსუნთქვა იყო. თქვენი მწუხარება, ჩემი უბედურებით გამოწვეული, ერთადერთი თავდები იყო თქვენი კეთილშობილი გულის წინაშე. იმ უხეშა დახმარებამ, რომელიც თქვენ აღმომიჩინეთ, პავრამდე მიმიყვანა. მცველებმა თავიანთი დაპირება უფრო ერთგულად შეასრულეს, ვიდრე მოველოდი.

ჩავედით პავრში. მაშინვე ფოსტაში ვავიჭეცი. ტიბერჯს ჯერ კიდევ არ მოეწერო პასუხის ვაცემბა. ვკითხე, რა დღეს შეიძლებოდა მიმეღო წერილი. ორ დღეზე ადრე არ მოვიდოდა, ხოლო ჩემი ბოროტი ბედის საკვირველი განზრახვით ჩემი გემი სწორედ იმ დღით უნდა გასულიყო, როცა პასუხი მოვიდოდა. ვერ ავიწერთ ჩემს მწუხარებას. „როგორ, — შეეყვირე მე, — თვით უკიდურესობაშიაც არ იციან ჩემმა ბედმა საზღვარი!“ „ეპ, — მიპასუხა მანონმა, — განა ღირს ესოდენ უბედური სიკაცხლე ამდენ ზრუნვად? მოვეკდეთ პავრში, ჩემო ძვირფასო შევალე. სჯობს სიკვდილმა ერთბაშად მოუღოს ბოლო ჩვენს ტანჯვას. არა ღირს წასვლა უცნობ ქვეყანაში, უეჭველია, იქაც გველოდება საშინელება, რადგან ივა მე სასჯელად მაქვს დანიშნული. მოვიკლათ თავი, — გაიმეორა მან, — ან, ყოველ შემთხვევაში, მომკალი მე, შენ კი ეძიე უკეთესი ხვედრი უფრო ბედნიერ სატრფოს გულმკერდზე“. „არა, არა, — ვუბასუხე მე, — შენთან ერთად ტანჯვა სასურველია ჩემთვის“.

მანონის სიტყვებმა შემადრწუნეს: ვხედავდი, რომ იგი სასოწარკვეთილებამდე იყო მისული. ვცდილობდი გამეფანტა მისთვის ფიჭვი სიკვდილზე და უიმედობაზე. გადაწყვიტე, შემდეგშიაც ასე მოვქცეულიყავი და მალე დავრწმუნდი, რომ ქალს ისე არაფერი გაამხნევეს, როგორც იმ ადამიანის სიამამაცე, რომელიც მას უყვარს.

როდესაც ტიბერჯის დახმარების იმედი გადამიწყდა, გავკიდე ცხენი. ეს ფული დავუტოვე იმას, რაც გულუბვი დახმარებიდან გადამჩა. გამოვიდა სულ ჩვიდმეტი პისტოლი. შეიძი პისტოლი მოვამხარე მანონისათვის საჭირო წერილებანების შეძენას. დანარჩენი ათი მაგრა შევიანახე. ეს იყო ჩვენი მომავალი კეთილდღეობის საფუძველი ამერიკაში. გემზე დაუბრკოლებლად მიმიღეს, რად-

გან იმ ხანებში ეძებდნენ ახალგაზრდებს, რომელნიც ნებაყოფლობით წავიდოდნენ ახალშენში. ვზა და საზადო მუქთი მექნებოდა. პარაზის ნებადართული ფოსტის მოლოდინში დავწერე წერილი ტიბერტიანს. წერილი მეტად გულის ამარწყებელი იყო და უეჭველად იმოქმედებდა მასზე. მარხაბაძემ წერილმა აიძულა იგი მიეღო ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც შედეგად მოსდევს უბედური ამხანაგისადმი უსაზღვრო სიყვარულსა და სულგრძელობას.

იალქნები აუშვეს. ზურგის ქარი უბერავდა. ვიხოვე გემის უფროსს ცალკე კაიუტა მოეცა ჩემთვის და მანონისათვის. გემის უფროსი იმდენად კეთილი აღმოჩნდა, რომ სხვა თვალთ შემოგვხედა, ვიდრე ჩვენს თანამგზავრებს. მე პირველსავე დღეს გავიხმე განზე ჩემდამი თანაგრძობის გამოსაწვევად, ვუამბე ჩემი უბედობა. სამარცხვინოდ არ მივიჩნეე ტყუილიც კი: ვუთხარი მანონზე ჯვარდაწერილი ვარ-მეთქი. მან თითქოს დამიჯერა და მფარველობა გამიწია. ამ მფარველობით ჩვენ მთელი მგზავრობის განმავლობაში ვსარგებლობდით. იგი ზრუნავდა ჩვენი კვებისათვის. მისმა ყურადღებამ ჩვენი უბედურების მოზიარე ამხანაგების პატივისცემაც-კი გამოიწვია. გამუდმებით იმაზე ვზრუნავდი, რომ მანონი ოდნავადაც არ შეწუხებულყო. ეს არ შეეძლო არ შეენიშნა მანონს, ხოლო როდესაც შენიშნა და მიხვდა, თუ რა განუსაზღვრელად ერთგული ვიყავი მისი, ისეთი სინაზით მეპყრობოდა, რომ ჩვენს შორის ურთიერთ სამსახურისა და სიყვარულის ნამდვილი შეჯიბრება ვაიმართა. მე სრულიადაც არ მაწუხებდა ევროპის მიტოვება. პირიქით, რაც უფრო ვუახლოვდებოდით ამერიკას, მით უფრო მიმშვიდდებოდა გული. მე რომ დარწმუნებული ვყოფილიყავი, რომ იქ უზრუნველყოფილი ვიქნებოდი, მადლობას შევსწირავდი ღმერთს ჩვენი ბედის ჩარხის ასე მობრუნებისათვის.

ორი თვის ცურვის შემდეგ, როგორც იყო, მივადექით სასურველ ნაპირს. პირველი შეხედვით ეს ქვეყანა არაფერს სასიამოვნოს არ წარმოადგენდა. ჩვენს წინ იშლებოდა უნაყოფო და უდაბური მიწები; აქა-იქ მოსჩანდა ქარისავან ვაცრეცილი ხეები. თვალი ვერ ხედავდა ვერც ადამიანს და ვერც პირუტყვს. ამასობაში გემის უფროსმა ბრძანა რამდენჯერმე ზარბაზანი გაესროლა. მცირე ხნის შემდეგ დავინახეთ ახალი ორლენის მოქალაქეთა ჯგუფი, რომელიც სიხარულით მოეშურებოდა ჩვენსკენ. ქალაქს ვერა ვხედავდით რადგან პატარა სერი ეფარებოდა. ისე მივიღეს, თითქოს ციდან ვყოფილიყავით ჩამოსული.

საბრალო მცხოვრებლებმა უამრავი კითხვა მოგვაყარეს საფრანგეთზე და იმ პროვინციებზე, საიდანაც ისინი იყვნენ. გვეხვეოდნენ, როგორც ძვირფას ძმებს და ამხანაგებს, მათი უბედურებისა და მარტოობის გასაქარებლად მოსულებს. მათთან ერთად წავედით ქალაქისაკენ, მაგრამ, როცა მივუახლოვდით, გავვოცდით ის, რასაც ისინი ქალაქს ეძახდნენ, სხვა არა იყო რა, ვარდა რამდენიმე საცოდავი ქოხისა. ამ ქოხებში ხუთასი ან ექვსასი კაცი ცხოვრობდა. გუბერნატორის სახლი ოდნავ გამოიჩნეოდა სიმაღლით და მდებარეობით. მას იცავდა მიწის სიმაგრე, რომელსაც თხრილი ჰქონდა შემოვლებული.

უპირველესად გუბერნატორთან წარგვადგინეს. იგი დიდხანს თათბირობდა საიდუმლოდ გემის უფროსთან. შემდეგ მოვიდა ჩვენთან და თვითთულად დაათვალიერა ქალები. რომლებიც გემით მოვიდნენ. ოცადაათი ქალი იქნებოდა. რადგან ჰავრში მეორე ჯგუფიც შემოგვიერთდა. გუბერნატორმა გულ-

დასმით დაათვალიერა და ბრძანა დაეძახნათ ქალაქის ახალგაზრდებისათვის, რომლებიც მოუთმენლად ელოდნენ საცოლეებს. ყველაზე უფრო წარჩინებულებს დაურიგა, სხვებზე კი წილი ჰყარეს. მანონს ჯერ არ დალაპარაკებოდა. ბოლოს, როცა სხვები გაისტუმრა, გვითხრა: „გვამს უფროსმა ვადმომცა, რომ თქვენ ცოლი და ქმარი ყოფილხართ და არ გნახსნის გეჭირათ თავი, როგორც გონიერ და ღირსეულ ადამიანებს. მე არ მინდა თქვენი უბედურობის მიზეზის გამოკვლევას შევეუდგე, მაგრამ თუ თქვენ მართლა პატიოსანი ხართ, რასაც თქვენი გარეგნობა ადასტურებს, არაფერს დავიშურებ თქვენი ხვედრის შესამსუბუქებლად, მხოლოდ თქვენც თქვენის მხრით უნდა ეცადოთ რამენაირად მასიამონოთ ამ ველურსა და უდაბურ ადგილას“.

მე ისეთი პასუხი ვაეცი, რაც არ შეარყევდა იმ წარმოდგენას, რომელიც მას ჩვენზე შეედგინა. მან განკარგულება გასცა მოემზადებინათ ჩვენთვის ქალაქში ბინა და ვახშმად თავისთან დაგვეტოვა. როგორც ისეთი პირი, რომელიც განკიცხულებს უფროსობს, მე იგი საკმაოდ თავაზიან კაცად მიგვეჩნა. ვახშამზე, სხვების თანადასწრებით, მას არც ერთი კითხვა არ მოუცია ჩვენთვის ჩვენი თავგადასავლის შესახებ. ჩამოვარდა საერთო საუბარი და თუმცა მე და მანონს საკუთარი დარდი გვაწუხებდა, შევეცადეთ სასიამოვნო გავეხადა საუბარი.

სალამოთი წაგვიყვანეს ჩვენთვის მომზადებულ სადგომში. იგი წარმოადგენდა საცოდავ ქოხს, მიწით შეღესილ ფიცრულს. სადგომი შესდგებოდა ორი თუ სამი ოთახისაგან. გუბერნატორმა ბრძანა, დაედგათ იქ ხუთი თუ ექვსი სკამი და ზოგი რამ აუცილებელი მოწყობილობა.

მანონს თითქოს თავზარი დასცა ამ უბადრული ბინის დანახვამ. ჩემთვის მისი მწუხარება უფრო მწვავე იყო, ვიდრე თვითონ მისთვის. როცა მარტონი დავრჩით, მწარედ ატირდა. დავუწყე დამშვიდება, მაგრამ, როდესაც გამომიცხადა, რომ ვებრალები მე და რომ ჩვენს საერთო უბედურებაში იგი მხოლოდ იმაზე ფიქრობს, რომ მე ეიტანჯები, შევეცადე თავი მხნედ და მზიარულად მეჩვენებინა.

„რატომ უნდა ეიტანჯო? — მივუბნე მე: — ყველაფერი. მაქვს, რაც კი მსურს. თქვენ გიყვარვართ, ხომ მართალია? მე ხომ მხოლოდ ასეთი ბედნიერებისათვის ვვოცნებობდი. მაშ მვიანდლოთ ზეცას ჩვენი ბედი. იგი არ მიმანია მე მეტის-მეტად უნუგეზოდ. გუბერნატორი ზრდილობიანი კაცია, მან ყურადღება მოგვაქცია და ცდილობს არაფერი დაგვაკლოს. რაც შეეხება ჩვენი ფიცრულის სიღატაკეს და უხეშ მოწყობას, აქაურ მცხოვრებთა მცირე ნაწილი თუ დაიკვივნის უკეთესი ქონით და მოწყობილობით. ბოლოს, — დავუმატე და გადავკოცნე, — შენ ხომ გასაოცარი ალქიმიკოსი ხარ: ყველაფერს ოქროდ გადააქცევ“.

„თუ მაგრეა, თქვენ დედამიწაზე უმდიდრესი ადამიანი იქნებით — მომიგო მან, — რადგან, თუ არასოდეს არ ყოფილა ისეთი ძლიერი სიყვარული, როგორიც თქვენია, მაშინ არც არავინ ჰყვარებია სხვას ისე ძლიერ, როგორც თქვენ. მე ვიცი, — განაგრძო მან, — რომ არაფრით არ დამიმსახურებია ეს არაჩვეულებრივი გრძნობა, რომლითაც თქვენ ხართ ჩემს მიმართ გამსჭვალული. მე თქვენ იმდენი მწუხარება მოგაყენეთ, რომ მხოლოდ თქვენს უსაზღვრო გულკეთილობას შეეძლო ეპატიებინა. მე ქარაფშუტა და უგუნური ვიყავი;

თავდაეწეებით მიყვარდით, მაგრამ მაინც უმაღლური ვიყავი თქვენზე ვერ წარმოიდგენთ, როგორ გამოვიცვალე. საფრანგეთიდან ჩვენი წამოსვლას შემდეგ ცრემლებს, რომლებსაც ასე ვღვრიდი, არასოდეს არა ჰქონიათ მიზეზად ჩემი საკუთარი ტანჯვანი. მე ტანჯვას აღარა ვგრძნობდი მას შემდეგ, რაც თქვენ იგი გაინაწილეთ. მე ვტიროდი მხოლოდ თქვენდამი სიბრაღის გამო. მე ჩემი თავისათვის ვერ მიპატიებია ერთი წუთის მწუხარებაც კი, რომელიც თქვენ მოგაყენეთ. მაგრამ ვაყვედრი ჩემს თავს, რომ დაუდევარი ვიყავი, ვფიქრობ იმაზე, თუ რა ჩავადენინათ სიყვარულმა ისეთი უღირსი და უბედური-სათვის, როგორც მე ვარ, და ყოველივე ეს მაღონებს, გულს მიწყულულებს. მთელი ჩემი სისხლით ვერ გამოვისყიდი, — დაუმატა მან, — იმ ტანჯვის ნახევარსაც კი, რომელიც თქვენ მოგაყენეთ“.

მისი ცრემლები, მისი სიტყვები, მისი ხმა, ისეთ გასაოცარ შთაბეჭდილებას ახდენდნენ ჩემზე, რომ მეგონა, თითქოს ჩემი სული ორად იყოფოდა. — ფრთხილად, ფრთხილად, ძვირფასო მანონ — ვუთხარი მე: — არ ძალმიძს შენი ასეთი ძლიერი სიყვარულის ატანა; მოკარბებულ სიხარულს ჩვეული არა ვარ. ოჰ, ღმერთო, — შევძახე: — მეტს არაფერსა გთხოვ: დაარწმუნდი, რომ მანონის გული მხოლოდ მე მეკუთვნის. ის სწორედ ისეთია, როგორსაც მე ვვოცნებობდი. ამიერიდან მე ბედნიერი ვარ: ჩემი ნეტარება ურყევია! — ურყევია! — ვაიმეორა მან, — თუ თქვენ მას ჩემთან აკავშირებთ. მეც ვიცი, სად შემძლია ვიპოვო ჩემი ნეტარება“.

დავიძინე ამ წარმტაცი აზრებით, რომელმაც ჩემი ქოხი უპირველეს მბრძანებლის საკადრის სასახლედ გადააქცია. ამერიკა მე სამოთხედ მეჩვენებოდა. „ვისაც მსურს ნამდვილი სიყვარულის სიტკბოება იგემოს, ახალ ორღეანში უნდა მოვიდეს, — ხშირად ვუბნებოდი მანონს, — სხვაგან არსად არ არსებობს უანგარო, უექვო, უცვლელი სიყვარული. ჩვენი თანამემამულენი აქ ოკროს საბერად მოისწრაფიან. მათ წარმოადგენაც არა აქვთ იმაზე, რომ ჩვენ აქ უფრო ძვირფასი ვანძი მოვიპოვეთ“.

ჩვენ გულმოდგინედ ვიცავდით გუბერნატორთან კეთილგანწყობილებას. იგი იმდენად კეთილი გამოდგა, რომ ჩვენი ჩასვლის რამდენიმე კვირის შემდეგ მომცა პატარა თანამდებობა, რომელიც იმ ხანებში ფორტში განთავისუფლდა. სამსახური უმნიშვნელო იყო, მაგრამ მე ისე მივიღე, როგორც ზეცის წყალობა. ავიყვანე მსახური ჩემთვის და მოახლე მანონისათვის. ჩვენი ოჯახი არც ისე დიდი იყო. წესიერად ვცხოვრობდით, არც მანონი ჩამომრჩებოდა. შემთხვევას არ ვუშვებდით, რომ მეზობლებისათვის რაიმე სამსახური ან დახმარება არ ვაგვეწვია. ოფიციალურმა მდგომარეობამ და ტკბილმა მოპყრობამ მთელი ახალშენის ნდობა და სიყვარული მოგვიპოვა. მალე ჩვენ ისეთი პატივისცემით გვეპყრობოდნენ, რომ ქალაქში გუბერნატორის შემდეგ პირველი პირები ვიყავით.

წყნარმა და მყუდრო ცხოვრებამ ჩვენდაუნებურად მიაქცია ჩვენი გულის-ყური რელიგიასაც. მანონი არასოდეს არ ყოფილა უღმერთო, არც მე ვეკუთვნოდი იმ უკიდურეს თავისუფალ მოაზრეთ, რომელნიც იმით ყოყოჩობენ, რომ ზნეობრივ სიბილწეს ურწმუნობას უკავშირებენ. ყველა ჩემი უწესობის მიზეზი სიყვარული და ახალგაზრდობა იყო. გამოცდილებამ წლების მავიერობა გაგვიწვია: მან მოგვცა ის, რის მოცემაც სიბერეს შეეძლო. ჩვენმა ვინიერმა

ბაასმა შეუმჩნევლად წმინდა სიყვარულთან მიგვიყვანა. მე პირველმა მივეცი წინადადება მანონს დაგვეკანონებინა ჩვენი დამოკიდებულება. მე ვაჩნობდი მის გულს, იგი პირდაპირი და ბუნებრივი იყო. ეს თვისება ყოველთვის ხელს უწყობდა სათნოებას. მე ვაგრძნობინე, რა აკლდა ჩვენს ბედნიერებას. უმჯობეს აქლია ზეცის კურთხევა, — ვუთხარი მე. — ჩვენი სულის ხასხუტუკებს ჩვენი გულის უმანკოებას არ შეშვენის მოვალეობის დავიწყება. ასე ცხოვრება შეგვეძლო საფრანგეთში, სადაც ერთნაირად შეუძლებელი იყო როგორც გვეყვარებოდა ერთმანეთი, ისე ჩვენი სიყვარულის დაკანონება. ხოლო ამერიკაში, სადაც ჩვენ არავისგან არა ვართ დამოკიდებულნი, სადაც არა ვართ იძულებულნი ანგარიში ვაფუწით საზოგადოების პირობით კანონებს, სადაც ჩვენ ცოლქმრად ვითვლებით, ვინ გვიშლის მართლაც დავექორწილდეთ და ვაეპატიოსნოთ ჩვენი სიყვარული ეკლესიის მიერ დაწესებული აღთქმით. მე თქვენ არავითარ ახალს წინადადებას არ გაძლევთ იმით, რომ ჩემს გულს და ხელს ვთავაზობთ. მე მზადა ვარ მხოლოდ ეს საჩუქარი მოგიძღვნათ საკურთხეველის წინაშე“.

შევატყვე, რომ ამ სიტყვებმა გაახარა. — „დამიჯერეთ, — მიპასუხა მან. — ეგ აზრი ბევრჯერ მომსვლია თავში მას შემდეგ, რაც ჩვენ ამერიკაში ვართ. იმის შიში, რომ თქვენ მას არ მოიწონებდით, მაძულებდა გულში ჩამეხშო ეს სურვილი. მე არა მაქვს უფლება მოვითხოვო თქვენი მეუღლედ ვახდომა“.

„ოჰ, მანონ. — შევძახე მე, — სიამოვნებით გაგიხდიდი დედოფლად, ზეცას რომ ენებებინა და გვირგვინოსანი დავებადე. ყოყმანი ზედმეტია. არაფერი შიში არ მოგველის. მე დღესვე მოველაპარაკებო გუბერნატორს და გამოვუტყუდები, რომ აქამდე ვატყუებდით. დეე, უბადრუტ შეყვარებულებს ეშინოდეთ, — დავუმატე მე. — ქორწინების განუწყვეტი ბორკილებისა; ისინი ამ შიშს უეჭველია დაპყარგავდნენ, დარწმუნებულნი რომ იყვნენ სიყვარულის ბორკილების სიმტკიცეში“. მანონს ძალიან გაეხარა ჩემი ვადაწყვეტილება.

მე დარწმუნებული ვარ, რომ ყოველი პატროსანი აღამიანი მოიწონებდა ჩემს განზრახვას იმ მდგომარეობაში, რომელშიაც მე ვიმყოფებოდი, ე. ი. მაშინ, როდესაც მე დამონებული ვყავდი დაუძლეველ ენებას და დატვირთული ვიყავი სინიდისის ტენჯნით. მაგრამ ვინ ვაბედავს და იტყვის, რომ მე მართალი არ ვიყავი, როდესაც ვუჩიოდი გულქვაობას ზეცას, რომელმაც უარყო ჩემი განზრახვა, გამოწვეული მისი გულისმოგების ერთადერთი სურვილით. არა, ზეცამ არა თუ უარპყო, მან დასაჯა კიდევ ეს განზრახვა, როგორც დანაშაული. იგი მოთმინებით მეპყრობოდა, სანამ მე ბრმად მივსდევდი ცოდვის გზას და სამაგიერო ვაღამიხადა და სასტიკი მახვილი ჩამცა სწორედ მაშინ, როდესაც მე კვლავ დავადექი სათნოების გზას. ეუშიშობ. ძალა არ მეყოფა განვაგრძო თბრობა იმ შეებნელ მოვლენაზე, რომლის მსგავსიც არასოდეს არ მომხდარა.

როგორც მანონს დავპირდი, ვავეშურე გუბერნატორთან, რათა ნებართვა მეთხოვნა ჩვენი დაქორწინებისათვის. მე არც მას და არც სხვა ვისმეს არაფერს არ ვეტყობდი ამაზე. დარწმუნებული რომ ვყოფილიყავ რომ მისი მოძღვარი, ერთადერთი სასულიერო პირი ქალაქში, ამ სამსახურს გამიწვედა გუბერნატორის ჩაურევლად. მაგრამ იმედი არა მქონდა, რომ მოძღვარი საიდუმლოს შემინახავდა. ამიტომ ვადავწყვეტიე აშკარად შემოქმედნა.

გუბერნატორს ძმისწული ჰყავდა, სახელად სინელი. ბიძას იგი ძალიან უყვარდა. ოცდაათი წლისა იქნებოდა. მამაკი, მაგრამ ამაყი და კარბიერი კაცი იყო, უცოლშვილო. ჩამოსვლის პირველ დღიდანვე მანონის სილამაზამ მიიქცია მისი ყურადღება. ამ ცხრა თუ ათი თვის განმავლობაში იგი მრავალჯერ შეხვედრია მანონს და ამან ისე გააღვივა მისი სიყვარული, რომ იგი ფარულად იტანჯებოდა. მაგრამ რაკი თავის ბიძასავით დარწმუნებული იყო, რომ მე ნამდვილად ჯვარდაწერილი ვარ, თავისი გრძნობა მას არაფრით გამოუმჯლავნებია, პირიქით, ყურადღებით მექცეოდა და მრავალ შემთხვევაში სამსახურსაც მიწევდა.

ფორტში რომ მივედი, ის ბიძასთან დამხვდა. მე არავითარი საბაბი არა მქონია დამეფარა მისთვის ჩემი განზრახვა. ამიტომ მისი თანდასწრებით ყველაფერი ავუხსენი გუბერნატორს. გუბერნატორმა ჩვეულებრივი გულკეთილობით მომისმინა. მე ვუთხარე მას ჩემი თავგადასავლის ნაწილი, რომელიც მან სიამოვნებით მოისმინა და როდესაც ვთხოვე დასწრებოდა ჯვარისწერას, იმდენი გულკეთილობა გამოიჩინა, რომ ზეიმის ხარჯები თვითონ იკისრა. სრულად კმაყოფილი გამოვედი.

ერთი საათის შემდეგ ჩემთან მღვდელი შემოვიდა. ვაგიფიქრე ჩემი ჯვარისწერის გამო მოვიდა და უნდა ზოგი რამ ჩრევა-დარიგება მომცეს-მეთქი. მაგრამ იგი ცივად მომესალმა და ორიოდ სიტყვით განმიცხადა. რომ ბ-ნი გუბერნატორი მიკრძალავს ფიქრსაც კი ჯვარის დაწერაზე, და რომ მანონის შესახებ მას სხვა გადაწყვეტილება აქვს მიღებული. «სხვა გადაწყვეტილება მანონის შესახებ? — შევძახე მე და გულზე საშინელი ბოღმა შემომაწეა: — რა გადაწყვეტილება. ბატონო ჩემო?» — თქვენ უნდა იცოდეთ. — მიპასუხა მან, — რომ აქაურობის ბატონ-პატრონი გუბერნატორია. მანონი საფრანგეთიდან გამოგზავნილი იყო ახალშენისათვის და გუბერნატორს უთლება აქვს, მისი ბედ-იღბალი თავის შეხედულებისამებრ გადასწყვიტოს. აქამდე ასე არ მოიქცა, რადგან ეგონა, გათხოვილიაო, ახლა კი, როცა თქვენგანვე გაიგო, რომ გათხოვილი არ არის, გადასწყვიტა ეს ქალი ბ-ნ სინელეს მისცეს, რომელსაც იგი უყვარს*.

კეთილგონიერებამ თავი ვერ შემაკავებინა. მე ამჟამად მოძღვარს ხელი კარებისკენ ვაფუშვირე და შევძახე, რომ ვერც გუბერნატორი, ვერც სინელი და ვერც მთელი ქალაქი ვერ გაბედავს ხელი ახლონ ჩემს ცოლს თუ ჩემს საყვარელს, რაც არ უნდა უწოდონ მას.

მე მაშინვე გადავეცი მანონს ეს საშინელი ამბავი. ცხადი იყო, ჩემი წამოსვლის შემდეგ სინელმა აიძულა თავისი ბიძა შეეცვალა აზრი და რომ ეს თიღინის მისწრაფების ამბავი უნდა ყოფილიყო. ისინი ჩვენზე ძლიერი იყვნენ. ახალ ორღეანში ცხოვრება ნიშნავდა გაშლილ ზღვაში ყოფნას, ჩვენ დიდა ნაძილით ვიყავით დაშორებული დანარჩენ ქვეყნიერებას. სად უნდა გავქვეულოყავით ამ დაუსრულებელ უდაბნოში, მზეცებით და მათ მსგავს ადამიანებით დასახლებულ ქვეყანაში? მე ქალაქში პატივს მცემდნენ. მაგრამ იმედი არა მქონდა იმდენად ამეღელეგებინა ხალხი, რომ საკმაო დახმარება მიმეღო. აქ საჭირო იყო ფული, მე-კი ლატაკი ვიყავ, ამასთან, საეჭვო იყო ხალხის აჯანყება. ბედს რომ ელაღატნა ჩვენთვის, უბედურების თავიდან აცილება შეუძლებელი იქნებოდა.

ეს აზრები თავში მიტრიალებდა. ზოგი მათგანი მანონს გავუწიარე. სანამ პასუხს გამცემდა, ახალ აზრს ვადგებოდი; ყოველ წუთს გვემას უცვლილი, ჩემს თავს ველაპარაკებოდი, ჩემს აზრებს ხმამაღლა ვუპასუხებდი. ბოლოს, ისე აღელვდი, რომ მსგავს რაიმეს ვერც წარმოიდგენს ადალმიანე, მწიფულეფელს არ მაშორებდა: ჩემი აღშფოთების მიხედვით ზომაედა საშინაო მშობლებს. იგი ჩემთვის უფრო შიშობდა, ვიდრე თავისთვის და ხმის ამოღებას ვერ პედავდა.

დაუსრულებელი ლელვის შემდეგ გადაწყვეტიტ გუბერნატორი მენახა და მომეგონებინა მისთვის, რა პატივით ვეპყრობოდი და როგორ ვუყვაროდი. მანონი ჩემი იქ წასვლის წინააღმდეგი იყო. „აშკარად სიკვდილზე მიდიხარო, — მუღუნებოდა იგი თვალცრემლიანი, — ისინი მოგკლავენ; ველარ განახეთ: მე უნდა მოგკვდე თქვენზე აღრე“. დიდი შრომა დამუირდა დამერწმუნებინა, რომ ჩემი წასვლა აუცილებელი იყო, ის კი შინ უნდა დარჩენილიყო. დავბირდი, მალე დაებრუნდები-მეთქი. მან არ იცოდა და არც მე ვიცოდი, რომ სწორედ მას უნდა დასტებოდა ზეცის რისხვა და ჩვენი მტრების სიმკაცრე.

გავეშურე ფორტისკენ. გუბერნატორი მღვდელთან ერთად დამხვდა. თავი ძალზე დავიმდაბლე, მორჩილად ვემუდარებოდი. სხვა დროს ასეთი მოქცევისგან სირცხვილით დავიწვოდი. მოვეუყვანე ათასი მოსაზრება, რაც უშეძველად იმოქმედებდა ყველა სხვაზე, თუ კი მას გააფთრებული და მრისხანე ვეფხის გული არა ჰქონდა.

ეს ბარბაროსი ყოველ ჩემს მუდარაზე მხოლოდ ორ რამეს იმეორებდა: მანონი მის განკარგულებაშია, მან სიტყვა მისცა თავის ძმისწულს. გადაწყვეტილი მქონდა თავი შემეკავებინა, ამიტომ განუუცხადე მხოლოდ, რომ ის ჩემ დიდ მეგობრად მიმაჩნია, რომ იგი არ მოისურვებს ჩემს სიკვდილს, რაც აუცილებელი იქნება, თუ სატრფოს დავკარგავ-მეთქი.

გუბერნატორს გავშორდი სავსებით დარწმუნებული, რომ იმედი აღარ უნდა მქონოდა ჯიუტი მოხუცისა, რომელიც მზად იყო სულიც კი გაეყიდა თავისი ძმისწულისათვის. მე მაინც გადაწყვეტილი მქონდა ბოლომდე გარეგნულად მორჩილი ვყოფილიყავ, მაგრამ თუ უსამართლობა გაიმარჯვებდა, მე ჩვენებინა ამერიკისათვის უსაშინელესი სისხლიანი სანახაობა, რაც კი ოდესმე სიყვარულს შეუქმნია.

გბრუნდებოდი შინ და ვარკვევდი ჩემი მოქმედების გვემას, როცა ბედმა, რომელიც ჩემს დაღუპვას აჩქარებდა, სინელეს შემახვედრა. მან ჩემს თვალებში ნაწილობრივ ჩემი აზრებიც ამოიკითხა. მე უკვე ვსთქვი, რომ ის მამაცი კაცი იყო. იგი მომიახლოვდა: „აღბათ, მე დამეძებო? — მომმართა მან. — ვიცი, რომ ჩემი განზრახვა შეურაცხყოფთ და რომ სისხლის დაუღვრელად ვერ მოვრიგდებით: ენახოთ, ვინ უფრო ბედნიერია“. თანხმობა გამოვუცხადე და ვთქვი, რომ ჩვენს დავას მხოლოდ სიკვდილი გადასწყვეტს-მეთქი.

ქალაქს ასიოდე ნაბიჯით დავშორდით და დაშნები ვიშვივლეთ. მე იგი თითქმის ერთსა და იმავე დროს დავქერი და განვიაარადე. იგი იმდენად გააბრაზა დამარცხებამ, რომ არ მოისურვა შებრალების თხოვნა და მანონზე ხელის აღება. მე უფლება მქონდა წამერთმია მისთვის სიცოცხლეც და მანონიც, მაგრამ კეთილშობილი სისხლი არასოდეს არ ღალატობს თავის თავს. მე დაშნა გადავუგდე და შევძახე: „დავიწყით ხელახლა, მაგრამ იცოდეთ, შებრალებ-

ზას ადგილი არ ექნება“. მან გაათრებით შემომიტია. უნდა გამოვიტყუე, რომ ფარეკობაში დახელოვნებული არ ვიყავი, რადგან მხოლოდ ხამ თვეს გასწავლობდი მას პარიზში. ჩემს მახვილს სიყვარული მართავდა. სინელმა დაშნა ხელში გამიყარა. მაგრამ მე დრო შევეურჩიე და იმდენად მძიმედ დამეძინე, რომ უსულოდ დაეცა ჩემს ფეხებთან.

იმ სიხარულის მიუხედავად, რომელსაც სასიკვდილო ბრძოლის შემდეგ გამარჯვება იძლევა, დაუყოვნებლივ წარმოვიდგინე ამ მკვლელობის შედეგი. იმედი არ უნდა მქონოდა არც შეწყალებისა და არც სასჯელის გადადებისა. ვიცი, როგორ უყვარდა გუბერნატორს ძმისწული, დარწმუნებული ვიყავ, რომ როცა იგი მის სიკვდილს გაიგებდა, ამას ჩემი სიკვდილით დასჯაც მოჰყვებოდა. ეს შიში სავსებით საფუძვლიანი გახლდათ, მაგრამ ჩემი მწუხარების მთავარი მიზეზი ეს არ იყო. მანონის ბედი, ის საფრთხე, რომელიც მას მოელოდა, — აი რამ ამაშფოთა ისე, რომ თვალთ დამიბნელდა და გონს ვერ მოველი. შევნატროდი სინელეს ხვედრს: სიკვდილი, მხოლოდ სიკვდილი მიმანდა ჩემი ტანჯვის ერთადერთ მალამოდ.

სწორედ ამ აზრმა მომიყვანა გონს. „როგორ! მე მინდა სიკვდილი, მინდა ჩემს ტანჯვას ბოლო მოეულო! — წამოვიყვირე მე, — მაშასადამე, ყოფილა იმაზე უფრო საშინელი რამ, ვიდრე სატრფოს დაკარგვაა?! არა, შეუძლებელია ეს! ავიტან უკიდურეს ტანჯვას, ოღონდ ჩემს სატრფოს ვუშველო; სიკვდილს კი მოვასწრებ მაშინ, როცა ყოველივე ამაო იქნება“.

ქალაქისაკენ გავეშურე. როცა შინ მივედი, მანონი შიშისა და მწუხარებისაგან ცოცხალ-მკვდარი დამიხვდა. ჩემმა დანახვამ გამოაბრუნა. ვერ დავუმალე ის საშინელი შემთხვევა, რაც ვადაშხდა. სინელეს სიკვდილისა და ჩემი დაპირის გაგონებაზე იგი უგრძობლად დაეცა, თხუთმეტი წუთი მაინც მომინდა მის მოსასულიერებლად.

თვითონაც ცოცხალ-მკვდარი ვიყავი. წინ არავითარ იმედს აღარ ვხედავდი. ან ის როგორ დამეხსნა, ან ჩემი თავისთვის რა მეშველნა. „მანონ, როგორ მოვიტყუო? — შევეკითხე, როცა გონს მოვიდა — რა გვეშველება? მე აუცილებლად უნდა გავიქცე. ვინდა ქალაქში დარჩენა, დიახ, დარჩით აქ. თქვენ კიდევ მოესწრებით ბედნიერებას, მე კი წაველ, რომ, თქვენგან მოშორებულმა, ველურთა შორის და ნადირთა ბრქვალებში ვიპოვო სიკვდილი“.

იგი წამოდგა, თუმცა ძალზე დასუსტებული იყო, მკლავში ხელი წამავლო და კარებთან მიმიყვანა. „გავიქცეთ ერთად, — მითხრა მან, — დროს ნულარ დავკარგავთ. სინელეს გვამს შეიძლება შემთხვევით წააწყდნენ, და გასაქცევი დრო აღარ დავგრჩება“. „მაგრამ, ძვირფასო მანონ, — მივუგე მე თავგზადაბნეულმა, — მითხარით, სად წავიდეთ? განა არის კიდევ რაიმე იმედი? უმჯობესი არ იქნება დარჩით აქ უჩემოდ, მე კი დავნებდე გუბერნატორს?“

ამ წინადადებამ უფრო გააძლიერა მასში გაქცევის სურვილი. მეც იძულებული გახდი, გავყოლოდი. იმდენი ვონება კიდევ შემჩნა, რომ წასვლისას თან წავიღე მაგარი სასმელები, რაც კი ჩემს ოთახში მოიპოვებოდა, და მთელი სურსათ-სანოვავე, რაც ჯიბეებში ჩამეტია. მოსამსახურეს, რომელიც მეორე ოთახში იყო, ვუთხარი, გასასიერებლად მივდივარ — მეთქი (სალამობით გასიერება წესად გვექონდა შემოღებული). სწრაფად გავედით ქალაქიდან. რამდენადაც კი მანონის სისუსტე ამის ნებას გვაძლევდა.

თუმცა ჯერ კიდევ ვყოყმანობდი საიმედო თავშესაფარის არჩევნაში, მაგრამ ორი იმედი მაინც მასულდგმულეობდა. ამის გარეშე მე სიყვდილს ვარჩევდი, ვიღრე არ ცოდნა იმისა, თუ რა მოელოდა მანონს. იმ ათი თვის განმავლობაში, რაც ჩვენ ამერიკაში ვიყავით, საკმაოდ ვავიციანი ვიყავით და ვიცოდით, თუ როგორ უნდა მოვებყრობოდი ველურებს. ვიცოდი ისიც, რომ თუ კაცი მათ მიენდობოდა, მის სიცოცხლეს შიში არ მოელოდა. მე რამდენიმე სიტყვაც კი ვისწავლე მათ ენაზე და მათთან შეხვედრის დროს ვავეციან ზოგიერთ მათს ზნე-ჩვეულებას.

ამ სამწუხარო იმედის გარდა, მე ინგლისელების იმედიც მქონდა. მათ ამ ახალ ქვეყანაში ჩვენსავეთ აქვთ ახალშენები, მაგრამ მაშინებდა მანძილი: მათ ახალშენებამდე უნდა გვეარნა რამდენიმე დღე და ვაგვევლო უნაყოფო ვაკეები და მთები, იმდენად მაღალი და დაქანებული მთები, რომ იქ ვავლა ლონიერ და ვამძლე ადამიანებსაც უჭირთ. მე მივინც იმედი მქონდა, რომ ვამოვიყენებდი როგორც ერთ, ისე მეორე შესაძლებლობას — ველურები გზას გვიჩვენებდნენ, ხოლო ინგლისელები თავშესაფარს მოგვცემდნენ თავიანთ ახალშენებში.

მივდიოდით შეუჩერებლად, რამდენადაც მანონს ძალა შესწევდა და ვავიარეთ დაახლოებით ორი მილი. ამ ხნის განმავლობაში ჩემი სატრფო დაეინებით უარს ამბობდა დასვენებაზე. ბოლოს, ძალ-ღონე ვამოლეული ვამომიტყდა, რომ სიარული აღარ შემიძლიაო. უკვე დაღამდა, მინდორში დაესხედით, ზეც კი არსად იყო, რომ თავი შეგვეფარებინა. მისი უპირველესი საზრუნავი ის იყო, რომ ჩემი ჭრილობისათვის შესახვევი ვამოეცვალა. ამაო იყო ჩემი წინააღმდეგობა; მე მას ვაწყენინებდი, თუ საშუალებას არ მიეცემდი დარწმუნებულყო, რომ კარგად ვარ და არავითარი საფრთხე არ მომელის. რამდენიმე წუთით დავემორჩილე მის სურვილს.

როცა ჩემზე ზრუნვას მორჩა, — ეხლა მე შევეუდექი სამაგიეროს ვადახდას. ზედა სამოსი ვავიხადე და მიწაზე ვავფინე, რათა უფრო მოხერხებულად დაწოლილიყო მაგარ მიწაზე. უარს აცხადებდა, მაგრამ ვიძულე მიეღო ჩემი ზრუნვა. ვუთბობდი ხელებს მხურვალე კოცნით და ჩემი სუნთქვის სიმზურვალით. მთელი ღამე უძილოდ ვავატარე მის გვერდით. ზეცას შევღალადებდი, მიეცა მისთვის ტკბილი და მშვიდი ძილი. ოჰ, ღმერთო, მხურვალე და გულწრფელი იყო ჩემი მუდარა და რა სასტიკად უარპყავი იგი!

ნება მომეცით რამდენიმე სიტყვით დავასრულო ჩემი ამბავი, რის ვახსენებაც ვუღს მიკლავს. ვიამბობთ იმ მწუხარებაზე, რომლის მსგავსიც არავის ვანუცდია და ვერც ვანიცდის. თუმცა იგი ვანუშორებლივ და ვანუწყვეტლივ ჩემს მესხიერებაში სცოცხლობს, მაგრამ ჩემი სული სასოწარკვეთილებას ეძლევა ყოველთვის, როცა ვიწყებ მის ვადმოცემას.

ღამის ნაწილი მშვიდად ვავატარეთ. მეგონა, ჩემს ძვირფას სატრფოს ჩაეძინა-მეთქი, და მე სუნთქვისაც კი მეშინოდა, რომ მისთვის ძილი არ დამეფრთხო. ვანითადისას, როცა მის ხელებს შევეხე, ვიგრძენი, რომ ცივი ჰქონდა და უკანკალედა. გულში ჩავიხუტე, რომ ვამეთბო. მან იგრძნო ჩემი მოძრაობა, ხელიხელზე მომიჭირა და მისუსტებული ხმით მითხრა, ჩემი აღსასრულის ეამი ახლოვდებაო.

ეს მე უბედურებაში მყოფის ჩვეულებრივი ჩივილი მეგონა და მხოლოდ ნაზი სასიყვარულო აღერსით ვუპასუხე. მაგრამ მისმა განპირობებულმა სუნთქვამ, ჩემს შეკითხვებზე პასუხის გაუცემლობამ, ხელების ყვეუწყვეტი დამარწმუნეს, რომ შორს არ იყო მისი ტანჯვის დასასრული. ვიხსენებ

ნუ მომთხოვთ ნურც ჩემი განცდის აწერას და ნურც მისი უკანასკნელი ამოძახილის გადმოცემას. მე მანონი დავკარგე; იგი სიყვარულს მიმტკიცებდა სიკოცხლის უკანასკნელ წუთებშიაც კი. აი ეს არის ყველაფერი, რაც მე შემძლიან ვიამბოთ ამ საბედისწერო და სამწუხარო შემთხვევის შესახებ.

ჩემი სული არ ვაპყვა მის სულს, ცხადია, ზეცამ საკმაოდ დასჯილად არ მიმიჩნია. მას სურდა, რომ ამის შემდეგაც მეცხოვრა უბადრუკი და შესაბრალისი ცხოვრებით.

მთელი დღე-ღამის განმავლობაში ტუჩები არ მომიშორებია ჩემი ძვირფასი მანონის სახესა და ხელებისაგან. ჩემი განზრახვა იყო, იქვე მომეკვდარიყავი, მაგრამ მესამე დღის დასაწყისს მოვიხსარე, რომ ჩემი სიკვდილის შემდეგ მისი სხეული მზეცების საჯიჯგინი ვახდებოდა. გადავწყვიტე დამემარხა და მის საფლავზე დამეცადა სიკვდილისათვის. სიმშლიისა და ტანჯვისაგან ძალზე დასუსტებული ვიყავ. ფეხზე ძლივს ვიდექ. იძულებული ვაგებდი მაგარი სასმელებისათვის მიმემართა; ამან მე იმდენი ძალა შემმატა, რომ შევძელი სამწუხარო წესის შესრულება. ძნელი არ იყო საფლავის გათხრა იმ ადგილას სადაც მე ვიყავი; ნიადაგი ქვიშიანი აღმოჩნდა. გადავტეხე დაწნა და ბარის მაგიერ ვიხმარე, თუმცა მან ნაკლები სამსახური გამიწია, ვიდრე საკუთარმა ხელებმა. ფართო საფლავი ამოვთხარე და ჩავუშვი შიგ ჩემი გულის ქურუმი. ჩემი ტანისამოსი გამოვიყენე იმისათვის, რომ ქვიშა არ შეჰხებოდა. სანამ ჩავასვენებდი, ათასჯერ ვაკოცე მგზნებარე სიყვარულით. იქვე დავუჯექი და დიდხანს შევეყურებდი. ვერ გადამიწყვიტა საფლავის ამოვსება. ვატყობდი, რომ ვსუსტებოდი. შემეშინდა მუშაობის გათავებამდე ძალა არ გამომლეოდა, ამიტომ მოვიკრიბე უკანასკნელი ძალღონე, და მიწას მივებარე ის, რაც მასზე ყველაზე უფრო სრულყოფილი და ძვირფასი იყო. შემდეგ დავემხე პირქვე საფლავზე. თვალები დავხუჭე, რათა არასოდეს აღარ გამეხილა, ზეცას შევთხოვე დახმარება და დავუწყე ცდა სიკვდილს.

შეიძლება თქვენთვის ძნელი დასაჯერებელი იყოს, რომ ამ სამწუხარო წესის შესრულებისას თვალიდან ერთი ცრემლი არ ჩამომვარდნია და პირიდან ერთი ოხვრა არ აღმომხდენია. ღრმა სევდამ, რომელსაც მე ვანეციდიდი და სიკვდილის სურვილმა ძირშივე წარკვეთეს სასოწარკვეთილება და მწუხარების ყოველი გამოვლინება. ამ მდგომარეობაში ერთხანს ვეგდე საფლავზე და ბოლოს შეგნებისა და აზროვნების უკანასკნელი უნარი დავკარგე.

ყოველივე იმის შემდეგ, რაც თქვენ ეხლა მოისმინეთ, ჩემი ისტორიის დასასრული იმდენად უმნიშვნელოა, რომ არ არის ღირსი თქვენი პატივსაცემი ყურადღებისა. როდესაც სინელეს გვამი ქალაქში გადაიტანეს და ჭრილობა გაუსინჯეს, აღმოჩნდა, რომ იგი არა თუ არ მომკვდარა, არამედ მას საშიში ჭრილობაც არ აღმოაჩნდა. მან უამბო ბიძას ჩვენს შეტაკებაზე, ამასთან იმდენი კეთილშობილება გამოიჩინა, რომ აცნობა ისიც, თუ როგორი პატივით მოვექცევი მე. დამიწყეს ძებნა, როცა ვერ გვიპოვნეს ვერც მე და ვერც მანონ-

ნი, დასკვნეს, რომ გავიქეციოთ. რადგან გვიან იყო, იმავე დღეს მღევარი არ გამოვიყენეს; მაგრამ, მეორე და მესამე დღე მთლად ჩვენ თებნას მონაღმეს.

მიპოვნეს ცოცხალ-მკვდარი მანონის საფლავზე. როდესაც დაინახეს, რომ ტიტველი და სისხლში მოსვრილი ვარ, დაასკვნეს, რომ ვიღაც კვამლეს და გამძარცვეს. ქალაქში წამასვენეს. მოძრაობამ გზაში გონს მომიყვანა. თვალების გახელამ და კვნესამ დაარწმუნა ისინი, რომ ჩემი შველა კიდევ შეიძლება; ჩემდა საუბედუროდ კვლავ დამიბრუნეს სიცოცხლე.

დაბატიმრება მაინც არ ამცდა. დაიწყეო გამოძიება. და რაკი მანონი არსად აღმოჩნდა, ბრალი დამდეს, რომ მე ეკვიით შეპყრობილმა მოვკალი იგი. უბრალოდ და გულახდილად მოვუყევი მათ ეს სამწუხარო ამბავი.

ამ ამბავმა ძალზე დააღონა სინელე, მაგრამ იგი მაინც იმდენად სულგრძელი აღმოჩნდა, რომ შეწყნარება იშუამდგომლა და კიდევ მიაღწია მიზანს.

მე ისე დასუსტებული ვიყავი, რომ იძულებული იყენე სატუსალოდან პირდაპირ საწოლში გადავეყვანე, სადაც მძიმე ავადმყოფობამ სამი თვე სარეცელს მიმაკრა. ზიზლი სიცოცხლისადმი არ სუსტდებოდა. განუწყვეტლბე სიკვდილს მოვუწოდებდი და დიდხანს არავითარ წამალს არ ვიკარებდი. მაგრამ ზეცამ, დამსაჯა რა მკაცრად, მოისურვა ჩემს სასარგებლოდ მოექცია ჩემი უბედურება და სასჯელი: მან თვალები ამიხილა და ამით ჩემს აზრებს მისცა ჩემი წარმოშობისა და აღზრდის შესაფერი მიმართულება.

ჩემს სულში თანდათან სიმშვიდემ დაისადგურა და ამ ცვლილებას მალე ჩემი განკურნებაც მოჰყვა. მიეყევი პატიოსნების კარნახს და შევედექი ჩემი პატარა თანამდებობის აღსრულებას, თანაც ველოდი საფრანგეთიდან ვემებს. რომლებიც წელიწადში ერთხელ მოდიან ამერიკის ამ ნაწილში. სამშობლოში დაბრუნება გადავწყვიტე. იქნებ იქ კეთილგონიერი და ღირსეული ცხოვრებით გამოემსწორებინა ჩემი სამარცხვინო ყოფაქცევა. სინელემ ითავა და ჩემი ძვირფასი სატრფოს გვამი ღირსეულ ადგილას გადაატანინა.

გავიდა თვენახევარი ჩემი მორჩენის შემდეგ, და აი ერთ დღეს, როდესაც სანაპიროზე დავსეირნობდი, დავინახე რომ მოვიდა გემი, რომელიც სავაჭრო საქმეებს მოეყვანა ახალ ორლენში. თვალყურს ვადევნებდი გემიდან გადმოსულ მგზავრებს და ძალზე გავეოცდი, როდესაც ტიბერეი დავინახე. მან გადმომცა, რომ მისი მოგზაურობის ერთადერთი მიზანი ის იყო, რომ მოვეძებნე და საფრანგეთში დავებრუნებინე. მიამბო: მიიღო თუ არა პავრიდან ჩემი წერილი, გამოეშურა იქ, რომ დამხმარებოდა, მაგრამ ძალიან შესწუხდა, როცა ვაიგო, რომ უკვე წასული ვიყავი. მაშინვე გამომყვებოდა, რომ ენახა წამომსვლელი გემი. იგი რამდენიმე თვეს ეძებდა ასეთ გემს სხვადასხვა ნავთსადგურში და ბოლოს, სენ-მალოში იპოვა გემი, მარტინიკაში მიდიოდა. ტიბერეი ჩაუკდა ამ გემში იმ იმედით, რომ მარტინიკიდან უფრო ადვილად მოახერხებდა ახალ ორლენში ჩასვლას. მაგრამ გზაში გემი ესპანელ მეკობრეებს ჩაუვარდათ ხელთ, რომელთაც იგი თავის კუნძულზე მიიყვანეს, იქიდან ტიბერემა გაპარვა მოახერხა. ბევრი ხეტიალის შემდეგ შეთხვევით შეხვდა პატარა გემს, რომელმაც ჩემამდე მოაღწია.

მე არ ვიცოდი, რა სიტყვებით გამომეხატა მადლობა ესოდენ სულგრძელი და მტკიცე მეგობრისათვის, იგი ჩემთან წაეყვანე, შევთავაზე ყველაფერი, რაც კი გამაჩნდა. უფაშე ყოველივე, რაც გადამხდა საფრანგეთიდან წა-

მოსვლის შემდეგ, და მისთვის რომ მესიამოვნებინა, დავუმატე, რომ სათნოების იმ თესლმა, რომელიც მან ჩემს გულში ოდესღაც დასთესა, ვაიჩარა და ნაყოფი გამოიღო. ამას იგი უნდა დაეკმაყოფილებინა. მართლაც უმბერეკმა მითხრა, რომ ამ სასიამოვნო ამბავმა აღნაზღაურა მას მტკილო-მსუგხსნებლობის სიმწველი.

ჩვენ ერთად გავატარეთ ორი თვე ახალ ორლეანში. ევლოდებოდით საფრანგეთიდან გემებს. ბოლოს შევეცურეთ ზღვაში და ორი კვირის წინად პავრში გადმოვედით. ჩამოსვლისთანავე ჩვენებს წერილი მიეწერე. ჩემი უფროსი ძმის პასუხიდან ვაეიგე სამწუხარო ამბავი: მამა გარდაცვლილა. მწუხარებით ვფიქრობ, რომ ჩემმა ცუდმა ყოფაქცევამ დააჩქარა მისი სიკვდილი. ვისარგებლე ზურგის ქარით და გავწიე კალესაკენ. იქიდან წავედი ერთ აზნაურთან, ჩემს ნათესავთან, რომელიც ქალაქიდან რამდენიმე მილის მანძილზე ცხოვრობს. იქ უნდა შევხვედე ჩემს ძმას, როგორც იგი თავისი წერილით მატყობინებს.

თარგმანი ფრანგულიდან

პიეტრუკო ირემბაქისა.

(დასასრული)



ბას. ჟღანბი

გვალი ბიგვა

ლეო ქიაჩელის რომანი

ლეო ქიაჩელის ახალ რომანს „გვალი ბიგვა“-ს ერთსულოვანი მოწონებით შეხედნენ მასიური მკითხველი. სამწერლო საზოგადოებრივობა, პრესა, სწავლელთა კრიტიკა. ეს აიხსნება არა მარტო ნაწარმოების უდავო ესთეტიური ღირსებებით, არამედ პირველყოფლისა იმით, რომ ეს წიგნი მკაფიო და მართალი ანარეკლია ჩვენი დიადი სოციალისტური სინამდვილისა, იგი წრფელი და ღრმა აზრით აღბეჭდილი გამოძახილია საბჭოთა ხალხის ცხოვრების ძირითად მოვლენაზე.

ყოველი ჭეშმარიტად მხატვრული ქმნილება თავისი დროის, თავისი ხალხის მამოძრავებელი და მასულდმგულებელი იდეებით არის შთაგონებული. თუ ეს აზრი მართალია მხატვრული კულტურის მთელი ისტორიის მიმართ, განსაკუთრებულის ძალით შეეხება იგი სოციალისტური ეპოქის მწერლობას, რომლის მთელი დანიშნულებაც უაღრესად საპატიო და საპასუხისმგებლო მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის ამოცანით განისაზღვრება. ახალი კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში აქტიური მონაწილეობის, საბჭოთა ხალხის კომუნისტურად აღზრდისათვის, ახალი ადამიანის სოციალისტური ფსიქიკის დამკვიდრებისათვის ბრძოლის ამოცანით.

მწერლის დანიშნულების ასეთი გაგებით არის ნაკარნახევი ლეო ქიაჩელის „გვალი ბიგვა“. როგორც თავისი იდეური მიზანმისწრაფებით, ისე თემატიკის მხრივ იგი ღრმად აქტუალური ნაწარმოებია, მთლიანად დაკავშირებული საბჭოთა ხალხის ცხოვრებასა და ბრძოლის სინამდვილესთან, მის მიზნებთან და მისწრაფებებთან.

რომანი თავისებური, ორიგინალური მხატვრული საშუალებებით მოგვითხრობს იმის შესახებ, თუ როგორ იმსხვერვეიან და ილუპებთან ჩვენს დიად სოციალისტურ სამშობლოში კაპიტალისტური წარსულის უკანასკნელი ნარჩენები, როგორი ძლევამოსილებით მკვიდრდებიან საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში სამეურნეო და ყოფაცხოვრებითი ურთიერთობის ახალი, სოციალისტური ფორმები, როგორის ძალით ყალიბდება და იწერება კომუნისზმის მშენებელ ადამიანთა სოციალისტური შეგნება, კომუნისტური სულისკვეთება.

კაპიტალიზმის ნაშთების დაძლევისა და საბჭოთა ადამიანის სოციალისტური სულისკვეთების განმტკიცების პროცესის ამსახველი რომანი „გვალი ბიგვა“ ლეო ქიაჩელმა საკომეურნეო სოფლის ფონზე გაშალა. რომანის გმირებს — სოციალისტური სოფლის ადამიანები წარმოადგენენ. მათი მოქმედების არეს — გარდაქმნილი და განახლებული სოფელი შეადგენს.

რომანი ასახავს საკოლმეურნეო წყობილების საბოლოოდ გამარჯვებისა და განმტკიცების შედეგად სოფლად დამკვიდრებული შეძლებული და მზიური ცხოვრების სინამდვილეს. ორკეთის კოლმეურნეობაში გაშლილი მშენებლობა ახალი ოდებისა, ორკეთელ და სანარჩელ კოლმეურნეობაში მშენებლობითი გმირობისა და კულტურული ცხოვრების უკეთესი მჩვენებლებისათვის, ჩაის პლანტაციებით ამშვენებული ველები, ახლად გაყვანილი ფართო მოკირწყლული შარაგზები და მათზე მჭროლავე ავტო-მანქანები, „გვადი ბიგვა“-ს პერსონაჟების მოქმედების ეს კოლორიტულად და ცხოვლად დახატული არე, ეს ფონი რომანის სიუჟეტური დრამისა უკვე მკაფიოდ გვაგარძნობინებს, რომ სოფლად ძლევამოსილად განხორციელდა სოციალისტური რევოლუციის უძლიერესი ამოცანა — საბოლოოდ ვაიმარჯვა საკოლმეურნეო წყობილებამ — ერთხელ და სამუდამოდ განადგურდა განკერძოებული ერთპიროვნული მეურნეობის მამაპაპეული ტრადიცია და სოციალისტური შრომის რელსებზე გადასული საკოლმეურნეო გლებობის ცხოვრება სულ უფრო და უფრო ხალისიანი, შეძლებული, მზიური, კულტურული ხდება.

მაგრამ ამ რომანის ძალა და ღირსება იმდენად გარემოცვის აღწერილობაში კი არ მდგომარეობს, არამედ, უმთავრესად პერსონაჟების ხასიათის ცხოვლად და მკაფიოდ დახატვაში და ამ ხასიათის დაპირისპირების ნიშანდგზე წარმოშობილი მძაფრი კონფლიქტებისაგან შედგენილი სიუჟეტური დრამის განვითარებაში.

ლეო ქიაჩელის, როგორც რეალისტი მხატვრის, როგორც ახალი ქართული პროზის ერთერთი შესანიშნავი ოსტატის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ იგი ყოველთვის ისწრაფვის თავის ნაწარმოებს საფუძვლად დაუდოს აქტუალური საზოგადოებრივი იდეა და იგი რელიეფურად დახატულ ადამიანთა სახეებში, გამძაფრებულსა და მთლიანი კომპოზიციით გამოკვეთილ სიუჟეტურ დრამაში განასახიეროს.

მისი მხატვრული ინტერესისა და ყურადღების ცენტრში ყოველთვის თავისებური, განსაკუთრებულად რთული ხასიათის ადამიანი სდგას. იგი შეგნებულად გვერდს უვლის ან ნაწარმოების მეორე პლანზე აყენებს ჩვეულებრივს, მკაფიო ინდივიდუალობას მოკლებულ ადამიანებს. თავისი გმირების ცხოვრების დახატვისას ლეო ქიაჩელი ნაკლებად ინტერესდება მათი ცხოვრების, ასე ესთქვათ, ყოველდღიურობის პროზით, მათი ჩვეულებრივი, ყოფაცხოვრებითი ბიოგრაფიით. იგი ისწრაფვის დაიჭიროს თავისი გმირის ცხოვრების ყველაზე გამძაფრებული, საუღელტეხილო მომენტები და სწორედ, ასეთ ვითარებაში მოაქციოს იგი თავისი მხატვრული ხედვის ასპექტში. გმირის ბიოგრაფიის და მოქმედების შოლოდ ის მხარე იზიდავს მწერალს, თუნდაც უკიდურეს დეტალში გამოხატული, რომელიც გვიჩვენებს ამ გმირის ხასიათის ინდივიდუალობას, ან რომელიც ასაბუთებს და ამზადებს ნაწარმოებში დასაბუთებულ ფაბულური სიტუაციების განვითარებას.

ლეო ქიაჩელის ეს შემოქმედებითი თავისებურებანი მკაფიოდ არიან გამოვლენებულნი მის რომანებში „ტარიელ გოლუა“ და „სისხლი“, მის „ჰაკი აძაში“, მის საუკეთესო ნოველებში. მაგრამ გმირის ხასიათის მხატვრობისა და სიუჟეტური კომპოზიციის განსაკუთრებული ძალა მწერალმა სწორედ თა-

ვის უკანასკნელ რომანში „გვადი ბიგვა“-ში გვიჩვენა. ამ მხრივ ეს ნაწარმოები ახალი და უმადლესი საფეხურია ლეო ქიაჩელის მთელ შემოქმედებით ბიოგრაფიაში. სოციალისტური სინამდვილის თემატიკაზე მუშაობამ გაამახვილა მწერლის მხატვრული აზრო, გააფართოვა და გაამდიდრა მისი მხატვრული და სინამდვილისადმი ესთეტიკური მიმართების სამყარო, შეაღწა და სიღრმევე შემატა მის მხატვრულ შესაძლებლობას.

„გვადი ბიგვა“ შედეგია სოციალისტური სოფლის სინამდვილის გულმოდგინედ, დაკვირვებულად შესწავლისა. მწერალი კარგად იცნობს და გულწრფელად განიცდის იმ მოვლენებს, რომელთა ანარეკლსაც მისი წიგნი წარმოადგენს. ამიტომ აქვს მის მიერ მოთხრობილ ამბავს სიმართლისა და რეალურობის ძალა. ავტორი ნათლად ხედავს თავის გმირებს, ისინი მწერლის ფანტაზიის ნაყოფნი, გამოგონილი სქემები კი არ არიან, არამედ მის მიერ ორგანიზულად ათვისებული რეალობის ნამდვილი გმირები, ცოცხალი, მოქმედი, მებრძოლი ადამიანები. მწერალს კარგად აქვს გაგებული და გათვალისწინებული თავისი პერსონაჟების სულიერი სამყარო, მათი ფიქრების, აზრებისა და ინტერესების მოძრაობა. ამიტომ გამოიყურებიან ლეო ქიაჩელის რომანის მთავარი გმირები ასე ცოცხლად და ხორცშესხმულად. ჩვენ არა მარტო ვხედავთ მკაფიოდ დაბატულ მათ პორტრეტებს, არამედ ბუნებრივად შევდივართ მათი სულიერი ცხოვრების სფეროში, მყარდება აქტიური ემოციური და აზრობრივი ურთიერთობა მკითხველსა და რომანის პერსონაჟს შორის. ეს უკვე დიდი ღირსებაა ყოველი მხატვრული ნაწარმოებისა. არა მარტო ისეთი მთავარი გმირები რომანისა, როგორც არიან გვადი ბიგვა, გოჩა სალანდია, არჩილ ფორია, მერიაში, არამედ ზოგიერთი მეორე ხარისხოვანი, ასე ვსთქვათ ეპიზოდური პერსონაჟებიც ამ ნაწარმოებში დასრულებულად არიან მოცემული. ჩვენ ვგრძნობთ მათი ხასიათის თავისებურებას, მათს ადამიანურ ინდივიდუალობას, მათს მიმართებას, რომანის სხვა გმირებისადმი, მთელი გარემოცვისადმი. ამ რომანში არიან ისეთი გმირები, რომლებიც სულ ორჯერ-სამჯერ თუ გამოჩნდებიან ნაწარმოებში გაშლილი მოქმედების არეზე, სულ რამდენიმე ფრაზა გვესმის ჩვენ მათ მიერ წარმოთქმული, მაგრამ ისინი ცხოვლად ისახებიან ჩვენს თვალწინ, როგორც ტიპური და ამავე დროს გარკვეულად ინდივიდუალური ადამიანური ხასიათები. ასეთია მაგალითად კოლმეურნი ონისე, ბრიგადირი ზოსიმე, მწყემსი პახელა და სხვა.

ლეო ქიაჩელის, როგორც ნამდვილი პორტრეტისტი, გმირის ხასიათის მხატვრის ეს უნარი მთელის ძალით გამოსჩანს „გვადი ბიგვა“-ში. ამ მხრივ ეს ნაწარმოები საბჭოთა ლიტერატურის იმ საუკეთესო ქმნილებათა წყობას მიეკუთვნება, რომლებშიაც დაძლეულია სქემატური, პლაკატური მხატვრობის ასე გავრცელებული ტრადიცია.

საბჭოთა მხატვრული პროზის ერთერთი ძირითადი სიძნელე სიუჟეტური მთლიანობის, კომპოზიციური აღნაგობის დაუფლების საკითხში მდგომარეობს. ფრაგმენტულობა, თხრობის ეპიზოდურობა, სიტუაციებისა და ნაწარმოების პერსონაჟების შინაგანი დამაკავშირებელი მთლიანობის მიუღწევლობა ხშირ მოვლენას წარმოადგენს საბჭოთა მხატვრულ პროზაში, ზოგჯერ მის საუკეთესო ნაწარმოებშიც კი. ეს შეიძლება იმით აიხსნებოდეს, რომ საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაზე გარკვეული უარყოფითი ზეგავლენა ჰქონდა

დეკადენტურ ლიტერატურის სკოლებს, რომლებმაც დაშალეს და უკუაგდეს კლასიკური რეალისტური რომანის ტრადიციები და პროზაში ნოველისა და მინიატურის ენარი ვაიბატონეს. მეორეს მხრივ ამის მიზეზი იმანაც მდგომარეობს, რომ ჩვენი დროის სინამდვილის მასალა ვერ თავსდება ძველი მწერლობის მიერ გამოიმუშავებულ სიუჟეტურ ყალიბთა ჩარჩოებში, ხოლო ახალი, თანამედროვე თემატიკისთვის ორგანიული სიუჟეტური ფორმების დამკვიდრება დიდ შემოქმედებითი ძიებებს, ენერგიას, დროს მოითხოვს.

ჩვენ ხშირად ვხვდებით თანამედროვე მწერლობაში რომანს, რომელიც აქტუალურია თავის თემატიკით, მძლავრად და ცხოველად არის დახატული მასში ჩვენი სინამდვილისთვის დამახასიათებელი ცალკე სცენები, ცოცხლად არის დაჭერილი და გამოკვეთილი ცალკეული ხასიათები, მაგრამ ყოველივე ეს მოკლებულია შინაგანი მხატვრული კანონზომიერებით მიღწეულ მთლიანობას, სიუჟეტურ ერთიანობას, მის თანმიმდევრულად განვითარებას. ეს გარემოება კი საგრძნობლად ანელებს ნაწარმოების შემოქმედებით ძალას, ასუსტებს მისდამი ინტერესსა და მიმზიდველობას.

ლეო ქიაჩელის „გვადი ბიგვა“ ამ მხრივაც სასიხარულო გამონაკლისთა წყებას მიეკუთვნება ჩვენს მხატვრულ პროზაში. ნაწარმოები აგებულია ერთიანი ფაბულის საფუძველზე, ფაბულისა, რომელიც იშლება რომანში კომპოზიციურად შეკრული სიუჟეტის სახით.

ყოველი დეტალი რომანისა ამ სიუჟეტური მთლიანობისადმი არის დაქვემდებარებული და ყოველი სიტუაცია, თითოეული გმირის ყოველი ნაბიჯი დასაბუთებულია და მოტივირებული. აქ ჩვენ მდგომარეობათა ისეთს თანმიმდევრობასთან გვაქვს საქმე, ისეთს მთლიანობასა და კანონზომიერებასთან, რომ შეუძლებელია რომელიმე სიტუაციის, რომელიმე ეპიზოდის გამოკლება ან ადგილგადანაცვლება. ასეთი „ობერაცია“ დაარღვევდა და დაშლიდა რომანის მთელს კომპოზიციას.

ამ თვალსაზრისითაც „გვადი ბიგვა“ საინტერესო მოვლენაა ჩვენს მწერლობაში, იგი გვაახლოვებს სოციალისტური რეალიზმის ხელოვნების მონუმენტალურ სტილთან, რომელიც აუცილებლად გულისხმობს მხატვრული კმნილების კომპოზიციურ მთლიანობას, იმ დაშლილობისა და დისპროპორციულობის დაძლევას, რაც ხელოვნებაში დეკადანსის ეპოქამ მოიტანა.

მკაფიოდ ინდივიდუალური ხასიათების დაპირისპირებისა და შეჯახების ნიშანდგზე აღმოცენებულ, დრამატიულად გამძაფრებულ სიტუაციათა გადმოცემისას ლეო ქიაჩელი ინარჩუნებს მხატვრულ წონასწორობის ძალას, თბრობის დამშვიდებულ მანერას. აქ ჩვენ ვერ ვხვდებით ყალბ პათეტიკას, ზედმეტ თეატრალიზებას. ლეო ქიაჩელი ხატავს ნათელი და გამჭვირვალე საღებავებით. მისი რომანი მსუბუქი იუმორით არის გამსჭვალული, იუმორით, რომელიც ავტორს გამოყენებული აქვს ერთის მხრივ იმისათვის, რომ უფრო ცხოველად და სრულად დახატოს გმირის ბუნება, ხოლო მეორეს მხრივ იმისათვის, რომ შეინარჩუნოს დისტანცია თავისი გმირის მიმართ, დასდგეს მასზე მალა, რათა მკითხველმა არ დაკარგოს კრიტიკული დამოკიდებულება რომანის ასეთი გმირისადმი, რომლის ბუნებაშიაც დადებითსა და სიმპატიურს გარდა საკმაოდ მოიპოვებთან უარყოფითი ჩრდილოვანი თვისებანი, რომლებიც წარსულის გა-

დანაშთების სახით სკოცხლობენ და თანდათანობით ნადგურდებიან რომანის განვითარების მანძილზე.



რომანის პირველი ოთხი თავი ნაწარმოების საექსპოზიციო ნაწილს შეადგენს. მათში ჩვენ სათითაოდ ვეცნობით „გვალი ბიგვა“-ს მთავარ მოქმედ პირობებს: გვადის, მარიამს, გოჩას, არჩილს. უკვე ამ საექსპოზიციო ნაწილში მწერალი გვადლევს ამ ტიპების საესეებით დასრულებულ სახეებს. ჩვენთვის უკვე ნათელია ყოველი მათგანის სოციალური ბუნება. მათი ხასიათის თავისებურებანი, მათი ურთიერთობანი, რომელთა მეშვეობითაც ავტორი ასახავს სოფლად შექმნილ ძალთა განწყობილების თანამედროვე სინამდვილეს. და ამ პირველსავე თავებში მკითხველი ცხადად და ნათლად ხედავს რომანის მოქმედების არეს, გარემოცვას, გრძნობს იმ სოციალურ ატმოსფერას, რომელშიაც რომანის პერსონაჟები სცხოვრობენ და მოქმედობენ.

ამგვარად, ამზადებს ავტორი მკითხველს რომანის შემდეგ თავებში დაძრული მძაფრი სიუჟეტური დრამისათვის, სადაც ჩვენთვის უკვე ყველაფერი ადვილად გასაგებია და მისახვედრი, თუმცა ამბავი დიდის სისწრაფით ვითარდება, სიტუაციები მეტად კონდესირებულად და შეკუმშულად ისახებიან.

რომანის ცენტრალური ფიგურა გვალი ბიგვაა. ავტორის მხატვრული განზრახვის თავისებურობას უნდა მიეწეროს, რომ ახალი, სოციალისტური სოფლის ამსახველი ნაწარმოებისათვის მთავარ გმირად მან აირჩია არა ახალი იდამიანი, არა თანამედროვე სოფლის მოწინავე, წამყვანი ძალა, არამედ წარსულის ნაშთებიდან ჯერ კიდევ საკმაოდ დატვირთული კაცი, რომელიც ჯერ კიდევ ვერ გამართულა მთელი არსებით, ჯერ კიდევ ვერ დაწმენდილა მისი ხასიათი სიმხდალისა, სიცრუისა, თაღლითობისა და უქნარობის, ფლიდობის და მკონარეობის იმ თვისებებისაგან, რომლებიც მასში გამოუმუშავებია ცხოვრების უკუღმართ პირობებს წარსულში.

გვალი ბიგვა მოქმედების ცენტრში სდგას რომანის მთელი განვითარების მანძილზე. მისი პირველი გამოჩენისთანავე მკითხველისათვის აშკარაა, რომ იგი არ არის დამახასიათებელი და ტიპური მოვლენა სოციალისტური სოფლის თანამედროვე ცხოვრებისათვის. სახე ბანჯგვლიანი, მუცელგამობერილი, ჩვრებით შეფუთვნილი გვალი, თავისი ხუთი ნახევრად შიშველი ბავშვით, თავისი ღარიბული ძველისძველი ჯარჯვლით — ეს სურათი რაღაც საოცარ ანაქრონიზმად გამოსჩანს სოციალისტურ სოფელში დამკვიდრებული მზიური ცხოვრების ნათელ ფონზე. ეს გამოჩენისი, ეს საესეებით თავისებური და იშვიათი მოვლენა დააყენა მწერალმა თავისი ყურადღების ცენტრში, რათა გვიჩვენოს ის უკანასკნელი ბუდეები, რომლებშიაც თავი შეუფარებიათ ბნელი წარსულის დასალუბავედ განწირულ ნაშთებს, ბუდეები, რომლებიც დიდი სისწრაფით ირღვევიან და ცამტვერდებიან ახალი ცხოვრების მდინარეებისთან ყოველი შეხებისა და შეჯახებისთანავე.

თავისი სოციალური ბიოგრაფიით გვალი ბიგვა ყოფილი უღარიბესი გლეხობის ფენიდან არს გამოსული. ცოლის სიკვდილმა, ხუთი მცირეწლოვანი ბავშვის მოვლა-პატრონობის ტვირთმა, ავადმყოფობამ იგი შეაფერხა და საგრძნობლად გამოთიშა იმ მოძრაობისაგან, რომელმაც ყოფილი ღარიბი გლეხობა

დაწინაურა, აამაღლა, და ახალი ცხოვრების ზედაპირზე წამოსწია. „ცალკე ციებამ და ტყირამა დააბეჩავა, ცალკე ცოლის სიკვდილმა დაჩაგრა... / დაბრკოლდა კაცი, დაქვეითდა“. და რამდენადაც ვერ გაუსწორა მან ნაბიჯი ახალი ცხოვრების სწრაფ აღმავლობას, მით უფრო მეტის მანძილზე ჩაფრთხილ იგი, მით უფრო ძნელი გახდა იმისთვის თავი დაეღწია ყოფილი აზნაურის, კოლმეურნეობაში შეპარული მტრის — არჩილ ფორიას გავლენისაგან, აღმოეფხვრა თავისი ხასიათიდან მცონარეობის, თაღლითობის და საერთოდ მონური სულისკვეთების მძლავრად ფესვგადგმული ნარჩენები.

ასეთი მკაცრად თავისებური ადამიანური სახე დააყენა მწერალმა თავისი რომანის ცენტრში, რათა მასთან ურთიერთობაში უფრო მკაფიოდ გამოხატოს განახლებული სოფლის სინამდვილე, უფრო მეტის ძალით გვიჩვენოს ახალი ცხოვრების ის ცხოველმყოფელი ძალა, რომელმაც ერთი მძლავრი შეხებით გამოაფხიზლა და აღადგინა გვადის გათელილი ადამიანობა, გაამართელა მისი დარღვეული და დაძაბუნებული ბუნება, აამაღლა იგი საგმირო საქმეთა დონემდეც კი.

და ყოველივე ეს სასწაულებრივად კი არ მომხდარა. საქმე ის არის, რომ გვადი მარტო დაბეჩავებული და დაძაბუნებული ადამიანი როდია. იგი რთულ შინაგან წინააღმდეგობათა შემცველი ხასიათია, რომლის დამახინჯებულ გარეგნობასა და თარსულ „ღობმძქვრალობის“ მიღმა ჩვენ ვხედავთ მის მეორე ბუნებას — მის თავისებურ კეთილშობილებას და შინაგან სიმართლეს, ჰკუჟამახვილობას, ენამოჭნილობას და დიდი ხნით დაგროვილ ბოღმას და ზიზღს რეაქციული კლასების ნარჩენებისადმი, გაბედულობისა და თავგანწირვის ძალასაც კი. „არავინ იცნობს გვადის ისე, როგორც თვით გვადი“, რადგან მისი ბუნების ეს დადებითი და ძლიერი მოტივები ღრმად დაუჩრდილაეს უკულმართი წარსულის ნალექს, მაგრამ ისინი ყოველი მოხერხებული შემთხვევისთანავე ილექებენ და თავს იჩენენ ხოლმე გვადის არსებაში.

რად ღირს მარტო ის დიდი მშობლიური გრძნობა, რომლითაც თავს დასატრიალებს გვადი თავის ხუთ პატარა ბავშვს. შეუძლებელია გულგრილად წაკითხვა რომანის იმ ფურცლებისა, რომლებიც გვადის ამ გრძნობის გამოვლინებას აგვიწერენ.

გვადი ბიგვას ამ მეორე ბუნებას ავტორი მოხერხებულად გვაგრძნობინებს რომანის განვითარების მთელს მანძილზე. ამიტომ არის, რომ მკითხველი ზიზღით და გულისწყრომით არ ეპყრობა გვადის მაშინაც კი, როცა იგი არჩილ ფორიას ბნელ კომბინაციებში მონაწილეობს, როცა იგი საკოლმეურნეო შრომას გაურბის და ბაზრობაზე მიიპარება სალაყბოდ და ენის მოსაქავებლად. ავტორთან ერთად მკითხველი ღმობიერებით და მოთმინებით აღევნებს თვალყურს გვადის ყოველ ნაბიჯს და მას სრულიად არ უკვირს, რომ რომანის დასასრულს გვადი უკვე აღდგენილ, გამართლებულ ადამიანად და ნამდვილ გმირად გამოიყურება. მკითხველს სჯერა და ახარებს კიდევ ასეთი შემობრუნება გვადის ხასიათისა.

სოციალისტურ სოფელში წარმოებულ ბრძოლა ძლიევამოსილ ახალსა და სასიკვდილოდ განწირულ ძველს შორის „გვადი ბიგვაში“ მრავალმხრივ განსახიერებას პოულობს. ერთის მხრივ მწერალი გვიხატავს კოლმეურნეობაში შეპარული, შენიღბული კლასობრივი მტრის გამომჟღავნებისა და განადგუ-

რების პროცესს (არჩილ ფორიას ისტორია). მეორეს მხრივ გვიჩვენებს ზოგიერთი კოლმეურნის შეგნებაში ჯერ კიდევ დაუძლეველ კერძო-მესაკონტროლო სულისკვეთების მძაფრ გამოვლინებას და ამ წინააღმდეგობის დაძლევის პერსპექტივას საკოლმეურნეო გლეხობის მხრივ (გოჭა სალანდიას ცხოვრება), და შესამე მხრივ ჩვენ თვალწინ იშლება გვადის ბუნებაში წარმოდგენილი მისი ხასიათის დადებითა და უარყოფით, მონურსა და ადამიანურს, მახინჯსა და კეთილშობილ თვისებებს შორის.

ეს წინააღმდეგობანი ამოძრავებს რომანის სიუჟეტურ განვითარებას, რომელიც მთლიანად სოციალისტური სოფლის აღმავლობასა და ადამიანთა ახალი კომუნისტური სულისკვეთების დამკვიდრებას ასახავს.

რომანი იხსნება მისი მთავარი გმირის, გვადი ბივეას ხასიათის რელიეფურად გამომხატველი სურათით, როდესაც იგი ემზადება ბაზრობაზე წასასვლელად. უნდა გაეპაროს საკოლმეურნეო შრომას, ქურდულად, თავისი ბავშვები-საგან დამალულად გასასყიდად წაიყვანოს თავისი ერთადერთი თიკანი და თან წაიღოს საკუთარ ეზოში მოპარული მანდარინები.

დიდის ვაივაგლახით, პირფერობისა და სიცრუის დიდი ხელოვნებით და-აღწია გვადიმ თავი საკუთარ ბაღების წინააღმდეგობას. თითქოს გამარჯვებულ მიეშურება იგი სოფლის ორიღობეში და ესაუბრება თავისთავს. მაგრამ აქ ახალი საფრთხე დაუხვდა მას წინ. გვადის თავის ეზოდან გამოეხმაურა მეზობლად მცხოვრები ქვრივი ქალი მარიამი — სოფლის ერთერთი დამკვრელი კოლმეურნე, გამრჯე, მშრომელი, კეთილსინდისიერი დედაკაცი.

მარიამის სახით მწერალმა დახატა მოწინავე კოლმეურნე ქალის ტიპური პორტრეტი. ავტორი არაფერს გვეუბნება მარიამის წარსულის შესახებ, მაგრამ ჩვენთვის საკმარისი ნათელია, რომ მარიამს თავის უანგარო და დაუზარელი შრომით, საკოლმეურნეო მოძრაობაში აქტიური მონაწილეობით შეძლებული ცხოვრება მოუპოვებია და სოფლად საყოველთაო პატივისცემა დაუმსახურებია. იგი პირდაპირი, მტკიცე და მოურიდებელი ხასიათის ქალია, ამავე დროს უაღრესად კეთილი და გულისხმიერი ადამიანი. რამდენიმე შტრიხით წარმოგვიდგენს თვალწინ მწერალი მარიამის სახეს გარემოცულს შეძლებულ და მზიური ცხოვრების მაჩვენებელი მისი პატარა ეზო-ბაღით: „პატარა ფიცრული სახლის წინ, ეზოში მწკრივად დარგული მანდარინის ხეებში ორმოცი წლის დედაკაცი ჩამდგარიყო მუხლებამდე კაბა აკეცილი და ნაყოფის სიმრავლით ძირს დაზნექილ ტოტებს კარგა მოზრდილ ხეს ევერით აკრავდა. წაქარწახებულ მკლავებს საქსოვარში შესრიალებული მაქოს სისწრაფით იქნევდა და მწვანე ფოთლებსა და შეყვითლებულ მანდარინებს შორის დაატარებდა. მამაკაციური მოურიდებლობით განივრად გალაჯულ, წვივებ შიშველ ფეხებზე მაღალი ტანი მსუბუქად დაეყრდნო და მისი ზოჩბა, მაგრამ მოქნილი ნაკვთების მოძრაობა მკლავთა ტრიალისათვის შეეწყო“.

შრომის მოყვარეობის, სიჯანსაღისა და შეძლებულობის გამომხატველი ეს სურათი სრულიად საწინააღმდეგოა იმისა, რაც მწერალმა რომანის წინა თავში გვიჩვენა გვადის კარ-მიდამოს აღწერისას.

მარიამის სახით მხატვრობაში ჩვენ ბუნებრივად გავგვახსენდება ზოგიერთი ხაზი ილია ჭავჭავაძის მიერ შექმნილი ოთარაანთ ქვრივის მონუმენტალური ფიგურისა. ხასიათთა ამ პარალელის ნათელსაყოფად საკმარისია თუნდაც ეს

ერთი ადგილი გვადისა და მარიამის დიალოგიდან: მარიამი მიმართავს გვადის: „ნამეტანი შებანჯგვლილხარ რალაც, შე კაცო, სად არ ამოვხვლია ეს ოხერი თმა: ცხვირში, ყურში. ერთხელ მაინც შეიკრივე, კაცს დაემსგავსე, თუ დალაქთან მისვლა ვიჭირს, შემოიარე თავისუფალ დროს, მე შეგეჩვენებ—მეგას რა დიდი საქმე უნდა“. აქ ჩვენ ვხედავთ ოთარაანთ ქვრივისებურს შესასქმნას-მწარე სიტყვისა და კეთილი, გულისხმიერი საქმისა.

გვადი ფარულ ტრფიალებას გრძნობს მარიამისადმი, მაგრამ ეს გრძნობა მას ჯერ ვერ გამოუმჟღავნებია. გვადის შიში იპყრობს, რომ მარიამი მიუხედება ბაზრობაზე გაპარვისა და საკოლმეურნეო შრომისაგან თავდაღწევის განზრახვას, ამხელს და გაჰკიცხავს მას. დიდი ენამოქნილობა და ქვეამხვილობა სჭირდება გვადის, რომ ეს საშიშროება თავიდან აიცილოს, ავადმყოფობას მიაწეროს თავისი გამგზავრება ჭალაქისაკენ, თავი შეაბრალოს მარიამს, შოალობს იგი და თანაგრძნობა გამოიწვიოს მის გულში.

გვადი მიაღწევს ამ მიზნსაც და გამარჯვებული კაცის კმაყოფილებით აგრძელებს გზას. სამუშაოდ მიმავალ მეზობელ კოლმეურნეებთან შეხვედრის შიშით გვადი იძულებულია თემშარას გადაუხვიოს და ეზოებზე მიმავალ ბილიკებს გაჰყვეს, ამ ბილიკებმა მიიყვანა იგი გოჩა სალანდიას სახლის წინ. აქ რომანის არეზე გამოდის ახალი პერსონაჟი — გოჩა. იგი საშუალო შეძლების გლეხია, გამრჯე, შრომის მოყვარე, მაგრამ ჯიუტი და კერპი ხასიათის კაცი, რომელიც „ტოვრების ახალ წესებს ჯერ კიდევ ვერ შეწყობოდა“, ჯერ კიდევ მძლავრად არის ფესვადგმული მის არსებაში კერძო-მესაკუთრული სულისკვებობა. იგი კოლმეურნეობის წევრია, მაგრამ მთელი დღეები თავის სანიმუშოდ მოვლილ ეზო-გარემოს დასტრიალებს თავს, საკოლმეურნეო შრომას ჯიუტად გაურბის. რაკი კოლმეურნეობაში მან მიწა და უღელი ხარი გააერთიანა, ამით კოლმეურნეობის წინაშე თავისი ვალი საბოლოოდ მოხდილად მიიჩნია, მთელს თავის დროსა და შრომას საკუთარ ბაღსა და ოდას ანდომებს, ოდას, რომელსაც იგი ამზადებს თავისი მომავალი სასიძოსათვის, თავისი ერთად ერთი ჭალიშვილის, კომკავშირელი ნაიას საქმაროდ გოჩას მიერ არჩეული არჩილ ფორიასათვის.

გოჩას სახით მწერალმა დაგვიხატა ცრუ კოლმეურნის ტიპი, რომლის შეგნებაში ჯერ კიდევ დაძლეული არ არის კულაკურ-მესაკუთრული განწყობილებანი, რომელიც მხოლოდ ფორმალურად შეკედლებია კოლმეურნეობას, რათა ამოეფაროს მას და უფრო მოხერხებულად განახორციელოს თავისი ინდივიდუალურ-მესაკუთრული ინტერესები. თუ რამდენად დროულად და სწორად შენიშნა მწერალმა საკოლმეურნეო სოფლის თანამედროვე სინამდვილის ეს მოვლენა, თუ რამდენად აქტუალურია ასეთი ტიპის გამოხატვა, მისი მხილება და გამომჟღავნება, ეს განსაკუთრებით ცხადი ხდება ჩვენთვის პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საკავშირო სახკომსაბჭოს ცნობილი დადგენილების გამოქვეყნების შემდეგ საკოლმეურნეო მიწების დატაცების საწინააღმდეგო ღონისძიებათა შესახებ.

„გვადი ბიგვა“ ამ დადგენილების გამოქვეყნებამდე ვაცილებით აღრე იყო დაწერილი და ცალკე წიგნადაც გამოცემული. გოჩას ტიპის შექმნით მწერალმა გვიჩვენა თავისი მხატვრული ხედვის სიმახვილე, თავისი უნარი, სწორად გაიგოს, თამამად და გაბედულად ასახოს სოციალისტური სინამდვილის განვი-

თარების ახალ ეტაპზე აღმოცენებული სპეციფიური მოვლენები. ამ ტიპის დახატვით ლეო ქიაჩელმა ისეთი საბჭოთა მწერლის რეპუტაცია დაიმსახურა, რომელიც უკვე ყველასათვის ცნობილ მოვლენათა ილუსტრაციის იოლი ვხვით კი არ მიდის, არამედ ისწრაფვის დაინახოს და მხატვრულად გახსნას ისინი. განვითარების ახალი პერიოდისათვის დამახასიათებელი ახალი მოვლენები, რათა უფრო ღრმად და ყოველმხრივად გადაუშალოს მკითხველს ცხოვრების სინამდვილის სურათი, გააფართოვოს და გაამდიდროს მისი შემეცნება.

გოჩასა და გვადის მოკლე დიალოგიდან ნათლად ირკვევა, რომ მათ შორის დიდი განსხვავებაა, თუმცა ორივე ერთნაირად გაურბის საკოლმეურნეო შრომას. მათ შორის აშკარად თავს იჩენს ინტერესთა და მისწრაფებათა წინააღმდეგობა. ვერავითარი ენამახვილობა და პირმოქნეობა ვერ შველის გვადის, იგი ვერ ახერხებს გოჩას წყრომის თავიდან აცილებას და ისინი უკმაყოფილოთ გასცილდებიან ერთმანეთს.

შეურაცხყოფილი და დამცირებული გვადი, გოჩასადმი ზიზლით და ბოლომით აღესილი, გზას აგრძელებს ქალაქისაკენ. თიკანი გაქცევიდა მას და ეხლა მხოლოდ მანდარინების ამარა მიემგზავრება ბაზრობაზე. და აი, მას გზად შემოხვდა არჩილ ფორია — ყოფილი აზნაური და შემამულე, რომელთანაც ოდესღაც გვადი მოჯამაგირედ მსახურობდა. არჩილი კოლმეურნეობაში შემოპარული, შენიღბული მტერია. იგი ორკეთის კოლმეურნეობის ზე-ტყის ქარხნის გამგედ მსახურობს და მთელის არსებით სცდილობს შეაფერხოს და ჩაშალოს კოლმეურნეობის ზრდა. მისი გავლენის მეოხებით გასდგომია განზე კოლმეურნეობას გოჩა სალანდია. არჩილი არწმუნებს გოჩას, რომ კოლმეურნეობა მალე დაიშლება, რომ სოციალისტური სოფელი დაინგრევა და ცხოვრების ძველი წესები აღსდგებიან. გვადიც საგრძნობლად მოქცეულია არჩილის გავლენაში. მას შერჩენია არჩილისადმი ერთგვარი შიში და მოკრძალება. არჩილიც უხვად სარგებლობს ამით და სცდილობს გამოიყენოს გვადი თავისი ბნელი საქმეების მონაწილედ.

აი გვადი უკვე ბაზარზეა. ბაზრობაც ძლიერ უყვარს გვადის. უცხო ხალხში ტრიალი, ენის ქაეილის დაცხრობა, თავის გამოჩენა, პატივისცემის და ყურადღების დამსახურება იზიდავდა მას ბაზრობისაკენ, მაგრამ ამ შემთხვევაში მას დიდხანს არ დასცალდა ისეთი სიამოვნება. ფორიამ შეიხმო იგი სასადილოში, სადაც არჩილი თავის კომბინატორ თანამესუფრეებთან ერთად ჭეიფობდა.

სცენა სასადილოში ამ რომანის ერთერთი შესანიშნავი ეპიზოდთაგანია. მოქციფებმა უბოვეს გვადის და შეუქამეს საკუთარ ეზოში მოპარული მანდარინები, რომელთა ფასითაც გვადი თავისი ბავშვებისათვის ფებსაცმელების ყიდვას აპირებდა. გვადის არ შეუძლიან გულგრილად უცქიროს თუ როგორ ანადგურებენ იმის მანდარინებს ეს ვილაც ოხერი და ბნელი ადამიანები. იგი სიმღერას მოიმიზეზებს და თვალებს მინაბავს, რათა არ დაინახოს ეს მისთვის გულისმომკვლელი სურათი.

არჩილმა გვადის ნაპარავი საქონლით დატვირთული ხურჯინი გამოატანა. ხურჯინის შინძიტანისა და შენახვის შემდეგ გვადი ტყისკენ მიეშურება, სადაც ორკეთელი კოლმეურნეები ახოს ჰკაფავენ. აქ ჩვენს თვალწინ იშლება დამაბუბული საკოლმეურნეო შრომის პათოსით აღბეჭდილი სურათი. კოლმეურნეობის თავმჯდომარე — გერა ხელმძღვანელობს ამ კოლექტიურ ბრძოლას. აქ

ჩვენ ვეცნობით ბრიგადირ ზოსიმეს, კოლმეურნე ონისეს, აქ არის მარიამიც, ნაიაც, მთელი სოფელი ფეხზე დამდგარა და ხალისიანი, კოლექტიური შრომის ფერხულში ჩაბმულან. გვადიც შეუერთდა ამ შრომის ორგანიზაციას და თუმცა ვერაფერი მშრომელია, მაგრამ თავისი მოხერხებულობითა და მსოფლიოობით აქაც ახერხებს მეზობლების თანაგრძნობისა და ყურადღების მოხვეჭას.

კოლმეურნეებმა გოჩა სალანდიას ფურ-კამეჩს ზეგები აზიდვიეს. თუ გოჩა გაურბის საერთო შრომას, მისი კამეჩი მაინც ვამუშაოთო — ვადასწყვიტეს მათ. გზად მიმავალმა არჩილ ფორიამ დაინახა ეს ამბავი და სასწრაფოდ აცნობა გოჩას. გაბრაზებული გოჩა მუქარით და ლანძღვა-გინებით მიეკრა კოლმეურნეებს. კოლექტივისა და გაჯიუტებულ გოჩას შორის მომხდარი მკაცრი შეჯახება გოჩას სასტიკი დამარცხებით დამთავრდა: „ვის ეჯობრები, ყაზახო, ა? ვის მეთქი? კარგად გამოიხედე თვალებში... კამეჩის მოჭიდავე ხარს რქები არ შერჩებაო, ხომ ვაგიგონია! კოლექტივი ვართ, კოლექტივი, გაიგე!“ დიდის თავმოწონებითა და სიამაყით ეუბნება გოჩას კოლმეურნე ონისე და მის სიტყვებში, ამ უბრალო და მარტივ სიტყვებში ღრმა სიმაართლით არის გამოხატული კოლექტივის ძალისა და უპირატესობის აზრი მის წინააღმდეგ ამხედრებულ გაჯიუტებულ პიროვნებასთან შედარებით.

რომანის შემდეგი თავები გოჩა სალანდიას ოჯახში აღძრულ წინააღმდეგობა შესახებ მოგვითხრობენ. მართალია, გოჩას თავისი კამეჩი დაუბრუნეს, გერამ გაკიცხა კიდევ კოლმეურნეთა საქციელი გოჩას მიმართ, მაგრამ გოჩას ბოღმა და ბრაზი კოლმეურნეებისადმი ამით არ შენელებულა. მთელის ძალით თავს იჩენს კონფლიქტი გოჩასა და მის ქალიშვილს — კომკავშირელ ნაიას შორის. გოჩას უნდა საბოლოოდ ჩამოაცილოს ნაია კოლექტივისა და კომკავშირის, ცოლად მისცეს იგი არჩილ ფორიას. ნაიას კი გერა უყვარს და მთელი არსებით განუყრელად არის დაკავშირებული კოლმეურნეობასთან და სოფლის მოწინავე ახალგაზრდობასთან.

ნაია გარბის სახლიდან. ამის შემდეგ რომანის სიუჟეტი განშტოებულად მიმდინარეობს. მწერალი ავვიწერს პარალელურ სცენებს, ერთსა და იმავე დროს სხვადასხვა ადგილას მომხდარ ამბებს.

გვადი ბიგვას ჯარგვალში თავისი ნაქურდალი საქონლის წასაღებად მოსულა არჩილ ფორია. იგი არ უსრულებს გვადის დაპირებას შრომის ღირსეულად ანაზღაურების შესახებ, რაღაც უმნიშვნელო გროშებს გადაუყრის მას და გვადის ხურჯინსაც თან წაიღებს. გაბრაზებული და ვაცხარებული გვადი აედევნება არჩილს, რათა თავის ხურჯინი მაინც დაიბრუნოს.

ამავე დროს სახლიდან გამოქცეული ნაია თავისი მეგობრის — სოფლის სამკითხველოს გამგის — ელიკოს ბინაზეა. მეგობრების საუბარში ირკვევა, რომ არჩილ ფორია საზიზღრად ატყუებს ნაიასაც და ელიკოსაც, ორივეს უგზავნის სატრფიალო ბარათებს, ერთი და იმავე სიტყვებით ორივეს ეფიცება სიყვარულს.

ამავე დროს ელიკოს ოთახს ზემოთ, მეორე სართულში, სოფლის პარტიული ორგანიზაციის კრება მიმდინარეობს. კრებას მსჯელობა აქვს გოჩას შესახებ. ადგენენ ზეგავლენა მოახდინონ გოჩაზე, მოელაპარაკონ მას და ამ გზით გასტეხონ მისი ჯიუტობა. მოლაპარაკებას პარტორგი — ვიორჯი ივალებს.

და ამავე დროს გოჩა სალანდია და მისი ცოლი ტასია თანზარდაცემულნი დადგებიან ნაიას.

პარტორგანიზაციის კრების დამთავრების შემდეგ ნაია და გერა ერთმანეთს შეხედებინან. გერას ძებნაში ნაიამ ძლიერი შიში გამოსცადა. ღამით მას ტყვიდან მოესმა გვადის ძახილი, რომელიც ფორიას მისდევდა და თავის სურვილს სთხოვდა. ნაიასთვის მოულოდნელი და გაუგებარი იყო ასეთი დამაბნელებელი ძახილი. შიშისაგან გულწასულს მიუსწრო მას გერამ. მათი სატყუარო შეხვედრა არჩილ ფორიას მანებლურ საქმიანობას, გოჩას სიფიცხეს, ამავე საუბარში მათ პირველად გაუმჟღავნეს ერთმანეთს ურთიერთ სწრაფვა და სიყვარული.

და ამავე დროს ნაიას საძებრად წამოსული გოჩა, ელიკოს ბინასთან ჩასაფრებული, დაინახავს, თუ როგორი ზიზღით და გულის წყრომით გამოავლო ელიკომ მასთან მისული მატყუარა და თაღლითი არჩილი, რომელიც ერთსა და იმავე დროს ელიკოსაც სთხოვდა სიყვარულს და ნაიასაც. გოჩასათვის ცხადი ხდება არჩილის არამზადობა და ეს გარემოება გადაწყვეტ ვავლენას ახდენს საერთოდ გოჩას სულისკვეთებაზე. იგი საბოლოოდ ფიზილდება და თავისუფლდება ფორიას დამლუპველი ვავლენისაგან.

გვადიმაც ხომ მთელის არსებით შეიზიზღა არჩილი და მზად არის უაღრესად სასტიკი და დაუნდობელი შურისძიებით გაუსწორდეს მას.

ასე თავდება ამ რომანის პირველი დღე. ფაბულური მოტივების ასეთი პარალელური განვითარება დე შემდეგ ამ ხაზების კვლავ ერთმანეთთან შეხვედრა და გადაჯვარედინება ამ რომანის სიუჟეტური კომპოზიციის ერთერთი თავისებურებაა.

მეორე დღით არჩილ ფორია კვლავ ესტუმრა გოჩას, მაგრამ გოჩა ხმასაც არ სცემს მას, ზედაც არ შეხედავს. არჩილს არ ესმის გოჩას დამღვრების მიზეზი, მას ჰგონია რომ გოჩა იმიტომ ბრაზობს, რომ არჩილმა მას დროით ვერ მიაწოდა ოდის დასამთავრებლად საქირო ფიცრები. ამ საქმის მოსაგვარებლად ისევ გვადის მიაშურებს არჩილი. გვადი პირველად მწყრალად დაუხვდა არჩილს, მაგრამ მისი რბილი ხასიათი მალე მოტყდა და იგი კვლავ არჩილის ბრკყალეზში მოექცა. გვადის კოლმეურნეობამ ოდის ასაშენებლად ფიცრები მისცა ზე-ტყის ქარხნიდან. არჩილი ჰპირდება გვადის, რომ ზედმეტ ფიცრებს მისცემს იმ პირობით, რომ ეს ზედმეტი გოჩას უნდა გადაეცეს.

ამრიგად, არჩილი ისევ პოულობს დასაყრდენს და ვავლენის ასპარეზს გვადის ბუნებაში. მწერალი გვიჩვენებს თუ როგორ მერყეობს გვადი ბიგვა არჩილსა და კოლმეურნეობის შორის, ძველსა და ახალს, მონურსა და ადამიანურ ცხოვრებას შორის. და ამ შინაგანი ბრძოლის, ამ მერყეობის დასასრული ერთმა ღირსშესანიშნავემა ამბავმა გამოიწვია.

ორკეთელ და სანარიელ კოლმეურნეებს შეჯიბრი ჰქონდათ ახალი ოდების მშენებლობის საქმეში. სანარიელები ესტუმრენ ორკეთელებს. შეხვედრამ საზეიმო ხასიათი მიიღო. კრებამ შეჯიბრის შედეგების შემმოწმებელი კომისია აირჩია და ამ კომისიაში გერამ სოფლის მოწინავე ადამიანთა გვერდით გვადი ბიგვაც დაასახელა. ეს საფრებით მოულოდნელი იყო გვადი ბიგვასათვის. პირველად თავის ცხოვრებაში იგი დააფასეს, საპატიო კაცად ჩასთვალეს. მთელი კრება ტაშს უკრავდა და ეაშას შესძახოდა გვადი ბიგვას. ამ მოულოდნელმა ბედნიერებამ, ამ უეცარმა და დიდმა სიხარულმა ერთბაშად აღადგინა გვადის ხასიათის ყველა ჯანსაღი და დადებითი თვისებანი. კრებიდან დაბრუნებული გვადი უკვე სულ სხვა ადამიანია. „მისი ცხოვრების სინამდვილე

ახლა ისე იყო აყირაგებული და მისი აზრები ისეთ ვეება ნახტომებს აკეთებდნენ, რომ გვადის მთელი დედამიწაც კი ეცოტავებოდა მათ დასისტეად“.

გვადი თანდათანობით ეჩვევა და ურიგდება იმ აზრს, რომ იგი სოფლის რჩეული ადამიანია, მაშასადამე მან საესებით უნდა იცვალის სასწრაფო ალარ შეუძლია მას ძველებურად ჩამოხეულ ტანსაცმელში იაროს, იცუღლტოს, იზარმაცოს. საქმითაც, გარეგნული შესახედაობითაც იგი სოფლის მოწინავე კაცს უნდა დაემსგავსოს.

და აი, თავის ჯარგვალში დაბრუნებულ გვადის საქვარტლედან ჩამოულია სკიერი, რომელშიც მამაპაპეული ყამა და თავისი ჩოხა-ახალუხი ეგულებოდა. დიდი ხანია, რაც ეს ნივთები მან გადაივიწყა და ამ ხნის განმავლობაში არც კი აღტვრია სურვილი და მოთხოვნილება მოეხმარა ისინი.

დიდის ექსპრესიით და იუმორ-ნარევი სიწრფელით აღწერს მწერალი გვადის გადაცმის სურათს. ბნელი ჯარგვალი ეხლა საოცრად გაჩაღებულია. აქ ყველაფერი, უძველესი და უმნიშვნელო ნივთებიც კი, რალაც ახალი სახით, სიამაყით გამოიყურებიან. თითქო მთელი ვარემოცვა გრძნობს გვადის ბუნებაში მომხდარ გარდატეხას და უერთდება გვადის სიხარულს. გვადის ბავშვები განცვიფრებული და გაბარებული ფუსფუსით შევლიან მამას, რომელიც რალაც უჩვეულო და სხვანაირი სახით სდგას ეხლა მათ წინ.

ეხლა გვადი უფრო თამამად და გაბედულად მიდის მარიამთან, რომანის ერთერთ მხატვრულად ძლიერ მომენტს წარმოადგენს გვადის და მარიამის ამ ახალი შეხვედრის სურათი. მათ საუბარში გვადი გამოსთქვამს თავის მტკიცე გადაწყვეტილებას, რომ იგი შრომაში აღარვის ჩამორჩება, და რომ იგი მზად არის მეტი გმირობისთვისაც, რაც მარიამის აზრით კოლმეურნეს, ახალი სოფლის ადამიანს მოეთხოვება.

ამ შეხვედრისას უკვე ცხადად თავს იჩენს მარიამისადმი გვადის ფარული სიყვარული და თავყვანისცემა: „ბედნიერება მინდა, მარიამ... სიყვარული და სიცოცხლე მინდა, მარიამ... შენი მადლი... შენი წყალობა, მარიამ! — ამბობდა გვადი და მკერდიდან ისეთი ხმა ამოსდიოდა, თითქოს მის სიღრმეში დანთებული ცეცხლის გურგური ამოაქვსო, რომელიც ღმუილიან ძახილსა ჰგავდა“.

თავდაპირილსა და მტკიცე ხასიათის მარიამს არ შეეძლო არ გაჰკვირვებოდა გვადის ასეთი ქცევა და არ შეეკავებია მისი თავდავიწყებული გატაცება, მაგრამ მას არც კი შეეძლო, რომ არ ეგრძნო გვადის გრძნობის სიწრფელები და ძალა, არ თანაგვრძნო მისთვის.

შინ დაბრუნებულ გვადის თავის ეზოში არჩილ ფორია უხვდება. იგი უკვე გამოუმეღავენებიათ როგორც კლასობრივი მტერი და მავნებელი, სამუშაოდან მოუხსნიათ და დასაპატიმრებლადაც ეძებენ მას. არჩილს განუზრახავს შური იძიოს კოლმეურნეობაზე, დასწვას ხე-ტყის ქარხანა და მიიძალოს. მას უნდა გვადი გამოიყენოს ამ ბნელი განზრახვის შესაძლებლედ და ხელისშემწყობად. მაგრამ არჩილმა ჯერ კიდევ არ იცის, რომ გვადი ძველი გვადი აღარ არის. ეხლა გვადის უკვე აღარაფერი აქვს საერთო არჩილთან. მას უკვე აღარ შეუძლია კოლმეურნეობის მტერს მტრულად არ დაუხვდეს, მით უფრო არ შეუძლია გვადის გულგრილად უცქიროს ხე-ტყის ქარხნის დაწვას, ქარხნისა, საიდნაც მან ოდის ასაშენებლად ფიცრები უნდა მიიღოს. აქ კოლმეურნეობის ინტერესები უკვე საესებით დაკავშირებულია გვადის ინტერესებთან.

გვადი მკაცრად უკუაგდებს არჩილის ყოველ წინადადებას, თხოვნას, მუქარას. მათ შორის დაძაბული ბრძოლა იწყება. არჩილი ქარხნისაკენ მიმართება, გვადი ფარულად დაედევნება მას და სწორედ იმ მომენტში, როდესაც არჩილმა ცეცხლს უნდა მისცეს ქარხანა, გვადი და არჩილი პირველვე წუთებშიან ერთმანეთს, როგორც მტრები და მოწინააღმდეგეები. არჩილს: ცეცხლს! მკაცრად უდგენია, თუ გვადის შეუძლია რაიმე წინააღმდეგობის გაწევა, მას გვადი ისევ ის დაძაბუნებული და ბეჩავი ადამიანი ჰგონია, დამშვიდებით აგრძელებს ქარხნის დაწვისათვის სამზადისს და გვადისაც დაწვით ემუქრება იმ ფიცრებთან ერთად, რომლებიც გვადის ოდისათვის იყო დანიშნული. აქ უკვე აღარ არსებობს უკანდასახევი გზა გვადისათვის. იგი თავგანწირულად და გაბედულად ეკვეთება მოწინააღმდეგეს და ყამის მოულოდნელი დაკვრით ჰკლავს მას.

გვადიმ გაანადგურა მტერი. გადაარჩინა კოლმეურნეობის ქონება, საგმირო საქმე ჩაიდინა. მალე მთელი სოფელი გარს შემოერტყა მას, როგორც საერთო საქმისთვის თავგანწირულ მებრძოლს. ყველაზე ახლოს მასთან მარიამი მოსულა. გვადის პატარა ბავშვებიც გამოჩნდნენ შორიდან, მორბიან მაშისაკენ. მაგრამ გვადის არ უნდა, რომ ბავშვებმა იგი სისხლში გასვრილი ნახონ: „არა, კირიმე! ეს არ იქნება! გაიქეცი ახლავე! შეხვდი, დააბრუნე! უკან, ჯარგვალში წაასხი ყველანი! უთხარი, ბაბაიას კაცი არ მოუკლავს თქვა! სხვაგან არის წასული და მალე დაბრუნდება თქვა! როგორ მოგივიდა, რომ გამოუშვი? მათმა თვალებმა სისხლი არ უნდა ნახოს, მარიამ!“

იქნება გვადი ბიგვას ამ სიტყვებში მწერალს საბჭოთა ხალხის ის დიდი ჰუმანისტური შეგნება უნდოდა გამოეხატა, რომ ჩვენი გმირული ხალხი გამძაფრებულ ბრძოლას აწარმოებს. მხოლოდ იმისთვის, რომ რეაქციულ სამყაროსთან უკანასკნელი და გადაშფყვეტი მებრძოლების შედეგად სამუდამოდ ბოლო მოუღოს სისხლის მღვრელ ბრძოლებს და კაცობრიობას, მომავალ თაობებს უსისხლო, მშვიდობიანი, პარმონიული ცხოვრება დაუმკვიდროს.

„გვადი ბიგვა“-ს ფურცლებზე დატრიალებული მთელი ეს მოქმედება ორი დღე-ღამის მანძილზე ხდება, მხოლოდ ამ მოკლე დროის განმავლობაში ვხვდებით ჩვენ ამ რომანის გმირების ცხოვრებას. მწერალი მხოლოდ ვაკვრით გვაცნობს ზოგიერთ მათგანის წარსულს და მით უფრო არაფერს გვეუბნება იმის შესახებ, თუ რა ბედი ეწიათ მის პერსონაჟებს ამ ორი დღის შემდეგ. როგორია მათი მომავალი.

მაგრამ რომანის მანძილზე ავტორმა ისე მოხერხებულად და რელიეფურად გვიჩვენა თავისი მთავარი გმირების ხასიათი და ბუნება, რომ ჩვენთვის საკლებით ნათელი ხდება მათი წარსული და ისიც, თუ რა მიმართულება უნდა მიეღო თითოეული მათგანის ცხოვრებას რომანში ასახული ამჟამის შემდეგ.

მკითხველისათვის ადვილი მისახვედრია, თუ რით უნდა დამთავრებულიყო ნაიას და გერას ურთიერთობა. როგორ უნდა შეცვლილიყო გოჩას ცხოვრება. აქი ჩვენ უკვე ვნახეთ გოჩა ორკეთელ კოლმეურნეთა მოწინავე რიგებში სანარჩიელებთან საზეიმო შეხვედრის დროს და რომანის ფინალურ სცენაშიაც გოჩა მთელ სოფელთან ერთად გამოსჩანდა როგორც სოფლის საერთო ჭირისა და ლხინის მონაწილე. ჩვენ ადვილად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, თუ როგორ წარიმართა გვადი ბიგვას მომავალი, მისი შემდგომი ურთიერთობა

მარიამთან, მისი ბავშვების ბედი — ყოველივე ეს მეტად მოზერხებულად არის ნანიშნები რომანში.

ამაში მდგომარეობს ამ რომანის თავისებური ძალა, მხატვრული თხრობის, სიუჟეტური კომპოზიციის თავისებური მანერა.

მაგრამ თუ მოქმედების ასეთმა ვიწროდ განსაზღვრულმა დროულმა ჩარჩოებმა დინამიურობა შემატა რომანის სიუჟეტურ კომპოზიციას, შეუნელეგელი ინტერესით საკითხავი გახდა ეს წიგნი, სამაგიეროდ ამ ვარემოებამ რომანზე გარკვეულად უარყოფითი გავლენაც იქონია.

მოქმედება იმდენად შეკუმშულად და კონცენტრირებულად ვითარდება, რომ შეუძლებელი ხდება ფონის, გარემოცვის საჭირო სისავსით და სისრულით დახატვა, შეუძლებელი ხდება რომანში იმ მდიდარი ყოფა-ცხოვრებითი მსაალის მოთავსება, რომელიც კიდევ მეტად ნათელ წარმოდგენას მოგვეცემდა იმაზე, თუ როგორ ცხოვრობს, როგორ შრომობს და იზრდის მთელი საკოლმეურნეო გლეხობა სოციალისტური სოფლის მშენებლობისათვის. ეს მომენტი მეტად ძუნწად, თუმცა მკაფიო, მაგრამ მაინც შტრიხებით არის წარმოდგენილი რომანში.

აღბათ ამევე ვარემოების გამო აეტორმა სათანადო სისრულით ვერ გაშალა ზოგიერთი სიუჟეტური მოტივი, რომლის უფრო ღრმად და ვრცლად დამუშავება რომანს მეტს ინტერესსა და მნიშვნელობას შესძენდა. მაგალითად, ავილოთ თუნდაც ნაიასა და გერას ურთიერთობა. ჩვენთვის მეტად საინტერესო იქნებოდა გვენახა, თუ როგორ იზრდება ჩვენი სოციალისტური სოფლის ახალგაზრდობა, როგორ აახლოვებს ამ ახალგაზრდობის საუკეთესო წარმომადგენლებს საერთო ბრძოლისა და შრომის სინამდვილე, როგორ შეგობრობენ ისინი, როგორ უყვართ მათ ერთმანეთი, როგორ ოცნებობენ ისინი თავიანთ პირად ბედნიერ მომავალზე და როგორის თავგამოდებით ანხორციელებენ ამ თავის მშვენიერ ცნებას.

ჩვენ მხოლოდ ერთი შესაძლებლობა აღვნიშნეთ. ასეთი შესაძლებლობა მრავალია ამ რომანში. მისში დასახული სიუჟეტური მოტივების გაღრმავება რა თქმა უნდა გაზრდიდა რომანის დიაპაზონს.

ისიც უნდა ითქვას, რომ ორი დღის მანძილზე ამდენ და რომანის გმირების ცხოვრებისათვის ასე ღირსშესანიშნავი ამბების დატრიალება ჰქმნის ერთგვარი ხელოვნურობის შთაბეჭდილებას. აეტორს დიდი სიზუსტით და ზომიერებით აქვს მოფიჭრებული რომანის სიუჟეტური მოძრაობის ყოველი დეტალი, ყველაფერი აქ შინაგანად დასაბუთებულია, და მოტივირებული. მაგრამ მაინც გვიწინდლება წარმოვიდგინოთ, რომ ორი დღის მანძილზე ასე ერთბაშად გადატყდა, ასე ძირფესვიანად შეიცვალა რომანის ყოველი მთავარი გმირის ცხოვრება.

აქ რა თქმა უნდა ჩვენს მხატვრულ პირობითობასთან გვაქვს საქმე, მაგრამ, ვფიქრობთ, მოქმედების ზედმეტმა დროულმა შეკუმშვამ და კონცენტრირებამ ამ მხრივაც ერთგვარად შეაფერხა რომანის ბუნებრივი განვითარება.

ამ რომანში ლეოა ქიაჩელი ადამიანთა ხასიათების, გმირის პორტრეტის მძლავრ მხატვრად გვევლინება. ზოგჯერ იგი რამდენიმე შტრიხით თვალწინ დაგვიყენებს ცოცხალსა და ხელსახებ სახეს. სანიმუშოდ გავიხსენოთ როგორის ეკონომიით, მაგრამ როგორი სიცხოველით გამოკვეთა მწერალმა ისეთი ეპიზო-

ღური პერსონაჟი, როგორც ონისეა: „იგი ცოტა განზე გამდგარიყო, მარტო, ტანდაბალი და ძველი ვაზის ძირივით დაღრაქნილი. მხარზე გრძელ ტარიანი წალდი გაედვა და პირში ყალიონი გამოეჩრა. ქალარა თმა თავზე ჩირვავით ადგა. ხოლო თამბაქოს კომლით შეყვითლებული და სიცხით მოწყვეტა, ტალახს დამზავავსებული წვერულვაში ისე უბურავდა მთელ პირიყვანს: ყუყუყუყუყუყარტოვით წაგრძელებული ცხვირი და კრელი თვალი-ღა მოუჩანდა. ძალიან ჰგავდა ჩხირს“. ამას დაუმატეთ ონისეს წვრილი, გამყინავი ხმა და თქვენს თვალწინ ამ ადამიანის დასრულებული პორტრეტი დაისახება.

მაგრამ გმირის გამოხატვის ეს ცხოველყოფელი ძალა ყოველთვის თანაბარი როდია ამ რომანში. ზოგჯერ მწერალს არ ჰყოფნის საღებავი და მხატვრული ძალა პერსონაჟის ცოცხლად დახატვისათვის, განსაკუთრებით სოფლის მოწინავე ადამიანების დადებითი გმირის დახატვისათვის.

გერა, გიორგი, ნაია, ელიკო შედარებით მკრთალად გამოიყურებიან ამ ნაწარმოებში. მეტად ბუნდოვნად ვხედავთ მათ სახეს. ისინი ხორცშესხმულ მხატვრულ განზრახვის მდგომარეობაში არიან დატოვებულნი. რომანში არ არის ცოცხლად, რელიეფურად დახატული არც ერთი ისეთი დადებითი გმირი, რომელიც ღირსი იყოს იმისა, რომ იგი საცხებით მიიღოს და შეიყვაროს მკითხველმა და გაჰყვეს მას ბრძოლისა და შემოქმედებითი ცხოვრების გზაზე. ეს კი, რა თქმა უნდა, ნაკლად უნდა ჩათვალოს ახალი სოფლის ამსახველ მხატვრულ კშნილებას, თუნდაც ისეთს, რომლის მთავარი თემა ახალი ადამიანის ჩვენება კი არ არის, არამედ წარსულის ადამიანური მასალის გარდაქმნა და გადამუშავება ახალი სინამდვილის გარემოცვაში.

სამართლიანი იქნება მკითხველის პრეტენზია მწერლისადმი, რომ ჩვენ ამ რომანში მოველოდით უფრო მკაფიოდ და ხორცშესხმულად დაგვენახა ის ადამიანური ძალა, რომელმაც გამოიყვანა გვადი და გოჩა ცხოვრების ფართო და მზიან გზაზე. ძალა, რომელიც ამოძრავებს და მეთაურობს სოციალისტური სოფლის მშენებლობას.

თავის მხატვრული ენერჯის მაქსიმუმი ავტორმა ამ რომანში შეგნებულად გვადი ბიგვას დახატვას მოანდომა და შექმნა კიდევ სრულიად ორიგინალური მხატვრული სახე, რომელიც მკაფიოდ გამოიჩიევა მთელი ქართული მწერლობის მიერ მოცემულ სახეთა გალერეიაში და იმკვიდრებს მასში თვალსაჩინო ადგილს.

ლეო ქიაჩელის სტილი სადაა და ბუნებრივი. იგი შეგნებულად გაურბის მანერულობას, ხაზგასმულ, განზრახ-გართულებულ ფორმას მეტყველებისა. რომანის ენა შეფარდებულია პერსონაჟის ხასიათთან. გმირების დილოგსა და ავტორის თხრობას შორის მიღწეულია სრული მთლიანობა სიტყვიერი ქსოვილის მხრივ. დიდის ზომიერებით ახერხებს ავტორი დაიცვას გმირის მეტყველების სპეციფიური ელფერი, მაგრამ სრულიადაც არ დატვირთოს რომანის ენა პროვინციალური გამოთქმებით, კუთხური ეარვანით. ამ მხრივ ლეო ქიაჩელის მიღწევა სანიმუშოა ბევრი თანამედროვე მწერლისათვის.

რომანის სტილი იმდენად სადაა და ბუნებრივი, რომ ერთის შეხედვით ვერც კი გრძნობთ ავტორის შრომას ენის მხატვრულობის, თქმის ინტენსივობის მიმართულებით. ნამდვილად კი მხატვრული მეტყველების ასეთი სისადავე

შედგება გულმოდგინე და დაძაბული მუშაობისა. მთელს რომანში აქა-ეკ თუ შეღებვებით მხატვრულად გაუმართლებელ გამოთქმას, არასწორად აგებულ ფრაზას, პროზაიზმს.

ქართული

ლეო ქიაჩელი არ მისდევს სტილის განსაკუთრებულ მსჯელობას. მას ნაკლებად იტაცებს შედარებათა, მეტაფორების და აღწერილობათა პოეტური სამკაულების მაცდუნებელი ძალა მხატვრულ პროზაში. მისი ყურადღება და ენერჯია თანმიმდევრულად მიმართულია მძაფრი სიუჟეტის გამოკვეთისა და გმირის რელიეფურად დახატვისაკენ. პერსონაჟის სულიერი ცხოვრების, მისი ფიქრებისა და განცდების გადმოცემისას მწერალი უხვად და მოხერხებულად სარგებლობს ნიუანსის, დეტალის მხატვრობის პრინციპით.

„გვადი ბიგვა“ საბჭოთა მხატვრული პროზის თვალსაჩინო მიღწევაა. იგი სრულ საფუძველს გვაძლევს მოველოდეთ, რომ ლეო ქიაჩელი, მთელი გმირული სინამდვილის კიდევ უფრო ღრმა ათვისების შედეგად, ამ სინამდვილით კიდევ უფრო სრულად და ღირსეულად ამსახველი ახალი ნაწარმოებებით გაამდიდრებს თანამედროვე ქართულ მწერლობას, მთელ საბჭოთა ლიტერატურას.

**ლენინი და სტალინი ქართულ პოეტურ ფოლკლორში
ლიბიტრი განაუზივლის კამაქციითა და წინასიტყვაობით.**

თბილისი, 1939 წ. გამომც. „ფედერაცია“, 150 გვ. ფ. 3 მ. 80 კ.

ეს პატარა წიგნი ნათელ წარმოდგენას გვაძლევს იმის შესახებ, თუ როგორის ძალით და სიღრმით გაიშალა ჩვენს დიად სოციალისტურ ეპოქაში ხალხური პოეტური შემოქმედება, თუ რა განუზომელი სიყვარულით, მადლიერებით და ერთგულებით უმღერის გამარჯვებული საბჭოთა ხალხი მშრომელთა კაცობრიობის გენიალურ ბელადებს და უსაყვარლეს მასწავლებლებს — ლენინს და სტალინს.

აზრის სიღრმე, გრძნობის სიწრფელე და უშუალობა, პოეტური მეტყველების საშუალებათა სისადავე და სიმკვეთრე ახასიათებს ამ კრებულში შერჩეულ საუკეთესო ნიმუშებს თანამედროვე ქართული პოეტური ფოლკლორისა. აქ ჩვენ ვხედავთ ქართული ზეპირსიტყვიანობის მდიდარი და მრავალსაუტუნოანი ტრადიციის ნამდვილ აღორძინებას, გამოწვეულს ჩვენი გმირული სინამდვილის სადიადოთ, საბჭოთა ხალხის მასულდგმულებელ იდეების ცხოველყოფილობით.

გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანაში ხალხი უდიდესი კმაყოფილებით და სიამაყით შეჰზარის თავისი ხანგრძლივი ბრძოლისა და გმირული შრომის ნაყოფს — ჩვენს ქვეყანაში დამკვიდრებულ შემღებულსა და მზიურ ცხოვრებას, უსაზღვროა ხალხის პატრიოტული აღფრთოვანება, მისი თავდადებული სიყვარული თავისი უძლეველი დედა-სამშობლოსადმი, განუზომელი ხალხის მადლიერება და ერთგულება მშრომელი კაცობრიობის სახელოვანი იანვარდის — ლენინ-სტალინის დიადი პარტიისადმი, ხალხთა გენიალური ბელადების — ლენინისა და სტალინისადმი.

და ხალხის ეს უწმინდესი და უმაღლესი გრძნობები მკაფიო გამოხატულებას პოელობენ ხალხურ სიმღერებში, ლექსებში, შირებში, რომელთა საუკეთესო ნიმუშებიც შთაგონებული არიან ლენინისა და სტალინის უდიდესი და უსაყვარლესი სახელებით.

სარეცენზიო წიგნის პირველი განყოფილება შეიცავს დიდი ლენინისადმი მიძღვნილი ქართული ხალხური ლექსებისა და სიმღერების შერჩეულ ნიმუშებს.

ხალხურ შემოქმედებაში ლენინი ასახულია, როგორც უდიდესი მანათობელი, რომელიც შთელ მსოფლიოში ბნელს ჰგანთავს და ნათელს ამკვიდრებს:

„მზის ჩასვლას უგავს სიკვდილი იმ ჩვენს ბელადსა ლენინსა,
ამ ქვეყნად ცეცხლის მოშტანსა გამნათებელსა ბნელისა“.

ლენინის აზრებისა და საჭმეთა ცხოველყოფილობის გამოსახატავად ხალხურ ლექსებში ჩვეულებრივ მზისა, ვარსკვლავის, შეჭურას ეპიტეტები გვხვდება, მაგრამ სოციალისტური რევოლუციის გენიალურ ორგანიზატორს, დიდ ლენინს უდიდესი უპირატესობა ეძლევა ბუნების ისეთ დიად მოვლენასთან შედარებითაც, როგორც მზეა, ლექსში „ორი მზე“, უცნობი ხალხური პოეტი ასე მიმართავს მზეს:

„ერთ გკადრო, მაგრამ თქვენს შუა დიდია განსხვავებია,
შენ მარტო დღისით გვინათებ, ის კი ღამითაც მზე არი“.
კარგია შენი სხივები, მაგრამ ის გულსა ვერ სწედება,
გარედან სახეს გვიბრწყინებს და ისევე უკან ბრუნდება.
ლენინის სხივი კი გულის და სულის სიღრმეს სწევდებთან,
მოყვარეს განსაკურნავად, მტერს ლახვარითაც ზედებთან“.

ხალხური პოეზია შთაგონებულად უმღერის სტალინს, როგორც საბჭოთა ხალხის უძლეველობის დიად სიმბოლოს, როგორც ხალხის აზრისა და გრძნობის, ხალხის სურვილის მისწრაფებათა უმაღლეს განსახიერებას, მის საბრძოლო დროშას.

„ჩვენი დროშა ხარ, მიიბრძვი და კალთებს მიაწვიალბე, თუ გზას გადაეცდით, დაგვიტევე, ძახილს არ დაგვიგვიანებ. ჩვენი გული და გონება, თვით ჩვენი სისხლის დენა ხარ, უკუნეთ შუალაშეში დიდის მზის გამოჩენა ხარ, ათასი წლისა მანძილის ათ წუთში გამოიბრუნა ხარ“.

ქ. რ. ქ. ქ. ქ.
გ. მ. მ. მ. მ.

განახლებული, შეძლებული და აყვავებული ცხოვრების ნათელი სურათების ფონზე ხატავს ხალხური პოეტური ფანტაზია დიდი სტალინის სახეს. ხალხურ ლექსში აღწერილი სურათი სოციალისტურ სოფელში დამკვიდრებულ შეძლებული ცხოვრებისა დაგვირგვინებულია კოლმეურნის ახალი ოდის კედელზე დაკიდებული სტალინის პორტრეტით, რომელიც არის მტკიცე საწინდარი ხალხის კეთილდღეობისა და ბედნიერების. დიდს სიხარულით უამბობს ხალხი თავის უსაყვარლეს ბელადს თავისი ბედნიერი და კულტურული ცხოვრების შესახებ:

„გავაცამტყერეთ ვინც იყო ჩვენში ორგული, ფლიდია, არტელში ამოზა ვიფიცეთ, შრომაში ერთად მივდივართ. ავაგეთ სკოლა-თეატრი და მდინარეზე ზიდია, დღეს ჩვენი ოდის კედელი სასახლესავით დიდია ოთახში ელნათური და შენი სურათი ჰკიდია“.

დიდი სტალინისადმი უსახლგრო სიყვარულით შთაგონებულ ლექსებში ხალხი ამავე დროს გამოხატავს თავის განუზომელ ზიზღს და გულსწყყრომას სოციალიზმის მტრებისადმი, საზიზღარი მოღალატეებისადმი. ხალხმა იცის, რომ ერთი წუთითაც არ შეიძლება შენელებულ იქნას შემტევი რევოლუციონერი სიხიზლე მშრომელი ხალხის მტრების მიმართ, მტრებისა:

„დავეშილ მგლებსა რომ ჰგვანდნენ ვაშლოვანისა ტყისასა“...

ხალხურ პოეზიაში ღრმად არის გამოხატული ხალხის მზადყოფნა ბელადის პირველი მოწოდებისთანავე მკერდით დაიცვას თავისი სამშობლოს წმინდათა წმინდა მიწაწყალი ზოველი ჯურის მტრის მუხანათური ხელმყოფისაგან. ხალხი მიმართავს ბელადს:

„გაგვიძელ დიდო ბელადო, დრო როცა დადგეს ცდისაო, თან ჩამოგყვებით ყველაი, მუხლი გვაბია მგლისაო“.

ხალხს ურყევად სწამს რომ „მზე აღარ ჩაესვენება დიდი სტალინისა მიწისა“, სწამს რომ ლენინ-სტალინის უძლეველი დროშა გაიმარჯვებს მთელ მსოფლიოში, რომ დაემბობა ჩაგვრისა და მონობის სამყარო:

„იქაც მოკვდება ძველი დრო, ამოვიარდება გვარადა, იქნება სოროს ეძებდნენ სადმე თავ შესაფარა“.

ხალხურ პოეზიაში სტალინის სახელი განუყრელად დაკავშირებულია ლენინთან. ხალხი დიდების შარვანდდით მოსავს სტალინს, როგორც ლენინის გენიალურ თანამებრძოლს, როგორც უკვადავი ლენინის დიადი საქმის გენიალურად განმაგრძობს და დამაგვირგვინებელს, რომელსაც:

„სიმართლის ხმალი უჭირავს, სიმტყუნეს თავსა ჰკვეთავსო, სამიჯკვლავა ჰყავს ლენინი, თითონ საქმესა სწყვეტავსო“.

ქართული მშრომელი ხალხი და მისი ზეპირ-სიტყვაობა დიდი სიყვარულითა და მაღლიერით უმღერის ქართველი ხალხის საპაჟო შეილს, ურყევ სტალინელს, აშანავ ლაფრენტო ბერიას, რომლის სახელთანაც უშუალოდ და განუყრელად არის დაკავშირებული ორდენი-

სანი საქართველოს უდიდესი გამარჯვებანი სოციალისტურ შეურყეობისა და კულტურის ყოველ უბანზე. ხალხური პოეზია ასახავს ამხანაგ ლაერენტი ბერძას მეთურობით წარმოებულ დიდ შემოქმედებით მუშაობას ჩვენი ქვეყნის აღორძინებისა და განხორციელებისთვის:

„იქ ვარდ-ყვავილი გადარგი, სად იყო ეკალ-ნარიაი
სამოთხეთ გადააქციე მტრებისგან ნაოხარია.
არც ერთი არა მტყუნდება, რაც შენგან ნაუბარია,
და შენი წინამძღოლობით ყვავდება მთა და ბარია“.

კრებულში მოთავსებულია ჩვენს ქვეყანაში ფართოდ გავრცელებული ხალხური სიმღერები და ერთი მეტად საყურადღებო ნიმუში ახალი ხალხური ეპოსისა, რომელიც მოგვითხრობს შრომელი ხალხის ერთგული შეილის საგმირო საქმეებს სამოქალაქო ომის ფრონტებზე, მის თავდადებულ ბრძოლას ხალხის მტრების წინააღმდეგ, ლენინ-სტალინის დიადი საქმის გამარჯვებისათვის.

კრებულში შერჩეული მასალა გვიჩვენებს, თუ როგორი გულისხმიერებით ეხმარება ხალხური პოეზია ჩვენი ქვეყნის ცხოვრების ყოველ ღირსშესანიშნავ მოვლენას. ხალხურ ლექსებში ჩვენ ვხვდებით გამოძახილს პარტიის მე-17 ყრილობაზე, ხალხის საუკეთესო შეილთა მიღებაზე კრებულში და ისეთ მოვლენაზედაც კი, როგორც იყო ქართული ხელოვნების დეკადა მოსკოვში. ამრიგად, აშკარა ხდება ხალხური პოეზიის ღრმა აქტუალობა, მისი მჭიდრო კავშირი ჩვენი ქვეყნის სამეურნეო-პოლიტიკური ცხოვრების ყოველდღიურობასთან. ამავე დროს კრებულში წარმოდგენილი მასალა დიდ ინტერესს შეიცავს ლიტერატურისა და ხალხური შემოქმედების ურთიერთობის პრობლემის თვალსაზრისითაც. ცნობილია, თუ რა დიდ გავლენას ახდენს თანამედროვე ქართულ პოეზიაზე ხალხური პოეტური შემოქმედება, მაგრამ თანამედროვე ფოლკლორი, რომელიც ხალხის სწრაფი კულტურული აღმავლობის პირობებში იქმნება, რასაკვირველია არ შეიძლება ვითარდებოდეს მწიგნობრულა კულტურის შემოქმედების გარეშე. ამის შესახებ აშკარად მეტყველებს ფუნდაც ისეთი ადგილები ამ კრებულიდან: „ბრწყინავენ ცაზე ვარსკვლავნი მოკაშკაშ-მოვლევარცო“, „ჩვენთვის ხარ დაბადებული, არ გაიცივლები სხვაზე და“, „აღარ მღეროო მთიელო, სამშობლო ხევსურისასა“. ან კიდევ:

„დაღამდა. წერილი ვარსკვლავნი რიგრიგად დასხდნენ ცაზედა,
ვაეის მთვარე არსად სჩანს, არ დაგნათოს თავზედა“.

ხალხურ ლექსში „სალამი. ჩემო სამშობლოც“ ჩვენ ვხვდებით პოეტ ალიო მაშაშვილის ლექსის „სამშობლო ბელადისა“ მოტივების აშკარა პარალელებს.

ეს გარემოება განსაკუთრებულ დაკვირვებას და შესწავლას მოითხოვს ჩვენი ფოლკლორისტიკის მხრივ.

მასალა გულმოდგინეთ შეურჩევია და დაუმუშავებია წიგნის რედაქტორს ამხანაგ დიმიტრი ბენაშვილს. წიგნს წამძღვარებული აქვს ანბ. დ. ბენაშვილის წერილი, რომელშიც მოცემულია კრებულში მოთავსებული მასალის ანალიზი და გარკვეულია ახალი პოეტური ფოლკლორის საკითხები.

გაუგებარია თუ რატომ არ არის აღნიშნული კრებულში იმ ხალხურ პოეტებისა და შემოქმედების ვინაობა, რომელთა ავტორობაც ამ წიგნში მოთავსებული ლექსის მიმართ უდავოდ არის ცნობილი.

შინაარსი

მხატვრული ლიტერატურა

	გვ.
ვასილ ბარნოვი — თეორი გვირგვინი	3
ალ. აბაშელი (ლეჟსი) — მესაზღვრეს	47
გ. ქუჩიშვილი (ლეჟსი) — იქ, სადაც იშვია ხალხთა გენია	48
პანტელეიმონ ჩხიკვაძე — ახალი ხმელეთი	58
ვ. გაფრინდაშვილი (ლეჟსი) — ბუნებას	78
გ. ძიგვაშვილი (ლეჟსი) — პირველ შერცხლებს	79
ანა ხახუტაშვილი — იოსებ ლალიაშვილი	80
დავით სასუნცი — თარგმ. კ. კალაძის	107
აბატი პრევო — შანონ ლესკო — თარგმ. კ. ირემაძის	117

კრიტიკა

ბეს. ფლენტი — გვადი ბიგვა — ლეო ქიჩიელის რომანი	145
---	-----

ბიბლიოგრაფია

ლენინი და სტალინი ქართულ პოეტურ ფოლკლორში — დიმიტრი ბენაშვილის რედაქციითა და წინასიტყვაობით — გამომც. „ფედერაცია“, 1939 წ.	161
--	-----

ფანონი 2 856. 50 ჯაბ.

39301



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„**М Н А Т О Б И**“

ГОСИЗДАТ ГРУЗИИ